

ნოდარ შენგელია

XV—XIX საუკუნეების  
საქართველოს ისტორიის  
ოსმალური წყაროები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1974

ნაშრომში შესწავლილია XV—XIX სს ოსმალური ნარატული და დოკუმენტური წყაროები. ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ოსმალ ოსტორიკოსთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საგანგებოდაა საუბარი ისეთ ოსმალ ოსტორიკოსებზე, რომელთა თხზულებებში საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოზე, ხაზგასმულია მათი ღირებულება და სანდოობა.

წიგნში აღნუსხულია ყველა ის ოსმალური დოკუმენტური წყარო, რომელიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს ეხება და ინახება ჩვენი ქვეყნის არქივებსა და სიძლეეთსაცავებში. ნაჩვენებია მათი გამოცემები. ოსმალური წყაროების მონაცემები უმეტეს შემთხვევაში შექერებულია ქართულ წყაროებთან.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი-ოსტორიკოსების, აღმოსავლეთმცოდნეების, ასპირანტების, მეცნიერ მუშაკებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ წყაროებში არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული საქართველოსა და საქართველო-ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის განათვალისწინებლად და ეს ბუნებრივია. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა თავის სამხრეთის მეზობელთან — ოსმალეთის უზარმაზარ იმპერიასთან. ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, სამხედრო პირებს, ოფიციალურ ისტორიოგრაფებს, მოგზაურ-გეოგრაფებს და სხვ. სახელმწიფო დავალებათა შესრულებისას ძალაუვნებურად უხდებოდათ საქართველოს შესახებ ოფიციალური დოკუმენტების შედგენა, საქართველოში ჩატარებული რომელიმე სამხედრო ექსპედიციის აღწერა, საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარდგინება, ოფიციალურ ისტორიებში საქართველოს შესახებ წარსულისა თუ თავისი თანამედროვე ამბების რეგისტრაცია, დაპყრობილი ქართული პროვინციების საფუძვლიანი აღწერა და სხვ.

ოსმალურ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში საქართველოს შესახებ მრავალგვარი ხასიათის ცნობაა დაცული. ჭერჭერობით მხოლოდ მცირე ნაწილია დამუშავებული და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი. დაუმუშავებელი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ ცნობები გვაქვს მხოლოდ აღწერებისა და კატალოგების სახით. ჭერჭერობით მასზე ხელი არ მიგვიწვდება, იგი თურქეთისა და ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში ინახება.

გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ქართულ და სხვა ენებზე არსებულ წყაროებთან ერთად აუცილებელია ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროების გათვალისწინება, მათი მონაცემების შეჯერება სხვა ენებზე არსებულ წყაროებთან.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები (მეკმედ ფუად ქოფრულუ, ბეჰირ სიდქი ქუთუქოღლუ, მუსტაფა აკდალი და სხვ.) ხშირად უგულებელყოფენ ოსმალთა ისტორიკოსთა და ოსმალურ დოკუმენტურ წყაროთა მონაცემებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ, რაც არ შეესაბამება თურქოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეს.

XV—XIX საუკუნეთა მდიდარ ოსმალურ ისტორიოგრაფიაში ძნელია მოინახოს რომელიმე ოსმალთა ისტორიკოსი, რომელსაც თავის თხზულებაში ვრცლად არ ჰქონდეს გადმოცემული ამბები ოსმალთა ლაშქრობების შესახებ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის ქვეყნებში. ასევე შეუძლებელია იმ უამრავი დოკუმენტური მასალების უარყოფა, რომლებშიც კონკრეტულადაა გადმოცემული ოსმალთა თავდასხმებისა და საქართველოში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღების ცდებისა და გარკვეულ პროვინციებში ოსმალური მართვა-გამგებლობის გატარების შესახებ. საქართველოში „ოსმალბის“ შემოღებისა და ოსმალთა გამუდმებული თავდასხმების საილუსტრაციოდ არაერთი ოსმალური თუ ნარატიული წყაროს ქართული თარგმანი სათანადო მეცნიერული კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოქვეყნებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. დღეს თურქეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულია უზვი მასალა, რომელიც ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის არაერთ კარდინალურ საკითხს მოჰყენს შუქს. ეს გამოუქვეყნებელი წყაროები დღეს თურქ ისტორიკოსთა განკარგულებაშია.

წინამდებარე ნაშრომში საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროებია აღწუსებული, გადმოცემულია ოსმალური ისტორიოგრაფიის, ოსმალთა ისტორიკოსთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საგანგებოდაა საუბარი მათ თხზულებებში საქართველოზე დაცულ ცნობებზე, მათს ღირებულებასა და მნიშვნელობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში შეჭრებულაა ქართულ თუ სხვა ენაზე არსებული წყაროს მონაცემებთან და გაკეთებულია სათანადო დასკვნა. (ი. ფეჩევი, მ. ნაიმა და აგრეთვე ზოგიერთი გამოქვეყნებული დოკუმენტური წყარო). ასეთი საბუთაო ყველა წყაროს მიმართ არაა ჩატარებული. ნაშრომში ასევეა მოხმობილი ყველა ის ოსმალური დოკუმენტური წყარო, რომლებიც ჩვენს არქივებში ინახება, დახასიათებულია მათი ღირებულება და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, მითითებულია, თუ რომელი წყაროა ქართულად თარგმნილი და რას ეხება იგი. ჩვენი ქვეყნის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული და გამოქვეყნებული მასალების გარდა ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია და შეძლებისდაგვარად აღწუსებულია ყველა ის წყარო, რომელიც უცხოეთის სიძველეთსაცავებში

ინახება და ჩვენთვის მხოლოდ კატალოგებისა და გზამკვლევების სა-  
შუალებითაა ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წყაროების  
მოძიება, მისი დამუშავება და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემო-  
ტანა ქართული თურქოლოგიის საშური საქმეა.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს ისტორიის ოსმალური ნა-  
რატული და დოკუმენტური წყაროების აღნუსხვის პირველ ცდას  
წარმოადგენს. ამ ნაშრომის დაწერა ქართული თურქოლოგიის დაწი-  
ნაურებამ განაპირობა. უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს  
ისტორიის არაერთი ოსმალური დოკუმენტური და ნარატული წყარო  
გამოქვეყნდა, მომავალშიაც ამ მიმართებით საინტერესო სამუშაოები  
გათვალისწინებული. ნაშრომი ოსმალური წყაროთმცოდნეობის დღე-  
ვანდელი განვითარების დონეს ასახავს.

საქართველოს ისტორიის ჩვენთვის ცნობილი ოსმალური წყარო-  
ების შესახებ ცნობების ერთ ნაშრომში თავმოყრა, მათ შესახებ მეტ-  
ნაკლები ცნობების მოძიება და გამოქვეყნება ოსმალეთ-საქართველოს  
ისტორიული ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარ-  
თა დასახმარებლად სასარგებლო საქმედ მივიჩნით. იგი გარკვეულ  
დახმარებას გაუწევს როგორც მკვლევარ-მეცნიერებს, ასევე აღმოსავ-  
ლეთმცოდნეობისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებსა და ჩვენა  
ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ პირთ.

ბუნებრივია, მომავალში არაერთი ისეთი საინტერესო ოსმალუ-  
რი წყარო გამოვლინდება, რომლის შესახებ ნაშრომში არაა საუბარი.  
გარდა ამისა, წიგნი არ იქნება დაზღვეული ცალკეული ხარვეზების-  
განაც. ავტორი მადლობით მიიღებს ყველა სასარგებლო შენიშვნას და  
გაითვალისწინებს თავის შემდგომ მუშაობაში.

**XV—XVI საუკუნეების ნარატიული წყაროები**

ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად ქართულ წყაროებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალურ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია XV—XIX საუკუნეთა ოსმალური ისტორიოგრაფიული ნაშრომები, რომლებშიც უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების შესახებ. ოსმალ ოსტორიკოსები დაწვრილებით მოგვითხრობენ სახელდრო-პოლიტიკურ ამბებს, აგვიწერენ ბრძოლების ეპიზოდებს, მეფეთა და მთავართა საქმიანობას, საქართველოს ცალკეულ პროვინციებში ოსმალთა ლაშქრის შემოსევებს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული თხზულებების, ნარატიული და დოკუმენტური და სხვა ხასიათის წყაროების სიუხვით ოსმალეთის იმპერია წარმოადგენს ბედნიერ გამონაკლისს. ჭერ კიდევ სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობის პირველი დღეებიდანვე სახელმწიფოს მეთაურების გარშემო შემოკრებილი იყვნენ ისტორიოგრაფები, ქრონიკის ავტორები, მეცნიერ-ფილოსოფოსები, პოეტები და სხვა დარგის სწავლულები. ოსმალთა სახელმწიფოში ისტორიული ქრონიკების შექმნის ტრადიციამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვა. XVII საუკუნის ბოლოსათვის საკმაოდ მომრავლდა მოხალისე მემატთანე-ისტორიკოსები. ისინი თავიანთი თხზულებების წერისას ამბების გადმოცემას ჩვეულებრივ უძველესი დროიდან იწყებდნენ, დაწვრილებით გადმოგვცემდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიას მისი შექმნის პირველი დღეებიდან ვიდრე თავიანთი თანამედროვე ამბების გადმოცემამდე. როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. ტვერიტინოვა, ამ ქრონიკების ავტორები სულთნის კარისადმი ჭიჭლოვისდა მიხედვით სასახლის წრეების ოფიციალური შეხედულებების ზეგავლენას სხვადასხვანაირად განიცდიდნენ და ამით შეიძლება აიხსნას ამ კატეგორიის მე-

მატიანეთა თხზულებებში ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვანაირი შეფასება<sup>1</sup>. ასეთი ავტორები იყვნენ: აშიკ ფაშა-ზადე, ორუჯ ადილი, მეჰმედ ნეშრი, იბნ არაბშაჰი, იღრის ბითლოსი, მუსტაფა სელანგი, ქათიბ ჩელები (ჰაჯი კალფა), იბრაჰიმ ფეჩევი, კოჯა ჰუსეინი, ლუთფი-ფაშა, ხოჯა სად ედ-დინი, მუსტაფა ალი, მუნეჯიმ-ბაში და სხვ.

ამ მემატიანეთა თხზულებებში დაცული ცნობები საკმაოდ ვრცელ და დაწვრილებით სურათს იძლევიან XV—XVII საუკუნეთა ოსმალეთის იმპერიის ცალკეულ საკითხებზე, ასევე არანაკლებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ისინი ამ პერიოდის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებაც.

ოსმალური ისტორიოგრაფიული თხზულებების შექმნამ იმდენად ფართო გავრცელება პოვა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის — 1709 წ. სულთნის კარზე შეიქმნა ოფიციალური ისტორიოგრაფის ე. წ. „გაკა-ი ნუვისის“ თანამდებობა. იგი ოსმალ-სულთანთა კარზე ოსმალთა დინასტიის ზეობის უკანასკნელ დღემდე არსებობდა. პირველი ოფიციალური ოსმალ ისტორიკოსი სულთნის კარზე იყო მუსტაფა ნაიმა (1655—1716), რომელმაც აღწერა ოსმალეთის ისტორია 1591 წლიდან ვიდრე 1659 წლამდე. მისი მომდევნო ოფიციალური ისტორიკოსები იყვნენ: მეჰმედ რაშიდი, რომელმაც აღწერა 1660—1722 წლების ოსმალეთის ისტორია, ჩელები-ზადე ასიმ ეფენდი (1722—1729), სუბჰი, სამი, შაჰირი (1730—1743), სულეიმან იზი (1744—1751), აჰმედ ვასიფი (1752—1774), სადულლაჰ ენვერ ეფენდი (1775—1779). აჰმედ ჭევდელი (1774—1820), აჰმედ ასიმი (1791—1808), ათაულა მეჰმედ შანი-ზადე (1808—1820), მეჰმედ ეს'ად ეფენდი (1821—1824), აჰმედ ლუთფი (1825—1876). ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო აბდურაჰმან შერიფი, რომელიც 1925 წელს გარდაიცვალა.

ამრიგად, ძნელია ოსმალეთის ისტორიაში მოინახოს პერიოდი, რომელიც აღწერილი არ იყოს ოფიციალურ ოსმალ ისტორიოგრაფთა თხზულებებში. ეს თხზულებები დიდხანს რჩებოდა ერთადერთ წყაროდ როგორც ევროპელ, ისე თურქ მკვლევართათვის. გარდა ოფიციალური ოსმალ ისტორიკოსებისა, იყო მთელი პლეადა არაოფიციალური სწავლული ისტორიკოსებისა, გეოგრაფებისა და მოგზაურებისა, რომლებმაც საინტერესო თხზულებები შექმნეს ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების წარსულის არაერთი საინტერესო საკითხის შესახებ. ასეთები იყვნენ: აშიკ ფაშა-ზადე, ნეშრი, იღრის ბითლოსი, მუსტაფა ალი, იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, ჭენაბი, ასაფი, კარა ჩე-

<sup>1</sup> Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. Документы и материалы, составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, гл. 4.

ლები-ზადე აბდულ აზიზი, სოლაჟ-ზადე მეჰმედ ჰემდემი, მუნეჯიმ-ბა-ში, ჰასან ბეი-ზადე აჰმედი, ფუნდუკულუ მეჰმედი, შამადანი-ზადე სულეიმანი და სხვა მრავალი.

XVII საუკუნის ოსმალეთში ძალიან განვითარდა საისტორიო მწერლობა. „XVII საუკუნის ოსმალეთში ისტორიოგრაფიული მწერლობის ეგზომ აღმავლობა ზასიათდება არა მარტო რაოდენობით, არამედ თვისობრივი მაჩვენებლებითაც“<sup>2</sup>. ამიტომაც იყო რომ ავსტრიელი მეცნიერი ფრ. კრელიცი შენიშნავდა, ოსმალთურქთა კულტურის ისტორიაში XVII—XVIII საუკუნეებს შეიძლება ეწოდოს ისტორიკოსთა საუკუნეო<sup>3</sup>.

ოსმალთა ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული ცნობები ყოველთვის არ იძლევა ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიული განვითარების რეალურ სურათს, მათ თხზულებებში შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ მისი ნამდვილი დამოკიდებულების აღწერას. მათი თხზულებების მიხედვით ძნელდება სულთნის ხელისუფლების სოციალური საფუძვლებისა და ნამდვილი ბუნების შესწავლა, საკუთრების გაბატონებული ფორმებისა და გაბატონებულ კლასებსა და ხალხის მასებს შორის სოციალურ ურთიერთობათა არსის შესწავლა. საეცებით ბუნებრივია, რომ ოსმალთა ოფიციალური ისტორიოგრაფები სულთნის ხელისუფლების, გაბატონებული კლასების ინტერესების გამომხატველები იქნებიან და მათ მიერ ჩატარებულ ამა თუ იმ ღონისძიებას კანონზომიერად და გამართლებულად მიიჩნევენ.

სულთნის კარის ოფიციალურ ისტორიკოსს ევალეზოდა ეწერა ოსმალეთის ისტორია დასაბამიდან და ამასთან ერთად მოეხდინა მიმდინარე ამბების ზუსტი რეგისტრაცია. ამ ოფიციალურ ოსმალთა ისტორიკოსთა ამოცანას შეადგენდა მათ ხელში არსებული დოკუმენტებისა და წინამორბედი ისტორიკოსების შრომების საშუალებით ეწერათ ქვეყნის ისტორია, ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების შესახებ. ბუნებრივია, რომ ამ ოფიციალურ ისტორიკოსთა თხზულებებში გარკვეული ადგილი ექნებოდა დათმობილი

<sup>2</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიქიამ. გვ. 9, თბ., 1964.

<sup>3</sup> F. V. Kraelitz, Der Osmanische Historiker Ibrahim Pečewi, Der Islam, ტ. VIII, სტრასბურგი, 1918, გვ. 252. იმდენად დიდი XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსთა თხზულებების მნიშვნელობა ოსმალეთის ისტორიის შესწავლის საქმეში, რომ მას საგანგებო გამოკვლევაჲ კი მიეძღვნა. იხ. S. Zeren, XVII Asır Osmanlı Müverrihleri, Edebiyat Fakültesi Mezuniyet Tezi, 1951. Ankara Dil ve Tarih-Coğrafya Fakültesi Mezuniyet Tezi.



საქართველოსთან ოსმალეთისა და ირანის ურთიერთობის საკითხებს. ზოგიერთი ოსმალ ოსტორიკოსისა და მოგზაურის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ოსტორიოგრაფიაში ცნობილია, თარგმნილია ქართულ ენაზე და სამეცნიერო მიმოქცევაშია, მაგრამ აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალ ოსტორიკოსთა თხზულებებში გაბნეული ძალიან ბევრი ცნობა საქართველოს შესახებ ჯერ კიდევ უცნობია ჩვენს ოსტორიოგრაფიაში.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდანვე ოსმალ-ხელისუფალთა გარშემო რელიგიისა და კულტურის მსახურებთან ერთად თავს იყრიდნენ მემატიანე-ოსტორიოგრაფებიც. ჯერ კიდევ ორხანის (1326—1360) დროს მოღვაწეობდა აშიკ ფაშა (1272—1333) და მისი შვილიშვილი აშიკ ფაშა-ზადე (1400—?). ბოლო ხანებამდე არ იყო გარკვეული, თუ რომელი ეწეოდა ოსტორიკოსობას და რომელს ეკუთვნოდა ოსტორიის უძველესი ხელნაწერი ძეგლები. დღეისათვის დადგენილია, რომ აშიკ ფაშა-ზადე იყო ავტორი ოსტორიული თხზულებისა, რომელიც ოსმალეთის ოსტორიას შეეხებოდა. აშიკ ფაშა-ზადეს წინაპარი აშიკ ფაშა კი თავისი დროის ცნობილი თურქი პოეტი იყო. მომდევნო ხანის ოსტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში მისი წარმომავლობისა და საქმიანობის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი. აშიკ ფაშა, გადმოცემების მიხედვით, XIII საუკუნეში ხორასნიდან ანატოლიაში გადმოსახლებულ დერვიშთა ოჯახის წარმომადგენელი იყო. იგი განათლებული და მდიდარი შეიხი ყოფილა. მისი ლიტერატურული ნაშრომი „ლარიბ-ნამე“ ძალიან ცნობილი და საინტერესო თხზულებაა<sup>4</sup>.

აშიკ ფაშას შვილიშვილი და ოსტორიული თხზულების ავტორი, დერვიშ აჰმედ აშიკ ბენ შეიჰ იაჰია ბენ შეიჰ სულეიმან ბენ აშიკ ფაშა, დაიბადა 1400 წელს ამასიის ახლოს სოფელ ელვან-ჩელებიში. გარდაცვალების თარიღი უცნობია. მისი ბიოგრაფიიდან ცალკეული პერიოდებია მხოლოდ ცნობილი<sup>5</sup>, აშიკ ფაშა-ზადეს თხზულებას<sup>6</sup>, როგორც

<sup>4</sup> აშიკ ფაშას ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იხ. M. Fuad Köprülü, Aşık Paşa, İslâm Ansiklopedisi, cüz 9, İstanbul, 1942, გვ. 701—706. Sâim Ülgen, Kırşehirde Türk Eserleri. Vakıflar Dergisi, Ankara, 1942, II, გვ. 254—261.

В. А. Гордлевский, Память об Ашык-Паше в Киршехире. Академик В. А. Гордлевский, Избранные сочинения, I том, М., 1960, гв. 379—382.

<sup>5</sup> აშიკ ფაშა-ზადეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. M. Fuad Köprülü, Aşık Paşa-zâde, İslâm Ansiklopedisi, cüz 9, 1942, İstanbul, გვ. 706—709. Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927, გვ. 35—38. F. Giese, Die Altosmanische Chronik des Aşıkpaşazâde. Leipzig, 1925, F. Giese, Aşıkpaşazâde — Problem, Orientalistische Literaturzeitung, 1932, № 1. F. Giese, Die Verschiedenen Textrezensionen des Aşıkpaşazade bei seinen Nachfol-

სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. ფუად ქოფრულუ, ძველ ოსმალთა ისტორიკოსთა ნაშრომებს შორის არავითარი სახელი არ მოუხვეჭია<sup>7</sup>. აშკი ფაშა-ზადეს ისტორიის წყაროები ჯერჯერობით დადგენილი არ არის, არ არის გამოძეურებული და შესწავლილი აშკი ფაშა-ზადემდე არსებული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, რომლითაც შეეძლო ესარგებლა მას. აშკი ფაშა-ზადეს თხზულებაში არ არის ცნობები საქართველოს შესახებ. იგი უპირატესად ოსმალეთის ისტორიის ადრეული პერიოდის ამბების გადმოცემით კმაყოფილდება.

XIV საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად ითვლება თაჯ ედ-დინ აჰმედ იბრაჰიმ იბნ ჰიზირი (1329—1413), რომლის თხზულება „ისქანდერ-ნამე“ (اسکندر نامہ) ოსმალური საისტორიო მწერლობის დასაწყის პერიოდს განეკუთვნება.

აჰმედი იყო ბაიაზიდ I-ის დროის უღვამა. სწავლა-განათლება მიიღო ჯერ გერმიაში, შემდეგ ქაიროში. ქაიროდან დაბრუნებულს შეუთხზავს პოემა „ისქანდერ-ნამე“. ერთხანს აჰმედი თემურ-ლენგის პოეტი და მისი ნადიმა (გამრთობი), შემდეგ გაექცა თემურ-ლენგს და ედირანში ბაიაზიდ I-ის უფროს ვაჟთან — სულეიმან ჩელებისთან იმყოფებოდა, სადაც ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. აჰმედის არაერთი ლიტერატურული თხზულება შეუქმნია, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მისი თხზულება „ისქანდერ-ნამე“, რომლის ორი ნუსხა დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში. ამავე ინსტიტუტის თანამშრომელმა თურქოლოგმა ცისანა აბულაძემ თურქული ტექსტით, ქართული თარგმანით, სათანადო შენიშვნებითა და გამოკვლევით გამოაქვეყნა ამ წყაროდან ნაწყვეტი, რომელშიც არღუნ ყაენის მიერ საქართველოს დალაშქრება აღწერილი<sup>8</sup>. ც. აბულაძის დაკვირვებით, მის მიერ გამოქვეყნებულ ნაწყვეტში „აღწერილია საქართველოში მონღოლთა შემოსევების საერთო სურათი პოეტურად და არაისტორიული სინამდვილის ზედმიწევნითი დაცვით“<sup>9</sup>.

gern und Ausschreibern, Abhandlungen d. preuss. Akad. d. Wiss. 1936. Phil-hist. Kl., № 4, გვ. 1—50; P. Wittek, Die Altosmanische Chronik des Aşıkpaşazade. Orientalistische literaturzeitung. 1931. № 8, გვ. 698—703. P. Wittek, Neues zu Aşıkpaşa zade. Mitteilungen zur Osmanischen Geschichte, II, გვ. 147—164.

<sup>6</sup> ۱۳۳۲ ، استانبول ، عاشق پاشا زادہ تاریخى ، عثمانى ال

<sup>7</sup> M. Fuad Köprülü, Aşık Paşa-Zade, İslâm Ansiklopedisi, cüz 9, 1942. İstanbul, გვ. 707.

<sup>8</sup> ც. აბულაძე, აჰმედი საქართველოში არღუნ ყაენის დაშქრობის შესახებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, კრებული, გვ. 218—226. თბ. 1966.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 226.

XV საუკუნის ოსმალთა ისტორიოგრაფთა შორის აღსანიშნავია იბნ არაბშაჰი (1389—1450). მან თავისი სიცოცხლის გარკვეული ნაწილი თურქეთში გაატარა. იგი დაიბადა დამასკოში, თემურ-ლენგის შემოსევებამდე იქ ცხოვრობდა. თემურ-ლენგის მიერ ქალაქის აღებისას იგი დედანთან და ძმასთან ერთად სამარყანდში წაიყვანა თემურმა. შუა აზიაში მან ბევრი იმოგზაურა, იყო ხორეზმის სახელმწიფოშიც, ჩინეთის საზღვრებამდე იარა. ისწავლა თურქული და სპარსული ენები. შემდეგ იმოგზაურა ყივჩაყთა ქვეყანაში და ასტრახანში დარჩა ოთხი წელი. აქედან ყირიმში ჩავიდა, ყირიმიდან კი ანატოლიაში — ოსმალთა სულთნის მეჰმედ I-ის (1413—1420) კარზე მივიდა და მას შეაფარა თავი. ათი წელი ოსმალეთში გაატარა, სულთნის უფლისწულთა აღმზრდელად და სულთნის ქათიბად მუშაობდა. ამ პერიოდში არაერთი საინტერესო წიგნი თარგმნა თურქულად. სულთან მეჰმედ I-ის გარდაცვალების შემდეგ იგი თავის ძველ სამშობლოში — სირიაში დაბრუნდა, ჯერ ალეპოში წავიდა, იქიდან კი შამისკენ გაემართა, სადაც დაპყრო 1422—1428 წლები. მან იმოგზაურა ჰიჯაზში, ეგვიპტეში, იყო ქაიროში. მას თარგმანებთან ერთად არაერთი მეცნიერული ნაშრომი აქვს დაწერილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჩვენთვის საინტერესოა მის მიერ არაბულად აღწერილი ამბები — თემურ-ლენგის მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში შემოსევების შესახებ. იბნ არაბშაჰის თემურ-ლენგის ისტორია მურთაზა ნაზმი-ზადეს მიერ ითარგმნა თურქულად და დაიბეჭდა კიდევ სტამბოლში XVIII საუკუნის 30-იან წლებში. იბნ არაბშაჰს არაერთი საყურადღებო ცნობა აქვს შემონახული თემურ-ლენგის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში შემოსევების შესახებ<sup>10</sup>.

ერთ-ერთი უძველესი ოსმალთა ისტორიკოსია ორუჯ ბინ აღილი. იგი აღრიანოპოლში დაიბადა. მისი თხზულება „თევარიჰი ალი ოსმან“ წარმოადგენს ქრონიკას და მოიცავს ოსმალეთის ისტორიას დასაწყისიდან ვიდრე მეჰმედ II-ის (1451—1481) ყარამანიში ლაშქრობამდე — 1467 წლამდე. მისი თხზულება ეყრდნობა წინამორბედ ავტორთა გადმოცემებს. შედარებით ვრცლადაა აღწერილი სულთან მეჰმედ II-ის ხანა. წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით მისი ქრონიკა უფრო

<sup>10</sup> Назми-заде Эфенди. История Тимура-Гургана. 1729. Константинополь. (ოსმალურ ენაზე). იბნ არაბშაჰის ცხოვრებისა და მოღვაწეობის. მისი შრომებისა და ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ.: Hüsnü, İbn Arabşah, Türkiyat Mecmuası, III, 1935. İstanbul, გვ. 157—183. Fr. Babinger, დასახ. ნშრ. გვ. 20—23. İbrahim Kafesci, İbn Arabşah. İslâm Arşiklopedisi, cüz 47, İstanbul, 1950, გვ. 698—701.

İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. 1. Türkçe Tarih Yazmaları. 2 fasikül, გვ. 154—155, 1944.

სრულყოფილია და თავისი თანამედროვე ამბები უფრო ვრცლად აქვს გადმოცემული. ორუჯ ბინ ადილის თხზულება ფრ. ბაბინგერმა გამოცაჰანოვერში<sup>11</sup>. მასში არაფერია საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ.

ორუჯ ბინ ადილის თანამედროვეა მეორე ოსმალთა ისტორიკოსი შუქრულაჰ ბინ შიჰაბ ედ-დინ აჰმედი. იგი ცნობილი სწავლული იყო მურად II-ისა (1420—1451) და მეჰმედ II-ის (1451—1481) დროს. იგი 1490 წელს გარდაიცვალა სტამბოლში. მისი ისტორიული თხზულება საინტერესო წყაროა ოსმალეთის ისტორიისათვის. მასში ამბები გადმოცემულია უძველესი დროიდან 1488 წლამდე<sup>12</sup>.

ოსმალთა ისტორიკოსთა შორის ერთ-ერთი პირველი მემატია იყო იღრის ბითლისი, ეროვნებით სპარსელი, რომელიც სულთან ბაიაზიდ II-ის (1481—1512) დროს მოღვაწეობდა. იგი ბითლისიდან იყო. მისი დაბადების თარიღი უცნობია. მის გარდაცვალებას დაახლოებით 1590 წლისათვის ვარაუდობენ. იგი პირველ ხანებში აკ-ყოინლუს ოურქმანთა სულთნის უზუნ ჰასანის შვილის იაყუბის სასახლეში მიიწვიეს ნიშანჯის თანამდებობაზე, შემდეგ გადასახლდა ოსმალეთში, სულთან ბაიაზიდ II-მ იგი კარგად მიიღო და დაავალა ოსმალეთის დინასტიის ისტორიის შედგენა. სიცოცხლის ბოლო წლებში იღრის ბითლისი სელიმ I-ის (1512—1520) სამსახურში იმყოფებოდა და თანახლდა მას თავისი სამშობლოს — ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში. მონაწილეობდა, აგრეთვე, ქურთისთანის დაპყრობაში. სულთანმა მას მაღალი თანამდებობა უბოძა. იგი პროვინციის მმართველად დანიშნა. იღრის ბითლისმა სპარსულად დაწერა ოსმალეთის ისტორია, რომელსაც „ჰეშთი ბეჰიშთი“ — „რვა საშობე“ უწოდებენ<sup>13</sup>. ამ თხზულებაში

<sup>11</sup> تواریخ آل عثمان اثر طقوزنجی عصر هجری موعرخلرندن اوروج بن عادل القزار کتاب الاد رنوی برلین دارالفنونی مدرسارندن دوكتور فرانس بابینغر. اشو طبعل تصحیحہ و تطبیقہ باقمشدر هاینس لافہر هانوفر. ۱۹۲۵—۱۹۲۳.

Die Frühosmanischen Jahrbücher der Urudsch nach des Handschriften zu Oxford und Cambridge. Erstmals herausgegeben und eingeleitet von Franz Babinger. Hannover, 1925. ნაშრომს წინ ერთვის ფრ. ბაბინგერის შესავალი წერილი ორუჯ ბინ ადილზე. იხილეთ აგრეთვე Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 23—24. Mithat Sertoğlu, Vakanüvisler Dışında Kalan Belli Başlı Osmanlı Tarihçileri ve Eserleri. III. Yeni Tarih Dergisi, № 39, გვ. 768, 1960.

<sup>12</sup> მისი თხზულებისა და ბიოგრაფიის შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 19—20. Mithat Sertoğlu, Vakanüvisler Dışında Kalan Belli Başlı Osmanlı Tarihçileri ve Eserleri. III. Yeni Tarih Dergisi, 1960. № 39, გვ. 768.

<sup>13</sup> Cf. Huart, İdris Bitlisi, İslâm Ansiklopedisi, cüz 50. 1951. İstanbul, გვ. 936, Mithat Sertçğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 768.

მან ხოტბა შეასხა ოსმალეთის იმპერიის პირველ რვა სულთანს. თხზულებების ასეთი სახოტბო ხასიათის გამო სტილიც საკმაოდ მაღალფარდოვანი იყო. ნაშრომი მალე ითარგმნა თურქულად. თხზულებაში ამბები გადმოცემულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1506 წლამდე.

იღრის ბითლისის შვილმაც ებულ ფაზლ მეჰმედ ეფენდიმაც დაგვიტოვა ოსმალეთის იმპერიის ისტორია, სადაც ამბები გადმოცემულია სულთან ზულეიმან კანუნის (1520—1566) დრომდე. იგი იღრის ბითლისის თხზულების ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. ებულ ფაზლ მეჰმედ ეფენდი სხვადასხვა საყადოებში მსახურობდა და, ბოლოს მთავარი დევეთერდარის თანამდებობამდე დაწინაურდა. მან 1574—1575 წლამდე იცოცხლა.

იღრის ბითლისის თანამედროვე და ეროვნებით პირველი თურქი ისტორიკოსი იყო მუდერისი მეელანა მეჰმედ ნეშრი. იგი ანატოლიის მკვიდრი იყო, აღიზარდა ბურსაში, სადაც შემდეგში მუდერისი გახდა. ნეშრის ბიოგრაფიის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება<sup>14</sup>. მისი თხზულება „ჩიჰან-ნემა“ („მსოფლიოს სარკე“), როგორც პროფ. ვ. სმირნოვი მიუთითებდა, დაყოფილი იყო ექვს ნაწილად; იგი შეიცავდა საყოველთაო ისტორიას, დინასტიების მიხედვით დანაწილებულს. უკანასკნელი ნაწილი მოიცავდა ოსმალთა დინასტიის ისტორიას. რადგანაც სხვა, წინა ნაწილები თურქებს ნაკლებად აინტერესებდათ, დროთა ვითარებაში დაიკარგა და დარჩა მხოლოდ ოსმალეთის ისტორიის ნაწილი<sup>15</sup>. ნეშრიმ თავისი „ისტორია“ დაასრულა 1492 წელს და სულთან ბაიაზიდ II-ს მიუძღვნა. მასში გადმოცემულია ოსმალეთის დაწვერილებითი ისტორია სახელმწიფოს დაარსებიდან ვიდრე ბაიაზიდ II-ის მოღვაწეობამდე (1481 წლამდე)<sup>16</sup>.

<sup>14</sup> ნეშრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: Fahriye Arık, On Beşinci Asır Tarihçilerinden Neşrinin Hayatı ve Eserleri, İstanbul, 1936.; Faik Reşit Unat, Neşri Tarihi Üzerinde Yapılan Çalışmalarına Toplu Bir Bakış. Belleten, Ankara, 1943, Cilt VII, № 25. გვ. 177—201; Fr. Taeschner, Neşri Tarihi Elyazıları Üzerine Araştırmalar. Belleten, Cilt XV, sayı 60. Ankara, 1951, გვ. 497—505; Mehmed Neşri, Kitab-ı Cihan-Nüma, Neşri Tarihi, I Cilt, Ankara, 1949. გვ. IX—XVI. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. 38—42; M. C. Şehabeddin Tekindağ, Neşri. İslâm Ansiklopedisi, cüz 92, İstanbul, 1962, გვ. 214—216.; Midhat Sertoğlu, დასახ. ნაშრ. გვ. 768; В. Д. Смирнов, Очерк истории турецкой литературы, წიგნი: Всеобщая история литературы, т. IV. ე. კორშისა და ა. კირპიჩნიკოვის რედაქციით, გვ. 489—90; პეტერბურგი, 1892. В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках. С.-Петербург, 1903, გვ. V.

<sup>15</sup> В. Д. Смирнов, Очерк истории турецкой литературы, გვ. 490.

<sup>16</sup> ნეშრის თხზულების ოსმალეთის ისტორიის ნაწილის სრული ტექსტი არაბული და ლათინიზებული შრიფტით ორ ტომად გამოაქვეყნა თურქეთის საისტორიო საზოგადო-

ნეშრის თხზულება საუკეთესო წყაროა XIV—XV სს ოსმალეთის იმპერიის ისტორიისათვის. საფიქრებელია, ავტორი ეყრდნობოდა, როგორც დღეისათვის უცნობ ხელნაწერ დოკუმენტურ წყაროებს, ისე უპირატესად ზეპირ გადმოცემებს, რომლებიც მის დროს არსებობდა. ნეშრის კეთილსინდისიერება აიძულებს გულუბრყვილო სერიოზულობით გადმოგვეცეს ლეგენდარული ამბები. ამავე დროს ნეშრი კრიტიკულადაც უდგება ისეთ ფაქტებს, რომლებიც მისი აზრით დამტკიცებას საჭიროებენ.

ნეშრის თხზულებაში თითქმის არაფერია ნათქვამი საქართველოს შესახებ. იგი ორიოდ სიტყვით ეხება ჭანეთისა და ტრაპიზონის ისტორიას და ეს ბუნებრივია. XIV—XV სს ოსმალეთი აქტიურ, აგრესიულ პოლიტიკას არ ატარებდა აღმოსავლეთში, მისი ყურადღება ევროპისა და აფრიკისაკენ იყო მიმართული და საქმოდ დიდ წარმატებებსაც აღწევდა. ოსმალეთმა საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა დაამყარა XVI ს-დან და სწორედ ამ პერიოდთან მოკიდებული თითქმის ყველა ოსმალთა ისტორიკოსის თხზულებაში გარკვეულ ადგილს იკავებს საქართველოსა და ამიერკავკასიის საკითხი.

XVI საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსთა ნაშრომებს შორის აღსანიშნავია დიდგეზირ ლუთფი ფაშას თხზულება, რომელშიც გადმოცემულია ოსმალეთის იმპერიის ისტორია 1553 წლამდე. ლუთფი ფაშა თავიდანვე სასახლეში იზრდებოდა, სხვადასხვა თანამედრობები ეკავა, ბოლოს, ჯულთან ჯულიმან კანუნის დროს დიდგეზირის პოსტი დაიკავა. მისი თხზულება 1923 წ. დაიბეჭდა სტამბოლში<sup>17</sup>.

ლუთფი ფაშას უმცროსი თანამედროვე იყო შემსუდღინ აჰმედ ბ. ჯულიმანი (1468—1534), რომელიც „ქემალ ფაშა-ზადეს“ ანუ „იბნ ქემალის“ სახელით იყო ცნობილი. იგი ბაიაზიდ II-ისა და ჯულიმან კანუნის დროს სახელმწიფო და სამეცნიერო სარბიელზე აღზე-

---

ვამ. იხ. Mehmed Neşri, Kitab-i Cihan-Nüma Neşri Tarihi, I Cilt, 1949, Ankara, II Cilt, 1957, Ankara, Hazırlıyanlar Faik Reşit Unat — Mehmet Altay Köymen. ნეშრის თხზულების მანისას ხელნაწერი ტექსტის ფოტოები, მოკლე შესავალი წერილით გამოაქვეყნეს თედორე მენცელმა და ფრანც ტეშნერმა. იხ. كتاب جهاننا ۱۹۵۵ ، جلد ۱ ، كنجی Cihannüma. Die Altosmanische Chronik des Mevlana Mehemmed Neschri. Im Auftrage der Deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin. Nach Vorarbeiten von Theodor Menzel herausgegeben von Franz Taeschner, Band II, Text des Cod. Manisa. 1373. Leipzig. 1955.

ნეშრის თხზულებიდან ნაწყვეტები ინგლისური თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა ვ. ლ. მენაჟე. იხ. Neshri's History of the Ottomans. The Sources and development of The Text by V. L. Menâze. London, 1964. New York Toronto. იხ. რეცენზია ამ ნაშრომზე. Archiv Orientalni, 34, გვ. 125—126.

ვებული პირი იყო. მამამისი სულეიმან ჩელები თავისი დროის ცნობილი მხედართმთავარი იყო. ოსმალთა დაპყრობებში დამსახურებისათვის მას ჯერ ამასიის, შემდეგ თოქათის ბეგლარ-ბეგობა ებოძა, შემსუღდინ აჰმედმა ოჯახში მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ კი სამხედრო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. იგი ბაიაზიდ II-ის ლაშქრობებში მონაწილეობდა. 1516 წელს კი ანატოლიის ყაზიასქერად დაინიშნა; იგი თან ახლდა სელიმ I-ის ეგვიპტის ლაშქრობაში და მისი დიდი პატივისცემა დაიმსახურა<sup>18</sup>.

იბნ ქემალი ღრმად განსწავლული პირი იყო ისლამისმკოდნობაში, პოეზიაში, ისტორიაში. მან მეცნიერების სხვადასხვა დარგში არაერთი საყურადღებო ნაშრომი დაგვიტოვა. იბნ ქემალმა სულთან ბაიაზიდ II-ის ბრძანებით დაწერა ოსმალთა სულთნების ისტორია. მან ყველა სულთნის მოღვაწეობის აღწერას ცალკე წიგნი მიუძღვნა, სულ რვა წიგნი დაწერა. მისი თხზულება სულთან ბაიაზიდ II-ის მოღვაწეობას ბოლო წლებით თავდება და პირველი რვა ოსმალთა სულთნის საქმიანობისადრე მიძღვნილი. შემდეგში მან მეცხრე და მეთათე წიგნებიც (დავთრებიც) შეადგინა, სადაც გადმოსცა სელიმ I-ისა და სულეიმან კანუნის საქმიანობა. საბოლოოდ მისი ისტორიული თხზულება ათი დავთრისაგან შედგება. ამ თხზულების ხელნაწერთა ორიგინალები შემონახული არ არის. იბნ ქემალის თხზულების VII დავთრის ხელნაწერი და მისი ლათინიზებული ტრანსკრიფცია გამოსცა შერაფედდინ თურანმა<sup>19</sup>. VII დავთარი მიძღვნილია სულთან ბაიაზიდ II-ის მოღვაწეობისადრე. მასში ავტორი დაწვრილებით განიხილავს ოსმალთა დაპყრობით ომებს. მას მოჰყავს მთელი რიგი ცნობები საქართველოში

---

1966. იუგოსლავურ ენაზე თარგმნილია ნაწევრები ნემრის თხზულებიდან. იხ. Gluša Elezović, Oгледало Света или Историја Мехмеда Нешрије. Зборник За Историјачку историку и књижевну грађу Одељења друштвених Наука. Серинија прва књига III. Београд, 1957. ნემრის თხზულების ხელნაწერების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. I. Türkçe Tarih Yazmaları. 2. Fasikül. Türk Tarihine Ait Eserler. İstanbul, 1944, გვ. 208—210.

<sup>17</sup> Lütfi Paşa, Tevârih-i Al-i Osman. İstanbul, 1341. იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 80—81.

<sup>18</sup> იბნ ქემალის ბიოგრაფიის შესახებ იხ. Fr. Babinger დასახ. ნაშრ., გვ. 61—63. Istanbul Kitaplıkları Türkçe Yazma Divanlar Kataloğu, I, Cilt, XII—XVI asır. Seri II, No 1; İstanbul, 1947. გვ. 103—105.

Ibn Kemal, Tevârih-i Al-i Osman, VII defter (Tenkidli Transkripsiyon), Hazırlıyan Şerafettin Turan, 1957, Ankara, გვ. VII—XCVIII.

<sup>19</sup> Ibn Kemal, Tevârih-i Al-i Osman. VII Defter. Önsöz, İndeks ve İçindekileri Hazırlıyan Dr. Şerafettin Turan. Ankara, 1954. Ibn Kemal, Tevârih-i Al-i Osman, VII Defter. (Tenkidli Transkripsiyon) Hazırlıyan Şerafettin Turan, Ankara, 1957.

ოსმალთა ლაშქრობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ოსმალებმა საქართველოში ილაშქრეს და აიღეს ციხეები: *طور جزر* და *خواجه* (?) საქართველოს დალაშქვრის შემდეგ მათ ჩერქეზებისაკენ წაიწიეს (გვ. 464—468, 541 და სხვ.). ავტორი საგანგებოდ აღწერს საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებს, განსაკუთრებით ტრაპიზონის მომიჯნავე ადგილებს და აღნიშნავს საქართველოს საზღვრების სიახლოვეს (გვ. 181—182, 194) და სხვ. იბნ ქემალის თხზულება მეტად საყურადღებო წყაროა, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის, ასევე ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების შესასწავლად.

1961 წელს სტამბოლში თურქმა მეცნიერმა ათსიზმა გამოაქვეყნა XVI საუკუნის ერთ-ერთი ისტორიული თხზულების თურქული ტექსტი არაბული და ლათინიზებული შრიფტით, რომლის ავტორად მიჩნეულია ოსმანი<sup>20</sup>. როგორც ამ ძეგლის გამომცემელი შესავალ წერილში აღნიშნავს, მან მხოლოდ ოსმანის თხზულების მცირე ნაწილის გამოქვეყნება მოახერხა, წყარო ნაკლულია, მას მრავალი თავი აკლია. მისი გადმოცემით, წყაროს შესავალში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ნაშრომში ამბები გადმოცემულია ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან ვიდრე მურად III-ის გარდაცვალებამდე (1595), მაგრამ წყაროში უფრო მოგვიანო ამბებიც გვხვდება. მისი აზრით, 1595 წლის მომდევნო ამბები შემდეგდროინდელი მინაწერებია. თხზულება დაწერილია მურად III-ის დროს და არა 1611—1612 წლებში, როგორც ამას ადრინდელი მკვლევარი მეჰმედ თაპირი მიიჩნევს. ძეგლის გამომცემელს არაერთი საინტერესო მასალა მოაქვს წყაროდან აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად<sup>21</sup>.

ათსიზის მიერ გამოქვეყნებულ წყაროში საინტერესო ცნობებია დატული საქართველოს შესახებ, წყაროში გადმოცემულია სიმონ მეფის დატყვევების ამბავი. ავტორის გადმოცემით, სიმონ მეფე დაატყვევეს 1008 წელს (1599—1600 წ)<sup>22</sup>. წყაროში საუბარია მუსტაფა ლა-ფაშას შირვანში ლაშქრობისა და თბილისის დაკავების შესახებ<sup>23</sup>.

მეჰმედ II-ის (1451—1481) დროს მოღვაწობდა და მისი საქმიანობის აღწერას უძღვნა თავისი ისტორიული თხზულება ღურსუნ ბეიზ. წარმოშობით ბურსელია, განათლება მედრესეში მიიღო. როდესაც მე-

<sup>20</sup> Osman, Tevarih-i Cedid-i Mirat-i Cihan; Düzenliyen Atsız. Istanbul, 1961, გვ. 82.

<sup>21</sup> იქვე. გვ. 5—7.

<sup>22</sup> იქვე, 51—52.

<sup>23</sup> იქვე. 47.



ჰმედ II-მ კონსტანტინოპოლი აიღო, ღურსენ ბეი მის ლაშქარში იმყოფებოდა. 1461 წლამდე სულთნის კარზე სამდივანმწიგნობროში მსახურობდა. გარდაიცვალა 1510 წელს. მისი თხზულება 1442—1488 წლებს ამბებს მოიცავს<sup>24</sup>.

XVI საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსთა შორის აღსანიშნავია მუსრაფა ჯენაბი, რომელმაც არაბულად დაწერა თავისი თხზულება და შემდეგში თვითონვე გადათარგმნა თურქულად. ნაშრომში საგანგებოდაა გადმოცემული მუსლიმანური დინასტიების ისტორია. ჯენაბიმ თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო უდიდეს თურქ მეცნიერ შეიხ ულ-ისლამ ებუ სუუდთან. შემდეგ ჯენაბი მუღდერისობას ეწეოდა სტამბოლში, ბურსასა და ედირნეში. 1588 წელს იგი გადააყენეს ამ თანამდებობიდან და მისი ძმა სუუდი დანიშნეს. იგი გარდაიცვალა 1595 წელს. მისი თხზულება ფაქტიურად ისლამის ისტორიას წარმოადგენს<sup>25</sup>.

ჯენაბის თანამედროვე იყო ცნობილი შეიხ ულ-ისლამი და ისტორიკოსი მეჰმედ სად ედ-დინ ზოჯა ეფენდი (1536—1599), იგი წარმოშობით სპარსელია. მამამისი ირანის შაჰს — შაჰ ისმაილს ახლდა 1514 წლის ჩალდირანის ომში. შემდეგში სელიმ I-მა ირანელ მეცნიერ-სწავლულებთან ერთად მისი ოჯახიც გადმოიყვანა ოსმალეთში; მამამისი მალე დაუახლოვდა სელიმ I-ს და ეგვიპტის ლაშქრობაშიც კი თან ახლდა, ზოჯა სად ედ-დინი კი მედრესეებში მუღდერისის თანამდებობაზე იყო. მალე იგი შეჰ-ზადე მურად III-ს ხოჯად დაუნიშნეს და მანისაში გააგზავნეს. იქიდან დაბრუნებული სულთან მურად III-ის ტახტზე ასვლის ცერემონიას დაესწრო და საბოლოოდ დარჩა სასახლეში სულთნის ხოჯად და სახელმწიფო საქმეებში სულთნის მრჩეველად. შემდეგში იგი შეიხ ულ-ისლამი გახდა. მისი ფეთვები თავის დროზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი თხზულება „თაჯ უთ-თევა-რიჰ“ („ქრონიკების გვირგვინი“)<sup>26</sup> ტიპიური ოსმალური ისტორიოგრაფიული ნაშრომია. მასში თანმიმდევრობითაა გადმოცემული ოსმალეთის დინასტიის ისტორია დაარსებიდან ვიდრე სელიმ I-ის გარდაცვალებამდე (1521). მისი ცნობები ემყარება უძველეს ოსმალურ წყაროებს. თითოეული სულთნის საქმიანობის დასასიათების შემდეგ მოცემულია შეიხების, ულემების, პოეტების ბიოგრაფიები. მისი თხზულება

<sup>24</sup> ღურსენ ბეის შესახ. Mithat Sertoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 768. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 26—27.

<sup>25</sup> ავტორის ვინაობისა და თხზულების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. I. Türkçe Tarih Yazmaları. I fasikül, Umumi Tarihler. 1943. Istanbul გვ. 80—82.

В. Д. Смирнов, Очерк истории турецкой литературы... 33-488

<sup>26</sup> Hoca Sad ed-Din, Tac ül-Tevarih, Istanbul, 1291, C. I; C. II. Istanbul

საკმაოდ მაღალფარდოვნადაა დაწერილი. სად ედ-დინის ქრონიკა მანამდე არსებულ ნაშრომთა შორის ყველაზე სრულია. ავტორს მაღალი თანამდებობა და ავტორიტეტი ხელს უწყობდა თავის ნაშრომში ოსმალთა სულთნების საქმიანობა პირუთვნელად და მიუკერძოებლად აღწერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა ისტორიკოსებისათვის უმეტეს შემთხვევაში დამახასიათებელია მიუკერძოებლობა და ამა თუ იმ მოვლენის ობიექტური შეფასება.

ხოჯა სად ედ-დინის თხზულებაში საქართველოს შესახებ ცნობები არ გვხვდება. მხოლოდ ერთგან ავტორი მოკლედ გადმოგვცემს ოსმალთა ფაშას — იურგეჩ-ფაშას მიერ ლაზეთის ვილაიეთის დაპყრობის ამბავს XV საუკუნეში. ხოჯა სად ედ-დინის თხზულება ჯერ კიდევ XVI საუკუნეშივე მთლიანად ითარგმნებოდა იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, ნაწყვეტები თარგმნილია ინგლისურად, უნგრულად და რუსულად<sup>27</sup>.

XVI ს-ის ოსმალურ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს მუსტაფა აღის (1541—1600). მისი სრული სახელია მუსტაფა ბენ აჰმედ ბენ აბდ ალ-მავლა ჩელები. იგი დაიბადა გალიპოლში მასწავლებლის ოჯახში. მას, სრულიად ახალგაზრდას, აღმოაჩნდა მიდრეკილება სამეცნიერო მოღვაწეობისადმი. იგი ათი წლისა სასწავლებლად მიიბარეს იმ დროის ცნობილ სწავლულ ფილოლოგს — სიურურის, რომელთანაც შვიდი წელი დაჰყო. ორი წლის შემდეგ დაიწყო მუშაობა ცნობილ სინტაქსისტ მუჰი ედ-დინ კათიეჯისთან. მან 1557—1558 წწ. უფლისწულ სელიმს მიართვა თავისი რომანტიული პოემა „მუჰტარე მაჰ“ (მზე და მთვარე). 1560 წ. ალი უფლისწულ სელიმის სამსახურში იყო. 1562 წელს ლალა მუსტაფა ფაშას მიწვევით იგი სირიაში გაემგზავრა, სადაც ექვსი წლის განმავლობაში მსახურობდა, როგორც პირადი მდივანი. 1568 წ. მასთან ერთად წავიდა ეგვიპტეში, მაგრამ ლალა მუსტაფა ფაშას გადაყენებასთან ერთად იგი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

1570—1571 წლებში, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა კვიპროსზე სალაშქროდ დაინიშნა, ალი ისევ პირად მდივანად გაჰყვა მას. შემდეგ

---

<sup>27</sup> ხოჯა სად ედ-დინის თხზულებიდან მცირე ნაწყვეტი გამოაქვეყნა ვ. სმირონოვა, იხ. В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы... გვ. 33—37. ხოჯა სად ედ-დინის თხზულებისა და ბიოგრაფიის შესახებ იხ. А. Refik, Hoca-Sadeddin, Istanbul, 1933.; Şerafeddin Turan, Sad ed-Din, İslâm Ansiklopedisi, Cüz 100, İstanbul, 1964, გვ. 27—32; Fr. Babinger, დასახ. ნაშ. გვ. 123—126; А. Refik, Alimler ve Sanatkarlar, İstanbul, 1924, გვ. 93—128. Münir Aktepe, Hoca Sad ed-Din Efendinin Tac üt-Tevarih ve Bunun Zeyli Hakkında. Türkiyat Mecmuası, cilt XIII, 1958. İstanbul, გვ. 101—116.

დასავლეთ რუმელიაში იყო ერთ ხანს. რვა წელი მსახურობდა ბოს-  
ნიაში. როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა 1577 წელს ირანის წინააღმდეგ  
ლაშქრობაში მთავარსარდლად დაინიშნა, ალი თან გაჰყვა მას ამჯერა-  
დაც როგორც პირადი მდივანი. ამ ექსპედიციის დროს იგი წერდა სხვა-  
დასხვა ხასიათის თხზულებებს, ადგენდა მიწერმოწერის ბარათებს, აღ-  
წერდა ბრძოლის ეპიზოდებს. ამ ლაშქრობის დროს მან აღწერა გილა-  
ნის, შირვანის და საქართველოს ამბები, ხალხის წეს-ჩვეულებები,  
გადმოცემები და სხვა საინტერესო საკითხები. იგი დედაქალაქში ავ-  
ზენიდა რელაციებს ოსმალთა ლაშქრის გამარჯვების შესახებ.

ლალა მუსტაფა ფაშასადმი ერთგული სამსახურის გამო ალიმ დე-  
ვეთერდარის თანამდებობა მიიღო ალემოში, სადაც 1577—1583 წლები  
დაჰყო. მაგრამ ლალა მუსტაფა ფაშას გარდაცვალების შემდეგ იგი ამ  
თანამდებობიდან გადააყენეს და მისი გავლენაც დროებით დაეცა. ერთ  
ხანს მასზე წერდნენ ცილისმწამებლურ ბრალდებებს, მაგრამ ის მალე  
შეიწყნარეს. მან აღწერა უფლისწულის წინადაცვეთის დღესასწაული —  
„ჩამი ულ ბუჰურ დერ მეჩალის-ი სურ“<sup>28</sup>, რითაც ისევ გაახსენა თავი-  
სი თავი სულთნის კარს. ამის შემდეგ იგი დანიშნეს არზრუმის დევე-  
თერდარად. ხოლო 1588 წელს — რუმელიის დევეთერდარად. მალე  
იგი ბრუნდება თავის მშობლიურ ქალაქში და დევეთერ-ემინის თანამ-  
დებობაზე იწყებს მუშაობას. მურად III-ის ტახტზე ასვლას ალიმ  
უძღვნა ლექსი, რის გამოც სულთნის ბრძანებით მას დაუნიშნეს 200000  
ახჩა<sup>29</sup>.

ალიმ დედოფალს მიმართა ლექსით, ეგვიპტის დევეთერდარობას  
იბოვდა. სულთანმა შეუსრულა მას ეს თხოვნა, მაგრამ ვეზირებმა  
უმალლესი ბრძანება შეცვალეს და იგი სანჯაყ-ბეგის ტიტულით ამასი-  
ის დევეთერდარად დანიშნეს. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ერთ-ერთი  
სათაშოს გამგებლად დაინიშნა და მალე გარდაიცვალა კიდეც<sup>30</sup>.

ოსმალთა ისტორიკოსთა და სწავლულთა შორის მუსტაფა ალის  
დამსახურებულად უჭირავს საპატიო ადგილი. იგი დიდი ავტორიტე-  
ტითა და გავლენით სარგებლობდა სულთნის კარზე, ახლო ურთიერთო-  
ბა ჰქონდა გამოჩენილ მეცნიერებთან და სწავლულებთან, რომელთა

<sup>28</sup> Nur-i Osmaniyye, Nr. 4318;

<sup>29</sup> R. W a l s h, Müverrih Alinin bir Istidat namesi (III Murada), Türkiyat Me-  
cmuası, XIII, İstanbul, 1958, გვ. 131 — 140.

<sup>30</sup> ალის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. Fr. Babinge, დასახ. ნაშ. გვ.  
126—134; K. Süsheim, Ali, İslâm Ansiklopedisi, cüz 4, İstanbul, 1960, გვ. 304—  
306; Ahter Ali Necmeddin (Onan), Gelibolulu Mustafa Ali, Türkiyat Enstitüsü,  
Mezuniyet Tezi, no 28, 1340. R (1924); Mihtat Sertoğlu, დასახ. ნაშ., გვ. 769;  
1928 წ. 1 მარტი. «جمهوریت»، موریه اوی، محمد فواد، زاده کوبرلی

შორის იყვნენ ისტორიკოსები და პოეტებიც. მას შეეძლო უტყუარი და პირველი წყაროებიდან საყურადღებო ცნობები ამოეკრიფა და თავის თხზულებებში გამოეყენებინა.

მას ეკუთვნის ოცდაათამდე ნაშრომი, რომელთა უმრავლესობა ისტორიული ხასიათისაა. მისი სინამდვილის ამსახველი თხზულებები, როგორც ფაქტებისა და მოვლენების აღწერით, ისევე ენობრივი და ლიტერატურული დახვეწილობით განსხვავდება თავისი თანამედროვე მწერალთა ნაწერებისაგან. მუსტაფა ალი ისტორიას წერდა არა მოვალეობის მოსახდელად, არამედ ქვეყნობის სიყვარულის გამო, რასაც თვითონვე აცხადებდა თავისი თხზულების შესავალში. შემდეგში, მომდევნო თაობის ისტორიკოსები თავიანთ მოსახრებათა გასამაგრებლად ალის თხზულებებიდან საყურადღებო ცნობებს ხშირად იყენებდნენ, როგორც სანდო და ისტორიული მონაცემებისათვის საფუძვლიან წყაროს.

აღსანიშნავია, მისი ერთ-ერთი ისტორიული თხზულება „ქიუჰუღლ-აჰბარ“ („ცნობათა არსი“)<sup>31</sup>, რომლის მეოთხე ტომში გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია დასაწყისიდან ოსმალთა მიერ ციხე-სიმაგრე ერლაუს აღებამდე, რომელიც სულთან მეჰმედ III-ის (1595—1603) სულთანობის შესამე წელს მოხდა.

ამ ტომში მოკლედაა გადმოცემული ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. იგი სულ რამდენიმე წინადადებით აღწერს ამიერკავკასიის ქვეყნებში მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობის სამზადისს. მუსტაფა ლალა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის საკითხი მას საგანგებოდ აქვს აღწერილი სხვა თხზულებაში. აქ მხოლოდ ორიოდ სიტყვით გადმოგვცემს ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობასა და ოსმალეთის ლაშქრის ამ მხარისაკენ გამგზავრებას.

წინა ტომებში გადმოცემულია მსოფლიოს ისტორია, მოთხრობა-

<sup>31</sup> ... كنه الاخبار نام عالی تاریخك جلد اولی... Kūnl-ül Ahbar, ტ. I, 1277; ტ. II—III, 1284; ტ. IV-ის I და II ნაწილი, 1285 წ. ამ თხზულებიდან ნაწყვეტი გამოქვეყნებული აქვს ვ. სმიროვის იხ. В. Д. Смирнов, *Орнавазовые произведения османской литературы...*, გვ. 25—31. ალის ერთ-ერთი თხზულება, რომელშიც საქართველოს შესახებაა ცნობები დატული, გამოცემულ იქნა 1956 წ. იხ.: Gelibolulu Mustafa Ali, Meva'idün'—nefais fi Kava'idil-mecalis. Neşreden Yenicağ Tarihi Kürsüsü. İstanbul, 1956. ამ თხზულების წერა ალიმ სულთან მურად III-ის ბრძანებით დაიწყო და მალე იგი დასრულებული სახით მიართვა მას. მუსტაფა ალის თხზულებათა ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ.: İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. 1. Türkçe Tarih Yazmaları. 2. fasikül, Türk Tarihine Ait Eserler. İstanbul, 1944. გვ. 133—135.; 1. fasikül, Umümi Tarihler. 1943. İstanbul. გვ. 18—29; 8. fasikül, 1948, გვ. 654—656; İstanbul Kitaplıkları Türkçe Yazma Divanlar Kataloğu. I cilt, XII—XVI asır. İstanbul, 1947, გვ. 185—189.

ლია წინასწარმეტყველთა შესახებ არსებულ ლეგენდებზე, დაწვრილებითაა აღწერილი ისლამის გავრცელების ისტორია. ამ თხზულების პირველ ნაწილში ვრცელი შესავლის სახით გადმოცემულია ნაშრომის შედგენის მიზეზები და მიზნები, მოთხრობილია სამყაროს ნაწილების, მდინარეების, მთების, ხალხების შესახებ იესო ქრისტეს გაჩენამდე მომდევნო ტომში საუბარია მოჰამედის მოღვაწეობასა და პირველ ოთხი ხალიფას საქმიანობაზე, აღწერილია ომეილთა და აბასელთა სახალიფოს ისტორია. თხზულების მესამე ნაწილში გადმოცემულია თურქული წარმოშობის ხალხების განსახლების საკითხი, მათი ისტორია. მუსტაფა ალი ამ თხზულებას 1593—1597 წლებში წერდა.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მუსტაფა ალის ერთ თხზულებას, „ნუსრეთ ნამეს“, რომელიც ჭერჭერობით გამოუქვეყნებელია და ხელნაწერის სახით ინახება ვენის, ლონდონის, პარიზის, სტამბოლისა და კაიროს არქივებში<sup>32</sup>. ალის ამ თხზულებაში დაწვრილებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თავისი თვალთ ნახული და განცდილი ამბები აქვს აღწერილი. იგი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ამიერკავკასიაში ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობაში და ყოველგვარ მნიშვნელოვან მომენტს იწერდა. მას უპირატესად საქართველოს სამხრეთი ნაწილის — სამცხე-საათაბაგოს შესახებ აქვს ცნობები შემონახული. ალის „ნუსრეთ ნამესი“ მოტანილი აქვს ყველა ის წერილი, რომელსაც ლალა მუსტაფა ფაშა უგზავნიდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა მეთაურებსა და მისი მეზობელი ქვეყნების გამგებლებს ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ყიზილბაშთა ირანის წინააღმდეგ გადაწყვეტილი ლაშქრობის შესახებ და აღწყებდა მათ მზადყოფნისა და სამსახურის გაწვევის თაობაზე. მისი წერილები სავსეა მუქარით და ამავე დროს მოთხოვნით მათი გადმობირებისა და მიმხრობის შესახებ. იგი კატეგორიულად ითხოვს მათს მორჩილებასა და ამ ლაშქრობაში მის მხარეზე მონაწილეობის მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქვეყნებს განადგურება და აოხრება ელით. ითხოვს აგრეთვე ცნობებს საქართველოს მდგომარეობისა და ამ ლაშქრობისადმი ხალხის განწყობილების შესახებ. იგი კონკრეტულად ავალეებს საქართველოს სამეფო-სამთავროთა გამგებლებს თუ როგორი და რა ზასიათის დახმარება აღმოუჩინონ ოსმალეთის ლაშქარს, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდებიან. მას აინტერესებს ცნობები, როგორი იქნება საქართველოში ლაშქრის სურსათითა

<sup>32</sup> ვენის წიგნსაცავში დატული ხელნაწერის ფოტოფირები მიიღო აკად. ს. ჭიქიამ, რომელმაც დაადგინა თურქული ტექსტი, თარგმნა ქართულად და გაამზადა გამოსაცემად. ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში.

და იარაღით მოპარაგების საქმე, ჰყავთ თუ არა მეზარბაზნეები და რისი ნაკლებობაა. იგი ასევე აფრთხილებს და ითხოვს ყოველგვარ წვრილ-მან ცნობებს სხვა მოსაზღვრე ქვეყნების გამგებელთაგანაც. ავტორს დაწვრილებით აქვს აღწერილი ოსმალთა უზარმაზარი ლაშქრის შემოსვლა საქართველოს სამხრეთ ნაწილში, მათ მიერ სამცხე-საათაბაგოს ციხეების დაპყრობა, მანუჩარ ათაბაგის მორჩილება, დედისიმედის ურთიერთობა ოსმალეთთან და სხვა მრავალი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დღეისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. ასევე საგანგებოდ არის აღწერილი ოსმალთა ლაშქრის მიერ თბილისის აღება, კახეთის მეფის მორჩილება და მონაწილეობა შირვანის ლაშქრობაში. აღწერილია შირვანზე გალაშქრება.

ალი ხტამბოლში აგზაფხიდა ცნობებს ოსმალთა ლაშქრის ყოველი ახალი წარმატების შესახებ. წერდა რელაციებს, რომლებიც თავის ნაშრომშიც შეჰქონდა. მუსტაფა ალის მიერ თვალთ ხილული და აღწერილი ამბები ძვირფასი წყაროა XVI საუკუნის 80-იანი წლების საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის მთელი რიგი საკითხების ჩაღრმავებით შესასწავლად.

მუსტაფა ალის ეკუთვნის კიდევ ერთი თხზულება „ფურსათ ნამე“ (Fursat-name), რომელიც სინან ფაშას დავალებით დაუწერია. მასში მოთხრობილია საქართველოს, შირვანისა და მისი ახლო-მახლო ტერიტორიების შესახებ. იგი „ნუსრეთ ნამეს“ გაგრძელებას წარმოადგენს<sup>33</sup>.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული ალის თანამედროვე ოსმალთა მენისტორიეს მუსტაფა სელანიქის. იგი წარმოშობით სალონიკიდან იყო, საიდანაც წარმოსდგა მისი ზედწოდებაც — სელანიქი. ის თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო იმ მრავალრიცხოვანი ლაშქრობებისა, რომელთა შესახებ მას საკმაოდ ვრცლად აქვს მოთხრობილი თავის „ისტორიაში“<sup>34</sup>. მისი თხზულება 1564—1599 წლების ამბებს მოიცავს. იგი სიეოცხლის ბოლო წლებში სახელმწიფოს საფინანსო საქმეებს განაგებდა და ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ დოკუმენტურ მასალებზე, რომლებიც აღნიშნული პერიოდის ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა<sup>35</sup>. მის თხზულებაში დაცული ცნობები

<sup>33</sup> Ağah Sırrı Levend, Gazavat-Nameiler ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat-Nameisi. Ankara, 1956. გვ. 87.

<sup>34</sup> 1 تاريخ سلاويكي مصطفى افندي ، استانبول ، ١٢٨١ ، جلد ١  
სელანიქის თხზულების ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. 1. Türkçe Tarih Yazmaları, 2. fasikül', Türk Tarihine Ait Eserler. Istanbul, 944. გვ. 256—259.

<sup>35</sup> სელანიქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. Ahmed Refik, Müverrih Selaniki Mustafa Efendi. Yeni Mecma, 1917, Sayı 5, გვ. 89—92; Sayı 6, გვ. 109—

საინტერესოა ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია სელანიქის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ. ის იშვიათი სიზუსტით აღწერს ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან მომენტებს. მის მიერ მოტანილ ცნობებს ხშირად იმეორებენ მომდევნო ხანის ისტორიკოსები: ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა და სხვა. მის მიერ საქართველოს შესახებ აღწერილი ამბები უმეტეს წილად ორიგინალურია და მსგავსი ცნობები სხვა ოსმალურ და სხვა ენებზე შედგენილ წყაროებში არ გვხვდება<sup>36</sup>.

XVI საუკუნის ოსმალ ოსტორიკოსთა შორის აღსანიშნავია მეჰმედ ბინ აჰმედი, რომელიც ნიშანჯი-ზადეს სახელითაა ცნობილი (1544—1622). იგი მერზიფონში დაიბადა. ათი წლისა სტამბოლში ჩამოვიდა და სამუდგარისოსა და საყადოში მიიღო განათლება. მის თხზულებაში „მირათ-ი კაინათ“<sup>37</sup> ამბები აღწერილია სულთან სულეიმან კანუნის სულთნობის ბოლო დრომდე.

---

112; Ahmed Refik, Selaniki, Istanbul, 1933; Midhat Sertoğlu, დასახ. ნაშრ. გვ. 769 Bursalı Mehmed Tahir, Osmanlı Müellifleri. Istanbul, 1342, III, გვ. 68.; Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 136.; Gliša Elezović, Selanikli Mustafa Efendija i njegova istorija. GLAS, Srpska Akademija Nauka, CXCIII. Odeljenje društvenih nauka, 96. Beograd, 1949, გვ. 73—103. T. H., Selaniki, Islâm Ansiklopedisi, cüz 104. Istanbul, 1964. გვ. 349—351.

<sup>36</sup> სელანიქის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ თურქული ტექსტით, ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა დოც. გ. ფოთურიძემ. იხ. გ. ფოთურიძე, მუსტაფა სელანიქი საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. II, გვ. 255—275, თბ., 1960.

<sup>37</sup> Mehmed, Ahmed Nişancı-Zade, Mirat-ı Kainat, 1873. Istanbul, c. I—II. Bulak, 1841, c. I—II, 1853. ავტორის ვინაობისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150.

## XVII საუკუნის ნარატიული წყაროები

XVII საუკუნეს, როგორც აღნიშნული იყო, ოსმალთა ისტორიკოსთა საუკუნეს უწოდებენ. ამ პერიოდში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები და მეცნიერი ისტორიკოსები, გეოგრაფები, კოსმოგრაფები, სასულიერო პირები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ოსმალური ისტორიოგრაფიისა და მეცნიერების სხვა დარგების განვითარებას საქმეში. ამ პერიოდის შესახებ საპართლიანად შენიშნავს აკად. ს. ჯიქია: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არსებობს მთელი პლუადა სახელოვანი ისტორიკოსებისა, რომელთა შემოქმედება... მსოფლიოს ხალხთა კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლისა და კვლევის საქმეში უეჭველად დიდი განძია. ამ თვალსაზრისით საკმარისია XVII საუკუნის თურქ მეისტორიეთა მსოფლიო ჩამოთვლა, რომ ცხადი გახდეს ამ ეპოქის თურქ ისტორიკოსთა შემოქმედების მოცულობის ზომა და შინაარსობლივი მრავალფეროვნების სიდიადე“<sup>1</sup>.

XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსთა შორის არაერთია ისეთი, რომელთაც თავიანთ თხზულებებში საგანგებოდ აქვთ აღწერილი ოსმალეთის ისტორიის გარკვეული მონაკვეთი, შესავლის სახით კი მოკლედ მიმოხილული აქვთ ადრეული პერიოდი. ამ ხანის ყველა ოსმალთა ისტორიკოსის აქ განხილვა შორს წაგვიყვანდა, მითუმეტეს, რომ მათ თხზულებებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ ცნობები არც თუ ისე უხვადაა წარმოდგენილი. მაგრამ არის მთელი რიგი ოსმალთა ისტორიკოსებისა, რომელთაც ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. ოსმალთა ისტორიკოს-

<sup>1</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. გვ. 10, თბ. 1964.



სები და გეოგრაფები საგანგებოდ გადმოგვცემენ მრავალგვარი ზასიან-  
თის ცნობებს საქართველოს შესახებ.

XVII საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსია  
ჰასან ბეი-ზადე (?-1636); იგი ცნობილი რეის ულ-ქუთუბის  
ჰასან ბეის შვილია. შემდგომში თვითონაც გახდა რეის ულ-ქუთუბი.  
მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცით. სასულიერო განათლების მიღე-  
ბის შემდეგ სამსახური დაუწყო სახელმწიფო წიგნთსაცავში. 1595—  
1596 წლებში მეჰმედ II-ის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში მეორე თეზ-  
ქირეჯის მოვალეობას ასრულებდა. 1598—1599 წლებში ჯარდალ სა-  
თირჯი მეჰმედ ფაშას უნგრეთში ლაშქრობის დროს მის სამსახურში  
იმყოფებოდა. შემდეგ ჯამი თვე სტამბოლში იმსახურა დიდგვირ იბრა-  
ჰიმ ფაშას კანცელარიაში. მალე ჰასან ბეი-ზადე მთავარი თეზქირეჯი  
გახდა და ამ თანამდებობაზე იყო 1609—1610 წლამდე. თუ რას აკე-  
თებდა ჰასან ბეი-ზადე მომდევნო წლებში უცნობია, ერთ ხანს იგი  
ანატოლიის დევთერდარიც ყოფილა. ორჯერ დაუნიშნავთ დუნაისა და  
ერთხელ ალექსის დევთერდარად. კაფასა და ყარამანის საბეგლარ-ბე-  
გოში უმსახურია<sup>2</sup>.

ჰასან ბეი-ზადეს სახელი გაუთქვა მისმა „ისტორიამ“<sup>3</sup>. იგი ორი  
ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს ამბებს უძველესი-  
დროიდან სულთან სულეიმან კანუნის ტახტზე ასვლამდე (1520 წ.). იგი  
არ წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს და ნაკლები მეცნიერული  
ღირებულება გააჩნია. მეორე ნაწილში ავტორი გადმოგვცემს ოსმალე-  
თის ისტორიას სულთან სულეიმან კანუნის ტახტზე ასვლიდან ვიდრე  
მურად IV-ის მიერ ტახტის დაკავებამდე (1623 წ.). წყაროს სანდოობი-  
სა და ღირებულების მიხედვით, თხზულების ეს ნაწილიც შეიძლება  
ორად გაიყოს. ნაშრომის პირველ ნახევარში გადმოცემულია სულეი-  
მან კანუნის, სელიმ II-ის და მურად III-ის პერიოდი. ამ მონაკვეთის  
წერისას ავტორი იყენებდა ისეთ წყაროებს, რომლებიც დღეისათვის

<sup>2</sup> ჰასან ბეი-ზადეს ბიოგრაფიის შესახებ იხ. Orhan F. Köprülü, Hasan-Beyzade, İslâm Ansiklopedisi, cüz 42; İstanbul, 1949. გვ. 334—337. M. Cavid Baysun, Hasan-Beyzade Ahmed Paşa. Türkiyat Mecmuası, cilt X, 1951—53. İstanbul. 1953. გვ. 321—340; Fr. Babinger, დასახ. ნაშ. 174; Mithat Sertoglu, Vakanüvisler Dışında... 1960. N 44; გვ. 2312—2313; 1961. № 41. გვ. 784. ჰასან ბეი-ზადეს შამის შესახებ იხ. ლიტ-რა. M. Cavid Baysun, Reisülküttab Küçük Hasan Bey. Tarih Dergisi, II. s. 2—3; 1952, İstanbul, გვ. 97—102.

<sup>3</sup> ჰასან ბეი-ზადეს თხზულება — تلخیص تاج التواريخ ცნობილია «Hasan Beyzade Tarihi»-ს სახელწოდებით. იგი ჭერჭერობით გამოუქვეყნებელია და ხელნაწე-  
რის სახით ინახება თურქეთისა და ევროპის სხვადასხვა არქივსაცავებში. იხ. İstanbul Kütüphancleri; Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. . . 2. fasikül. 1914. İstanbul-  
გვ. 116—118.

ჩვენთვის ცნობილი არაა. მხოლოდ მურად III-ის ხანის შესახებ შეეძლო მას მამისაგან მიეღო ცნობები. ეს ნაწილიც სხვათა თხზულებებს ემყარება და დამოუკიდებელი ნაშრომის ღირებულებას მოკლებულია. მხოლოდ ამ თხზულების ბოლო ნაწილია ორიგინალური და მასში ავტორის თანამედროვე ამბებია გადმოცემული. ბოლო ნაწილში მოთხრობილია მურად III-ის შემდეგი პერიოდი, ვიდრე 1623 წლამდე. შრომის ბოლო ნაწილის წერისას ავტორი გადმოგვცემს უშუალოდ განცდილ და თავის სიცოცხლეში მომხდარ ამბებს. ამდენად, წყაროს ბოლო ნაწილი უფრო სანდოა და მნიშვნელოვანი. ჰასან ბეი-ზადეს თხზულებას, როგორც წყაროს, უხვად იყენებდნენ მომდევნო თაობის ცნობილი ოსმალთა ისტორიკოსები: იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, ნაიმა, სოლაქ-ზადე და სხვ.

ჩვენთვის ხელმოუწვდომელია ჰასან ბეი-ზადეს თხზულების ხელნაწერები, იგი დღემდე არ გამოქვეყნებულა. საკვებით დასაშვებია, რომ მას საინტერესო ცნობები ჰქონდეს მოცემული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ.

ჰასან ბეი-ზადეს თავისი „ისტორიის“ გარდა აქვს კიდევ რამდენაშე თხზულება. იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, როდესაც თან ახლდა ოსმალთა მხედართმთავრებს ვითარცა თეზქირეჭი, აღგენდა დაპყრობის წიგნებს, კრებულებს, რომლებიც თავისთავად საინტერესო და ორიგინალურ წყაროებს წარმოადგენდნენ<sup>4</sup>.

ისტორიული თხზულებების გარდა ოსმალურ ისტორიოგრაფიაში ცნობილია გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეთა ბიოგრაფიების ამსახველი ნაშრომებიც. ერთ-ერთი ამგვარი ხასიათის ნაშრომის ავტორია ათაი ნევი-ზადე ათაულლაჰ ფენდი (1583—1635). მან სასულიერო განათლება სტამბოლში მიიღო და შემდეგ მუდერისა გახდა, საყადოებში მსახურობდა. იგი იყო მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი. მას სახელი გაუთქვა ნაშრომმა: „Hadayikül-Hakayik fi Tekmillet-iş-Sakayik“<sup>5</sup>. ეს თხზულება წარმოადგენს მისი წინამორბედი ისტორიკოსის თაშ ქოფრულუ-ზადეს თხზულების დამატებას, გაგრძელებას; იგი აგრძელებს თაშ ქოფრულუ-ზადეს თხზულებაში გადმოცემულ ამბებს 1557 წლიდან, ვიდრე 1634 წლამდე, სულთან სულეიმან

<sup>4</sup> ამ თხზულებათა შესახებ იხ. Orhan F. Küprülü, Hasan-Beyzade. Islâm Ansiklopedisi, cüz 42, 1949. İstanbul, გვ. 337.

<sup>5</sup> ۱۳۶۸ استنبول، تكملة الحقائق في حقائق الحقائق ამ თხზულების გამოცემისა და ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kitaplıkları Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. I. Türkçe Tarih Yazmaları. 8. fasikül, 1948. Ankara, გვ. 645 — 654. Mithat Sertoglu, Vakanüvisler Dışında. ... № 44. 1960. გვ. 2314; Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

კანუნის გარდაცვალებიდან ვიდრე მუხრად IV დრომდე. იგი თავის თხზულებებში გადმოგვცემს ამ პერიოდში მოღვაწე მეცნიერების, შეიხების, პოეტების, ფაღიშაჰების, დიდუფიჩებისა და სხვათა შესახებ.

ამ თხზულებას ქრონოლოგიური გამგარძელებელი აღმოაჩნდა. მის მიერ 1634 წლამდე მოყვანილი ამბების თხრობა 1717 წლამდე გააგრძელა უშმაქი-ზადე შეიხი მეჰმედ ეფენდიმ. ამ უკანასკნელმა თავის ნაშრომს „Vekayi-ül-fuzala“ უწოდა.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო და უზენი ცნობებია დაცული „თარიჰი ჭევერი ჩელების“ სახელწოდებით XIX საუკუნის 70-იან წლებში ორ წიგნად გამოქვეყნებულ ნაშრომში<sup>6</sup>. როგორც ფრ. ბაბინგერი აღნიშნავს, ამ თხზულების ავტორობას შეცდომით მიაწერენ XVIII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსს ედირანელი ალა-ზადე მაჰმედ ურფის. სინამდვილეში იგი ეკუთვნის ჰიბრი ჩელების<sup>7</sup>.

ჰიბრი ჩელები დაიბადა ადრიანოპოლში, იგი სწავლობდა სტამბოლში, შემდეგ დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში და მთელი თავისი სიცოცხლე მუდერჩისად იყო ალი ბეის მედრესეში. იგი გარდაიცვალა 1676 წელს. ჰიბრი ჩელები ავტორია ძრავალი საინტერესო ისტორიული თხზულებისა. მათ შორის აღსანიშნავია მისი ადრიანოპოლის ისტორია 1359—1633 წწ. მას ეკუთვნის ორი ისტორიული ნაშრომი ოსმალთა მიერ ბაღდადისა და ერევნის დაპყრობის შესახებ, სათათურით: „თარიჰი ფეთჰი ბაღდად“ და „თარიჰი ფეთჰი რევან“, მაგრამ გარდა ამისა ჩვენთვის საინტერესოა მისი „დეფთერი აჰბარ“, რომელიც ექვსი ნაწილისა და ბოლოსიტყვაობისაგან შედგება. ამ თხზულებაში იგი ემყარება წინამორბედ ავტორთა ნაშრომებს. იგი წარმოადგენს ისტორიულ ქრონიკას, რომლის უმრავლესობის ავტორი, როგორც ფრ. ბაბინგერი შენიშნავს, თვითონ ჰიბრი ჩელებია. ამ თხზულებას, მისმა გამომცემელმა რიფათ ოსმანმა უწოდა „თარიჰი ჭევერი ჩელები“ და მიაწერა იგი ედირანელი ალა-ზადე მაჰმედ ურფის.

ედირანელი ალა-ზადე მაჰმედ ურფი უფრო მოგვიანო ხანის ავტორია. იგი ადრიანოპოლშია დაბადებული და იქვეა გარდაცვლილი 1778 წელს. მას არაერთი ისტორიული ნაშრომი ეკუთვნის. მან თავისი ერთერთი თხზულება „მუჰაბბეთ ნამე-ი ურფი“, რომელიც ადრიანოპოლის მოკლე ისტორიას შეიცავს, უძღვნა სულთან მუსტაფა III-ს (1757—1777). ამ თხზულების წერისას ავტორს უხვად უსარგებლია, თითქმის

<sup>6</sup> , ۱۲۹۲ , جلد ۲ , ۱۲۹۱ , جلد ۱ , جوبی ، تاریخ جوری جوبی ، استانبول (Cevri Çelebi, Tarih-i Cevri Çelebi, İstanbul, 1874; 1975;).

<sup>7</sup> Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 305, გვ. 212—213.

სრულად გადაუწერია თავისი წინამორბედი ისტორიკოსის — ჰიბრი ჩელების „დევთერი აჰბარი“, ამიტომ ურფის თხზულების გამოცემისას, მის გამომცემელს რიფათ ოსმან ბეის მისთვის „ჯეერი თარიჰას“ სახელწოდება მიუცია და დღეს იგი ცნობილია „თარიჰი ჯეერი ჩელების“ სახელით.

ამ თხზულების პირველ ნაწილში ავტორი გვაცნობს ადრიანოპოლს, გვიამბობს მურად III-ის დროს ამიერკავკასიასა და საქართველოში მოწყობილ სამხედრო ექსპედიციებზე, დაწვრილებით გადმოგვცემს აღმოსავლეთის მიმართულებით ოსმალთა ლაშქრის გამგზავრებასა და წარმატებას. მეორე ნაწილში აღწერს ლალა მუსტაფა ფაშას ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ სარდლად დანიშვნასა და გამგზავრებას. თხზულებაში უხვი ცნობებია ოსმალთა ლაშქრის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების შესახებ, სამცხე-საათაბაგოს გამგებელთან ურთიერთობისა და თბილისში ოსმალთა ლაშქრის შემოსვლისა და კახეთისაკენ გამგზავრების შესახებ. ასევე ვრცელი ცნობებია მასში დაცული ოსმალთა მიერ შირვანისა და სომხეთის მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავების შესახებ.

XVI—XVII სს. საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს შემონახული ოსმალთა ისტორიკოსს მეჰმედ ბენ მეჰმედს (+ 1640). მისი ბიოგრაფიიდან ძალიან ცოტა რაშაა ცნობილი, დაბადების თარიღი უცნობია. იგი წარმოშობით ადრიანოპოლელი ყოფილა. უმსახურია დივანის ქათიბად, სტამბოლში ემირ ულ-უმერას მედრესეში მუდერისის თანამდებობაზე სკვერია, გარდაიცვალა 1640 წ<sup>9</sup>.

მას თავისი თხზულების—Nuhbet ül Tevarih ve-I Ahbar—პირველი ნაწილი 1620 წელს სულთან ოსმან III-ისთვის მიუძღვნია. ამ ნაშრომში ამბები გადმოცემულია 1617 წლამდე. მეორე ნაწილში კი მოთხრობილი აქვს ოსმალეთის ისტორია სულთან მურად IV-ის მეფობის დასასრულამდე. მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულების პირველი ნაწილი ორად იყოფა. პირველ ნაწილში გადმოცემულია 87 დინასტიის ქრონოლოგიური ნუსხები. მეორეში კი თხრობა იწყება ოსმალთა დინასტიის დამკვიდრებით და თავდება აჰმედ I-ის გარდაცვალებით — 1617 წლით.

მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულების პირველი ნაწილი, რომელიც გამოქვეყნებულია<sup>9</sup>, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით მეტად

<sup>8</sup> Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 182—183.; Istanbul Kültüpaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. . . 2 fasikül, გვ. 172—173.

<sup>9</sup> نخبة التواريخ و الاخبار. ۱۲۸۶، استانبول. ზ. ბაბინგერის ცნობით, ჰამერსა და რიოს მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულების შესახებ რეცენზია ჰქონიათ. იხ. Fr.

საყურადღებოა. ეს თხზულება, როგორც აღვნიშნეთ, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოთხრობილია ისლამის ისტორია უძველესი დროიდან, მოკლედ და დახასიათებული სელჩუკთა დინასტიები, მოტანილია ჭკემები სელჩუკ სულთანთა გენეალოგიის შესახებ. შრომის მეორე ნაწილში თხრობა გრძელდება ოსმალეთის ისტორიაზე, საგანგებოდაა გადმოცემული თითოეული ოსმალ სულთნის ისტორია, მისი საქმიანობა. შრომის ამ ნაწილში საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ ვრცელი ცნობებია შემონახული. ავტორი ლაზეთის ვილაიეთის ამბებს აღწერს, გადმოგვცემს ოსმალთა მიერ თორთუმის ციხის აღებას, ნახჭევანისკენ გალაშქრებას, დიდგეზირ აჰმედ ფაშას საქართველოში ლაშქრობას და სხვ. მას ვრცლად აქვს მოთხრობილი ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, აღწერილი აქვს ჩილდირის ბრძოლის ეპიზოდი, მანუჩარისა და ყვარყვარეს მორჩილება, თბილისის ციხის აღება, შემდეგ ოსმალთა ლაშქრის გამგზავრება მდინარე იორისა და ალაზნისაკენ, ალექსანდრე კახთა მეფის მორჩილება, მდ. კანიკზე ყიზილბაშთა ლაშქართან ოსმალების შეტაკება, შირვანზე ლაშქრობა და სხვ. მრავალი ასევე ვრცლად აქვს ავტორს გადმოცემული ოსმალთა ლაშქრის თბილისში, დმანისსა და ახლომახლო მდებარე ტერიტორიებზე გალაშქრება, სინან ფაშას თბილისში შემოსვლა. საგანგებოდაა აღწერილი სარდალ ფერჰად ფაშას საქართველოსაკენ გამომგზავრებისა და ლორესა და დმანისის ციხეების შეკეთების შესახებ.

ავტორს განსაკუთრებით ვრცლად აქვს მოთხრობილი ირან-ოსმალეთის ომებთან დაკავშირებული ამბები, იძლევა საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობებს. მისი თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქებლად.

სამწუხაროდ, მეჰმედ ბ. მეჰმედის თხზულების მეორე ნაწილი, რომელშიც თხრობა გრძელდება სულთან მურად IV-ის სულთანობის

---

Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 182. მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულების გამოქვეყნებული ნაწილის ერთ-ერთ ხელნაწერს მიუთითებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში (იხ. C. 531. محمد بن محمد افندی اورنوی نخبة التواريخ و الاخبار), გადმოვიღეთ მისი ფოტოკოპირი. ქართულად მთლიანად ვთარგმნეთ შრომის ის ნაწილი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ისტორიას ეხება სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან ვიდრე 1617 წლამდე. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით ხელნაწერის სახით ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში.

დასასრულამდე, ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. იგი ხელნაწერის სახით ინახება ევროპისა და აზიის სხვადასხვა წიგნთსაცავებში. მოსალოდნელია, რომ ამ ნაწილში საყურადღებო ცნობები იყოს დაცული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ, მასში აღწერილია 1617—1640 წწ. ამბები.

XVII საუკუნის ოსმალურ ისტორიოგრაფიაში საყურადღებოა კოჯა ჰუსეინი, რომლის თხზულებას (عاجه اوقاف), როგორც წყაროს, ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. კოჯა ჰუსეინის (قوجه حسين) ან როგორც მას ეძახიან ჰუსეინ ეფენდის ბიოგრაფიიდან ძალიან ცოტაა ცნობილი. არც მისი დაბადების თარიღი ვიცით. გარდაცვალების თარიღად აქამდე მიღებული იყო 1644 წელი, მაგრამ ბოლო ხანებში ა. ტვერტინოვამ დაადგინა, რომ იგი გარდაცვლილი უნდა იყოს არა უადრეს 1650 წ<sup>10</sup>.

კოჯა ჰუსეინი წარმოშობით სარაევოდან იყო, სადაც მამამისი ხუარეე-ფაშას ბიბლიოთეკის განძს იცავდა. ჰუსეინის ბიოგრაფიიდან ცნობილია აგრეთვე, რომ იგი 1636 წ. სულთან მურად IV-ეს ბაღდადში ლაშქრობის დროს თან ახლდა. ამ დროს მას სულთანის ბრძანებით არაბულიდან უთარგმნია რამდენიმე თხზულება, რომელიც წინასწარმეტყველთა და ზალიფათა ისტორიას მოიცავდა<sup>11</sup>.

მალე მან მიიღო რეის ულ-ქუთუბის — მდივნის კანცელარიის მეთაურის — თანამდებობა. ბოლო ხანებამდე კოჯა ჰუსეინის თხზულების მხოლოდ პირველი ნაწილი იყო ცნობილი, რომელიც ვენის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. უკანასკნელ ხანებში ჰუსეინის თხზულების მეორე ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია მისი წარმოქმნიდან სულთან სელიმ I-ის სულთნობის დასასრულამდე — 1520 წლამდე, მიაკვლია ა. ტვერტინოვამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდებში<sup>12</sup>. მანვე ი. პეტროსიანთან ერთად გამოაქვეყნა ჰუსეინის თხზულების პირველი და მეორე ნაწილის სრული ფაქსიმილეები შესავლით, საერთო რედაქციით, ანოტირებული სათაურებითა და საძიებლებით<sup>13</sup>.

<sup>10</sup> Х ю с е й н, Беда'и' ул-века'и' (Удивительные события), издание текста, введение и общая редакция А. С. Тверитиновой, аннотированное оглавление и указатели Ю. А. Петросяна, часть I, М., 1961, гл. 9.

<sup>11</sup> I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi. c. III, 2. kısım, Ankara, 1954, гл. 500.

<sup>12</sup> A. S. Tveritinova, The Turkish Manuscript of Qoca Husejn's Chronicle «Beda'i ül-Weqa'i (vol. II) from the Collection of the Institute of Oriental Studies (Leningrad Branch), USSR Academy of Sciences, Moscow, 1957.

<sup>13</sup> Х ю с е й н, Беда'и' ул-века'и' (Удивительные события)...

საინტერესოა, რომ ჰუსეინის თხზულება თურქულ ისტორიოგრაფიაში უცნობი იყო. ამის მიზეზად ა. ტვერიტინოვა მიიჩნევს იმას, რომ იგი პირველ ხანებში კერძო პირთა არქივებში ინახებოდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისისათვის თურქეთიდან გატანილ იქნა<sup>14</sup>. კოჯა ჰუსეინი აგრძელებს ოსმალთა ქრონოგრაფების ტრადიციას და თავის თხზულებაში დაწვრილებით აღწერს ოსმალთა სულთნების საქმიანობას, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. იმპერიის შინაგანი ვითარების აღწერასთან ერთად ის გადმოგვცემს მეზობელ ქვეყნებთან ოსმალთა სულთნების დამოკიდებულებას, მათ ისტორიას და სხვ. ჰუსეინის თხზულება უწინარეს ყოვლისა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ცხოვრების აღწერაა, მაგრამ ამასთანავე, მასში მოცემულია სოციალურ-ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო მომენტები, ოსმალთა სულთანთა დამოკიდებულება მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუსეინის თხზულებაში ამბები გადმოცემულია ოსმალთა იმპერიის დაარსებიდან 1520 წლამდე, ავტორი ხშირად ურთავს თავის თანამედროვე და უფრო გვიანდელ, მისი აზრით საყურადღებო მომენტებს. მას ხელი მიუწვდებოდა როგორც სახელწიფო დოკუმენტებზე, საარქივო მასალებზე, ისე თავის წინამორბედ და თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებზე, რომლებსაც ის უხვად იყენებდა. მისი თხზულება ტიპური კომპილაციური ხასიათის ნაშრომია. იგი ზმირად იხსენიებს აზიკ ფაშა-ზადეს, ნეშროს, კოჯა ნიშანჯი ჯელალ-ზადე მუსტაფას, ქეზალ ფაშა-ზადეს, სად' ედ-დინს და სხვებს, რომელთა თხზულებას ის იყენებდა.

კოჯა ჰუსეინს საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული საქართველოს XV—XVI საუკუნეების ისტორიისათვის. საქართველოს შესახებ ცნობები მის თხზულებაში გაბნეულადაა მოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ აღწერილი სულთან სელიმ I-ის ლაშქრობა საქართველოში, როდესაც სელიმ I, ჯერ კიდევ ვითარცა უფლისწული, ტრაპიზონის გამგებელი იყო. აღწერილი აქვს აგრეთვე ოსმალთა ლაშქრის საქართველოში შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, დიდი ნადავლითა და ტყვეებით უკან გაბრუნება. კოჯა ჰუსეინის თხზულებაში დაცულია საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ დღემდე არ არის ქართულად თარგმნილი და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული.

XVI—XVII საუკუნეების ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია იბრაჰიმ ფეჩევი (1574—1650). იგი დაიბადა ფიუნფკირხენში (უნგრეთი), მას უნგრულად ეწოდება ფეჩი, საიდანაც წარმოსდგა მისი გვარი ფეჩევი, ანდა ფეჩევილი. ფეჩევის მამა

<sup>14</sup> Хусейн, Беда'и' ул-века'и' (Удвительные события)... გვ. 11.

იყო ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალი, დედა კი ცნობილი დიდ-ვეზირთა საგვარეულოს — სოკოლლუების — გვარიდან იყო გამო-თხოვილი. იბრაჰიმ ფეჩევი თავისი წარჩინებული ნათესაეების ფერჰად ფაშას, ლალი მეჰმედ ფაშას და სხვა გავლენიან პირთა დახმარებით ახალგაზრდობიდანვე (1593 წლიდან) სამხედრო სამსახურში შევიდა და მრავალ მზინველოვან ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. იგი ერთ-ხანს ლალი მეჰმედ ფაშას ამალაში მსახურობდა. შემდეგ იბრაჰიმ ფეჩევი ასრულებდა სხვადასხვა მაღალ სახელმწიფოებრივ დავალებებს. მას დაეკისრა ანატოლიაში რამდენიმე სანჯაყის აღწერა. იყო დევთერ-დარად (საფინანსო უწყების უფროსად) თოქათში, რუმელიაში და ბო-ლოს მთელს ანატოლიაში. სიცოცხლის ბოლო წლები მან თავის მშობ-ლიურ სოფელში გაატარა. 1641 წელს სამსახურს თავი მიანება და თავისი ცნობილი „ისტორიის“<sup>15</sup> წერას შეუდგა.

იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორია“ შეიცავს 1520—1640 წლების ამბებს და საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ოსმალეთისა და მეზობელი ქვეყ-ნების ისტორიისათვის. ფეჩევის „ისტორიის“, როგორც წყაროს მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ იგი ეყრდნობა თურქულ დოკუმენტურ წყაროებსა და უნგრულ წყაროებს. ფეჩევი თავის თანამედროვე ამბებს აგვიწერს როგორც თვითმხილველი, მაგალითად, იგი გ. სააკაძის ოსმალთა ბანაკში მისვლისა და ჰაფიზ აჰმედ ფაშასთან მოლაპარაკების დროს ოსმალთა სარდლობასთან იმყოფებოდა და მონაწილეობას იღებდა გ. სააკაძის აუდიენციაში. იგი აღწერს გიორგი სააკაძესთან შეხვე-დრის ამბებს და აქვე გამოხატავს თავის სიმპათიებსაც მის მიმართ.

იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორია“ ძვირფასი წყაროა XVI—XVII საუ-კუნეების საქართველოს ისტორიისათვის. ავტორს უამრავი ცნობა აქვს დაცული, როგორც საქართველოს შესახებ, ასევე სომხეთის, აზერბაი-ჯანის, შირვანისა და სხვა ქვეყნების შესახებაც. „ისტორიაში“ საქართ-ველოს შესახებ ცნობები სხვა ამბების თხრობასთან ერთად ქრონოლო-

<sup>15</sup> تاريخ پچوی، جلد اول، ۱۶۸۱، جلد نانی، ۱۲۸۳، استانبول. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 192—195; F. V. Kraelitz, Der osmanische Historiker Ibrahim Peçevi. Der Islam. t. VIII. 1918. გვ. 252 — 260. Şerafeddin Turan, Peçevi. İslâm Ansiklopedisi, cüz 9, გვ. 543—545.; A. Refik (Altınay), Peçevi, İstanbul, 1933.; Halim Şengül, Peçevinin II cildinin Endeksi, Edebiyat Fakültesi. Tarih Tezi. No. 493. 1951.; İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. 1. Türkçe Tarih Yazmaları, 2. fasikül, Türk Tarihine Ait Eserler. 1944. İstanbul, გვ. 225—230.; M. Sertoğlu, Vakanüvisler Dişında Kalan... No 44, 1960. გვ. 2312. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანი თურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბ. 1964. გვ. 12—21.



გიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული. საქართველოს შესახებ ცნობები იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებიდან ქართულად ჯერ კიდევ 1940 წელს ითარგმნა<sup>16</sup>, ხოლო უფრო ვრცლად თურქული ტექსტითა და ვრცელი მეცნიერული კომენტარებით 1964 წელს გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიამ<sup>17</sup>. იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორიიდან“ ამოკრეფილი ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ სომხურადაც ითარგმნა<sup>18</sup>. საყურადღებოა იბრაჰიმ ფეჩევის ცნობა 1536 წლის 4 ივლისს ოსმალთა მიერ საქართველოზე თავდასხმის შესახებ. წყაროს ცნობით, ოსმალებთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, ოსმალებმა უამრავი ნადავლი იგდეს ხელთ. ამის შემდეგ „ჩამმა-ოთხმა სასანჯაყო ადგილის მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა და სულთანს ვალისა და მმართველის დანიშვნა სთხოვა“<sup>19</sup>.

ეს საქართველოს ისტორიის ოს პერიოდი, როდესაც იმერეთის მეფემ სამცხის ათაბაგები დაამარცხა და სამცხე-საათაბაგო იმერეთის სამეფოს შემოუერთა, ათაბაგები კი ოსმალეთში გაიქცნენ. სამცხის ათაბაგის შვილი ქაიხოსრო მსულთნის კარზე იმყოფებოდა და დახმარებას სთხოვდა მას იმერეთის მეფის წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს მიეცა ოსმალეთს საბაბი უფრო აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში და შემოესია კიდევც, რასაც ი. ფეჩევიც ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ი. ფეჩევის ამ ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით, ოსმალეთმა საქართველოს საში-ოთხი სასანჯაყო ადგილი ჩამოაცილა. ქართულ მიწა-წყალზე სანჯაყების სისტემის შემოღება ნიშნავდა ამ კუთხის ოსმალურ რიგზე რეორგანიზაციას. ამ სანჯაყების შემოღებით და თავისი მმართველის დანიშვნით ოსმალეთი უკვე იწყებდა სამცხე-საათაბაგოს მიწების თანდათანობით მიტაცებას და იქ თავიანადმინისტრაციული ერთეულების შექმნას. ამის შემდეგ ოსმალეთი

<sup>16</sup> ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ. აკად. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შოამბე, V—VI, გვ. 369—389, თბ. 1940.

<sup>17</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. თბ., 1964. რეცენზიები ამ ნაშრომის შესახებ იხ.: ნ. შენგელია, საქართველოს ისტორიის ძვირფასი წყარო. „ლიტერატურული საქართველო“, 26 მარტი, 1965, № 13, (1442); მ. სენაძე, საყურადღებო წყარო საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, „მატე“, 1965, № 3, თბ., გვ. 286—291.

<sup>18</sup> Турецкие источники об Армении, армянах и других народах Закавказья. Извлечения из турецких оригинальных текстов в переводе на армянский язык с предисловием, комментариями, терминологическим словарем и примечаниями, т. I. Составил А. Х. Сафряян, Ереван. 1961, стр. 25—62. (на арм. языке).

<sup>19</sup> გვ. 191. სტამბოლი, 1771, جلد اول، تاريخ جوى، შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 25.

სისტემატურად იპყრობდა ქართულ ტერიტორიებს და იქ თავის ძალა-  
უფლებას ავრცელებდა.

სოზოისტას ცნობილი ბრძოლის შემდეგ ოსმალეთი ისევ აგზავნი-  
და საქართველოში თავის ლაშქარს. ი. ფეჩევის მეტად საინტერესო  
ცნობა მოაქვს 1549 წ. ოსმალთა მიერ საქართველოში ლაშქრობისა და  
იქ ქართული ტერიტორიების მიტაცებისა და ნადავლის ხელში ჩაგდე-  
ვის შესახებ. ი. ფეჩევის ცნობიდან ჩანს, რომ ამ ლაშქრობამდე ოსმა-  
ლებს ძალიან შეუვიწროებიათ ქართველები და მათ აჯანყებაც კი მო-  
უწყვიათ ოსმალთა წინააღმდეგ. ი. ფეჩევი წერს: „ამ ხანებში (პ. 955-  
1549 წ.) საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყო-  
ბდნენ. როდესაც უზენაესმა ფადიშაჰმა შეიტყო ზოგი მათი დასაგმობი  
საქმიანობის შესახებ, საქართველოში გალაშქრება მიანდო მეორე ვე-  
ზირს მის აღმატებულებას აჰმედ ფაშას...“<sup>20</sup>. აჰმედ ფაშას მეთაურო-  
ბით საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს არ-  
ზრუმის, ყარამანის, ზულყადირლისა და სივასის ბეგლარ-ბეგებმა თ-  
ვიანთი სანჯაყ-ბეგებისა და იანიჩართა ქეთხუდების თანხლებით. ოს-  
მალთა უზარმაზარი ლაშქარი შემოესია სამცხე-საათაბაგოს და დიდი  
ბრძოლით აიღო თორთუმის, ნიხახის, ამირაზორის, ახჩაყალისა და სხვა  
ციხეები. სულ მათ მორჩილება გამოუცხადა თხუთმეტამდე ციხემ. ოს-  
მალეებმა არაერთი ციხე-სიმაგრე გაასწორეს მიწასთან და დიდი ნადავ-  
ლით უკან გაბრუნდნენ. დაპყრობილი ადგილებიდან, კერძოდ, თორ-  
თუმის, თალხისის, ახჩაყალისა და ლივანას ზევისაგან ერთი სქასანჯაყო  
ტერიტორია განსაზღვრეს და ერთ-ერთ ბეგს უბოძეს<sup>21</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს ოსმალთა ლაშქრის გა-  
მანადგურებელი საქმიანობა საქართველოში. ოსმალეთი ზედიზედ იპ-  
ყრობდა ქართულ ციხე-სიმაგრეებს და იქ თავის ძალაუფლებას ავრ-  
ცელებდა. სამცხის ქართული ფეოდალური საზოგადოება გადაგვარება-  
გადაშენების წინაშე იდგა. არც მწარმოებელ საზოგადოებას ადგა კარ-  
გი დღე. აშკარა იყო, რომ ოსმალეთი ქართული მიწების საბოლოო  
ინკორპორაციასა და იქ ოსმალური წესების გაბატონებას ლაშობდა.  
ი. ფეჩევის ზემოთ მოტანილ ცნობას ადასტურებს ქართული წყაროც,  
სადაც ნათქვამია: „ქორონიკონსა 238 (—1550) ტაოს ქვეყანა დაიპირეს  
თათართა ურუმთა“<sup>22</sup>.

<sup>20</sup> გვ. 283. ، استانبول ، جلد اول ، تاریخ پجوى შدر. იბრაჰიმ ფეჩევის  
ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ გვ. 27.

<sup>21</sup> გვ. 284. ، استانبول ، جلد اول ، تاریخ پجوى შدر. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები სა-  
ქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 28.

<sup>22</sup> თ. ე. ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 391, თბ., 1897. შდრ. ეახუშტი,  
ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა, ქართლის ცხოვრება, II ნაწ. ჩუბინოვის გამოცემა, გვ.  
293, 1854.

ირან-ოსმალეთს შორის წარმოებულ მრავალწლოვან ბრძოლებში საქართველოს საკითხი მნიშვნელოვანი იყო. საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები ამ ბრძოლებში ხან ოსმალეთს ემხრობოდნენ და ხან ირანს. ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა, როცა ირანი ხელს სდებდა საქართველოს რომელიმე სამეფო-სამთავროს. ასევე, ირანიც ვერ იტანდა, როცა ოსმალეთი თანდათანობით და მეთოდურად იპყრობდა საქართველოს სამხრეთ ნაწილს — სამცხე-საათაბაგოს და იქ თავის ძალუფლებას ავრცელებდა. ამიტომ ირან-ოსმალეთს შორის ბრძოლის ანპარეზი სწორედ საქართველოს ტერიტორიები იყო. ამ ბრძოლაში კი საქართველოს სამეფო-სამთავროები გარკვეული პოლიტიკით მოქმედებდნენ და ცდილობდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. თუ როგორ „იცივდა“ საქართველოს ოსმალეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ყიზილბაშებისაგან, ანტიტერესო ცნობებს გვაწვდის ი. ფეჩევი. მისი ცნობით, როდესაც ოსმალთა სულთანს მოახსენეს ირანის შაჰის მიერ საქართველოში ოსმალთა გამგებლობაში მყოფი რამდენიმე ციხის განადგურების შესახებ, მოსაზღვრე პროვინციების გამგებლები თავიანთი შეიარაღებული ძალებით სასწრაფოდ გააგზავნა საქართველოში. ოსმალთა ლაშქარმა როდესაც ოლთისის ციხეს მიაღწია, „შაჰის შესახებ ცნობა მოვიდა, რომ მისი საბრძანებლო ქვეყნის მოსახლეობიდან ზოგი განადგურებულა, ზოგი კი შიმშილობას მოუცავს და ამ მხარეებში წამოსულა საცხოვრებელისა და სარჩოს საშოვნელად. აი ამ დროს უფიქრიათ მათ, ეგების შემთხვევა მოგვეცეს და ფადიშაჰის ზოგი ციხე ხელში ჩავიგდოთო. როდესაც შეიტყვეს, რომ დიდი ვეზირი ისლამის ლაშქრით მოვიდა და ძლევამოსილი ჯარით საქართველოს მფარველობას უწყევსო, ორი დღისა ხვეალი მანძილი ერთ დღეს გაირბინეს და შინ მოკურცხლეს“<sup>23</sup>.

ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიები ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზი ყოფილა. ამასთანავე ფეჩევი პირდაპირ მიუთითებს, რომ ოსმალეთის სულთანს საქართველოში ციხეები ჰქონია, რომლებიც ირანის შაჰს დაუბყრია და ამიტომაც, რომ დიდი შეიარაღებული ძალებით მოდის ოსმალეთის მთავარსარდალი საქართველოში არსებული ციხეების ყიზილბაშთა ლაშქრისაგან გასათავისუფლებლად.

<sup>23</sup> გვ. 326. ، تاریخ پجوى ، جلد اول ، შტრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 31.

XVI საუკუნის 70-იანი წლებისათვის სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა უფრო გართულდა. ამ დროისათვის ირან-ოსმალეთის 1555 წლის ამასიის ზავის პირობები დაარღვია ოსმალეთმა და ირანის წინააღმდეგ დიდი ლაშქრით დაიძრა. ოსმალეთის ლაშქარმა მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით ილაშქრა ამიერკავკასიის ქვეყნებზე. ამ ლაშქრობას არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლოდა საქართველოსათვის. იბრაჰიმ ფეჩევის ვრცელად აქვს აღწერილი ეს ლაშქრობა, ბრძოლისათვის სამზადისი, ლაშქრის სტამბოლიდან გამოსვლა და ჩილდირის ველზე სპარსელებთან 1578 წლის 9 აგვისტოს გამართული დიდი ბრძოლა. ჩილდირის ველზე ოსმალეთის ლაშქარმა გაიმარჯვა<sup>24</sup>. ბრძოლა მიმდინარეობდა ქართულ ტერიტორიებზე, სამცხე-საათაბაგოში — მანუჩარ ქაიხოსროს ძის სამფლობელოში. ამ ბრძოლას თვალს ადევნებდა მანუჩარ ათაბაგი და ბრძოლის შედეგებს ელოდა. იგი იძულებული იყო გამარჯვებულს დამორჩილებოდა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, ამ ბრძოლის დროს მანუჩარ ათაბაგი „ეჭვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იღვა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. დაროგორკი გაიგო, თუ რა ბედი ეწვია თოქმაქ ხანს, წამოვიდა (მანუჩარი) დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია“<sup>25</sup>.

მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ სამცხის ათაბაგი მანუჩარ ქაიხოსროს ძე იძულებული გამხდარა ოსმალთა სარდალს ზღეზობდა და მორჩილება გამოეცხადებინა. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მთელი სამცხე ოსმალთა ძლევამოსილ ლაშქარს ჰქონდა დაკავებულნი. ათაბაგის მორჩილებით ოსმალთა სარდალი ხელს დებდა მთელს სამცხე-საათაბაგოს. აქვე იბრაჰიმ ფეჩევის აღნიშნული აქვს, რომ ყიზილბაშებთან ოსმალების ამ შეტაკების შემდეგ, ოსმალებმა დაიპყრეს ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალციხის ციხეები, მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა და ოსმალთა-ხელისუფლებმა თავიანთი მმართველები დანიშნეს<sup>26</sup>.

ოსმალეთის მთავარსარდლობის მიზანი მარტო ამ ციხეების დაპყ-

<sup>24</sup> გვ. 39—41. ، جلد نانی ، تاریخ بچوی ، შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 40.

<sup>25</sup> გვ. 41. ، جلد نانی ، تاریخ بچوی ، შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 41.

<sup>26</sup> გვ. 42. ، جلد نانی ، تاریخ بچوی ، შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 41.

რობა არ იყო, იგი დაპყრობით ემუქრებოდა მთელ ამიერკავკასიას. უპირველეს მიზნად მას დასახული ჰქონდა საქართველოს და შირვანის დაპყრობა. ჩილდირთან გამარჯვების შემდეგ მუსტაფა ლალა ფაშა საქართველოს შუა გულისაკენ გაემართა. სამცხეში ყიზილბაშებთან შეტაკების ორი კვირის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი თბილისს მოადგა. მუსტაფა ლალა ფაშამ უბრძოლველად დაიკავა თბილისი. დაუდ-ხანმა, რომელიც ამ დროს თბილისში იჯდა და ირანის მფარველობის ქვეშ იყო, დატოვა თბილისი და იგი ოსმალებს ჩააბარა. იბრაჰიმ ფეჩევი საგანგებოდ აღწერს მუსტაფა ლალა ფაშას მიერ თბილისის დაკავებას. ჩანს, რომ ოსმალებს ადვილად აუღიათ თბილისის ციხე და იქ თავისი გარნიზონები ჩაუყენებიათ, მაგრამ თბილისი არ იყო მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობის უკანასკნელი პუნქტი. იგი წინ მიიწევდა, მთელი ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმა ჰქონდა. ი. ფეჩევის ცნობით, მუსტაფა ლალა ფაშას მორჩილება მოუთხოვია კახეთის მეფეს — ალექსანდრესაგან. ამ უკანასკნელს კი დიდი ამაღა გამოუგზავნია ლალა ფაშასთვის და მათ შორის გარკვეული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა დამყარებულა. კახეთის მეფეს მორჩილების ნიშნად უკანასკნელი გარკვეული გადასახადებისა და ვალდებულებების გადახდა და ამის სანაცვლოდ ოსმალთა ფაშასაგან მიუღია ქვეყანაში მართვა-გამგებლობის უფლება ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით. აი რას წერს იბრაჰიმ ფეჩევი ამის შესახებ: ალექსანდრე კახთა მეფეს „უბოძა უზენაესი სიგელი მასში, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯი ოცდაათი იუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ქაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შევარდენი და ათი ფრთა კიდეე ჰიჯინის(?) მიზინო და (აგრეთვე მასში), რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით“<sup>27</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარაა, რომ ოსმალეთი კახეთის სამეფოს ნომინალურად ხელს დებდა და მისგან ითხოვდა ყოველწლიურ ხარკს. ამავე დროს თვით კახეთის მეფეს ანიჭებდა იურიდიულ უფლებას — ყოფილიყო ბეგლარ-ბეგად თავის სამეფოში. რა თქმა უნდა, ასეთი პირობა რეალური და ამავე დროს ზანგრძლივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. კახთა მეფე ალექსანდრე ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა შეპირებული ხარკი შეეწყვიტა დაროგორც სურდა ისე განეგო თავისი სამეფო ოსმალთა ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ფეჩევის ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას სურს კახეთის გამგებელი მეფე კი არ იყოს, არამედ მისი მოხელე — ბეგლარ-ბეგი,

<sup>27</sup> გვ. 43. تاریخ، جلد ۱، ص ۴۳. შტრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 42.

ამიტომაც ოფიციალურ დოკუმენტშიც, სადაც აღნიშნულია ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე კახთა მეფის ვალდებულებანი, იგი ბევლარ-ბეგის სახელწოდებით იხსენიება.

მუსტაფა ლალა ფაშასადმი ალექსანდრე კახთა მეფის მორჩილება და გარკვეული პირობების შესრულების ვალდებულება ოსმალეთის ხელისუფალთა დიდი გამარჯვება იყო ირანის მიმართ. ოფიციალურად ოსმალეთი ხელს დებდა კახეთის სამეფოს, რომელსაც არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ირანის ხელისუფლების წინააღმდეგობისათვის. ოსმალეთის ასეთ წარმატებებს ამიერკავკასიაში ირანი ვერ შეურიგდებოდა და შეეცდებოდა მისთვის ბოლო მოეღო და თავისი პრივილეგიები აღედგინა.

იბრაჰიმ ფეჩევი თავის „ისტორიაში“ საგანგებოდ ჩერდება საქართველოს მეფეების გენეალოგიის შესახებ და მოაქვს ლეგენდარული ამბები, რომლებიც სინამდვილისაგან შორსაა. ჩანს, რომ ი. ფეჩევი ძალიან ბუნდოვანი და სავსებით მცდარი წარმოდგენისაა ქართველი მეფეების ჩამომავლობაზე.

ოსმალთა ლაშქრის მიერ თბილისის აღებისა და იქ მეციხოვნე ჯარის ჩაყენების შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი არზრუმს წავიდა. ამავე წყაროდან ჩანს, რომ ქართველებმა, როცა შორს გაიგულეს ოსმალთა ძირითადი ლაშქარი, თბილისის ციხეში მოკალათებულ ოსმალებს შეუტყუეს და შეავიწროვეს. ამის გამო ოსმალები სასწრაფო ზომებს ღებულობენ და დახმარების წერილს აგზავნიან არზრუმში და სურსათის მოშველიებას ითხოვენ. იბრაჰიმ ფეჩევი აღწერს თბილისის ციხეში მოკალათებულ ოსმალთა მძიმე მდგომარეობას. ოსმალებს თბილისის ციხეში გარს შემოერთყუნენ ყიზილბაშებიც და ოთხი თვის განმავლობაში ავიწროებდნენ. ოსმალთა ლაშქარი არზრუმიდან ამარაგებდა სურსათსანოვავით თბილისის ციხეში მოკალათებულ ოსმალებს, მაგრამ ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ მამველი ოსმალების ხელის შესწლის საქმეში.

ტომაზო მინაღლის მოტანილი აქვს ვრცელი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველები თურქების წინააღმდეგ, რომლებიც სურსათ-სანოვავის საშოვნელად სოფლებს მოსდებოდნენ და ანადგურებდნენ. მინაღო წერს: „...რამდენიმე ქართველი მთავარი... თავიანთი სოფლების მხედრებთან ერთად თურქების ჯარს მუდამ ფარულად უკან მისდევდნენ... მოულოდნელად ეკვეთებოდნენ და ერთსა და იმავე დროს ნაძარცვ საქონელს ართმევდნენ და უსპობდნენ მათ სიცოცხლეს. ყოველივე ეს იმდენჯერ მეორდებოდა, რამდენჯერაც შიმშილით შეწუხებული თურქების ქვეითნი და ცხენოსანნი,

თავიანთი ლაშქრიდან მალულად წასვლის გამო გენერალს ვერ სთხოვდნენ დამცველი რაზმების გაყოლებას<sup>28</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ქართველებმა ოსმალთა ლაშქარს თავს მოახვიეს პარტიზანული ომი. ამ პერიოდში ქართველთა მიერ წარმოებულ პარტიზანულ ომს სათავეში ედგა სიმონ მეფე. იგი ყოველნაირად ცდილობდა ოსმალთა თბილისის ციხიდან განდევნას და ამისათვის ყიზილბაშთა მაშველ ჯარებს იყენებდა. სიმონ მეფეს კავშირი ჰქონდა აგრეთვე სამცხის იმ ათაბაგებთან, რომლებიც თან ახლდნენ ოსმალთა სარდალს საქართველოში ლაშქრობის დროს.

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი საქართველოს ტერიტორიიდან აზერბაიჯანში გადავიდა და შექის ციხე აიღო. მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორია კი ოსმალთა ხელისუფლების მიერ ლევან კახთა მეფის ძეს — ერეკლე მირზას ებოძა. იბრაჰიმ ფეჩევი მიუთითებს, რომ „მამამისის მიერ გაწეული სამსახურის სანუქფოდ ეს ვილაიეთი ებოძა და დაენიშნა ლევანის ძეს ერეკლე მირზას<sup>29</sup>“.

შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ამარცხებს შემახისა და შექის მფლობელებს, იპყრობს თემურ-კაფუს ციხეს. როდესაც მთელი შირვანი ოსმალთა ლაშქრის განკარგულებაში გადავიდა, ქვეყანა აღწერალ იქნა, მთელ ვილაიეთში დაინიშნა დევთერდარი და „საფადიშაჰო დავთარში ჩაიწერა წლიური ფინანსური შემოსავალი ორას ორმოცდაშვიდ-ნახევარი იუქი აღჩა“<sup>30</sup>.

ი. ფეჩევის ცნობით, მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქარი თბილისზე გავლით არზრუმს ჩავიდა გამოსაზამთრებლად. ოსმალეთის ლაშქარმა არზრუმში გადაიზამთრა და გაზაფხულზე ახლად შევსებული სამხედრო ძალებით ახალ-ახალ ლაშქრობებს შეუდგა. თბილისის ციხე, რომელიც ოსმალებს ეკუთვნოდათ, ყიზილბაშებს გარემოცვათ და ოსმალთა მეციხოვნე ძალები მუსტაფა ლალა ფაშასგან შევლას ითხოვდნენ. არზრუმში გამოზამთრებული ოსმალეთის ლაშქარი ახლა ერევანის მხარეს შეესია და დაარბია. ი. ფეჩევის აღწერილი აქვს ამ მხარის განადგურება ოსმალთა ლაშქრის მიერ. შემდეგ მოთხრობილია სარდალ მუსტაფა ლალა ფაშას სტამბოლს გაწვევისა და მისი ადგილზე შესამე ვეზირის სინან ფაშას დანიშვნის შესახებ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ ყიზილბაშთა ქვეყნებისაკენ ისევ მოაწყო ლაშქრობა 1580—1581 წწ. გარდა იმისა რომ ოსმალეთს თავისა

<sup>28</sup> T. Minsdoi, Historia della guerra fra Turchi et Persiani, 1583. გვ. 52.

<sup>29</sup> გვ. 46. تاريخ چچوی، جلد نانی. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 44.

<sup>30</sup> გვ. 49. تاريخ چچوی، جلد نانی. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 47—48.

ინტერესები ამოძრავებდა ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ, მუსტაფა ლალა ფაშას მიერ დაპყრობილი ამიერკავკასიის ქვეყნები ხელახლა დასამორჩილებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ახალი სარდლის მეთაურობით არზრუმისა და შემდეგ დმანისის გავლით ოსმალთა ლაშქარი ისევ მოადგა თბილისს. ჩანს, რომ თბილისი ქედს არ იხრიდა ოსმალთა მოძალების წინაშე. ქართველები, როგორც კი ოსმალთა ლაშქარს შორს გაიგულებდნენ, დამოუკიდებლობისათვის იწყებდნენ ბრძოლას. აქასთვით ი. ფეჩევიც აღნიშნავს. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თბილისის ბეგლარ-ბეგს რამდენიმე მომჩივანი გაუჩნდა. საქართველოს ბეგებში კი ყველაზე უფრო გამჭრიახი იყო გიორგი ბეგი, რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა“<sup>31</sup>. როდესაც ოსმალთა ლაშქარი ხელახლა მოადგა თბილისს, იგი „მოვიდა, ისლამი მიიღო, სახელოვანი სერასქერის სეხნია გახდა. თბილისის ვილაიეთი ებოძა მას (გიორგის) იუსუფ ფაშას სახელით“<sup>32</sup>.



1585 წლის ამბებთან დაკავშირებით იბრაჰიმ ფეჩევი იძლევა მეტად საინტერესო ცნობას. ამ წელს ოსმალებს ლორისა და გორის ციხე დაუპყრიათ და შეუკეტებიათ, შიგ თავიანთი მეციხოვნე გარნიზონები ჩაუყენებიათ და აქედან ხშირად ესხმოდნენ თავს მეზობელ სოფლებს. ი. ფეჩევის ცნობით, ოსმალები „შეესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსახლგრო ნადავლი იშოვნეს და ტყვეებიც წამოასხეს. ისე, რომ ხუთი ათასი კომლი, — (მთელი) ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოიყვანეს. სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა“<sup>33</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალებს ქართლში მაგრად მოუკიდებიათ ფეხი. გორის ციხე გამხდარა მათი რეზიდენცია, საიდანაც ხდებოდა მარბიელი ლაშქრის გაგზავნა ქართლის სოფლებში, მაგრამ გორის ციხის აღებთა და ახლომახლო სოფლებში დიდძალი ნადავლის ხელში ჩაგდებით არ დაკმაყოფილებულა ოსმალთა ლაშქარი და იგი თბილისისაკენ წამოსულა. თბილისში კი შესაფერისად მომარაგებულან ყოველგვარი სურსათითა და საომარი იარაღით. აქვე ოსმალთა სარდლო-

<sup>31</sup> გვ. 66. تاريخ پجوى ، جلد نانى. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 61.

<sup>32</sup> გვ. 66. تاريخ پجوى ، جلد نانى. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 61.

<sup>33</sup> გვ. 88. تاريخ پجوى ، جلد نانى. შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 77.



ბას მიუღია ალექსანდრე კახთა მეფეზე დაკისრებული ხარაჯა, რომელშიც შედიოდა „ოცდაათი იუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი“ და უბადლო (სილამაზის) მხევალი, (აიღეს და) წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალაბანი წაიყვანეს“<sup>34</sup>.

ამრიგად, ოსმალეთის სარდალმა თბილისში მოსვლისთანავე მოსთხოვა ხარაჯა კახთა მეფეს, რომელიც მან რამდენიმე წლის წინათ იკისრა. საფიქრებელია, რომ კახეთის მეფე მას ყოველწლიურად უზღიდა სულთანს. ოსმალეთის ხელისუფლება კი ამ პირობის შესრულებით კმაყოფილდებოდა და არ ერეოდა ქართველი მეფის საქმიანობაში. ვაგრამ სრულიად სხვა ვითარება იყო სამცხეში, სადაც ოსმალეთი ინტენსიურად ნერგავდა ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ქართული ფეოდალური საზოგადოების არსებობას. ზღებოდა ქვეყნის სწრაფი რეორგანიზაცია და ოსმალური წეს-წყობილების შემოღება, რასაც ვერ ურიგდებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოება და თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად.

ი. ფეჩევი 1585—1586 წლების ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „საქართველოსკენ ზედიზედ ჯარი გაიგზავნა და აღრე დამორჩილებულთაგან ხარაჯა და ბაჟი ააღებინა. დასტური მიეცათ მმართველობისა. მათ შორის მოვიდა ლევან ხანის ძის ალექსანდრე ხანის ხარაჯა და ძღვენი, აგრეთვე (მოვიდა) სიმონ ცბიერის გადასახადი და ბაჟი. მათი მორჩილება და დაქვემდებარება დადგინდა“<sup>35</sup>.

ი. ფეჩევის ზემოთ აღნიშნული ცნობიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეები ამ პერიოდში ოსმალეთის ხელისუფლებასთან გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი. ოსმალეთის ხელისუფლება ჭერჭერობით მხოლოდ ხარაჯითა და ბაჟით კმაყოფილდებოდა. ქართლის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სიმონ მეფეს, რომელიც ამ დროს გადასახადსა და ბაჟს უზღის ოსმალეთის ხელისუფლებას, ი. ფეჩევი ცბიერს უწოდებს. ცხადია, ალექსანდრე კახთა მეფე და ქართლის მეფე სიმონი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდნენ თავი დაეღწიათ ოსმალეთზე დამოკიდებულებისაგან.

ი. ფეჩევი 1624—1625 წლების ამბების გადმოცემისას შედარებით ვრცლად გადმოგვცემს გიორგი სააკაძის მიერ ყიზილბაშთა სარდლებისა და ლაშქრის გაწყვეტას და მოურავის კაცების ოსმალთა ჯარის

<sup>34</sup> გვ. 89. . تاريخ پجوى ، جلد ١٠١. შტრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 77—78.

<sup>35</sup> გვ. 108—109. . تاريخ پجوى ، جلد ١٠١. შტრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 76.

ბანაკში მოსვლას, ვრცლად აგვიწერს მათ შორის არსებულ მოლაპარაკებას, ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ ოსმალეთის მთავარსარდლობისადმი მოურავის თხოვნას. ის უშუალო მონაწილე იყო ამ მოლაპარაკებისა და მისი სიმბათია მოურავის მხარეზე იყო, იგი ოსმალეთის მთავარსარდლობას ურჩევს დაუჭეროს გიორგი სააკაძეს და ზელიდან არ გაუშვას ზელსაყრელი შემთხვევა — ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობა. შემდეგ ი. ფეჩევი ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ოსმალეთში გიორგი სააკაძის აღსასრულის ამბავს. იგი წერს, რომ ზუსტად ფაშამ „მოურავი, მისი შვილი და მოურავის მხლებლები ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა... ასეთი აშკარა ქალათობა ჩაიდინა“<sup>36</sup>. ი. ფეჩევი ძალიან აფასებს გიორგი სააკაძის მიერ შაჰ-აბასისადმი მიყენებულ დიდ ზიანს. იგი აღნიშნავს, რომ „ამ ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ასეთი მძიმე დანაკლისი არ ჰქონია. მოურავის მეოხებით და მოურავთანვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ზანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყანაში არ მოიძებნებოდა“<sup>37</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზი საქართველო იყო. ორივე ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ეცილებოდა ერთმანეთს. ი. ფეჩევს აღწერილი აქვს ირან-ოსმალეთის ომები შაჰ-აბასის დროს. 1628—1629 წწ. ამბების აღწერასთან ერთად ის გადმოგვცემს ცნობებს ოსმალთა მიერ არზრუმისა და ახალციხის ციხეების დაპყრობის შესახებ. ამ პერიოდში ახალციხე ყიზილბაშებს ჰქონდათ მიტაცებული. ოსმალეთი, რა თქმა უნდა ამას ვერ შეურიგდებოდა. ახალციხე ამ პერიოდში ოსმალეთისათვის პლაცდარმი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებზე თავდასხმისათვის. ამიტომ ვეზირი ქენან ფაშა, გარკვეული რაოდენობის ჯარით, გაიგზავნა ახალციხის ასაღებად. მან პირნათლად შეასრულა ხელისუფლების დავალება.

\* \*

საქართველოს შესახებ მცირე, მაგრამ ყურადსაღები ფრაგმენტული ხასიათის ცნობები მოეპოვება მეჰმედ ჰემდეში სოლაქ-ზადეს (+1657). თითქმის არაფერია ცნობილი მისი ბიოგრაფიიდან. დაიბადა

<sup>36</sup> გვ. 405. تاریخ چچوی، جلد ثانی. საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 85.

შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები

<sup>37</sup> გვ. 406. تاریخ چچوی، جلد ثانی. საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 85.

შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები

იგი სტამბოლში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. მან თავიდანვე სახელი გაითქვა მუსიკისადმი მიდრეკილებით და ნიჭიერებით. ამიტომ შეარქვეს მას მისხალი ჩელები (მისხალი სალამურის მსგავსი საკრავია) და სოლაქ-ზადესთან ერთად ამ სახელსაც ეძახდნენ.

მეკმედ სოლაქ-ზადე ავტორია ჭუნდამენტური ნაშრომისა ოსმალეთის ისტორიის შესახებ, რომელიც მოიცავს პერიოდს ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან ვიდრე სულთან იბრაჰიმ I (1640—1648) ტახტზე ასვლამდე<sup>38</sup>. სოლაქ-ზადეს ნაშრომი პირველად ლითოგრაფიულად დაიბეჭდა სტამბოლში 1851 წელს<sup>39</sup>, ხოლო მისი თხზულების სრული კრებული გამოქვეყნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში<sup>40</sup>.

სოლაქ-ზადე ფართოდ იყენებდა წინამორბედ და თავის თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებს. მიუხედავად ამისა, სოლაქ-ზადეს ნაშრომი მაინც დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მასში ბევრი ისეთი საინტერესო ცნობაა შემონახული, რაც დღეისათვის ცნობილ სხვა წყაროებში არ არის დაცული. სოლაქ-ზადეს თხზულების წყაროების მეტი წილი დღეისათვის უცნობია, რაც მისი ისტორიის ღირებულებას უფრო ზრდის.

საგულისხმო ცნობები აქვს დაცული სოლაქ-ზადეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის. საყურადღებოა სოლაქ-ზადეს მიერ მოთხრობილი ამბავი ოსმალთა მიერ ლაზეთის ციხის დამორჩილებისა. დღეისათვის მეტად მწირი ცნობები ან თითქმის არაფერი მოგვეპოვება ლაზეთის ისტორიის შესახებ. ისტორიული საქართველოს ეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ადრე მიიტაცა ოსმალეთის ხელისუფლებამ და იქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაამკვიდრა. ლაზეთის ციხის დამორჩილების შესახებ აშბის გადმოცემისას სოლაქ-ზადე იყენებს წინამორბედი ისტორიკოსის მეკმედ ნეშრის (XV ს.) თხზულებაში დაცულ ცნობას<sup>41</sup>, მაგრამ ამავე დროს მისგან განსხვავებულ

<sup>38</sup> სოლაქ-ზადეს თხზულებისა და ბიოგრაფიის შესახებ იხ. F. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 203—204. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Ceğrafiya Yazmaları Kataloğları... 2. İstikül... 1944. İstanbul, გვ. 261—264; Mithat Sertoğlu, Vakanüvisler Dışında... 1960. No 39. გვ. 769.; No 44. 1960. გვ. 2312.; M. Tayyib Gökbilgin, Solak-zade. İslâm Ansiklopedisi, cüz 109. 1966. İstanbul. გვ. 748—750.

<sup>39</sup> Tarih-i Al-i Osman Solak-zade. 1271 | 1854. İstanbul.

<sup>40</sup> ۱۲۹۸ سنه استانبول ، تاریخ زاد صولاق ამ თხზულებიდან პროფ. ვ. სმირნოვმა ნაწყვეტი თავის ცნობილ ნაშრომში შეიტანა. იხ.: В. Д. Смирнов, Образцовые произведения... гв. 38—59. საქართველოს შესახებ ცნობები სოლაქ-ზადეს ამ თხზულებაში აქვს დაცული. ეს ცნობები ქართულად თარგმნილია და თურქულ ტექსტთან და სათანადო მეცნიერულ კომენტარებთან ერთად დაბეჭდილია. იხ. 6. შენ გე ლია, სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, წიგნი IV, თბ. 1973, გვ. 56—64.

<sup>41</sup> Kitab-i Cihan-Numa, Neşri Tarihi, II cilt, Yayınlayanlar Faik Reşat Unat, Mehmed A. Köymen. Ankara, 1957, გვ. 603—603.

ფაქტებზედაც ჩერდება. ოსმალთა ფაშას მიერ ლაზეთის ვილაიეთის დამორჩილება, წყაროს ავტორის მიხედვით 1427—1428 წელს მოხდა. სინამდვილეში ამ პერიოდისათვის ლაზეთის ტერიტორია ოსმალებს უკვე დიდი ხნის დაპყრობილი ჰქონდათ. აქ აღწერილი ამბავი ეხება ლაზეთის ვილაიეთის გამგებლის ჰუსეინ-ბეგის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებას. ამ დროისათვის ლაზეთი უკვე ვილაიეთადაა გადაქცეული და მისი გამგებელი ჰუსეინ-ბეგი მაჰმადიანი ოსმალთა მოხელეა, რომელიც დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ ისწრაფვის.

სოლაქ-ზადე აღწერს ირან-ოსმალეთის ომების ეპიზოდებს, სულთან სელიმ I და ირანის შაჰ შაჰ-ისმაილს შორის წარმოებულ ბრძოლებს საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში. XVI საუკუნის შუა წლებისათვის გაძლიერებული ოსმალეთი თანდათანობით იპყრობს სამხრეთ-დასავლეთ საქარველოს და ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს აარსებს. ქართულ ტერიტორიებზე სანჯაყების სისტემას ქმნის და ამით საბოლოოდ იერთებს მათ. ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზად ამ პერიოდში სწორედ ამიერკავკასია იქცა. ამ ლაშქრობათა ერთი ეპიზოდი, კერძოდ, 1549 წლის ლაშქრობა, აღწერილი აქვს სოლაქ-ზადეს. იგი ამ შემთხვევაშიც თავის წინამორბედ და თანამედროვე ოსმალთა ისტორიკოსთა ნაშრომებს ეყრდნობა. უფრო მოკლედ, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულად და ორიგინალურად გადმოგვცემს ოსმალთა მიერ 1549 წ. საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობის ამბებს ვიდრე, ვთქვათ, იბრაჰიმ ფეჩევი<sup>42</sup>. ასევე დაწვრილებით გადმოგვცემს სოლაქ-ზადე ოსმალთა მიერ ნახჭევანისა და განჯის ციხეების აღების ამბებს.

XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენელია აბდულ აზიზ კარა ჩელები-ზადე (1592—1658). იგი დაიბადა სტამბოლში რუმელიის ყაზისაქერის — კარა ჩელები-ზადე ჰუსამ ედ-დინ ეფენდის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და მისი აღზრდა იკისრა ბიძამისმა — კარა ჩელები მეჰმედ ეფენდიმ. საფუძვლიანი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ 1612—1623 წლებში სხვადასხვა მედრესეებში მსაზურობდა. 1623 წ. იენიშეჰირის ყადი გახდა, უფრო მოგვიანებით მექასა და ედირანეს ყადიც იყო, ბოლოს 1633 წ. სტამბოლის ყადის თანამდებობაზე დაინიშნა. ექვსი-შვიდი თვის შემდეგ ამ თანამდებობიდან გადააყენეს და კვიპროსში გააგზავნეს. წელიწადნახევრის შემდეგ კვლავ დაბრუნდა სტამბოლში და 1635—1648 წლებში რაიმე თანამდებობა არ სჭერია. 1648 წელს რუმელიის

<sup>42</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27—28.

ყაზიასქერია, ხოლო 1650 წელს, პირველად ოსმალეთის ისტორიაში, ფეთვა გამოსცა და შეიხ ულ-ისლამი გახდა<sup>43</sup>. მკვრამ წარჩინებულებმა იგი მალე გადააყენეს, ჯერ საქიზში გააგზავნეს, იქიდან კი ბურსაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც<sup>44</sup>.

აბდულ აზიზ კარა ჩელები-ზადე მრავალმხრივ მეცნიერულ და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. მან არაერთი ნაშრომი დაგვიტოვა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჩვენთვის საინტერესოა მისი ისტორიული ხასიათის თხზულებები.

მისი ისტორიული თხზულება 1832 წელს გამოიცა ქაიროში<sup>45</sup>. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია უძველესი ხანის მსოფლიო ისტორია. მეორე ნაწილი მიძღვნილია მუჰამედისა და ისლამის ისტორიისადმი. მესამე ნაწილში საუბარია პირველ ოთხ ხალიფაზე, შემდეგ მომდევნო ხალიფებზეც. აქვეა გადმოცემული ისლამის რელიგიამდე მოღვაწე გამოჩენილ პირთა შესახებ. ბოლო მეოთხე ნაწილში კი მოთხრობილია ოსმალეთის ისტორია მეჰმედ IV-ის (1648—1687) ტახტზე ასვლის პირველ ათწლამდე ე. ი. 1648 წლიდან 1657 წლამდე. გამოქვეყნებულ ნაწილში ამბები გადმოცემულია მხოლოდ 1646 წლამდე და იგი ავტორმა სულთან იბრაჰიმ I-ს (1640—1648) მიუძღვნა, ხოლო მეორე ტომში, რომელიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, ამბების თხრობა გადმოცემულია 1657 წლამდე. ავტორმა იგი სულთან მეჰმედ IV-ს მიუძღვნა<sup>46</sup>. გამოქვეყნებულ ნაწილში გვხვდება ცნობები ჩერქეზების შესახებ (გვ. 288, 319 და სხვ.). საქართველოს შესახებ ცნობები მისი თხზულების გამოქვეყნებულ ნაწილში აქა-იქ გვხვდება.

კარა ჩელები-ზადეს თხზულებათა შორის აღსანიშნავია მისი სულეიმან-ნამე<sup>47</sup>, რომელიც ავტორმა მიუძღვნა სულთან სულეიმან კანუნის

<sup>43</sup> კარა ჩელები-ზადეს მიერ გამოცემული ფეთვის შესახებ იხ. Orhan F. Köprülü, Şeyhülislam Kara Çelebi-zade Abdülaziz Efendi ve Müftü Suyu. Belleten, Cilt XI, Sayı 41, 1947. Ankara, გვ. 137—145.; Orhan F. Köprülü ve İsmet Parmaksızoğlu, Şeyhülislam Kara-Çelebi-zade Abdülaziz Efendi, Tez. İstanbul Üniversitesi Tarih Kütüphanesi, 359, 1955.

<sup>44</sup> კარა ჩელები-ზადეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. Fr. Babinger, Abdülaziz Efendi Kara Çelebi-zade. İslâm Ansiklopedisi, cilt I. გვ. 64—65; Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 204—206.; Mithat Sertçü, Vakanüvisler Dışında. . . No 44, 1960. გვ. 2312.

<sup>45</sup> قره چلبی زاده عبدالعزیز، روضة الابرار، ۱۲۴۸، بولاق.

<sup>46</sup> ამ თხზულების ხელნაწერი ნუსხებისა და გამოცემების შესახებ იხ. İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. I. fasikül, 1943. İstanbul, გვ. 4—12.

<sup>47</sup> قره چلبی زاده عبدالعزیز، کتاب سلیماننامه، بولاق، ۱۲۴۷  
ამ ნაშრომის გამოცემისა და ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. İstanbul Kütü-

(1520—1566) მოღვაწეობას და აღწერა ოსმალეთის ისტორია სულეიმან კანუნის დროს. აღსანიშნავია კარა ჩელები-ზადეს თხზულება, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია ოსმალთა ლაშქრის მიერ ერევნისა და ბაღდადის დაპყრობებისადმი<sup>48</sup>. ავტორი აღწერს მურად IV-ის უშუალო მონაწილეობით ერევნის, თავრიზისა და ბაღდადისაკენ გალაშქრებას. ადგილი შესაძლებელია ამ თხზულებაში იყოს ცნობები საქართველოს შესახებაც.

კარა ჩელები-ზადეს, როგორც აღვნიშნეთ, არაერთი ნაშრომი აქვს დაწერილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ისინი თითქმის გამოუქვეყნებელია და ხელნაწერის სახით ინახება თურქეთის სხვადასხვა წიგნთსაცავებსა და არქივებში<sup>49</sup>.

კარა ჩელები-ზადეს თანამედროვე ისტორიკოსი იყო ჰუსეინ ვეჯიბი (+ 1660). იგი სტამბოლიდან საცხოვრებლად გადავიდა ყირიმში — ბახჩისარაიში. აქ იგი მოღვაწეობდა ვითარცა დიდგვირი და კაფუღან-დამა. იგი ავტორია არაერთი პოეტური და ისტორიული თხზულებისა. მის ისტორიულ თხზულებაში ამბები მოთხრობილია 1638 წლიდან. იგი თავისი თვალთ ხილულ და უშუალოდ განცდილ ამბებს გადმოგვცემს. ჰუსეინ ვეჯიბი მურად IV-ის ბაღდადში გალაშქრების ამბებს ეხება. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა მამამისი. ისტორიკოსი გვიყვება ოსმალეთის ისტორიის სულთან იბრაჰიმ I-ის და მეჰმედ IV-ის მოღვაწეობის პირველ 10—12 წლებში. იგი თავის თხზულებას ამთავრებს 1656 წლით<sup>50</sup>. ჰუსეინ ვეჯიბის თხზულებაში გადმოცემული ამბების ერთი ნაწილი უფრო დასრულებული სახითაა წარმოდგენილი ნაიმას „ისტორიაში“, რადგანაც ორივე ისტორიკოსი ოსმალეთის ისტორიის ერთსა და იმავე საკითხს ეხება გარკვეული დროის მონაკვეთში. ფაქტიურად ნაიმას „ისტორია“ ჰ. ვეჯიბის თხზულების ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს.

როგორც ოსმალურ ისტორიოგრაფიაში, ისე მთელს მუსლიმანურ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVII ს-ის დიდ გეოგ-

---

paneleri Tarih-Cografya Yazmaları Katalogları, 2 fasikül, 1944. Istanbul, გვ. 106—109.

<sup>48</sup> قره چلبی زاده عبدالعزیز تاریخچه فتح روان و بغداد. ეს თხზულება გამოუქვეყნებელია. ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, 2 fasikül, 1944, გვ. 109.

<sup>49</sup> Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, 1. fasikül, 1943; გვ. 1—4; 5. fasikül, 1945; გვ. 357—361; 8. fasikül, 1948, გვ. 714—715.

<sup>50</sup> ჰუსეინ ვეჯიბის ისტორიული თხზულება დღემდე სტამბური წესით არ გამოქვეყნებულა, მისი ხელნაწერი ნუსხები ინახება თურქეთისა და ევროპის სიძველეთსაცავებში. ჰ. ვეჯიბის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 208; Mehmed Tahir, Kırım Müellifleri, Istanbul, 1335. გვ. 32.

რაფსა და მეცნიერ-ისტორიკოსს ქათიბ ჩელების. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აღმოსავლურ-მუსლიმანური მეცნიერების მრავალი დარგის განვითარების საქმეში. ქათიბ ჩელები ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა ღვთისმეტყველებას, გეოგრაფიას, კოსმოგრაფიას, იურისპრუდენციას, პოლიტიკას, ფილოსოფიას. განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთა ისტორიისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. მეტად მრავალმხრივი იყო ქათიბ ჩელების მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობა. თურქეთის მეცნიერულმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა ქათიბ ჩელების მრავალმხრივი ნამოღვაწარი და ეროვნული სიამაყის გრძნობით აღნიშნა მისი გარდაცვალებიდან სამასი წლისთავი.

ქათიბ ჩელები დაიბადა სტამბოლში 1609 წელს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მისი სახელი იყო მუსტაფა იბნ აბდალლაჰი. მაგრამ იგი არსებითად ცნობილი იყო ორი სახელით, რომლებიც მის ბიოგრაფიასთან იყო დაკავშირებული: ქათიბ ჩელები და ჰაჯი კალფა. ქათიბ ჩელები პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1622 წლისათვის, კანცელარიაში მოწაფედ მიიღეს. მას მალე ვხედავთ ანატოლიის ლაშქრის მოანგარიშის თანამდებობაზე. იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა ლაშქრობებში. 1625 წლის სპარსელების წინააღმდეგ მოწყობილ თერჯანის ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა, ასევე მონაწილეობდა 1626 წლის ბაღდადის გარემოცვაში. 1627—1628 წლებში აზახ-ფაშას წინააღმდეგ არზრუშის ექსპედიციის მონაწილეც იყო. შემდეგ დაბრუნდა სტამბოლში და სწავლა განაგრძო. 1629 წელს ქათიბ ჩელები კვლავ მიიღო მონაწილეობა ჰემედანისა და ბაღდადის ლაშქრობებში. ამ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ისევ განაგრძო სწავლა სტამბოლში. 1633 წ. ალექსანდრის გზით ჰიჯაზში წავიდა, 1634 წ. მურად IV-ს ახლდა ერევნის ლაშქრობაში. შემდეგ იგი სტამბოლში კანცელარიის მდივნის თანამდებობაზე იმყოფებოდა, საიდანაც მიიღო წოდებაც — ქათიბ ჩელები. იგი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში.

ქათიბ ჩელები შეიხთა მეთაურის — ყადი-ზადესაგან ისმენდა ლექციებს არაბულ ენასა და ღვთისმეტყველებაში. მან დიდი ინტერესი გამოაქვლავნა მეცნიერებისადმი, რის გამოც სამხედრო საქმეს თავი მიანება და რამდენიმე წელიწადში შეისწავლა ლოგიკა, გრამატიკა, მათემატიკა, ასტრონომია, გეოგრაფია, მედიცინა. მისი ავტორიტეტი სწრაფად გაიზარდა. იგი 1648 წ. დაინიშნა ლაშქრის მთავარ საფინანსო კანცელარიაში მეორე მოადგილედ (ხალიფად), რის შემდეგაც მას დაუმკვიდრდა მეორე სახელი — ჰაჯი ხალიფა. საფინანსო საქმეებში მას დიდი დრო არ ეზარებოდა, მიუხედავად ამისა, მან მალე ერთსულოვანი აღიარება პოვა ფინანსურ საქმეებში. იგი 1653 წ. მიიწვიეს საგანგე-

ბო კომისიაში, რომელსაც სათავეში თვით სულთან მეჰმედ IV (1648—1687) ედგა და რომლის დანიშნულება იყო სახელმწიფო ბიუჯეტის მოგვარება. ამასთან დაკავშირებით მის მიერ შედგენილ იქნა მოხსენებითი ბარათი, რომელსაც როგორც წყაროს, XVII ს-ის ოსმალეთის ეკონომიური მდგომარეობის რეალური ვითარების გასათვალისწინებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ქათიბ ჩელები 50 წლის ასაკში გარდაიცვალა 1658 წ. მან მთელი თავისი სიცოცხლე წიგნების შესწავლასა და შეკრებას შესწირა. ბრწყინვალედ იცოდა არაბული და სპარსული ენები, რაც ხელს უწყობდა მეცნიერულ მუშაობაში. ასევე სცოდნია მას ლათინური ენაც. მან გაიარა ყველა სამეცნიერო ხარისხი, რაც აღმოსავლურ-მუსლიმანური სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი. თავის დროზე მოისმინა მეცნიერებათა კურსები ბევრი ცნობილი სწავლულისაგან, ხოლო შემდეგში თვითონვე გახდა ცნობილი მეცნიერი. იგი სწავლობდა, ასწავლიდა და მსახურობდა, ამავე დროს ინტენსიურ მეცნიერულ-ძიებასაც ეწეოდა. ქათიბ ჩელები ოცამდე თხზულების ავტორია. მან შეადგინა უზარმაზარი ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი არაბული, სპარსული, თურქული და საერთოდ აღმოსავლური თხზულებებისა, რომლებიც დროთა განმავლობაში იქმნებოდა და მეტად მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლური მეცნიერების მრავალი დარგისათვის. მას ეწოდება: „ქეშუფ უზ-ზუნუნ ან ასამი ლ-ქუთუბ ალ-ფუნუნ“ („აზრის გამოცხადება წიგნებისა და სამეცნიერო დარგების სახელთა შესახებ“<sup>51</sup>). ეს ნაშრომი შეიცავს 800 ავტორის 14.500 სახელწოდების აღმოსავლურ თხზულებას.

მეცნიერების სხვადასხვა დარგთან ერთად ქათიბ ჩელებიმ დიდი მიღრეკილება და ინტერესი გამოამჟღავნა გეოგრაფიისადმი, მან ერთდროულად დაიწყო მუშაობა რამდენიმე გეოგრაფიულ ნაშრომზე. მისი ავტოგრაფების გადმოცემით, გეოგრაფიისადმი დიდი ინტერესი ქათიბ ჩელებიმ ოსმალთა მიერ 1645 წელს კუნძულ კრეტოსზე მოწყობილი ექსპედიციის დროს გამოამჟღავნა. ამ ხანებში მან საკუთარი ინიციატივით გადაიკითხა აღმოსავლურ ენებზე არსებული ყოველგვარი გეოგრაფიული ლიტერატურა.

სხვა ოსმალ ოსტორიკოსთა მსგავსად ქათიბ ჩელებიც თავის მრავალრიცხოვან თხზულებებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხების გადმოცემას. ქათიბ ჩელები ერთი იმთავანია, რომელსაც ოსტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მეტად საყურადღებო და მრავალმხრივ საინტერესო ცნობები შემოუნახავს საქართველოს შესახებ.

<sup>51</sup> Kâtib Çelebi, Keşf uz-Zunun, neşredenler: Ş. Yalıtıkaya ve R. Bilge. İstanbul, 1941—43.



ქათბ ჩელებიმ თავისი დიდი ერუდიცია და განსწავლულობა ვა-  
 ზომეკლავნა ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში „ჩიპან-ნუმა“  
 („მსოფლიოს სარკე“)<sup>52</sup>. ეს დიდი ნაშრომი, რომელიც ავტორმა 1648  
 წელს დაასრულა, წარმოადგენს ერთადერთ გეოგრაფიულ თხზულებას,  
 რომელშიც ქათბ ჩელები ცდილობს მოგვეცეს წარმოდგენა გეოგრა-  
 ფიაზე, როგორც მეცნიერებაზე<sup>53</sup>. ამ ნაშრომში ავტორი აღწერს ქვეყ-  
 ნის ნაწილებს, განსაკუთრებით დაწვრილებით გადმოგვეცემს ოსმალე-  
 თის იმპერიის საზღვრობელოების, მცირე აზიის პროვინციების, სირიის,  
 ირანის, არაბეთისა და სხვა ქვეყნების შესახებ<sup>54</sup>.

„ჩიპან-ნუმა“ ემყარება უამრავ პირველწყაროს, რომლებზეც ხელი  
 მიუწვდებოდა ქათბ ჩელების. თავისი ფართო განათლების წყალობით  
 ავტორს საშუალება ეძლეოდა ფაქტებისა და წყაროების შედარების,  
 კრიტიკისა და ანალიზისათვის, რაც ერთიორად ზრდიდა მისი თხზუ-  
 ლების ღირებულებას<sup>55</sup>. ქათბ ჩელების გეოგრაფიულ თხზულებაში  
 მოცემულია ყველა ქვეყნის დახასიათება პოლიტიკური ამბების გათვა-  
 ლისწინებით, დართულია ცალკეული ქვეყნების რუკებიც. საკმაოდ  
 ვრცლად აქვს მიმოხილული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყ-  
 ნები. ცალ-ცალკე აქვს გეოგრაფიული თვალთახედვით განხილული გუ-

<sup>52</sup> كتاب جهان نما الكاتب چلبى ، حاجى حليفه ، ١١٤٥ قسطنطينيه

<sup>53</sup> ქათბ ჩელების გეოგრაფიული თხზულება საგანგებოდ აქვს შესწავლილი აკად.  
 ე. კრაჩკოვსკის. იხ. И. Ю. Крачковский, Турецкая географическая литература  
 XV—XIX вв. Академик И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. IV, М.-Л.,  
 1957, стр. 601—6247. იხ. აგრეთვე, Hamit Sadi Selen, Cihannüma. Katip Çelebi, Ha-  
 yati ve Eserleri Hakkında İncelemeler. Ankara, 1957. გვ. 121—136.; Süheyl Ün-  
 ver, Katip Çelebinin Cihannümasında Çin ve Hatay Hakkında Verilen Malumat  
 Kaynağı Üzerine. Katip Çelebi, Hayati ve Eserleri Hakkında İncelemeler. Anka-  
 ra, 1957, გვ. 137—176.

<sup>54</sup> ქათბ ჩელების ამ თხზულებას ნაწვევტის რუსული თარგმანი, რომელიც ტაშკენ-  
 ტის აღწერასა და ხალხის თვისებების გადმოცემას შეეხება, გამოაქვეყნა ა. ტუე რიტინო-  
 ვამ. იხ. А. С. Тверитинова, Описание Средней Азии в «Джихан-Нюма» Кятиба  
 Челеби. Бюллетень Академии наук УзССР. 1944, № 5—6. იხ. აგრეთვე, Katip  
 Çelebi, Mizanü'l-Hakk Fi İhtiyari-e-Ahak (En Doğruyu Seçmek İçin Hak Terazisi),  
 Hazırlayan Orhan Şaik Cökyay, Birinci Basılış. İstanbul, 1972.

<sup>55</sup> ქათბ ჩელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. Orhan Şaik Gö-  
 kyay, Katib Çelebi-Hayati-Şahsiyeti-Eserleri. İstanbul Üniversitesi Edebiyat Fak-  
 ültesi Tarih Dergisi. Cilt 8. No 11 — 12. Eylül 1955. İstanbul. გვ. 134—151.;  
 Orhan Şaik Gökyay, Katip Çelebi, Hayati, Şahsiyeti, Eserleri. Kalib Çelebi, Hayati  
 ve Eserleri Hakkında İncelemeler. Ankara, 1957. გვ. 3—92.; Altınay Ahmed Refik,  
 Katib Çelebi, İstanbul, 1932; Katip Çelebi, Yeni Türk Tarihi, 1933. No 38. გვ. 1899—  
 1901; «جمهوريت» 1928 წლის 25 თებერვალი. Katip Çelebiden Seçmeler, Hazırlayan Orhan Şaik Gökyay.  
 İstanbul, 1968.

რია, სამეგრელო, აქარა, იმერეთი<sup>56</sup>. აქვე აქვს დართული თურქულ ენაზე შედგენილი კავკასიის რუკა<sup>57</sup>. რუკაზე მოცემულია ჩერქეზების, აფხაზების ტერიტორიები, ნაჩვენებია იალბუზის მწვერვალი, დაღესტანი, შირვანი, მთლიანი საქართველო, განჯა, ერევანი, ყარსი, ჩილდირი, ტრაპიზონი, არზრუმი და სხვა მხარეები. იგი საკმაო სიზუსტით გადმოგვცემს XVII საუკუნის საქართველოს გეოგრაფიულ პუნქტებს და რაიონებს. „ჩიქან-ნუმა“ ემყარება უამრავ პირველწყაროს, რაზედაც ქათიბ ჩელების ხელი მოუწვდებოდა. აკად. ე. კრაჩკოვსკის სამართლიანი დახასიათებით, ქათიბ ჩელები XVII საუკუნის მახლობელი აღმოსავლეთის უდიდესი გეოგრაფი იყო. საყურადღებოა მისი სპეციალური ნაშრომი საზღვაო გეოგრაფიის შესახებ სათაურით: „თუჰვათ ალ-ქიბარ ფი ასფარ ალ-ბიჰარ“ (تحفة البحار في أسفار البحار)<sup>58</sup>.

ამ თხზულების წყაროები უზვად მოიცავდა სხვადასხვა სპეციალურ დარგებში შექმნილ ნაშრომებს. თხზულება მალე გახდა პოპულარული.

არანაკლებ საყურადღებო თხზულებები დაგვიტოვა ქათიბ ჩელები ისტორიის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ისტორიული ხასიათის ორი ნაშრომი: „თაკვიმუთ-თევარიჰ“ („ისტორიულ-ქრონოლოგიური ცხრილები“)<sup>59</sup> და „ფეზლექე“, რომელიც თავის დროზე არაბულად დაწერა და თვითონვე თარგმნა თურქულად<sup>60</sup>. ეს უკანასკნელი

<sup>56</sup> ქათიბ ჩელების ცნობებს საქართველოს შესახებ სწავლობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი გ. ალასანიძე. გ. ალასანიძე, ქათიბ ჩელების „ჩიქან-ნუმა“ და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, გვ. 65—77, თბ., 1973.

<sup>57</sup> გ. ალასანიძე, „ჩიქან-ნუმას“ კავკასიის რუკა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა კონფერენციის თეზისები, თბ., 1970. გ. ალასანიძე, საქართველო „ჩიქან-ნუმას“ კავკასიის რუკაზე, მეცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, გვ. 98—106, 1971.

<sup>58</sup> ამ თხზულების ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kültüpaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları... 2. fasikül, 1944. გვ. 165—168; Şevki, Tuhfetü'l-Kibar ve Katib Çelebi. Edebiyat Fak. Tarih Tezi. No. 90. 1932.

<sup>59</sup> كتاب حلي، تقويم التواريخ الكاتب حلي، ١١٤٦، استانبول  
ამ თხზულების ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kültüpaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları... 1. fasikül. 1943. Istanbul, გვ. 36—46. ამ ნაშრომის შესახებ საგანგებო გამოკვლევა აქვს დაწერილი თურქ მეცნიერს მ. თაიბ გოქბილგინს. იხ. M. T. Gökbilgin, Katib Çelebinin Kronolojik Eseri; Takvimültevarih. Katip Çelebi, Hayatı ve Eserleri Hakkında İncelemeler. Ankara, 1957, გვ. 101—119.

<sup>60</sup> حاجی حلیفہ، تذکرة کاتب حلی، جلد ١، ١٢٨٦، استانبول، جلد ٢، ١٢٨٧، استانبول.  
ამ თხზულების ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul

ორი ნაწილისაგან შედგება — ზოგადი ისტორიის მიმოხილვისა და ოსმალეთის ისტორიის დაწერილებითი აღწერისაგან. ჩვენთვის მეორე ნაწილი უფრო საინტერესოა. აქ დაწერილებით არის გადმოცემული ოსმალეთის იმპერიის ისტორია 1592—1654 წწ. ამ ნაშრომში საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ. ავტორის თანამედროვე, სულთნის კარის პირველი ოფიციალური ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმაც სწორედ ამ პერიოდის ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიას გადმოგვცემს და ხშირად იმომწმებს ქათიბ ჩელების თხზულებას. ნაიმა საქართველოს ისტორიის საკითხების გადმოცემისას ქათიბ ჩელების თხზულებაში დაცულ ცნობებს იშველიებს. მაგალითად, გიორგი სააკაძის შესახებ ცნობები მან გადმოიწერა ქათიბ ჩელების თხზულებიდან, რასაც პირდაპირ აღნიშნავს. ქათიბ ჩელების, როგორც ცნობილ სწავლულსა და გავლენიან პიროვნებას, ზელი მიუწვდებოდა ბევრ საინტერესო დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროზე, წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებზე. იგი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხების გადმოცემისას უშუალოდ იყენებდა პირველ წყაროებს, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში ინახებოდა.

ქათიბ ჩელების თავის თხზულებაში ზუსტად აქვს აღწერილი ის ამბები, რისი თვითმხილველი და უშუალო მონაწილეც იყო. ქათიბ ჩელების არანაკლებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებაც. მის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ მრავალმხრივ საყურადღებოა და საუკეთესო წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოსმალეთის ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად<sup>61</sup>.

ქათიბ ჩელების თხზულებები, რომლებმაც აღრევე მიიქციეს მეც-

---

Kütüphaneleri Tarih-Cografya Yazmaları Katalogları... 2. fasikül, 1944. İstanbul, გვ. 161—165. ეს ნაშრომი საგანგებოდ აქვს ვახილული და განალაზღვრული მ. ინანჩის. იხ. M. H. Yananç, Fezleket Ekvâl al-Ahyar Hakkında. Kâtip Çelebi, Hayatı ve Eserleri Hakkında İncelemeler. Ankara, 1957, გვ. 93—100.

<sup>61</sup> „ფეზლექესა“ და ქათიბ ჩელების სხვა შრომებში დაცული ცნობები სომხეთის შესახებ შესწავლილი აქვს ა. ფაფაზიანს. იხ. А. А. Папазян, «Фезлеке» Кятйб Челеби как источник по истории Армении. «Вестник общественных наук» (АН Арм ССР). Ереван, 1966, № 5, стр. 78—87 (на арм. языке, резюме на русск. яз.). А. А. Папазян, Турецкие источники по истории Армении («Фезлеке» и «Джихан-Нюма» Кятйб Челеби). В кн. Проблемы экономики и истории стран Ближнего и Среднего Востока. М., 1966., стр. 209—219. А. А. Папазян, Труды Кятйб Челеби как источник по истории Армении (XVII вв). Автореферат диссертации, представленный на соискание ученой степени кандидата исторических наук. М., 1967.

ნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღება, ითარგმნა მრავალ ენაზე. მისმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ ფართო აღიარება მოიპოვა როგორც თავის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ქათიბ ჩელების რამდენიმე თხზულება თარგმნილია: იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. ქათიბ ჩელების თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის საყურადღებო ცნობების ქართულ ენაზე თარგმნა-კომენტირება და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სასარგებლო საქმეა. ქათიბ ჩელების, როგორც გეოგრაფისა და ისტორიკოსის დამსახურება უდაოდ დიდია. იგი თავისი დროის პირველხარისხოვანი მეცნიერი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეოგრაფიული და ისტორიული აზროვნების განვითარების საქმეში.

XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსთა და მოგზაურთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევლია ჩელების (1611—1679), რომლის ატომიანი „მოგზაურობის წიგნი“ („სეთიაპათ ნამე“)⁶², საინტერესო წყაროა მრავალი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ლინგვისტიკისა და სხვა საკითხების შესახებ.

ევლია ჩელები დაიბადა სტამბოლში სულთნის სასახლის იუველიერთა მეთაურის — დერვიშ მჰემედ ზილის ოჯახში. ევლიას მამა სულთნის კართან დაახლოებული და ოსმალთა ხელისუფალთაგან დიდი ყურადღებით გარემოსილი პირი იყო. ევლიას თქმით, მამამისს ოსმალთა სამოცდაათ ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა, იგი 117 წლისა გარდაცვლილა 1648 წ. ევლიას დედა წარმოშობით აფხაზის ქალი ყოფილა.

ევლია თავიდანვე მედრესეში სწავლობდა, შემდეგ სილაჰდარ მელიქ აჰმედ ფაშას მეშვეობით სასახლეში გადაიყვანეს, სადაც მან შეძლო განათლების მიღება. ევლიამ თავისი გარეგნობით, მუსიკალობითა და ორატორული ხელოვნებით სასახლეში იმთავითვე მიიქცია ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა.

ახალგაზრდა ევლიამ 1630 წ. ჯერ სტამბოლის დათვალიერება დაიწყო და სრული ათი წელი მოანდომა მის შესწავლას. თავისი „მოგზაურობის წიგნის“ პირველ ტომში სტამბოლის აღწერის შემდეგ ევლიამ მთელი თავისი სიცოცხლე მოგზაურობაში გაატარა. ის მოგზაურობდა გემით, ცხენით, დაყვებოდა სავაჭრო ქარავნებს, ლაშქარს, დიპლომატიურ მისიებს და ასე მოიარა ანატოლია, ირანი, ქურთისტანი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, მთელი კავკასია, სამხრეთი რუსეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული და ევროპის ქვეყნები. 1640—1647 წწ. მოგზაურა

⁶² 1357—1314, استانبول، جلد 1 - 1، سياحتنامهسى، اوليا جلی،

ბურსაში. შავი ზღვის სანაპიროებზე, ყირიმში, კრიტოსსა და არზრუმში, 1648 წ. — დამასკოში, 1949 წ. — სირიასა და ქურთისტანში.

იგი ხელმძღვანელობდა ოფიციალურ საელჩოს ვენაში, იყო პრალაში, დიუნკირხენში, ჰოლანდიაში, შვეციასა და პოლონეთში. კვლავ ინახულა ყირიმი და იქიდან რუსეთის ელჩთან ერთად გაემგზავრა რუსეთს, საიდანაც აზოვის ზღვით კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. ისევ გაემგზავრა კრიტოსის კუნძულზე და იქ თურქების მიერ კანდიის აღების მომსწრე გახდა.

ეს ორმოცდაერთწლიანი მოგზაურობა ევლია ჩელებიმ აღწერა თავის ცნობილ მოგზაურობის წიგნში, რომელიც არასრულად გადათარგმნილია მრავალ ენაზე<sup>63</sup>.

ევლია ჩელების თხზულებიდან ნაწყვეტი რუსულად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ითარგმნა<sup>64</sup>. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ის ნაწილი, რომელიც მოლდავეთსა და უკრაინას ეხება რუსულად გამოქვეყნდა 1961 წელს<sup>65</sup>. ევლია ჩელების თხზულებიდან ცნობები სომხეთის შესახებ სომხური თარგმანითა და კომენტარებით გამოიცა 1967 წელს<sup>66</sup>. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ პირველი ტომიდან, რომელიც მთლიანად სტამბოლის აღწერისადგენია მიძღვნილი, ნაწყვეტი სტამბოლის ბედესტანების შესახებ ქართულად თარგმნა და

<sup>63</sup> Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 222. ევლია ჩელების შესახებ ძალიან მდიდარი ლიტერატურა არსებობს. იხ. ზოგიერთი მათგანი. Erkiñiç Cafer, Evliya Çelebi, Hayatı, Sanatı, Eserleri. İstanbul, 1954; M. Cavid Baysun. Evliya Çelebiye Dair Notlar. Tükriyat Mecmuası, Cilt XII, İstanbul, 1955. გვ. 257—264. И. Ю. Крачковский, Турецкая географическая литература XV—XIX вв... стр. 624—630. 1928 წ. 26 თებერვალი. «جمهوريت»، اوليا چلبی، محمد فواد، آادہ کوپريلي زاده

<sup>64</sup> Филипп Брун, Заметки турецкого туриста о состоянии Закавказского края около половины XVII века. «Кавказ», № 64, 65, 68, 1870, Тифлис; Филипп Брун, Неудачная осада Азова турками в 1611 году и занятие ими крепости по оставлению оной казаками. Записки Императорского Одесского Общества истории и древностей, т. VIII, отдел 1—2, 1872, Одесса, стр. 161—181. Филипп Брун, Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. Записки Императорского Одесского Общества истории и древностей. т. IX, Одесса, 1875, стр. 161—188. ამ უკანასკნელის თარგმანი, როგორც ფ. ბრუნი წერს, შესრულებულია მის მიერ ჰამერის ინგლისური თარგმანიდან. იხ. Narrative of travels' in Europe, Asia and Afrika. . . by Evliya Efendi etc. London, 1850, II. გვ. 59—67. А. Введенский, Примечания к путешествию Евлия-Эфенди. Записки Императорского Одесского Общества истории и древностей, т. X, Одесса, 1877, стр. 501—503.

<sup>65</sup> Э в л и я Ч е л е б и, Книжка путешествия, I, Земли Молдавии и Украины, М., 1961.

<sup>66</sup> Турецкие источники, III. Эвлия Челеби. Перевод с оригинала, предисловие и примечания А. Х. Сафрастяна. Ереван, 1967. [На армянском языке, резюме на русск. и англ. яз.]

თურქულ ტექსტთან ერთად შენიშვნებით გამოაქვეყნა დ. გულიაშვილი-გა<sup>67</sup>.

ველია ჩელები თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს დღიურებს ადგენდა და ჩანს, რომ დაკვირვების დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი უამრავ ცნობებს იძლევა მის მიერ ნანახი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების შესახებ. აღწერს ომებს, ქალაქის მოსახლეობას, სამეურნეო საქმიანობას. დაწვრილებით გადმოგვცემს ფოლკლორული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებს. მისი „მოგზაურობის წიგნის“ სრული თარგმანი არცერთ ენაზე არ არსებობს, მაგრამ ნაწყვეტების სახით მრავალ ენაზეა თარგმნილი. ველია ჩელების თხზულებას ბევრი მკვლევარი შეჰხებია. ჯერ კიდევ 1910 წ. აკად. ვ. ბარტოლდმა გამოაქვეყნა ნაშრომი მონღოლური წარმოშობის ტომის ყაითაყების ენის შესახებ, სადაც გამოყენებული ჰქონდა ველია ჩელების ცნობები<sup>68</sup>. აკად. ვ. გორდლევსკიმ ველია ჩელების ცნობების მოშველიებით შეისწავლა თურქეთში ამქართა ორგანიზაციის საკითხი<sup>69</sup>. სტამბოლის იუველიერების შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ვ. გარბუზოვამ<sup>70</sup>. იგი ამ ნაშრომში მთლიანად ეყრდნობოდა ველია ჩელების მიერ სტამბოლის იუველიერების შესახებ შემონახულ ცნობებს. ველია ჩელების ცნობების საფუძველზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიამ<sup>71</sup>. მანვე გამოაქვეყნა მეორე წერილი ლაზებისა და ლაზურის შესახებ ველია ჩელების ცნობების მიხედვით<sup>72</sup>.

ველია ჩელები XVII საუკუნის შუა წლებში იმოგზაურა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებშიც და მრავალგვარი ხასიათის არაერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. მის მრავალმხრივ ცნობებს ფასდაუღებელი ღირებულება აქვთ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად. საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ ცნობები ველია ჩელების „მოგზაუ-

<sup>67</sup> დ. გულიაშვილი, ველია ჩელების ცნობები სტამბოლის ბედესტანების შესახებ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. II, ვ. გაბაშვილის რედაქციით. გვ. 336—362, თბ., 1970.

<sup>68</sup> В. В. Бартольд. К вопросу о происхождении кайтаков. «Этнографическое обозрение», кн. 84—85, М., 1910, № 1, 2.

<sup>69</sup> В. А. Гордлевский, Из жизни цехов в Турции. «Записки коллег востоковедов». II, Л., 1927.

<sup>70</sup> В. С. Гарбузова, Элия Челеби о стамбульских ювелирах XVII в. Труды отдела Востока, III, Л., 1940.

<sup>71</sup> С. С. Джикия, Элия Челеби о мнигрельском и грузинском языках. «Советское языкознание», т. II, Л., 1935, стр. 109—128.

<sup>72</sup> ს. ჯიქია, ველია ჩელების ლაზებისა და ლაზურის შესახებ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, გვ. 243—255, თბ., 1954.

რობის წიგნის“ მეორე ტომშია თავმოყრილი, რომლის სრული, შესანიშნავი ქართული თარგმანი პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოაქვეყნა დოც. გიორგი ფუთურიძემ<sup>73</sup>.

დოც. გიორგი ფუთურიძემ ჯერ კიდევ 1958 წელს გამოაქვეყნა ნაწყვეტი ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომიდან, რომელიც თბილისის ციხის აღწერას შეეხებოდა<sup>74</sup>. ამჯერად კი ეს ნაწყვეტიც მთლიანად შევიდა მეორე ტომის ქართულ თარგმანში. ამ გამოაქვეყნებულ ცნობებზე დაყრდნობით სხვა სპარსულენოვან წყაროებთან შეჯერების შედეგად XVI—XVII სს. თბილისის ისტორიის საკითხებს საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა პროფ. ვ. გაბაშვილმა<sup>75</sup>.

ევლია ჩელებიმ „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომში დაწვრილებით აღწერა მის მიერ 1640—1648 წწ. მოვლილი ადგილები. ამ პერიოდში მან მრავალი ქვეყანა მოიარა, მათ შორის საქართველო და კავკასიის ქვეყნებიც.

ევლია ჩელებიმ თავის მეგობარ ოკჩუ-ზადე აჰმედ ჩელებისთან ერთად მოგზაურობა დაიწყო 1640 წელს. ამ წელს მან საბოლოოდ დატოვა სულთნის სასახლეც. იგი პირველად ბურსისაკენ გაემართა. მეორე ტომს იგი იწყებს სტამბოლიდან ბურსაში ჩასვლის აღწერით. ბურსა ოსმალეთის იმპერიის ძველი სატახტო ქალაქი იყო და ოსმალთა სულთანთა და წარჩინებულთა აკლდამებითა და მავზოლეუმებით იყო განთქმული. მისი ნახვა და გაცნობა ყოველი თურქისათვის საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. ევლიას თანამგზავრი პირდაპირ შენიშნავს, რომ ბურსაში „მრავალი სამაგალითო ძეგლებს დავათვალიერებთ, განსაკუთრებით კი, წმინდა ემირ სულთანის აკლდამას ვემთხვევით და გულებს გავინათლებთ“<sup>76</sup>.

ევლიამ ზუსტად ერთი თვე (1640 წლის 27 აპრილი — 27 მაისი) იმოგზაურა ბურსაში და დაწვრილებით აღწერა იგი. ევლია გადმოგვცემს ბურსის ისტორიას, მის შესახებ არსებულ ლეგენდებს, აღწერს

<sup>73</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ., 1971. იხ. ჩვენშია ამ წიგნზე: ნ. შენგელია, ახალი წყარო ქართული ისტორიოგრაფიაში. „ძნათობი“, № 6, 1973. ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.

<sup>74</sup> გ. ფუთურიძე, ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ. კრებული თბილისი 1500. გვ. 39—47, თბ., 1958.

<sup>75</sup> ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში. თსუ-ს შრომები. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, გვ. 251—261. თბ., 1962.

<sup>76</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი, გვ. 10, თბ., 1971.

ბურსის ნაგებობებს, სულთან ორხანის ჯამეს, იგი ცალ-ცალკე აღწერს სულთანთა და წარჩინებულთა ჯამეებს, მოყავს მათ შესახებ გადმოცემებიც. აღწერს ბურსის საქველმოქმედო ნაგებობებს, ვაჭართა ფუნდუკებს, აბანოებს, ბუნებრივ თბილ წყლებს, სასიერო ადგილებს, ოსმალ ფადიშაჰების წმინდა საფლავებს. მოკლედ გადმოგვცემს ოსმალ სულთანთა ისტორია. ევლია ვრცელ ცნობებს გვაწვდის უღებების ღვთისმოსავეებისა და დიდი წმინდანების შესახებ, აღწერს ბურსაში არსებულ ოსმალ უფლისწულთა წმინდა საფლავებს.

ბურსიდან დაბრუნების შემდეგ ევლიამ მოკლე ხნით იმოგზაურა იზმითში, აღწერა იგი და შემდეგ შეუდგა ხანგრძლივ მოგზაურობას ტრაპიზონისაკენ. ევლია ქეთხულად გაჰყვა ტრაპიზონში ვალის თანამდებობაზე დანიშნულ ქეთენჯი ომერ-ფაშას. 1640 წ. 19 აგვისტოს იგი გემით გაემგზავრა ბათუმისა და ტრაპიზონისაკენ. იგი შავი ზღვის სანაპიროებით მიდიოდა და გზად გავლილი დიდი თუ მცირე ნავსადგურები დაწვრილებით აქვს აღწერილი, გადმოცემული აქვს მათი აშენების ისტორია, მათზე არსებული ლეგენდები და ბოლოს თანამედროვე მდგომარეობა. მისი მარშრუტი სტამბოლიდან ტრაპიზონამდე დაახლოებით ასეთი იყო: ირვა-ამასრას ციხე — სინოპის ციხე — ბაფრა — სამსუნი — უნიეს ციხე — ვანის ციხე — გირესუნი — ტრაპიზონი. ამ მოგზაურობისას ყველა პუნქტი, სადაც მოუხდა ევლიას გავლა და გაჩერება, დაწვრილებით აღწერა. ევლია საყურადღებო ცნობებს იძლევა ლაზეთის სანჯაყის შესახებ. ევლია ტრაპიზონს ლაზიკის ძველი ვილაიეთის დიდ ქალაქსა და კეთილმოწყობილ ციხეს უწოდებს. იძლევა ტრაპიზონის ეტიმოლოგიას, მის ისტორიას. მისი სიტყვით, ტრაპიზონის ერთი სახელთაგანია „ქალაქი ქვემო ბათუმი“ და ერთიც „ლაზიკის ქალაქი“. ზოგნი „თარაფ ევსუნს“ („ჯადოსნური სიტკბოება“) უწოდებენ<sup>77</sup>.

ევლიას ცნობით, სულთან სულეიმან კანუნის (1520—1566) დროს ტრაპიზონი აღწერილ იქნა, მას ბათუმის სანჯაყიც შეუერთდა და ცალკე ვილაიეთი შეიქმნა. ტრაპიზონის ვილაიეთი ხუთი სანჯაყისაგან შედგება: ჯანპას, ქვემო ბათუმის, ზემო ბათუმის, გონიოსა და ტრაპიზონისაგან. ბათუმის ლივაში 13 ზიამეთი და 72 თიმარია<sup>78</sup>.

ევლია ჩამოთვლის იმ ტომებს, რომლებიც სულთან სულეიმან კანუნმა დაიმორჩილა ტრაპიზონში. ესენია აბაზას ტომები, რომლებიც ზღვის პირას ცხოვრობენ: ჯაჯები, არლან, ჩანდარალჯილი, დიდი ჭანბები. მისი სიტყვით სულ სამოცდაათი ტომი და გვარია, რომლებიც ოსმალეთის იმპერიას ემორჩილებიან.

<sup>77</sup> ე ვ ლ ი ა ი ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 81—82.

<sup>78</sup> ი ქ ვ ე, გვ. 82.



ევლია ჩელები იძლევა საყურადღებო ცნობებს ამ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველოს სამთავროების ტრაპიზონის ფაშასთან და საერთოდ ოსმალეთის იმპერიასთან პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმის გამოსარკვევადაც. იგი აღნიშნავს: „რადგანაც სამეგრელოსა და გურჯისტანის (სხვა) ბეგებიც მორჩილნი არიან, ყოველწლიურად მწვიდობიანობისა და მორჩილების დასადასტურებლად ორმოც-ორ-მოცდაათამდე ბიქსა და გოგოს, ათას წყვილ თივთიკის წინდას, სასახლის სამზარეულოსათვის ათას წყვილ ტილოს და სხვა მრავალ ძღვენს აგზავნიან და იწერება წიგნი პირობისა, რაც ტრაპიზონის ფაშებისადმი მორჩილებას გულისხმობს“<sup>79</sup>.

ევლიას ცნობით, ტრაპიზონის მოსახლეობის უმეტესობა ლაზებია. იგი ასახელებს ლაზი მამაკაცებისა და ქალების სახელებს, აღწერს მათ გარეგნობას: „მათ ლაჟღაჟა სახის ფერი აქვთ, რადგანაც მათი ქალები აბაზა, ქართველი, ჩერქეზი ტურფები არიან. მათი ვაჟები და ქალიშვილები ისეთი ლამაზები არიან, თითოეული მათგანი თითქოს მთვარის ნატეხია“<sup>80</sup>. ევლია ტრაპიზონის მოსახლეობას შვიდ ფენად ყოფს, აღწერს სახელოსნოებს, ოქრომკედლებს, ახასიათებს საქმელებს, მათ სანაქებო თევზებს.

ევლიამ ტრაპიზონში რამდენიმე თვე დაჰყო, საფუძვლიანადაც დაათვალიერა და ყოველმხრივ აღწერა. შემდეგ ოსმალთა მოხელეებთან და შეიარაღებულ ძალებთან ერთად ოცი ლაზური ნავით გაემგზავრა „გურჯისტანისა და სამეგრელოს მხარეებისაკენ“. ჰერ გონიომდე იმგზავრა ნავებით, გზად გავლილი სოფლები და იქ მოსახლე ლაზური ტომები აღწერა. ევლია ასახელებს ჩიჩუებისა და ჩღეთა(?) (ჩხეტიათა) საგვარეულოებს, რომლებიც ტრაპიზონიდან გონიომდე ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. ევლია აღწერს გონიოს და მსჯელობს მდ. ჭოროხის დიდ საეაჭრო მნიშვნელობაზე. იგი აღნიშნავს: „ლაზების ბევრ ნავს ამ მდინარის აღმა, აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიჰქვს მარილი, რკინეული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი. მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, ტყვე ქალიშვილებსა და ქაბუკებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ“<sup>81</sup>. მეტად საყურადღებო ცნობაა დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით. ევლია არაერთგზის გვაუწყებს იმ პერიოდში ქართველი გოგო-ბიჭებით ვაჭრობის, გასაჩუქრებისა და ძღვენად მირთმევის შესახებ. ევლიას ცნობებითაც დასტურდება დასავლეთ საქართველოში ტყვის სყიდვის მასობრივი შემთხვევები და ამ მანკიერი სოციალური ტენის ფართო

<sup>79</sup> ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 83.

<sup>80</sup> ი ქ ვ ე, გვ. 89.

<sup>81</sup> ი ქ ვ ე, გვ. 96.

გაერკელებულობა. ევლიას თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს არაერთხელ მოუხდა ქართველი გოგო-ბიჭების საჩუქრად მიღება თუ ყიდვა.

ევლიამ გონიოს ციხეში მისვლისას სამეგრელოს 70-მდე სოფელი დაათვალიერა და ისევ ტრაპიზონში დაბრუნდა. აქედან კი აზოვის ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად თან გაჰყვა გონიოს აღას — ზიზ გეჩი-ბაშის. ევლია ასახელებს და შეძლებისდაგვარად ვრცელ ცნობებს გვაწვდის დასავლეთ საქართველოს იმ საზღვაო ნავსადგურების შესახებ, სადაც მოუხდა გაჩერება აზოვზე სალაშქროდ მგზავრობისას. მას თან ახლდა ხუთი ქართველი ტყვე ბიჭი. იგი ხუთ ნავსადგურს ასახელებს სამეგრელოს საზღვრებში. ამ ნავსადგურებს „კეთილნაშენი ადგილები არა აქვთ. მხოლოდ ივლისში და ჭირნახულის აღების დროს სავაჭრო გემებს მოაქვთ მარილი, ჭურჭელი, იარაღი და გოგო-ბიჭებზე ცვლიან. მის მთებში ბალ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვისოდენი ჭარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა“<sup>82</sup>. როგორც ვხედავთ, მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებია XVII საუკუნის შუა წლების სამეგრელოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. სამეგრელოს ეს ხუთი ნავსადგური გონიოდან ერთ დღე-ღამეში გაიარა ევლიამ და მდ. ფაშას მიაღწია.

ევლია იძლევა ცნობებს მდ. ფაშას შესახებ. მისი სიტყვით, შიგ სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანაში მიმავალი ხომალდები შედიან. ასი მილის მანძილზე აღიან აღმა... აღმოსავლეთ ნაპირზე მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლებია. დასავლეთი ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა. რადგანაც (მდინარის) ორივე მხარე ბუჩქნარიანი და ტყიანია, აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები — აბაზებს და ვაჭრებს მიყიდნიან ხოლმე“<sup>83</sup>.

მდ. ფაშას გავლის შემდეგ ევლიამ შავი ზღვის სანაპიროებით აბაზას ქვეყანას მიაღწია. ევლია ჩერდება აბაზას ხალხის წარმოშობის საწყისებზე, აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომებზე. ევლია მდ. ფაშიდან 42 დღის სავალ მანძილს ანაპის ციხის ნავსადგურამდე აბაზათა ტერიტორიად მიიჩნევს. ევლია ჩამოთვლის და ახასიათებს აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომებს. იგი ასახელებს ჩაჩების, არლანის, ჩანდების, დიდი ჩანდების, გეჩიების, ართას, კამშის, სოჩას, ჯმბას, ბუზუდუკის, უსუვიშის, აშლილის, სოუკუსის, კუთასის ტომებს, საქის ქვეყანას, სოფელ ათმას. აქვე ასახელებს მთებში მოსახლე აბაზას ტომებს. ევლია მთაში და ზღვისპირზე მცხოვრები აბაზების ოცდახუთ ტომს ასახელებს, მო-

<sup>82</sup> ევლია ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 96.

<sup>83</sup> ი ქ ვ ე.

ყავს აბაზას ენის ნიმუშები, ეხება საბი აბაზას ენას. აბაზას ენა ევლიას ძნელად ეჩვენება. ძალზე ნიჭიერი გონების, კეთილშობილი, ნამდვილი და მიბაძვისუნარიანი მსახიობი უნდა იყო, რომ აბაზა ხალხთან საუბარი შეძლო“<sup>84</sup>.

ევლიას ვარაუდით, „მდინარე ფაშადან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ამ კუთასის ტომამდე აბაზთა ქვეყნის სიგრძე სრული ორმოცი კონაკია, სიგანე ხუთი კონაკი“<sup>85</sup>. ე. ი. ევლია აბაზთა სანაპირო ზოლად მიიჩნევს მდინარე ფაშადან კუთასის ტომის ადგილსაცხოვრებლამდე ტერიტორიას. სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის გავლისას, ევლიამ აბაზას ბიჭი იყიდა. ევლიას მთელი თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის პერიოდში ყოველთვის თან ახლდა ქართველი გოგო-ბიჭები. იგი ძალიან ხშირად რომელიმე ქვეყანაში მისვლისას დიდი პატივისცემის ნიშნად საჩუქრად იღებდა — ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ქართველ გოგო-ბიჭებს. ევლიას ქართველი გოგო-ბიჭებით დასაჩუქრება მიაჩნია დიდ პატივად და საუყუეთესო ძღვენად.

ევლიამ აბაზთა ქვეყნიდან ანაპამდე იმოგზაურა, აღწერა ანაპის ციხე. ანაპის ყუჩრიდან ოსმალთა კატარლით აზოვის ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. ევლია ხსნის აზოვის ლაშქრობის მიზეზებს, აღწერს ამ ლაშქრობას, ოსმალთა ჯარის წარუმატებლობას, აზოვის აუღებლად ლაშქრის უკან მიბრუნებას. ევლია ჩელები აზოვიდან უკან დაბრუნდა და ყირიმის ხანს გაჰყვა ყირიმში. ყირიმიდან ზღვით სტამბოლს მიმავალ ევლიას დიდი უბედურება დაატყდა თავს, გემი ჩაიძირა და ივი გამლილ ზღვაში პატარა ფიცრის ამარა გზაზე ნაჩუქარ რამდენიმე ქართველ გოგო-ბიჭთან ერთად მარტოდ დარჩა. მთელი სიმდიდრე დაკარგა, 18 მონა დაეხრჩო, თვითონ საოცრად გადარჩა. ევლია დაწვრილებით აღწერს თავის თავგადასაუვალს<sup>86</sup>.

სტამბოლში დაბრუნებული ევლია რამდენიმე წლის შემდეგ, 1645 წელს მალტას ლაშქრობაში იღებს მონაწილეობას. ამ ლაშქრობაში იგი სარდლის მუეძინთა უფროსი იყო. ევლია საგანგებოდ აღწერს ომის სამზადისს, კუნძულ კრიტოსს, ომის მსვლელობას. იქვე გვიყვება მამამისის ნაამბობს ოსმალთა მიერ კუნძულ კრიტოსის დაპყრობის შესახებ.

კუნძულ კრიტოსიდან დაბრუნების შემდეგ ევლია არზრუმში ინიშნება საბაქოს ქათიბად და მუეძინბაშად, სადაც იგი 1646 წელს გაემ-

<sup>84</sup> ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 108. Г. З. Ашчабадзе. Сведения Эвлии Челеби об Убыхах-Садзах. Всесоюзная научная конференция молодых востоковедов (тезисы докладов). 1—4 октября 1973 г., Тб., стр. 30.

<sup>85</sup> ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 108.

<sup>86</sup> აიქვე, გვ. 123—127; ევლია ჩელები, „სეიპათ ნამე“ (მოგზაურობის წიგნი). თარგმანი გ. ფუთურძისა. არმლანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ. 1965. გვ. 210—218.

გზავრა. არზრუმისკენ მიმავალი ევლია გზად ყველაფერს აღწერს, მოგვითხრობს თითოეული გეოგრაფიული პუნქტის შესახებ. ამჭერად ევლია სტამბოლიდან არზრუმისკენ სახმელეთო გზით გაემგზავრა. გზად გაიარა ამასია, ნიკსარი და სხვ. დასახლებული პუნქტები და მათ შესახებ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა. ევლიასა და მასთან ერთად მიმავალ ფაშას ერთ-ერთ სოფელში დიდი შეხვედრა მოუწყვეს და სხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად ხუთი ქართველი ბიჭიც მიაერთვეს<sup>86</sup>. არზრუმში ჩასულმა ევლიამ საგანგებოდ აღწერა არზრუმის ვილაიეთი. საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა არზრუმის სოციალურ-ეკონომიური, ადმინისტრაციული, ეთნიკური და სხვა ხასიათის საკითხების გასათვალისწინებლად.

არზრუმის ვილაიეთში სამსახურის დროს ევლია არ უშვებდა რაიმე შემთხვევას და ხანგრძლივად მოგზაურობდა ახლო-მახლო პროვინციებში, მეზობელი ტერიტორიების დამორჩილებაშიც მონაწილეობდა. იგი ვილაიეთის ლაშქართან ერთად ქურთისთანში გაემგზავრა შუშიქის ციხის დასაპყრობად. გზად ყველაფერი აღწერა. კერძოდ, ჰასან-აბადის, ჰასან-ყალას, ჩობან-ქოფრუს, ხნუსიასა და მაქუს ციხეების შესახებ დაგვიტოვა ცნობები. შემდეგ ევლია ერევნისა და ნახჭევნისაკენ გაემართა და ვრცლად აღწერა კორმის, უჩ-ქილისას, ყარაბაღისა და ნახჭევნის ციხეები. აქედან ევლიამ თავრიზისაკენ აიღო კურსი და დიდი გულსყურით მოგვითხრო თავრიზის შესახებ. ასევე საგანგებოდ ჩერდება იგი მის მიერ ნანახი მნიშვნელოვანი ქალაქებისა და ციხეების შესახებ. იგი გვიყვება ქალაქ მარაღას, უჯანის, ქეჰრევანის ციხის, ირანის ძველი დედაქალაქის — არღებილის შესახებ. ამ ადგილების დათვალეობისას ევლია არაერთგზის დაასაჩუქრეს ქართველი ბიჭებოთ.

ევლია თავრიზის ვილაიეთიდან ერევნისაკენ გაემართა. ერევანს იგი აზერბაიჯანის ციხედ მიიჩნევს და ხოჯათა ქალაქს უწოდებს. ვრცლად გადმოგვცემს ერევანის აშენების ამბავს. მართალია, ევლია საერთოდ ძალიან სუსტია ისტორიული მოვლენების გადმოცემისას, იგი ნახევრად ზღაპრულ ვითარებაში გადმოსცემს ამა თუ იმ ციხის აშენების თუ არსებობის ისტორიას, მაგრამ თავისთავად ჰაინტერესო და საყურადღებოა მის მიერ გადმოცემული ისტორიული ფაქტები, ევლია ჩელების, როგორც ისტორიკოსის დასახასიათებლად.

ევლია ერევნიდან ბაქოს გაემგზავრა და გზად ვანჯის ციხე და ქალაქი არეში აღწერა. მისი ცნობით არეშის „დიდკაცების ცოლები წარმოშობით გურჯისტანის, დაღიანის, აჩიკ-ბაშის და შავშეთის ტომთა ქალები არიან“<sup>87</sup>. არეში მას დაღესტანსა და საქართველოს შორის მღე-

<sup>86</sup> ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 191.

<sup>87</sup> ი ქ ვ ე, გვ. 269.

ბარე დიდ სახანოდ მიაჩნია<sup>88</sup>. ევლია აღწერს შაქის ციხეს, მას საქართველოს ტერიტორიაზე შემავალ პუნქტად იხსენიებს. შემდეგ აღწერს ით-თილისა და კაითაკების ტომებს, შემახის ციხეს და ბოლოს ბაქოს შესახებ გვიყვება. ევლია ბაქოში დიდი პატივით მიიღეს და აქაც მას სხვა საჩუქრებთან ერთად ქართველი ბიჭები გადასცეს ფაშას მისართმევად.

ევლია ბაქოს ციხიდან საქართველოსკენ გაემგზავრა. გზად აღწერა შაბურანის (დარუბანდის) ციხე, სადგური გორა, საზღვარზე მდებარე უღუდის ციხე და ბოლოს თბილისს მიაღწა.

ევლია მსჯელობს თბილისის წარსულის შესახებ, იგი თბილისზე ნახევრად ლეგენდარულ ამბებს გადმოგვცემს, უფრო ოსმალეთთან ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს ეხება. შემდეგ აღწერს თბილისის ციხეს. მისი სიტყვით თბილისის „დიდი ციხის გარშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია, მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყურთაა. საშოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. ერთი ხიდიანი კარი აქვს. თხრილი არა აქვს. მდინარე მტკვარს ერთი წყლისთვის განკუთვნილი, ხერელიანი კოშკი გადაჰყურებს. ალყის დროს იქიდან იკლავენ წყურვილს. გალანის შიგნით ექვსასი ბანიანი სახლია. ხანის სასახლე ამ ციხეშია, ჯამე, ქარვასლა, აბანო და მცირე ბაზარი აქვს<sup>89</sup>. შემდეგ ევლია აღწერს მეტეხის ციხეს, ქალაქის მეურნეობის დარგებს, ბუნებრივ ცხელ წყლებს. ევლიამ საფუძვლიანად აღწერა ქალაქი, მის მიერ მოცემული ცნობები თბილისის შესახებ დღეისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს.

ევლია თბილისიდან მცხეთას გაემგზავრა. „ორას თანამგზავრთან ერთად სამი თუმანი აბასური ფული გზის სახარჯო მივიღეთ. სამხრეთისაკენ ვიწრო გზებით ვიარეთ და ოთხ საათში მცხეთის ციხემდე მივედით“<sup>90</sup>. მცხეთიდან ევლია გორზე გავლით სურამის ციხეში მივიდა. მოკლედ მოგვითხრობს გორისა და სურამის ციხეების შესახებ. სურამის ციხიდან ევლია აწყურისკენ გაემართა. ძუნწად გვიყვება აწყურის შესახებ.

ევლიას მოყავს მაგალითები შავშეთის ქართველთა მეტყველები თავისებურებების შესახებ. იგი ცდილობს ლეგენდებისა და გადმოცემების მოშველიებით ისტორიული ექსკურსები გააკეთოს. გადმოცემების გზით ეხება საქართველოს მეფეთა წარმომავლობას, ისტორიას, ქალაქთა აშენების ამბებს.

აწყურიდან ევლია ახალციხეს გადავიდა. მან ახალციხის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობა დაგვიტოვა. ევლია

<sup>88</sup> ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 269.

<sup>89</sup> ი ქ ვ ე, გვ. 295.

<sup>90</sup> ი ქ ვ ე, გვ. 296.

ჩამოთვლის ახალციხის სანჯაყებსა და ხასებს, თითოეულ სანჯაყში შემავალ ზეამეთებსა და თიმარებს. მათი შემოსავლის რაოდენობას ახ-ჩებში. ევლიას ცნობით, ახალციხის სანჯაყებია: „ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაქარაქი, არტაანი, ფოცხოვი, შაქახელა, ახალციხე — ფაშას სამყოფელი სანჯაყია, ფერთეგრეკი, ლივანა, მკირე ლივანა. შავშეთის სანჯაყები იურთლუქი და ოჯაქლიქებია და მულქეთის წესით არის მფლობელობაში“<sup>91</sup>.

ევლია აქებს ახალციხის მოსახლეობას, მის ფაშას, მან იცის, რომ ახალციხის ფაშა წარმოშობით ქართველია, იგი „გულადი, უნარიანი, ნოასპარეზე აღამიანი იყო და ასევე, მისი ქეთხუდა ღერვიშ-ალაც ქართველის ჩამომავალი, კეთილშობილი ვაჟკაცი იყო“<sup>92</sup>. ევლია ასახელებს ახალციხის საფაშოში შემავალ ციხეებს და მოკლედ ახასიათებს მათ. კერძოდ იგი ასახელებს: ხერთვისის ციხეს, ჭაქარაქის ციხეს, ქაჯის ციხეს, ქალის ციხეს, ოქროს ციხეს, ციხე ოდორიას, ალის ციხეს, ფოცხოვის ციხეს, შავშეთის ციხეს, ციხე ხარებას, არტანუჯის ციხეს, ციხე „უხთეჯის“ და ჯაყისმანის ციხეს.

ევლია საფარ ფაშასაგან დიდად დასაჩუქრებული, რომელთა შორის ორი ქართველი ბიჭი და ქართული წიგნი იყო, ახალციხიდან არზრუმისაკენ გაემართა. გზად ყარა-არტაანისა და არტაანის ახლო-მახლო მდებარე არაერთი ციხე მოიხილა, მოკლედ აღწერა და არზრუმს ჩავიდა. ევლია არზრუმში დიდხანს არ დარჩენილა. იგი ფაშას დავალებით ათი დღის შემდეგ ისევ გაიგზავნა ერევნისკენ. ევლიას მოგზაურობიდან აშკარად ჩანს, რომ ერევნის ხანს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ამ დროს არზრუმის ფაშასთან. ერევნიდან დაბრუნებულმა ევლიამ მეგობრობის წერილი და საჩუქრები მიართვა არზრუმის ფაშას. იმავე ერევნის ხანის თხოვნით ხელმეორედ გაიგზავნა ევლია ერევანს, რათა ერევნის მოქარავენეები უზრუნველყო ყარსის ჯარის თავდასხმისაგან და ქარავეანი არზრუმს მშვიდობიანად ჩაეყვანა<sup>93</sup>.

1647 წელს ევლია ყარსის მიმართულებით გაემგზავრა და გზაზედ ყოველი დასახლებული პუნქტი და ისტორიული ნაგებობა აღწერა. მან გაიარა და აღწერა ჰასან-კალე, ბასიანი, მეჯინკერტის ციხე, იედი ქილისა, ბარდუზის ციხე, გეჯკოვან დუდმანის ციხე, ზოლოს აღწერა ყარსის ციხე. ყარსიდან ევლია ისევ ახალციხეში დაბრუნდა, საიდანაც ყალიზმანში გადავიდა, აღწერა ეს ციხე და ყალიზმანიდან ერევნისკენ მიმავალმა ევლიამ სხვა საჩუქრებთან ერთად ისევ ორი ქართველი ბიჭი მიიღო. ევლიამ გაიარა ზარუშატის ციხე, ეჩმიადინი და მეორედ მივიდა.

<sup>91</sup> ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 299.

<sup>92</sup> ი ქ ვ ე, გვ. 301.

<sup>93</sup> ი ქ ვ ე, გვ. 305.

ერევანს. როგორც წესი გზად ყველაფერი საგანგებოდ აღწერა. ერევანის ხანმა ევლია დიდი პატივით მიიღო. ერევნიდან კვლავ არზრუმს დაბრუნებულმა ევლიამ ისევ აღწერა უკან მგზავრობა. მან არზრუმის ფაშას დავალება პირნათლად შეასრულა, ერევნის ხანის საჩუქრები და სამას აქლემიანი ქარავანი არზრუმის ფაშას ჩააბარა.

ევლია ერთ ხანს ისევ განაგრძობდა არზრუმის ფაშასთან სამსახურს. იგი საბაჟოს ქათიბი იყო. არზრუმში სამსახურის დროს მას უნებლიეთ უხდებოდა მოგზაურობა და კონტაქტების დამყარება საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან. იგი მას იყენებდა კიდევ თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ევლია ყველაფრის რეგისტრაციას ახდენდა.

არზრუმის ფაშას დავალებით ევლია გაიგზავნა ბაიბურთის, ჯანჯას, ისპირის, თორთუმისა და ახჩა-ყალას მიმართულებით, რათა გაეფრთხილებინა ადგილობრივი გამგებლები ჯარის შეკრებისა და საქართველოზე თავდასხმისათვის მზადყოფნის თაობაზე. ამ მისიის შესრულების დროს ევლიამ მოიარა ისტორიული საქართველოს ტერიტორიები — ისპირი, თორთუმი, ახჩა-ყალა და სხვ. მათ შესახებ დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები. ევლია დაწერილებით აღწერს ოსმალეთის განაპირა პროვინციების გამგებელთა გაერთიანებულ ლაშქრობას სამეგრელოში, მათ გამანადგურებელ საქმიანობას, ოსმალთა ამ ლაშქრობაში ახალციხის ფაშას მონაწილეობას, სამეგრელოს მძიმე მდგომარეობას. ევლიას ცნობით, ოსმალთა ამ ლაშქრობის დროს სულთნის ლაშქარმა „300 მეგრელი დაატყვევა და 700 მოკლა. ისლამის ჯარი სიმიდირითა და ნადავლით აიკისო. ბრძოლის დროს დატყვევებული ბიჭები და ქალიშვილები ძღვევამოსილ სარდალს ჩააბარეს“<sup>94</sup>. ევლია თვითონ იყო სამეგრელოში ოსმალთა ლაშქრის თარეშის მონაწილე. მისი სიტყვით, ამ შემოსევის დროს „გურჯისტანის და სამეგრელო თავიდან ბოლომდე დაპყრობილ-დამორჩილებულ იქნა. მათი ბეგები ყაზი სეიდი აჰმედ ფაშასთან საჩუქრებით მოვიდნენ“<sup>95</sup>. ჩანს, რომ ოსმალთა ლაშქრის ამ შემოსევის შედეგად საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთთან კვლავ ინარჩუნებენ დამოკიდებულების გარკვეულ ფორმას — საჩუქრებისა და ძღვენის მირთმევით კმაყოფილდებოდნენ.

სამეგრელოს აღწერისას ევლიას მოაქვს მეგრულის ნიმუშები, ახასიათებს სამეგრელოს კილო-კავს, სოფლის მეურნეობის დარგებს. ოსმალთა ლაშქრის სამეგრელოზე თავდასხმის შემდეგ ევლია არზრუმს დაბრუნდა და გარკვეულ ხანს იქ მსახურობდა. 1648 წელს ევლია სტამბოლში დაბრუნდა. ეს მგზავრობაც ევლიამ შესანიშნავად

<sup>94</sup> ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 331.

<sup>95</sup> ი ქ ე ე, გვ. 332.

გამოიყენა და ვრცლად აღწერა ოსმალეთის იმპერიის მთელი რიგო გეოგრაფიული და ისტორიული პუნქტები. ამით მან შესანიშნავი სამსახური გაუწია საკუთრივ ოსმალეთის ისტორიის მკვლევართ. არზრუმიდან სტამბოლს დაბრუნებული ევლია წმინდა ადგილების მოსალოცად გასამგზავრებლად მოემზადა და სილაპდარ მურთაზა ფაშას მუეძინთა უფროსი გახდა. მან დამასკო მოიარა.

აქ ძნელია ყველა იმ საკითხზე მსჯელობა, რომლებსაც ევლია განიხილავს თავისი „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მასში დაცული ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. ევლიამ, როგორც ვნახეთ, თვითონ მოიარა საქართველოს ტერიტორიები, იყო მრავალი პოლიტიკური მოვლენის მომსწრე და უშუალო მონაწილე. მის მიერ აღწერილი ისტორიული ღირებულების მქონე ამბები ძალიან ბევრია ნაშრომში და მისი გათვალისწინება ისტორიის მრავალი დარგის მკვლევართათვის უთუოდ საჭიროა.

ევლია ჩელების თანამედროვეა ჰეზარფენ ჰუსეინ ეფენდი (+ 1691). იგი წარმოშობით ისტანბულიდან იყო, სწავლა-განათლება სტამბოლში მიიღო და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა. ერთ ხანს სახელმწიფო სამსახური დაიწყო, შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მან მეცნიერების სხვადასხვა დარგში არაერთი საინტერესო ნაშრომი დატოვა. ჰეზარფენი ცნობილია თავისი ფართო და მრავალმხრივი განათლებით. მას მუნეჯიმ-ბაშისთან ერთად ეკუთვნის ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელოები.

ჰეზარფენის ისტორიულ თხზულებაში<sup>96</sup> უხვადაა გამოყენებული წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომები. ავტორმა იგი 1670—1672 წწ. დაასრულა. მისი თხზულება მთელს ისლამის მეცნიერულ სამყაროში ითვლება ერთადერთ ნაშრომად, რომელშიც უშუალოდ, პირდაპირაა გამოყენებული ლათინური და ბიზანტიური წყაროები. იგი არაბულ და სპარსულ წყაროებსაც იყენებდა. ჰეზარფენის ისტორიული თხზულების ხელნაწერი ნუსხები თურქეთის სხვადასხვა წიგნთსაცავებში ინახება<sup>97</sup>. მისი თხზულება რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, ამბები გადმოცემულია უძველესი დროიდან ვიდრე მის თანამედროვე ამბებამდე. იგი ფართოდ ჩერდება მსოფლიო ისტორიის, ევროპისა და

<sup>96</sup> ١٦٧٣، قاهر تنقيح التواريخ ჰეზარფენის თხზულების მიხედვით ოსმალეთის ისტორიის საკითხებზე შენიშვნები გააკეთა რობერტ ანჰეგერმა. იხ. Robert Anhegger, Hezarfen Hüseyin Efendi'nin Osmanlı Devlet Teşkilâtına Dair Mülâhazaları. Türkiyat Mecmuası. Cilt X. 1951—53. İstanbul, 1953, გვ. 365—395.

<sup>97</sup> İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, 1 fasikül, 1943. İstanbul, გვ. 31—35.



ამერიკის ქვეყნების ისტორიის საკითხებზე. თხზულების მეხუთე თავში ოსმალთა სულთნების ისტორიაა გადმოცემული დასაწყისიდან ვიდრე მეტამედ IV-ის სულთნობის შუა წლებამდე, იგი ამბების თხრობას 1672 წლით ამთავრებს<sup>98</sup>.

ჰეზარფენ ჰუსეინ ეფენდის თანამედროვე იყო აბდურრაჰმან აბდი ფაშა, იგი სტამბოლში დაიბადა და გაიზარდა. აბდი ფაშა ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ისტორიოგრაფი ე. წ. ვაკა ნუვისთაგანი იყო. მის მიერ შედგენილი ისტორია მოიცავს 1648—1682 წლების ამბებს.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ისეთი ცნობილი ოსმალთა ისტორიკოსი, როგორც იყო აჰმედ იბნ ლუთფულლაჰი (1631—1702), რომელიც მუნეჯიმ-ბაშის სახელითაა ცნობილი, რაც „მთავარ ასტროლოგს“ ნიშნავს. იგი წარმოშობით სალონიკელი თურქი იყო. მამამისი — ლუთფულლაჰი ყარამანის ვილაიეთიდან სალონიკში გადასახლდა და ხელოსნობას მიჰყო ხელი. მამამ პატარა აჰმედიც თავის სახელოსნოში წაიყვანა, მაგრამ მან იმთავითვე გამოამჟღავნა დიდი ინტერესი სწავლისადმი, რის გამოც მეველეველთა სკოლაში მიაბარეს. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ სალონიკის მუფთისგან ისმენდა ლექციებს. 23—24 წლის ჰაბუკი სტამბოლში ჩავიდა და გალათას მეველეველთა სახლში — შეიჰ არზი დედე ეფენდისთან დაიწყო სამსახური, ამასთანავე ისმენდა თავისი დროის უდიდესი სწავლულისა და შემდეგში შეიხ ულ-ისლამის — მინჯარი ზადე იაჰია ეფენდის ლექციებს. მან თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო. იგი მალე დაეუფლა მათემატიკასა და ასტროლოგიას. სულთნის კარის მთავარი ასტროლოგის გარდაცვალების შემდეგ აჰმედი 1667 წელს დანიშნეს სულთნის კარის მთავარ ასტროლოგად, როგორც საკმაოდ განსწავლული ასტრონომისა და ასტროლოგიის საკითხებში. 1687 წ. იგი გაგზავნეს ეგვიპტეში, იქიდან წავიდა მექაში და გახდა სასულიერო პირი — შეიხი. მან იმოგზაურა მედინაში.

მუნეჯიმ-ბაშის ეკუთვნის არაბულ ენაზე შედგენილი თხზულება „ჯამი აღ-დუვალ“ („დინასტიათა კრებული“). ეს თხზულება ძირითადად წარმოადგენს კომპილაციას, წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებში დაცული ცნობების კრებულს. მიუხედავად წყაროს ასეთი ჩასიათისა, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მახლობელი აღმოსავლეთის

<sup>98</sup> ჰუსეინ ჰეზარფენის ბიოგრაფიისა და თხზულებათა შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 228—231. Yeni Tarih Dergisi, № 44. 1960. გვ. 2313—2314. ჰუსეინ ჰეზარფენის თხზულება ჯერ კიდევ XVII ს-ის მიწურულს ითარგმნა ფრანგულ და იტალიურ ენებზე. Francois Pe'tis de la Groix, Etat General de L'Empire Ottoman. Paris. 1695. Giovanni Batista, Donado, Della Letteratura de Turchi: Venedik, 1688.

ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ღირებულებას ზრდის ის, რომ მას გამოყენებული აქვს 70-ზე მეტი დასახელების პირველწყარო, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ამ შრომის მაღალი მეცნიერული ღირებულება იყო აღბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1720—1730 წლებში ითარგმნა თურქულად, სათაურით „საჰა-იფ-ალ-აჰბარ“ („ცნობათა ფურცლები“). ეს თარგმანი პირველად სტამბოლში დაიბეჭდა სამ ტომად 1868 წელს<sup>99</sup>. სამივე ტომი დაახლოებით 2.200 გვერდს შეადგენს.

მუნეჯიმ-ბაშის სამტომიანი თხზულება წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებს. მასში ავტორს გადმოცემული აქვს მრავალი დინასტიის, პოლიტიკური წარმონაქმნისა და ცალკეული საამიროს ისტორია. ავტორი თხრობას იწყებს უძველესი დროიდან. II—III ტომებში ავტორს გადმოცემული აქვს საინტერესო ამბები XI—XVII სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის თვალსაზრისით.

მუნეჯიმ-ბაშის თხზულების არაბული ტექსტის შესწავლისა და თარგმნა-კომენტირების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილმა ორიენტალისტმა ვ. მინორსკიმ<sup>100</sup>. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტები შედადიანთა დინასტიის შესახებ ითარგმნა სომხურ<sup>101</sup> და რუსულ ენებზე<sup>102</sup>. მუნეჯიმ-ბაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულების, როგორც წყაროს მნიშვნელობის შესახებ საყ-

---

<sup>99</sup> ۱۳۸۵ ، استانبول ، جلد ۱ - ۳ ، صحائف الاخبار ، منجم ناشی ، مუნეჯიმ-ბაშის თხზულების თურქული თარგმანი ლათინიზებული შრიფტით სტამბოლში გამოქვეყნდა 1940 წ., მაგრამ, სამწუხაროდ, სსრ კავშირის წიგნსაცავებში ამ გამოცემას ვერ მივაკელიეთ. იხ. Müneccim-Başı, Camı ud-Duvel. Türk. terc. H. F. Turgal. nŞr. M. Atsız. Istanbul, 1940. ასევე ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტების თურქული თარგმანი, რომელიც ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ეხება. იხ. H. F. Turgal, Anadolu Selçukileri Müneccim-Başıya Göre, Istanbul, 1936.

<sup>100</sup> V. Minorsky, Studies in Caucasian History. «Cambridge Oriental Series». London. 1953. № 6.; V. Minorsky, A History of Sharvan and Darband. Heffer, Cambridge. 1958.

ამ შრომის რუსული თარგმანი ა. ა. ალი-ზადეს შესავალი წერით იხ. В. Ф. М и н о р с к и й, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963.

<sup>101</sup> А. А. Т е р - Г е в о н д я н, Сведения анонимного источника XI—XII вв. о Шеддадих Двина и Гандзак в историческом сочинении Мунедджим-Баши. «Вестник Матенадарана». 6, Ереван, 1962.

<sup>102</sup> А. ДЖ. М а м е д о в, Ахмед ибн Лютфуллах (Мунадджим-Баши) «Джам-и ад-дувал. . .», Труды Института истории АН Азерб. ССР, XII, Баку, стр. 205—251. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ამ ნაწილის შესახებ იხ. აგრეთვე В. Ф. М и -

მაოდ საინტერესო ლიტერატურა არსებობს<sup>103</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მუნეჯიმ-ბაშის ცნობებს XI—XIII სს. თბილისის ისტორიის შესახებ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქცია და იგი ქართულ და სხვა აღმოსავლურ პირველწყაროებს შეუჯერა რ. კიენაძემ<sup>104</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის საქართველოს შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება. მის თხზულებაში უზვად არის გაბნეული ცნობები XI—XVII სს. საქართველოს შესახებ. მუნეჯიმ-ბაში საინტერესო ცნობებს გვაწვდის სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობაზე, აგრეთვე მცირე აზიის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების საქართველოსთან დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით ვრცლად აქვს გადმოცემული ოსმალეთთან საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მომენტები. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შესახებ. ეხება ოსმალეთში მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობას. ამ შემთხვევაშიც ავტორი წინამორბედ და თავის თანამედროვე ოფიციალურ ოსმალ ოსტორიკოსებს — აჰმედ ჰასან ბეი-ზადეს (+ 1636 წ.), მეჰმედ სოლაჟ-ზადეს (+ 1658 წ.), ჰუსეინ ჰეზარფენის (+ 1691 წ.) და სხვათა ნაშრომებს ეყრდნობა. ხშირად ამა თუ იმ ცნობებს, რაც სხვებთან ვრცლადაა მოთხრობილი, იგი მოკლედ გადმოგვცემს.

როგორც აღვნიშნეთ, მუნეჯიმ-ბაშის მეტად საინტერესო და უზვი

---

и о р с к и й, Русь в Закавказье. Acta Orientalia, 1953. t. III. fascic. 3. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ნაწყვეტები ყარა-ხანილების შესახებ ჯერ კიდევ XIX ს. ითარგმნა რუსულად. იხ. В. В. Г р и г о р ь е в, Караханды в Мавераннахре по тарихи Мунедджим-Баши. СПб., 1874. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების აზერბაიჯანული თარგმანი ინახება აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივში. იხ. Мунэччим баши А. А. Мэнэммэдовуп тэрчумэси, Азерб. ССР. ЕА Тарих Институтунун елми архиви. ИШ № 30—35.

<sup>103</sup> N. Alsiz, Münecsim-Başı Şeyh Ahmed Efendi, Hayati ve Eserleri, İstanbul, 1939. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. 234—235. Kramers, EI, bd. III. 1937. 779—780 M. Taayib Gökbilgin, Münecsim-Başı. Islâm Ansiklopedisi, c. VIII. cüz. 89. 1960. გვ. 801—806. Yeni Tarih Dergisi, № 44. 1960. გვ. 2312. В. В. Б а р т о л ь д, О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Каира. Записки Восточного отделения Императорского Общества т. XVIII, вып. IV. 1908, СПб., стр. 124—137. В. В. Б а р т о л ь д. Иран. I. 1927. Академик И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957, стр. 633. А. Н. Т е р - Г е в о н д я н, Еремия Челеби Кемюрчян как один из источников Мунеджима Баши (сообщения и публикации). Известия АН Арм. ССР, Общественные науки, 1960. № 7—8, стр. 143—151 (на арм. языке, резюме на русск. и англ. яз.).

<sup>104</sup> რ. კ ი ე ნ ა ძ ე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, თბ. 1960, გვ. 110—119.

ცნობები მოეპოვება XI—XVII სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ, რომლის ქართული თარგმანი ჩვენ შევესრულეთ<sup>105</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის უმცროსი თანამედროვე და სულთნის კარის პირველი ოფიციალური ქამთააღმწერელი იყო მუსტაფა ნაიმა (1655—1716). მუსტაფა ნაიმას დროიდან ოსმალეთის იმპერიის სასულთნო კარზე შემოღებულ იქნა ოფიციალური ქამთააღმწერლის თანამდებობა და იგი XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე არსებობდა. ნაიმას შედგენილი აქვს ოსმალეთის ისტორია (تاریخ عثمانی)، რომელიც მოიცავს პერიოდს 1591 წლიდან ვიდრე 1660 წლამდე. იგი ოთხჯერ გამოიცა სტამბოლში<sup>106</sup>.

<sup>105</sup> თურქული ტექსტი ქართული თარგმანით (ხელნაწერის სახით) ინახება საქ. მეც. აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში (სულ ორმოცი თაბახი). აქედან ერთი ნაწყვეტი დაბეჭდილია, იხ. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, გვ. 133—152, თბ. 1968.

<sup>106</sup> ნაიმას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულების შესახებ იხ. Fr. Babin-ger, დასახ. ნაშრ., გვ. 245—246. Ali Cänib (Yön Tem), Naïma Tarihi, Istanbul, 1927. Ahmed Refik, Naïma: Istanbul. 1932.; Ahmed Refik (Altınay), Menfa'da Naïma Efendi, Tarihi Osman-i Encümeni Mecmuası, Yeni Seri, 24/101, 51—5, Istanbul. Y, 1931.; Elmas Tahtacı, Naïma Tarihinin III cildinin Yedeği, Edebiyat Fakültesi Tarih Semineri, No. 418, 1947.; Naïma, Hayatı, Sanatı, Eserleri. Hazırlıyan Asaf Hâlef Çelebi. Istanbul, 1953.; M. Cavid Baysun, Naïmâ, İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 90. 1960, Istanbul, გვ. 44—49.; უკანასკნელ ხანებში ნაიმას თხზულების პირველი ტომი ლათინურულად შრიფტით დაიბეჭდა სტამბოლში. იხ. Naïmâ Tarihi, birinci cilt. Istanbul. 1967. (Tarihi Naïmâ Ravzat el-Hüseyn fi Hulâsat Ahbar el-Hafikayn cild-i evvel). «كوریلی زاده محمد فواد نعیماء جمہورت»، 1928 წ. 27 თებერვალი. M. Münir Aktepe, Naïma Tarihinin Yazma Nüshaları Hakkında. Istanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi. Cilt I, sayı I. 1949. Istanbul. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloğları. . . 2 fasikül. 1944. Istanbul. გვ. 200—207. В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках. СПб., 1903, стр. VII.

ნაიმას თხზულებაში დატული ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნილია ქართულად და მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი—ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი — ხელნაწერის სახით ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში. იხ.: ს. ქიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. ენიშკის შობაზე, XIII, 1942. თბ. გვ. 206—207; ს. ქიქია, ეპიზოდი XVI ს. საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31, თბ. 1954. ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ. 1960. ნაიმას თხზულებიდან გიორგი სააკაძის შესახებ ა. საფრასტიანის მიერ შესრულებული თარგმანის ხელნაწერით ისარგებლა პროფ. ს. კაკაბაძემ და მასზე დაყრდნობით გამოაქვეყნა

მუსტაფა ნაიმა დაიბადა ალეპოში, იგი სტამბოლში მსახურობდა სასახლის ბალთაჯიების ოჯახში, შემდეგ დივანში სამდივანმწიგნობროში დაიწყო სამსახური, ბოლოს გახდა სულთნის კარის ისტორიკოსი. 1713 წლის მორავის ლაშქრობაში სილაჰდარების მოანგარიშედაც მსახურობდა. სულთნის კარზე სხვადასხვა თანამდებობის შესრულების დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც განათლებულმა და დაკვირვებულმა ადამიანმა.

მუსტაფა ნაიმა 1597 წელს პირველად ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში დანიშნა ოფიციალურ ეამთაღმწერლად — კარის ისტორიკოსად („გაკა-ი ნუეისი“). ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს იგი უხვად სარგებლობდა წინამორბედი ისტორიკოსების — ქათიბ ჩელების, იბრაჰიმ ფეჩევისა და სხვათა თხზულებებით და ხშირადაც იმოწმებდა მათ. საქართველოს შესახებ ამბების გადმოცემისას იგი ასევე იშველიებს ქათიბ ჩელებისა და იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებაში დაცულ ცნობებს და უთითებს კიდევ. ნაიმას მოაქვს იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებიდან სხვადასხვა ხასიათის ცნობები, უმთავრესად ირან-ოსმალეთის ომებთან დაკავშირებით. ამასთან მან იცის, რომ ფეჩევი გიორგი სააკაძის ზოგიერთი ამბის თანადამხდური და თვითმხილველია. იგი, მაგალითად, აღნიშნავს — როდესაც გიორგი სააკაძის კაცები მოვიდნენ ხუსარევ ფაშასთან და სთხოვეს მას „საქართველოსა და შირვანის ქვეყნებში გალაშქრება“, ფეჩევიც ესწრებოდა ამ აუდიენციასო. ამის შემდეგ ისტორიკოსს მოაქვს მთელი გვერდები ფეჩევის თხზულებიდან.

ნაიმას, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ თურქულ დოკუმენტურ მასალასა და ფირმანზე, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში ინახებოდა.

ნაიმა თავისი „ისტორიის“ შესავალში გამოთქვამს შეხედულებას ისტორიის დანიშნულებაზე და მიზნებზე. მისი აზრით, ისტორია უნდა იყოს ზუსტი, მართალი და მოვლენების პირუთენელად ამსახველი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსი არ იყოს ტენდენციური ისტორიული მოვლენების აღწერისას და გადმოცემისას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაიმა გაცილებით ობიექტურად და სისრულით აღწერს ბევრ რამეს, ვიდრე მისი წინამორბედი ისტორიკოსები. მისი „ისტორია“ საუკეთესო წყაროდ ითვლება ოსმალეთის ისტორიისათვის. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს ისტორიისთვისაც, რადგანაც „ისტორიის“ სხვადასხვა ადგილას უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ. ასევე საყურადღებო ცნობებია დაცული

ნაიშას „ისტორიაში“ სომხეთისა<sup>107</sup> და აზერბაიჯანის შესახებ. ამბები ძირითადად ეხება XVII საუკუნის პირველ ნახევარს და ვრცლად წარმოგვიდგენს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიას ირან-ოსმალეთის გაწეწვეტილი ომების შუქზე. ნაიშას თხზულებაში ამბები მოთხრობილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, წლების მიხედვით. იგი ჯანტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების — არზრუმისა და ტრაპიზონის შესახებაც. ნაიშას ცნობების უმეტესობა ეხება ბრძოლის ეპიზოდებს, ჯალაშქროდ სამზადისსა და სხვ. თავებით ბუნებრივია ნაიშას მიერ ყურადღების გამახვილება ბრძოლებსა და სამხედრო ექსპედიციებზე.

ჰიჯრის 1008 წლის ამბების თხრობასთან ერთად ნაიშას მოთხრობილი აქვს ქართლის მეფის სიმონის დატყვევება და მისი სტამბოლში გაგზავნა. 1008 წელი თანხვდება 1599—1600 წლებს. ნაიშას „ისტორიის“ ეს ადგილი თარგმნილი აქვს აკად. ს. ჭიქიას<sup>108</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილის თარგმნის დროს აკად. ს. ჭიქიას ხელთ ჰქონდა ნაიშას ისტორიის ორი სხვადასხვა (III და IV) გამოცემა. ამასთან, მის განკარგულებაში იყო აგრეთვე ხელნაწერი ნუსხაც, რომელიც სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ინახება (№ 2323/59, გვ. 722). აკად. ს. ჭიქია ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემების შედარების საფუძველზე ასწორებს ტექსტს და ზუსტად თარგმნის ნაიშას ისტორიის ბეჭდურ გამოცემებში დაშვებულ შეცდომებს.

ნაიშას „ისტორიის“ ამ ადგილის მიხედვით ჩანს, რომ ვანის ბეგლარ-ბეგს ჯაფარ-ფაშას ქართველთა მეფე სიმონი დაუტყვევებია 1599 წელს. სიმონ მეფის დატყვევების შესახებ აი რას მოგვითხრობს ქართული წყარო: „ქკსა სპზ: მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მის შინა მყოფნი ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუჭციეს ბრძოლათა შინა მეფესა თულაშვილმა. დაიჭირეს თათართ მეფე სვიმონ და სტამბოლს ხონთქართან გაგზავნეს, იედი ყულეში დაატყვევეს“<sup>109</sup>.

ამ ქართული წყაროს მიხედვითაც სიმონ მეფე დაუტყვევებიათ 1599 წელს. მუსტაფა ნაიშას მიერ მოტანილ ცნობებს სიმონ მეფის შესახებ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ის იყო სასახლის კარის ისტორიკოსა და თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი ყველა დოკუმენტს.

<sup>107</sup> ნაიშას ცნობები სომხეთის შესახებ სომხურად თარგმნა ა. საფრასტიანმა. იხ. Турецкие источники об Армении, армянах и других народах Закавказья. . . . стр. 63—115.

<sup>108</sup> ს. ჭიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, გვ. 53—58, თბ. 1954.

<sup>109</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ყორღანიას მიერ. II, თბ., 1897, გვ. 431.

მენტურ და ნარატიულ წყაროზე. ის პირდაპირ აცხადებს კიდევ, რომ „გასულ წელს აღწერილი, საქართველოს მმართველის სიმონის სტამბოლს დატყვევებულად ჩამოსვლისა და მისი იედიყულეში მოთავსების ამბავი „ფეზლექეში“ ამა წლის (ე. ი. ათას ცხრა წლით) ამბებთან არის მოტანილი“. ე. ი. ნაიმა სიმონ მეფის შესახებაც ცნობებს იყენებს მისი წინამორბედი ისტორიკოსების ქათიბ ჩელების თხზულებიდან — „ფეზლექედან“, რომელიც 1592—1654 წლების ამბებს შეიცავს.

როდესაც ნაიმა აღნიშნაუხს, რომ ჭაფარ-ფაშამ „ალექსანდრე ხანა თავი მოჰკვეთა, მისი შვილები დაიჭირა და ზემოხსენებულ სიმონთან ერთად იმავე წლის რები-ულ-ეველის თვეში ხონქრის სასახლეში წარგზავნაო“, იგულისხმება, რომ მის მიერ მოხსენებული ალექსანდრე სიმონ მეფის ძმა უნდა იყოს.



როგორც აღვნიშნეთ, ნაიმას „ისტორია“ საინტერესო წყაროა საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების კვლევის დროს. მას მეტად საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს შესახებ საერთოდ და კერძოდ გიორგი სააკაძის შესახებ. იგი დაწვრილებით ჩერდება 1624—1625 წწ. გიორგი სააკაძის საქმიანობაზე. ჰიჯრის 1034 წლის ამბებთან დაკავშირებით ნაიმა მოგვითხრობს სპარსელების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მიერ აჯანყების მოწყობას და ყიზილბაშთა გაწყვეტას მარტყოფის ველზე.

ნაიმა კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს (1605—1663) ზაგემის მეფედ იხსენიებს. ქალაქი ზაგემი კახეთის სხვა ქალაქებთან ერთად ცნობილი იყო XV—XVII სს. საქართველოში.

უდავოდ ზერელე განცხადებაა, როდესაც ნაიმა ამბობს, რომ „ძველი დროიდან საქართველოს მთავრები ოსმალთა დინასტიას ემორჩილებოდნენ და ამდენად ისინი დაცული იყვნენ ყიზილბაშთა შემოსევებისაგან“. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთავრები არასდროს არ ემორჩილებოდნენ ოსმალეთის დინასტიას. ერთადერთი გამონაკლისი იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა „გურჯისტანის ვილაიეთად“ აქცია და იქ დაამყარა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. სხვა სამთავრო-სამეფოები ყოველთვის იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ძღვენითა და საჩუქრებით იყვნენ დაკავშირებულნი ოსმალეთის ზელისუფლებასთან. უფრო მეტიც, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში საქართველოს სამეფო-სამთავროები ცდილობდნენ ხარკის შეწყვეტასაც.

საქართველოს სამეფო-სამთავროები არასდროს არ იყვნენ დაცული ოსმალთა ზელისუფლების მიერ ყიზილბაშთა შემოსევებისაგან.

ოსმალეთი თუ ომს აწარმოებდა ირანთან, მას თავისი პოლიტიკური ზრახვები გააჩნდა და არაფერი საერთო არ ჰქონდა საქართველოს სამეფო-სამთავროების ყიზილბაშთაგან თავდაცვასთან.

როგორც ცნობილია, მარტყოფთან გიორგი სააკაძის მეთაურობით ყიზილბაშთა გაწყვეტაში მხოლოდ ქართლი იღებდა მონაწილეობას. ნაიმა მოგვითხრობს, რომ „ამჟერად, ქართლის მფლობელი მოურავ-ხანი, გურიელი, დადიანი, აჩიკ-ბაში და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩილაი-ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველად გამოვიდნენ“. ნაიმას ეს ცნობა მარტყოფის ბრძოლაში საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების მონაწილეობის შესახებ თითქოს გაზვიადებული ჩანს. ყოველ შემთხვევაში ეს ახალი ცნობაა, რომელიც თუ მას სხვა წყაროებიც შეამაგრებენ, რა თქმა უნდა მისაღებია.

მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა გაწყვეტის ამბის აღწერისას ნაიმა მარტყოფს არ ასახელებს, მის მაგივრად იგი აღნიშნავს „საქართველოში შემავალ ვიწრო ხეობას“.

ნაიმას ცნობით, 30-ათასიან ყიზილბაშთა ლაშქარში, რომელიც გაწყვეტის ქართველებმა მარტყოფის ველზე, ყარჩილაი-ხანის გარდა მონაწილეობას იღებდა მისი შვილი — ემირ-გუნე ხანი, კაზლან-ხანის შვილი, შირვანის ხანი იუსუფი, მეჰმედ-ხანი, სულეიმან-ხანი და სხვა პროვინციის გამგებლები, რომლებიც ირანის სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ.

როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთის 1619 წლის ზავი შაჰ-აბასმა დაარღვია. მან შესანიშნავად გამოიყენა ოსმალეთის შინაგანი სიძნელეები. ირანმა ერაყი და მთელი ქურთისთანი ისე დაიკავა, რომ ოსმალეთმა ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ოსმალეთის სატახტო ქალაქში არეულობა სუფევდა, მთელი ანატოლია აჯანყებული აბაზა ფაშას განკარგულებაში იყო და ოსმალეთის მთავრობა ვერ ახერხებდა ჯარი გაევზავნა ერაყისაკენ. შაჰ-აბასი კი ცდილობდა გამოეყენებინა ოსმალეთის შინაგანი გართულებანი და რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები დაეპყრო. შაჰს განზრახული ჰქონდა ოსმალეთისათვის წაერთმია სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც 1619 წლის ზავით ოსმალეთს „დაუთმო“. ამიტომ 1624 წ. გაზაფხულზე ერეენის ხანმა ემირ-გუნემ შაჰის ბრძანებით ახალციხე დაიკავა<sup>110</sup>. ირანის შაჰის სიძლიერე მახლობელ აღმოსავლეთში აშკარა იყო, ამიტომ შაჰმა გადა-

<sup>110</sup> ე. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. (ფეოდალური ხანა) ე. ნ. გაბაშვილის რედაქციით, გვ. 348—349, თბ. 1957.



წყვიტა „გურჯისტანის საკითხი“ თავის სასარგებლოდ მოეგვარებინა. საქართველოს წარჩინებული ფენებისათვის შაჰის ზრახვები საქართველოს მიმართ აშკარა იყო. შაჰის გეგმები უფრო აძლიერებდა საქართველოში ანტიირანულ მოძრაობას. საქართველოში რომ ირანის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მწიფდებოდა, ამას თვით შაჰ-აბასის მიერ საქართველოში დანიშნული მოხელეებიც გრძნობდნენ. განჯის ხანი-ფეიქარი, რომელიც შაჰ-აბასმა კახეთში, ივრის აღმოსავლეთი მხარის გამგებლად დანიშნა, აღშფოთებული იყო ქართველთა მომრავლებით და გრძნობდა, რომ თანდათანობით მწიფდებოდა პირობები ირანის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებისათვის. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ნაიმა. იგი წერს, რომ „ფეიქარ-ხანი საგონებელში ჩააგდო ქართველების მომრავლებამ და შაჰს შეუთვალა: ქართველები ისე გამრავლდნენ, აჯანყება მოსალოდნელია, ამჟამად ისინი ათიათას ხმალს ითვლიან, ქართველები დაირაზმნენ, როგორც იქნება თქვენი ბრძანებთა“<sup>111</sup>.

ასეთი ცნობა მოუყვია შაჰ-აბასს 1623—24 წ., როცა იგი ბაღდადისა და მთელი ერაყის დაპყრობით იყო დაკავებული. საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ შეაშფოთა შაჰი. იგი გრძნობდა, რომ ქართველების მოსალოდნელი აჯანყება, რომელსაც შეიძლებოდა დიდი წარმატება ჰქონოდა, დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ირანის ბატონობას ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც, რომლებსაც ექნებოდათ საშუალება ესარგებლათ შაჰის მდგომარეობის გართულებით და განათვისუფლებულიყვნენ ირანის ბატონობისაგან. ამიტომ შაჰ-აბასმა შეწყვიტა სამხედრო მოქმედება ერაყში და ისპაჰანს დაბრუნდა<sup>112</sup>. იქიდან შაჰი მანანდერანს გადავიდა და სასწრაფოდ დაუკავშირდა სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა-ფაშას. აბაზა-ფაშას შეკავშირება შაჰ-აბასთან კი დიდ შემფოთებას იწვევდა ოსმალეთში, რადგან ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს საშუალება მოეპოო სამცხე-საათაბაგოს დაკავშირებოდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ახალციხე უკვე ირანის ხელთ იყო. ახლა უკვე ოსმალეთის ამოცანას შეადგენდა აბაზა-ფაშას დამარცხება და თავისი უფლებების აღდგენა სამცხეში, ზოლო ახალციხის დაბრუნების მთავარი საწინდარი იყო აბაზას დამარცხება. ნაიმას ცნობით, „აბაზა-ფაშამ იანიჩრები, როგორც უზურპატორები, შეურაცხყოფლები და მემამბოხენი, არ დაინდო და მათ მუსრი გაავლო. რადგან აღ-

<sup>111</sup> გვ. 350. جلد نای، تاریخ نیر. ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაევ. 33, 1960 წ., თბ. გვ. 261.

<sup>112</sup> Bellan, Chah Abbas I, sa vie, son histoire, Paris, 1932. გვ. 270. შტრ. ე. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 350.

გილობრივი იანიჩრები გაანადგურეს, მათი რაზმებისაგან დაიწალა არზრუმის ციხე. ეიალეთის სატახტო ქალაქის გარდა 70-მდე იანიჩარი დახოცილ იქნა ახალციხის ციხეშიც და მათგან დაცარიელდა საქართველოს საზღვრები<sup>113</sup>. ნაიმას ამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს საზღვრებზე იანიჩართა ძალები უკვე აღარ არის, სპარსელები დაპატრონებიან სასაზღვრო ზოლს.

ოსმალეთის მთავრობამ დიდის ამბით დაიყოლია სტამბოლში მოკალათებული, თავგასული იანიჩრები აბაზას წინააღმდეგ სალაშქროდ. აბაზასა და იანიჩრებს შორის ანატოლიაში მომხდარ ბრძოლაში აბაზა დამარცხდა, მაგრამ მან ბრძოლაზე ხელი არ აიღო. სწორედ ამ დროს იყო, რომ ირანის შაჰმა ბაღდადიდან მოხსნა თავისი ლაშქარი და ისპაჰანზე გავლით მაზანდერანს მოვიდა და აბაზა-ფაშას შეუჟავშირდა, ვითარცა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებას. შაჰი სწორედ ამ პერიოდში ემზადებოდა „გურჯისტანის საკითხის“ მოსაგვარებლად და წინასწარ ღონისძიებებს ღებულობდა ოსმალეთის შესაძლო შემოტევების აღსაკვეთად. თუმცა შაჰის ხელში ახალციხის გადმოსვლა მას პოზიციებს უმაგრებდა, ამით იგი ოსმალეთს უკეტავდა მთავარ გზას, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. შაჰმა აბაზა-ფაშასთან ერთად ააოხრა ვანის მხარე, საიდანაც შეიძლებოდა მომხდარიყო ოსმალთა ლაშქრის შემოსვლა<sup>114</sup>. ამრიგად, ირანის შაჰმა ყოველგვარი წინასწარი პირობები შეამზადა იმისათვის, რომ საბოლოოდ გადაეჭრა „გურჯისტანის საკითხი“. 1625 წლის დსაწყისში შაჰ-აბასმა საქართველოში გამოგზავნა დიდი ლაშქარი ყარჩიღაი-ხანის მეთაურობით. ყარჩიღაი-ხანს დავალებული ჰქონდა სისრულეში მოეყვანა შაჰ-აბასის გეგმა, რომელიც ქართველების ფიზიკურ მოსპობას ითვალისწინებდა, მაგრამ ქართველებმა ხალხმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ჩაშალა შაჰ-აბასის ეს ვერაგული ზრახვა. ყიზილბაშები 1625 წლის 25 მარტს (7 აპრილს ახალი სტილით) განადგურებულ იქნენ მარტყოფთან. მარტყოფთან ქართველების მიერ ყიზილბაშთა გაწყვეტის შესახებ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს მუსტაფა ნაიმა. ნაიმას ეს ცნობები ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში<sup>115</sup>.

გიორგი სააკაძე მარტყოფთან ბრძოლის შემდეგ ქართლის ფაქტიური ბატონ-პატრონი გახდა. მან სპარსელთაგან მთელი ამიერკავ-

<sup>113</sup> გვ. 299. تاریخ نعیما، جلد ١، ص 299. შტრ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ. გვ. 351.

<sup>114</sup> ე. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. . . გვ. 351.

<sup>115</sup> ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960.

კასიის გაწმენდის გეგმა დააწყო და ამ საქმეში ოსმალეთის შეიარაღებული ძალების გამოყენება სცადა. ამიტომ გიორგი სააკაძემ მარტყოფთან ბრძოლის შემდეგ ელჩები გაუგზავნა ოსმალეთის დიდ ვეზირს ჰათიზ აჰმედ-ფაშას, რომელიც იმ პერიოდში დიარბექირს იმყოფებოდა. გიორგი სააკაძის მიერ ოსმალეთში ელჩობის გაგზავნის შესახებ ოსმალთა ისტორიკოსებს იბრაჰიმ ფეჩევის და მუსტაფა ნაიმას შემონახული აქეთ ცნობები, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცნობილია. იბრაჰიმ ფეჩევი თვითონ ყოფილა თვითმხილველი ამ ელჩობისა. გიორგი სააკაძის კაცებს თან ჩაუტანიათ მარტყოფთან დახლოებული ყარჩილაი-ხანისა და სხვა ყიზილბაშების მოჭრილი თავებიც. ეს ყველაფერი მერე სტამბოლში გაუგზავნიათ. სწორედ გიორგი სააკაძის ამ ელჩობისა და წერილის შესახებ აღნიშნავს ოსმალეთის სულთანი მურად IV თავის ფირმანში, რომელიც მან გიორგი სააკაძეს უბოძა. გიორგი სააკაძის წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მურად IV-ის პასუხიდან ჩანს, რომ სააკაძე დაწვრილებით აღუწერს მას ირანის შაჰის განზრახვას ოსმალეთისა და საქართველოს მიმართ. სულთნის ფირმანის შინაარსიდან აშკარად ჩანს გიორგი სააკაძის ელჩობის მიზეზი და მისი ზრახვებიც ირანის მიმართ. სულთანი წერს: „(იწერები აგრეთვე), რომ საჭიროა დროულად ღონისძიებათა მიღება ურჯულთა მტერთა და უკუღმართ გზაზე შემდგარ რაფიზიებისაგან (მოსალოდნელ) სიძვეთა თავიდან აცილებათ და ითხოვ აქედან ჯარსა და შველას“<sup>116</sup>. ამ ცნობას ნაიმაც ადასტურებს.

გიორგი სააკაძის მიერ მარტყოფთან ყიზილბაშთა ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ თბილისში მოკალათებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყეს და თბილისი აიღეს. შემდეგ ახალციხე ხელიდან გამოსტაცეს ყიზილბაშებს. მარტყოფთან ქართველთა გამარჯვების შემდეგ მათ თეიმურაზი მოიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს. ყიზილბაშთა დამარცხების ამბავი შაჰ-აბასმა მაზანდერანში გაიგო. მან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა, მოსალოდნელი საფრთხეც და შესაფერისი ღონისძიებაც მიიღო. მან სასწრაფოდ გამოგზავნა ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. ერევნის ხანს — ემირ-გუნეს და აზერბაიჯანის ხანს შაჰ-ბანდას უბრძანა, რომ საქართველოში გაელაშქრათ. მართალია, მარაბდასთან ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძემ სპარსელებს თავს მოახვია პარტიზანული ომი და სპარსელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველოს მიწა-წყალი, შაჰ-აბასის მდგომარეობა მარაბდის ომის შემდეგ უფრო გაუარესდა. მან ვერ მოა-

<sup>116</sup> ს. ქ ი ქ ი ა, ხონთქრის მიერ დიდი მოუჩაქისადმი გაკეპული სიგელო, ვნიმ-კის მოამბე, XIII, 1942. თბ. გვ. 237.

ხერხა იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც მას ჰქონდა მარტყოფის ბრძოლაში<sup>117</sup>. შაჰისთვის აშკარა იყო, რომ ქართველმა ზალხმმა საბოლოოდ ჩაშალა მისი გეგმები ამიერკავკასიაშიც. აშკარა იყო შაჰის უფრო მძიმე საგარეო პოლიტიკური პირობები ამიერკავკასიაში.

1624 წ. დასაწყისში როდესაც შაჰ-აბასმა „გურჯისტანის საკითხის“ მოსაგვარებლად მთელი ერაცი დაცალა თავისი ჯარით, ოსმალეთმა ერაცი ისევ დაიკავა<sup>118</sup>. აბაზა-ფაშამაც შეცვალა თავისი პოლიტიკა და განუდგა შაჰ-აბასს, როგორც დამარცხებულს. აბაზამ ისევ ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომად აღიარა თავი. აბაზას გაერთვლება კი ოსმალეთის მთავრობას საშუალებას აძლევდა სამცხეს დაკავშირებოდა და მოახერხა კიდევ ყიზილბაშთა სამცხიდან განდევნა<sup>119</sup>.

ამრიგად, შაჰ-აბასს ამიერკავკასიაში საქმეები ცუდად წაუვიდა. მას აუჯანყდა აგრეთვე ქურთისტანი. ამას გარდა ოსმალეთის შეიარაღებული ძალები დიდ ვეზირ ჰაფიზ ფაშას სარდლობით, რომელიც დიარბექირთან იდგა, ბაღდადის ასაღებად დაიძრა. ოსმალეთის მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბაღდადის აღებას, ამიტომ იყო, როდესაც გიორგი სააკაძემ ოსმალეთის ლაშქარი მიიპატიჟა ამიერკავკასიის ქვეყნებში სალაშქროდ, უარით გამოისტუმრეს და ნაიმას ცნობით, სააკაძის კაცებს მოახსენეს, რომ სულთანი ეხლა უფრო მნიშვნელოვანი საქმითაა დაკავებული — ბაღდადზე სალაშქროდ ემზადება და საქართველოში ლაშქრობა მის ამოცანას არ შეადგენს<sup>120</sup>.

გიორგი სააკაძის მეთაურობით ყიზილბაშთა გაწყვეტა ზრდიდა ოსმალეთის მთავრობის სიმპათიებს გ. სააკაძის მიმართ. ის მზად იყო გაეწია მისთვის ყოველგვარი სამსახური ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ. ყიზილბაშებთან გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძე დაზოცილთა თავებითა და დიდი ამალით დელეგაციას აგზავნის სტამბოლში. დელეგაციის შემადგენლობაშია მისი შვილიც. ამასთანავე გიორგი სააკაძე ოსმალეთის მთავრობას უგზავნის წერილს და სთხოვს გალაშქრებას ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ. გიორგი სააკაძე კარგად ითვისებს წინებს ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობას ოსმალეთის მოსალოდნელი ლაშქრობის დროს, და საგანგებოდ აღნიშნავს წერილში, რომ „უკეთეს ისლამის ლაშქარი ამ მხარისაკენ გაემართება, ხელსაყრელი შემთხვევაა, განჯის, ყარა-ბაღის და შირვანის მოსახლეობა მთლიანად ჩვენ დაგვიქერს მხარს და დაგვიმორჩილდება. არდებილის მხარეებსაც დავიკავებთ. ეს აღვიღებთ მდიდარია პროვიანტიითა და სხვა საქურვე-

<sup>117</sup> ვ. ჩოჩიყვი, 1639 წლის ზავი და საქართველო. . . გვ. 353.

<sup>118</sup> გვ. 344—345. تاريخ نعيما، جلد ثانی

<sup>119</sup> ვ. ჩოჩიყვი, დასახ. ნაშრ., გვ. 354.

<sup>120</sup> ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

ლით. ამ მხრივ სიძნელეები არ შეიქმნება. ყიზილბაშთა ქვეყანას დიდ ზიანს მივაყენებთ. ბევრი კარგი საქმე ჯაკეთდება“<sup>121</sup>.

მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ საერთოდ და ოსმალთა უნიჭო სარდლობამ კერძოდ, მოსალოდნელი წარმატება ხელიდან გაუშვა, გიორგი სააკაძის წინადადება — ამიერკავკასიაზე გავლით ყიზილბაშურ ირანში გალაშქრება — არ მიიღო და ამით შაჰ-აბასი უდიდეს ხიფათს გადაარჩინა. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები ამ დროს ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდნენ და ოსმალეთის სარდალმა ჰაფიზ-ფაშამ ბაღდადის ალება უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნია, ვიდრე ამიერკავკასიაში გამოლაშქრება.

მართალია, ოსმალეთის სამხედრო სარდლობას გიორგი სააკაძის გეგმა ამიერკავკასიაში გამოლაშქრების შესახებ არ მიუღია და მას უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებად ბაღდადზე გალაშქრება მიაჩნდა, მაგრამ მაინც ერთგვარ სამზადისსა და მზადყოფნაში იყო ამიერკავკასიის ქვეყნებში გალაშქრებისათვის. ეს თვით ნაიმას ცნობებიდანაც ჩანს. ნაიმა მოგვითხრობს, რომ იმავე წელს ოსმალთა სარდლობას ორი ათასამდე ლაშქარი გაუგზავნია საქართველოში. მთელი საქართველოს სერასქერად დაუნიშნავს ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერ-ფაშა და აგრეთვე მიუღიან მთელი რიგი ღონისძიებანი, დაუგზავნიათ ფირმანები საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, რომელთაც უბრძანათ ლაშქრის გაგზავნა და მზადყოფნა საქართველოს ლაშქართან ერთად ყიზილბაშებთან მოსალოდნელ ლაშქრობაში. „მაგრამ, დასძენს ნაიმა, ამ წელს იმ რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი, კარგი საქმე არ გაკეთებულა“.

ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიაზე არ გამოლაშქრების ერთ-ერთ მიზეზად ნაიმა მიიჩნევს თვით ოსმალეთის სამხედრო სარდლობაში არსებულ შურიანობასა და ურთიერთგაუტანლობას, ამასთან ერთად დასძენს, რომ „ხუსრევ აღას არ უნდოდა ჰაფიზის გამარჯვება. ამიტომ მან არ მოინდომა აქეთკენ გამგზავრება. შაჰ-აბასის შაჰობის შემდეგ მისგან ჰაფიზ ფაშამ ბევრი უსიამოვნება იგემა. საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“<sup>122</sup>.

ნაიმა ოსმალური წყაროების დამოწმებით დიდი სიმპატიით იხსენიებს კახეთის მეფე თეიმურაზს. აღწერს მის წარმოსადგე გარეგნობასა და სილამაზეს, მის გულადობას და ბოლოს მის დამოკიდებულებას

<sup>121</sup> ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, გვ. 258.

<sup>122</sup> იქვე, გვ. 259.

შპ-აბასთან. მოთხრობილი აქვს ფეიქარ-ხანის დანიშვნისა და მისი საქ-  
ნიანობის შესახებ კახეთში. ნაიშას სიმპათიები გიორგი სააკაძის მხარე-  
საა. იგი ზიზლით იხსენიებს ყიზილბაშებს. გიორგი სააკაძის მიერ ყი-  
ზილბაშთა სარდლის ყარჩილაი-ხანის მოკვლისა და მისი ლაშქრის გა-  
წყვეტის შესახებ ნაიშა შენიშნავს, რომ „წყევლმა ყარჩილაი-ხანმა აქ  
იზლო სამაგიერო იმისა, რაც მან არღებილის ლაშქრობაში მაჰმადის  
ჯამათს უყო“<sup>123</sup>.

მეტად საინტერესო და ორიგინალური ჩანს ნაიშას განცხადება  
იმის შესახებ თითქოს ყარჩილაი-ხანის ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ გი-  
ორგი სააკაძემ დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრე-  
ტენზია გამოაცხადა. მან ფული მოაპკრევინა თავის სახელზე ასეთი  
წარწერით: „მონა სიწმინდის მეფისა მოურავ-შაჰი“.

ნაიშას გადმოცემით, მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა გაწყვეტის  
შემდეგ შპ-აბასს შურის საძიებლად ახალი ლაშქარი გამოუგზავნია,  
რომლის კორუჯი-ბაშად ისპაჰ-ხანი დაუნიშნავს და მასთან ერთად ემირ-  
გუნე-ხანიც გამოუყოლებია. გიორგი სააკაძე ამ ლაშქარსაც ამარცხებს,  
სასიკვდილოდ დაჭრის თვით ემირ-გუნეს, რომელიც თავის ქვეყანაში  
დაბრუნებული ველარგანიკურნება და კვდება. „ამის შემდეგ — განა-  
გრძობს ნაიშა — მოურავი ბარდას ქვეყანას შეესია და ააოხრა, ქალაქი  
განჯა ცეცხლს მისცა და საქართველოსკენ იბრუნა პირი“<sup>124</sup>.

საქართველოში დაბრუნებული გიორგი სააკაძე მხნედ შეუდგა სა-  
ხელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მან მთელი რიგი ღონისძიებები დასა-  
ხა ქვეყნის სამხედრო და ადმინისტრაციული წესწყობილების გასაუმ-  
ჯობესებლად. მოურავი დაულალავად იბრძოდა საქართველოს სხვადა-  
სხვა ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული ყიზილბაშთა ლაშქრის წინააღ-  
მდეგ და ამავე დროს სასტიკად უსწორდებოდა მტრის მხარეზე გადა-  
სულ მოღალატე თავადებს. მაგალითად, სამეფოს მძიმე მდგომარეო-  
ბით ისარგებლა დვალეთმა და განუდგა ცენტრალურ ზელისუფლებას.  
მოურავმა აჯანყებული დვალეთი ისევ სამეფოს დაუმორჩილა: შაჰის  
ძველი აგენტი და ქვეყნის ორგული ლორის მელიქი მოურავის წინა-  
აღმდეგ აპირებდა გალაშქრებას. სააკაძემ მას გეგმები ჩაუშალა, თვ-  
თონ მელიქი გადაიხვეწა. ქაიხოსრო ბარათაშვილი, რომელიც მტერს  
მიმხრობოდა და ბირთვისის ციხეში ხუთასი ყიზილბაში ჩაყენებინა,  
თავს არხეინად გრძნობდა. მოურავი მიუხტა ქაიხოსროს ტბისისსასახ-  
ლეში, ხელში ჩაიგდო ქვეყნის გამცემი თავადი და აიძულა იგი ციხი-

<sup>123</sup> ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიშას ცნობები გიორგი  
საკაძის შესახებ, გვ. 263.

<sup>124</sup> იქვე.

დან ყიზილბაშები გამოეტყუებინა. გიორგი სააკაძემ ციხეში თავისი ხალხი ჩააყენა.

ფაქტიურად გიორგი სააკაძე იყო ქართლის ბატონ-პატრონი. იგი უცხო, მეზობელ ქვეყნებთანაც კი, მაგალითად, ოსმალეთთან თეიმურაზ მეფის დაუქითხავად აწარმოებდა მოლაპარაკებას. მას უკვე ქართლის მოურავს ეძახდნენ, ხოლო ოსმალეთის სულთანი კი მას „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს ეძახდა“ და მეფე თეიმურაზის სწორად თვლიდა. ოსმალეთის სულთანი თეიმურაზ მეფეს მხოლოდ კახეთის მეფედ ცნობდა. თეიმურაზ მეფე კი მოურავის ასეთ დიდ ავტორიტეტსა და ძლიერებას ვერ ურიგდებოდა. მოურავიც თავის მხრივ წინააღმდეგი იყო იმისა, რომ თეიმურაზი ქართლის მეფედ ყოფილიყო, ამიტომ მან წინ წამოსწია ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე — ქაიხოსრო მუხრან ბატონი, რომელიც მოურავის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ქართლის თავადები კი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ: მუხრან ბატონი და ქსნის ერისთავი სააკაძეს მიემხრნენ, ამილახვარი და ზურაბ ერისთავი კი, თეიმურაზს. თეიმურაზი კახეთს გადავიდა, დაიშალა ქართლ-კახეთის სამეფო. თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის ომი გარდუვალი იყო. გიორგი სააკაძემ იმერეთის მეფე გიორგი და ახალციხის ფაშა — საფარი მიიმხრო თეიმურაზის წინააღმდეგ. დუშეთის მახლობლად, ბაზალეთის ტბასთან ომი მოხდა მოურავსა და თეიმურაზ მეფეს შორის. ამ ბრძოლაში გიორგი სააკაძე დამარცხდა. მოურავი, ქაიხოსრო მუხრან ბატონი და სხვები ოსმალეთს გაიქცნენ და სულთანს დახმარება სთხოვეს, მაგრამ სულთნისგან რეალური ვერაფერი მიიღეს. როდესაც თეიმურაზ მეფემ ზაგემი აღადგინა და დაჯდა კახეთის სამეფო ტახტზე, ნაიძას სიტყვით, მოურავი მას დაემოყვრა, იგი „შორსმკვრეტელი ვინმე იყო. ყიზილბაშთა ნადავლიდან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნივთები თეიმურაზს გაუგზავნა და ძღვნად მიართვა. მანვე დაწერა წერილი და მოწიწებით მორჩილება გამოუცხადა“<sup>125</sup>. მაგრამ ნაიძა არაფერს ამბობს თეიმურაზისა და მოურავის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. იგი საერთოდ არ ჩერდება ბაზალეთთან მომხდარ ოპზე. მაგრამ ნაიძას სიტყვებში ყრუდ მაინც გამოსკვივის გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის არამეგობრული დამოკიდებულება. ნაიძა ამბობს: მოურავმა „ისიც გაითვალისწინა, რომ თეიმურაზი არ აპატიებდა და განზრახ თეიმურაზ ხანს დაუტკბა, ცოტა ხნის შემდეგ თავისი წარჩინებულებითა და ხელქვეით აზნაურთა ჯგუფით რუმის ქვეყანაში გაიქცა და ოსმალთა სა-

<sup>125</sup> ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიძას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, გვ. 264.

ხელმწიფოს შეაფარა თავი<sup>126</sup>. ნაიმას ამ ცნობაში საინტერესოა თუ რას არ აპატიებდა თეიმურაზი მოურავს და რა იყო ის დანაშაული მოურავისა, რომელმაც აიძულა დაეტოვებინა სამშობლო. ჩანს, ნაიმას საამისო მასალები ხელთ არ ჰქონია.

თეიმურაზ მეფესთან კონფლიქტის შემდეგ მოურავი ოსმალეთში გაიქცა თავისი მსლებლებით, სადაც იგი დიდ პატივში იყო. ნაიმას გადმოცემით, გიორგი სააკაძე ოსმალეთში 1626 წ. ჩასულა და ოსმალთა მიერ არზრუმის ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა. ოსმალეთში მას მეჭმედი დაერქვა და ყარაამანიის ვილაიეთი ებოძა სამხარტველოდ. ნაიმა ასე ახასიათებს დიდ მოურავს: „მოურავი ჰეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევივით ღონიერი იყო“<sup>127</sup>. ნაიმას სიმპათიები აშკარად მოურავის მხარესაა. ნაიმა იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის მიზეზების შესახებ. ნაიმას გადმოცემით, გიორგი სააკაძე, როდესაც კონიის გამგებლად დანიშნეს, მიდრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი. ისტორიკოსს მოყვანილი აქვს მოურავის კაცების მიერ კონიის მოსახლეობის მიმართ ჩადენილი უსამართლობის ფაქტები.

შევიწროებული და დაჩაგრული მოსახლეობა საჩივლელად მიდის დიდ ვეზირთან. „მართლაც — წერს ნაიმა — ბევრი უსამართლობა და სიყვე, რომელზედაც ხმები დადიოდა, დადასტურდა. მოურავს შეეშინდა და გაიქცა. მის დასადევნებლად იმ მხარეში გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი“<sup>128</sup>. ოსმალეთში მოურავის საქმიანობისა და მისი მკვლელობის შესახებ ნაიმა ქათიბ ჩელების ცნობებს ეყრდნობა. ისტორიკოსის გადმოცემით, ყველა უსამართლობანი და უმსგავსოებანი, რომელსაც ყარაამანიის ვილაიეთში ჰქონდა ადგილი, დაუმსახურებლად გიორგი სააკაძეს მიეწერებოდა.

ნაიმას გადმოცემით, გაქცეული მოურავის ჯგუფს დაეწევიან დიდ ვეზირის ხუსრევ-ფაშას კაცები, მათ შეიპყრობენ და სააკაძეს, მის შვილთან და 40—50 ხელქვეითთან ერთად სიკვდილით სჯიან. საინტერესოა ნაიმას დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. იგი წერს: „ხუსრევ-ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ იმიტომ რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან (ზონტქრისთვის) შეუტყობინებლად, ვითომდა (მოურავი) საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი

<sup>126</sup> ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, გვ. 264.

<sup>127</sup> ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 210.

<sup>128</sup> გვ. 5. «*سارنج*، *سما*، *جلد* 3. შდრ. ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 211.



მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი ღამსახურება ჰქონდა, რომელმაც თავისი მცდარი სჯული უარჰყო და მაჰმადიანობა მიიღო (ამით ხუსრევ ფაშამ) სპარსეთის შაჰს შური აძიებინა (მოურავეზე)“<sup>129</sup>.

ნაიმას არ სჯერა, რომ სააკაძეს რაიმე ბოროტმოქმედება და უსამართლობა ჩაედინოს კონიის მოსახლეობის მიმართ. „კიდევაც რომ დადასტურებულყო, წერს ნაიმა, რომ (მოურავე) ხალხს უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და ჩაგრავედა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და უნდა გასამართლებულიყო. შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან ასეთი ძალადობა არ ჩაედინა... ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა“<sup>130</sup>.

ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, რომელიც ჰიჯრის 1039 წლის ამბების თხრობასთან ერთად არის გადმოცემული და გიორგი სააკაძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ეხება, თარგმნილი და საინტერესო კომენტარებით გამოქვეყნებული აქვს პროფ. სერგი ჯიქიას<sup>131</sup>.

\* \*

1616 წ. შაჰ-აბასი მთელი შეიარაღებული ძალებით კახეთის საბოლოოდ მოსასპობად წამოვიდა. საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები კახეთს ვერ მიეშველნენ, მოძმის აოხრებას უცქეროდნენ და თავის ჯერს უტდიდნენ. კახეთის მეფე თეიმურაზი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გახიზნულიყო. მთელი კახეთი ციხესიმაგრეებში ჩაიკეტა, ამავე დროს მორჩილება გამოუცხადეს შაჰ-აბასს. მაგრამ შაჰ-აბასს კახეთის სრული მოსპობა სწადდა. შაჰი საგანგებოდ მოემზადა კახეთის საბოლოოდ მოსასპობად. ასეთი საშინელი ტრაგედიის ჟამს, რომელიც შაჰ-აბასმა დაატრიალა კახეთში, მთელი მოსახლეობის ორი მესამედი დაიღუპა. დაღესტნელმა ყაჩაღებმაც დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. მტერმა გაანადგურა ყველაფერი, რასაც კი მისწვდა. ნანგრევებად იქცა ქალაქები, დაიწვა სოფლები. კახელი ტყვეები ირანს გარეკეს. დაცარიელებულ კახეთში შაჰმა თურქმანები ჩამოასახლა.

<sup>129</sup> გვ. 7. «*تاریخ نعیماء جلد ۳*» შდრ. ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 213.

<sup>130</sup> გვ. 8. «*تاریخ نعیماء جلد ۳*» შდრ. ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, გვ. 213.

<sup>131</sup> ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. ენიშის მოამბე, თბ., 1942, ტ. III, გვ. 207—217.

აი, ასეთი მძიმე განსაცდელის უკვე თეიმურაზმა დახმარება სთხოვა ოსმალეთს, მაგრამ მისგან ფაქტურად ვერაფერი მიიღო. ოსმალეთის მთავრობას რომ მაინც რაღაც გარკვეული ღონისძიება ჩაუტარებია და ირანთან ლაშქრობის მზადყოფნაზე ბრძანება გამოუცია, ეს ნათლად ჩანს ნაიმას „ისტორიის“ სათანადო აღგრიდანაც. ნაიმა მოგვითხრობს, რომ სწორედ 1616 წ. როცა შაჰ-აბასი ემზადებოდა კახეთის მოსათხრელად, გურიის მფლობელს წერილობით შეუტყობინებია ოსმალეთის მთავრობისათვის ყიზილბაშთა ზრახვები და დახმარება უთხოვია. ჩანს, რომ ამ დროს გურიისა და სამეგრელოს სამთავროები, აგრეთვე იმერეთის სამეფოც გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით დაუკავშირდნენ ოსმალეთს, რადგან ანტი-ყიზილბაშური კოალიციის მომხრენი იყვნენ. ნაიმას ცნობიდანვე ჩანს, რომ ოსმალეთს ხელი მიუწვდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებზე და სპეციალური ბრძანებაც კი გაუგზავნა მათ, რათა მზად ყოფილიყვნენ ყიზილბაშებთან საბრძოლველად. სხვა საკითხია, თუ როგორ ასრულებდნენ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალთა ხელისუფალთა განკარგულებას, მაგრამ ნომინალურად ოსმალეთი მაინც ხელს დებდა ამ ტერიტორიებს. ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად ოსმალეთის მთავრობა ერთიანად მოუწოდებს როგორც ჩილდირის ბეგს — მურთაზ-ბეგს, საფარ-ფაშას, ისე გურიის, სადადიანოს და იმერეთის სამეფოს, აფრთხილებს თავიანთი ლაშქრით მზად იყვნენ ყიზილბაშებთან საბრძოლველად. ამასთანავე აფრთხილებს მოსაზღვრე რაიონებში — ერზერუმსა და ტრაპიზონში მდგომ იანიჩართა კორპუსების მეთაურებს; დაღესტნის მფლობელსაც უგზავნის მზადყოფნის ცნობას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სამზადისი და შეიძლება დახმარების ფორმალური აქტიც. რეალურად ოსმალეთს არავითარი დახმარება არ გაუწევია კახეთის ამ აოხრების დროს. ნაიმა არაფერს ამბობს, თუ რა შედეგი გამოიღო ამ მზადყოფნის შესახებ ბრძანების დაგზავნამ მოსაზღვრე ქვეყნებში. ყოველ შემთხვევაში რეალური არაფერი განხორციელებულა, მაგრამ მაინც საგულისხმოა ნაიმას ეს ცნობა თუნდაც იმიტომ, რომ მასში აშკარად ჩანს ოსმალეთის მზადყოფნა ყოველი მოსალოდნელი ინციდენტის უკვე და „საქართველოს დაცვა“.

• •

1626—1627 წწ. ამბების გადმოცემისას ნაიმა იძლევა ცნობას ყიზილბაშთა შიერ ახალციხის ციხის დაკავების შესახებ. ახალციხე აღრევე ჰქონდა ოსმალეთს მიტაცებული და მისი გაოსმალება ძირითადად დასრულებული იყო. სამცხის ათაბაგებს, რომლებსაც თავიანთ სა-

ტახტო ქალაქად ახალციხე ჰქონდათ, ამ დროისათვის უკვე დაკარგული აქვთ პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები. ოსმალებს სამცხეში საერთოდ, და ახალციხეში კერძოდ ამ მხარის გასაოსმალებლად ყოველგვარი ღონისძიებები ჰქონდათ მიღებული.

ნაიმას ცნობით, როდესაც ყიზილბაშებმა ახალციხე აიღეს, დახოცეს ქალაქის მუსლიმანი მოსახლეობა. ნაიმა ახალციხის ციხის ყიზილბაშთა მიერ აღების ამბების გადმოცემისას იშველიებს თავისი წინამორბედი ისტორიკოსის ცნობებს. ახალციხის აღების შესახებ ნაიმას მოაქვს ცნობა წინამორბედი ისტორიკოსისაგან, თითქოს აბაზა-ფაშას ღალატის გამო, მისი საიდუმლო კავშირით ყიზილბაშებთან, იძულებული გახდნენ ახალციხე დაეთმოთ, მაგრამ ნაიმა კომენტარს უკეთებს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ „აბაზას მიერ ყიზილბაშების ახალციხისაკენ მოპატიუება სწორი არ იყო“.

ჩანს, რომ ნაიმას მიდგომა მისი წინამორბედი ისტორიკოსებისადმი საკმაოდ კრიტიკულია, მაგრამ ნაიმას თავისი ამა თუ იმ არგუმენტის შესამაგრებლად რაიმე საბუთი არ მოაქვს. იგი მხოლოდ აღნიშნავს, ეს ასე იყო, მაგრამ რის საფუძველზე, ამაზე სდუმს.

1627—1628 წლის ამბების თხრობასთან ერთად ნაიმას „ისტორიის“ მეორე ტომში ცალკე სათაურადაა გამოყოფილი „მოურავ-ბეგის ჩამოსვლა და საომრად მზადება“. ნაიმა აქ გიორგი სააკაძეს „საქართველოს მამაც და სახელოვან მმართველად იხსენიებს“. გიორგი სააკაძის ოსმალეთის ლაშქარში მოსვლას ნაიმა ერთი წინადადებით ხსნის. იგი წერს: მოურავი „ზოგიერთი მიზეზით თავის ძმას აუშხედრდა (წაეჩხუბა) და ოსმალეთის ლაშქარში მოვიდა“. მეტად საინტერესო ცნობაა. დღემდე ჩვენ არ ვიცით გიორგი სააკაძეს ჰყავდა თუ არა ძმა. ალბათ ნაიმა უზუსტობას იჩენს. შეიძლება ნაიმა მოურავის ძმად მიიჩნევს კახეთის მეფეს თეიმურაზს. ნაიმასთვის მიინც უცნობია თუ რატომ წაეჩხუბა გიორგი სააკაძე ქართლის წარჩინებულებს და რატომ გადაიხვეწა ოსმალეთში. ოსმალეთს გადახვეწილი გიორგი სააკაძე მაშინ ჩადის იქ, როდესაც ოსმალეთის ლაშქარი არზრუმზე სალაშქროდ ემზადებოდა. მ. სურეიას მიერ შედგენილ ოსმალეთის დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოურავის ოსმალეთში მოსვლის შესახებ ნათქვამია: მოურავი „არზრუმის ლაშქრობაში სარდალთან (ოსმალეთის ჯარის სარდალთან — ნ. შ.) მოვიდა, მორჩილება გამოუცხადა და მას შეუერთდა“<sup>132</sup>.

გიორგი სააკაძეს დიდი მონაწილეობა მიუღია არზრუმის ლაშქრობაში. გიორგი სააკაძე იმდენად ცნობილი პიროვნება ყოფილა მა-

<sup>132</sup> محمد ثريا، سجل عثمانى ياخود تذكراً مشاهير عثمانیه. 153. 83. 132

შინდელ ოსმალეთში, რომ ნაიმა პირდაპირ ამბობს: მოურავის „ჩამოსვლით ლაშქარი ერთგვარად გაძლიერდა და გამსწვლდა. თან ჩამოიტანა ერთი ზარბაზანიც. ოლთის ციხიდანაც ორი ზარბაზანი მოიტანეს და მაშინვე დაიწყეს სალაშქროდ მზადება“. არზრუმის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების შემდეგ მოურავი „სტამბოლს გაიგზავნა, სადაც ის მოიქცა და მეკმედი დაერქვა. მიენიჭა კათუჯი-ბაშის წოდება და გაემგზავრა სამეფო ჯარში. იქიდან გახდა კონიის ბეგლარ-ბეგი“<sup>133</sup>.

ნაიმა ძალიან მწირ ცნობებს იძლევა არზრუმის ლაშქრობის შესახებ საერთოდ და მასში მოურავის მონაწილეობისა და საქმიანობის შესახებ კერძოდ. საინტერესოა ნაიმას ცნობა თითქოს მოურავს საქართველოდან ერთი ზარბაზანი ჩამოეტანოს.

ოსმალეთში გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯისა და ირანში შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ კვლავ განახლდა ირან-ოსმალეთის ომი, რომელსაც არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ ჰქონოდა საქართველოზე. საქართველოში იქმნებოდა სხვადასხვა პოლიტიკური დასები, რომლებიც ხან ოსმალეთს ემხრობოდნენ და ხან ირანს. თეიმურაზ მეფემ ზურაბ ერისთავის დახმარებით სიმონ-ხანი დალუბა და ქართლი მთლიანად დაიპყრო. მაგრამ თეიმურაზმა ჩქარა ზურაბ ერისთავსაც უღალატა და იგი მოაკვლევინა, რადგან ჯანდიღებულ არაგვის ერისთავს თეიმურაზის ყმობა ემძიმებოდა და თვით აპირებდა გამეფებას. მან ადრევე წაართვა ხევი და მთიულეთი ქართლის მეფეს და ცდილობდა თიანეთის, მუხრანისა და თავისუფალი ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას. 1631 წელს თეიმურაზ მეფემ იმერთა მეფის დამხმარე ჯარის საშუალებით და ოსმალეთის დახმარების იმედით ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია. ამავე დროს თეიმურაზ მეფემ ისევ განაახლა კავშირი ერთმორწმუნე რუსეთთან და მოსკოვის მეფეს დახმარება სთხოვა. ამის საპასუხოდ ირანის შაჰმა გადაწყვიტა თეიმურაზის თავიდან მოშორება და ქართლი სიმონ-ხანის ბიძას — როსტომს უწყალობა, ხოლო კახეთის ხანად ყიზილბაში სალიმი დანიშნა. ისინი დიდი ჯარით მოვიდნენ ხუნანს. ქართლის ფეოდალების უმრავლესობა როსტომ-ხანს ეახლა. ფეოდალების ნაწილმა კი თეიმურაზს ყიზილბაშებთან ომი არ ურჩია. თეიმურაზი აპირებდა შებრძოლებას, მაგრამ როდესაც ბატათაშვილები და ბევრი სხვა თავადი სპარსელებს მიემხრო, მეფემ ომი ვერ შეძლო და თავისი ოჯახითა და დიდი ამალით იმერთში გადავიდა.

საქართველოს ისტორიის სწორედ ეს პერიოდი აქვს მხედველობა-

<sup>133</sup> محمد ثريا سجل عثمانى يا خود تذكرة مشاهير عثمانیه، ج. IV، ص. 153.

ში ნაიმას, როდესაც აღნიშნავს, რომ „ამ წელს ირანის შაჰმა საქართველოში ლაშქარი გამოგზავნა და როცა ლაშქარმა საქართველოში მოაღწია, თეიმურაზმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ერთ მხარეს გაიხიზნა. ყიზილბაშთა ლაშქრით საქართველო მთლიანად გაიკისო, ხალხი დაიმორჩილეს. შემდეგ დაბრუნდნენ, თავრიზში შეიკრიბნენ და ე-ანში ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ“<sup>134</sup>. ჩანს, რომ ნაიმას ამ დროის საქართველოს შინაგანი მდგომარეობის შესახებ მეტად მცირე ცნობები ჰქონია ხელთ და იგი ამიტომ ორიოდ წინადადებით კმაყოფილდება და საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს მოვლენებს. სწორედ ამ პერიოდისაა — 1632 წლიდან ქართლისა და ირანის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება. ამ დროიდან მოკიდებული ქართლ-კახეთს მაჰმადიანი მეფეები განაგებენ, რომელთაც შაჰის „მოადგილე“ ეწოდებოდათ. ამ მხრივ როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოახერხა ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება. მისთვის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე იყო თეიმურაზ მეფე, რომელსაც იმერეთიდან კავშირი ჰქონდა გაბმული ქართლის ზოგიერთ წარჩინებულთან. თეიმურაზი თავისი ქალის იმერეთის ტახტის მემკვიდრეზე გათხოვებით დაუმოყვრდა იმერთა მეფეს. როსტომმა კი გადაწყვიტა თეიმურაზ-იმერთა მეფის კავშირისთვის დაეპირისპირებინა სამეგრელოს მთავართან ლევან II დადიანთან მისი დამოყვრება. ცოლად შეირთო ლევან მეორე დადიანის და მარიამი. დადიანი კი სასტიკი მოწინააღმდეგე და შეურიგებელი მტერი იყო იმერთა მეფისა. ამ გარემოებამაც დააჩქარა როსტომის მოწინააღმდეგე ქართლის ფეოდალების გამოსვლა, რადგან მეფის გაძლიერება თანდათან ართულებდა მის მდგომარეობას. ამასთანავე თეიმურაზის ბრძოლა როსტომ მეფის წინააღმდეგ ქართველი თავადების აზრით იყო ბრძოლა ქართველობისა და თვითმყოფობისათვის, ამიტომ თეიმურაზის მომხრე თავადების რიცხვი იზრდებოდა.

დადიანისა და გურიელის მიმხრობა როსტომის მხარეს ნიშნავდა მათ ყიზილბაშთა მხარეზე გადასვლას. ნაიმა გვაწვდის ცნობებს დადიანის ასულის როსტომზე გათხოვების შესახებ. 1633—1634 წლის ამბების გადმოცემისას ნაიმა ცალკე სათაურით „საქართველოს მდგომარეობა“ გადმოგვცემს: „დადიანი და გურიელი შეკავშირდნენ და ყიზილბაშებს მიემხრნენ. დადიანმა თავისი ქალიშვილი ცოლად მისცა ხოსროვ მირზას, რომელიც შაჰის რწმუნებული იყო ზაგემსა და ქართლში“<sup>135</sup>. აქ ნაიმა ხოსროვ მირზას იმავე როსტომს ზაგემში ე. ი.

<sup>134</sup> გვ. 146. تاريخ نعيماء، جلد ۳.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 217.

კახეთში „შაჰის რწმუნებულად“ იხსენიებს. სინამდვილეში როსტომი ქართლის „ვალი“ იყო, მაგრამ არ იყო გამორიცხული, როსტომს თავისი უფლებები გაეცრელებინა კახეთზეც, საამისოდ მას ყიზილბაშები უმაგრებდნენ ზურგს. ნაიმას ზემოთ მოყვანილ ცნობას ადასტურებს ბერი ეგნატაშვილიც. იგი წერს: „ამას ჟამსა შინა ინება როსტომ მეფემა და დადიანმა ერთმანეთის მოყვრობა. მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მპყრობელი ერთმანეთს უხდებოდნენ და იყო შური დიდი ერთმანერთშია. და ამისთვის მოინდომა დადიანმა როსტომ მეფის მოყვრობა და როსტომ მეფემაც ამისთვის მოინდომა დადიანის მოყვრობა, რომე ბატონი თეიმურაზ ამის მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს ამისთვის ემტერებინა“<sup>136</sup>.

ნაიმასთან შედარებით ბერი ეგნატაშვილი უფრო ვრცლად და დეტალურად აგვიწერს დადიანის ქალის როსტომ მეფეზე გათხოვების ამბავს და მისგან გამომდინარე პოლიტიკურ მომენტებს. ჯერ კიდევ როსტომზე დაქორწინებამდე დადიანის ქალი მარიამი ცოლად ჰყოლია სვიმონ გურიელს. გურიელმა საკუთარი მამა მოკლა და ამიტომ დადიანმა წაართვა თავისი და. ბერი ეგნატაშვილი საგანგებოდ გადმოგვცემს დადიანისა და გურიელის ურთიერთობის ამბებს<sup>137</sup>. მისი ცნობიდან ჩანს, რომ დადიანსა და გურიელს შორის მარიამის თაობაზე მტრობა ჩამოვარდნილა. ბერი ეგნატაშვილის ცნობა და ნაიმას მიერ მოტანილი ცნობა თითქოს „დადიანი და გურიელი შეკავშირდნენ და ყიზილბაშებს მიემხრნენო“ ერთმანეთს გამორიცხავენ. ბერ ეგნატაშვილს ნაიმასთან შედარებით დაწვრილებით აქვს მოტანილი ეს ამბები და მას უფრო დაეკერება. ნაიმა კი საერთოდ ძალიან მოკლე ცნობებს იძლევა ამ საკითხზე. ნაიმას გადმოცემით, იმერეთის მეფესა და თეიმურაზს როსტომ მეფისათვის გზა არ მიუციათ დადიანის ქალის წასაყვანად და თუ როგორი ბრძოლა მომხდარა მათ შორის ამას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ზემოხსენებული ქალის იმერეთზე გასატარებლად იმერეთის მეფემ და თეიმურაზმა როცა გზა არ მისცეს, ერთის მხრივ, ზემოხსენებული ხოსრო ბეგი ოცდაათათასზე მეტი ყიზილბაშით და მეორეს მხრით, დადიანი და გურიელი ურიცხვი ხალხით იმერეთს თავს დაესხნენ. მათ შორის დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დადიანმა გაიმარჯვა და იმერეთი ხელთ იგდო. თეიმურაზმა და იმერეთის მეფის შვილმა მიუვალ კლდეს შეათარეს თავი. იმერეთის მეფეს თავისი სამფლობელო ხელიდან წაუვიდა. ყიზილბაშები, დადიან-

<sup>136</sup> ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, 1940, თბ., გვ. 173.

<sup>137</sup> ი კ ე ე, გვ. 174.

ნი და გურიელი შეერთდნენ, ოცდაათ ათასამდე რაფიზილი ერთად საქართველოს შიგნით დათარეშობდა<sup>138</sup>.

იგივე ამბები, რომელიც ნაიმას აქვს მოთხრობილი, შედარებით დაწვრილებით და საკმაოდ განსხვავებულად აქვს გადმოცემული ახალი ქართლის ცხოვრების ავტორს. ბერ ეგნატაშვილს საერთოდ არაფერი აქვს ნათქვამი დადიანისა და გურიელის შეკავშირებაზე ამ ლაშქრობაში. არაფერი აქვს აგრეთვე მოთხრობილი ხოსრო-ბეგის მიერ ოცდაათი ათასი ყიზილბაშის მოშველიების შესახებ იმერეთზე საბრძოლველად. მართალია, ნაიმასა და ბერი ეგნატაშვილის ცნობები განსხვავებულია, მაგრამ ქრონოლოგიურად ორივე ერთსა და იმავე თარიღს ასახელებს. ნაიმა საერთოდ არაფერს ამბობს იმერეთის მეფის დატყვევებაზე, რაზედაც ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს. ნაიმას ცნობით, დადიანს იმერეთი ხელთ უგდია, მაგრამ თეიმურაზი და იმერეთის მეფის შვილი კი მიუვალ ადგილებში გახიზნულან. ბერი ეგნატაშვილი კი პირიქით იმერეთის მეფის დატყვევებაზე ბრძანებს, მაგრამ იმერეთის დაკავებაზე კი არაფერს ამბობს. თუ ბერი ეგნატაშვილი მხოლოდ იმერეთის მეფე გიორგის იხსენიებს დატყვევებულად, ნაიმა საერთოდ არ ახსენებს მას. იგი თეიმურაზსა და იმერეთის მეფის შვილს იხსენიებს.

ნაიმას ცნობით, თეიმურაზ-იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ მთელ საქართველოში ყიზილბაშები დათარეშობდნენ როსტომისა და დადიანის მეოხებით. ნაიმას ცნობიდან ჩანს, რომ ყიზილბაშები შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან. მათ გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებიც დაურღვევიათ, რაც, ცხადია, ოსმალეთის მთავრობის სუვერენიტეტს ლახავდა. ბუნებრივია, რომ ოსმალეთის მთავრობა ყიზილბაშთა მიერ ოსმალეთის სასაზღვრო ზონის დარღვევას აშკარა უკმაყოფილებით შეხვდებოდა. ოსმალეთის მთავრობა ყიზილბაშთა ლაშქრის გამოჩენას გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებზე დადიანისა და გურიელის პოლიტიკური საქმიანობის შედეგად მიიჩნევდა და შეეცდებოდა უპირველესად დაესაჯა გურიელი და დადიანი. სწორედ საამისო ღონისძიებებს ლეზულობს ოსმალეთის მთავრობა, როდესაც ერთიანად მოუწოდებს მოსაზღვრე რაიონის გამგებლებს საბრძოლო მზადყოფნისაკენ. ნაიმა ამ ინციდენტის შესახებ ასე მოგვითხრობს: „შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრების დარღვევა ყიზილბაშების მიერ დადიანისა და გურიელის მეოხებით როცა ცნობილი გახდა, ქვეითი ლაშქარი და ოსმალეთის სახელმწიფოს ფლოტი დედაქალაქში მოვიდა. იმ მხარის დასაცავად დადიანის, გურიელის და ვილაიეთების დალაშქვრა საჭიროდ ცნეს. ჩილდირის ბეგლარ-ბეგს საფარ-ფაშას ებრძანა და ეცნობა, თავისი საბრძა-

ნებლოს საზღვრებზე წერილობითი ბრძანების დაგზავნა. არზრუმის საზღვრების დასაცავად ადანის ბეგლარ-ბეგს, სრულიად ქერმანის სანჯაყებს, სარუჰანისა და კასტამონუს სანჯაყებს მიეცათ განკარგულება“<sup>139</sup>.

ამონაწერიდან ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს იმისათვის, რომ დასაჯოს დადიანი და გურიელი, და ამავე დროს გაამაგროს თავისი სასაზღვრო რაიონები.

ნაიმას „ისტორია“ შესანიშნავი წყაროა ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. როგორც ვნახეთ მას საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული საქართველოს შესახებ. მაგრამ ნაიმას „ისტორიაში“ არანაკლებ საყურადღებო ცნობებია დაცული სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებაც. განსაკუთრებით უხვადაა დაცული ცნობები სომხეთზე. ნაიმა მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრის სამზადისს სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე რომელიმე ციხე-სიმაგრის ასაღებად. არაერთგზის აქვს მოთხრობილი ერევნის ციხის გარემოცვის და მისი აღების შესახებ. აღწერილი აქვს ბრძოლის ეპიზოდები, სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულებანი, რომლებიც ამიერკავკასიის ქვეყნებს ეხება და სხვ. ამა თუ იმ ამბის გადმოცემისას აშკარად ჩანს თუ ვის მხარეზეა ავტორის სიმპათიები. ნაიმა საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების — არზრუმისა და ტრაპიზონის შესახებაც. ნაიმას ცნობების უმეტესობა ეხება ბრძოლის ეპიზოდებს, სალაშქროდ სამზადისსა და სხვ. სავსებით ბუნებრივია ნაიმას ყურადღების გამახვილება ბრძოლებსა და სამხედრო ექსპედიციებზე, რადგან ნაიმა ხომ გამომხატველია სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგიისა, იგი ზომ კარის ოფიციალური ისტორიკოსია და მას მხოლოდ მომხდარი ფაქტების რეგისტრაცია ევალებოდა, ხოლო სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს და ძირითად საქმიანობას, როგორც ცნობილია, სხვისი ქვეყნების ძარცვა და მუდამ სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობის მიღება შეადგენდა. ასეთი განუწყვეტელი სამხედრო ექსპედიციებისა და დაპყრობების შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთის იმპერია XVI საუკუნეში სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული.

ნაიმა მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის ათიანი წლების სომხეთის შესახებ. როგორც ცნობილია 1602 წლის ბოლოს ირანმა რამდენიმე ათეული წლის წინათ დაწყებული ომი განაახლა ოსმალეთთან. ამ ომში შაჰ-აბასის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულების განახლება. ამ ომში ირანი სერიოზულ წარმატებებს აღწევდა, რადგან ამ

<sup>139</sup> №3. 218. تاريخ نعيماء، جلد 3



დროს ოსმალეთში, ანატოლიის პროვინციებში ანტიფეოდალური აჯანყებები იყო. ოსმალეთის მთავრობას ყურადღება გამახვილებული ჰქონდა აჯანყებულთა წინააღმდეგ და ამიტომ მან ვერ მოახერხა დახმარება აღმოეჩინა ამიერკავკასიის ქალაქებში ჩაყენებული თავისი გარნიზონებისათვის, რის გამოც ირანის შაჰმა ადვილად დაამარცხა ოსმალთა მეციხოვნე ჯარები და 1602—1607 წლებში მათგან გაწმინდა აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი სომხეთი, შირვანი. ყიზილბაშებმა დაიკავეს აგრეთვე ლორეს, დმანისსა და თბილისში ჩაყენებული ოსმალთა მეციხოვნე გარნიზონის ადგილები. ასეთი ღონისძიებებით ირანის როლი ამიერკავკასიაში იზრდებოდა. ამას ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა. ამიტომ 1606 წ. ოსმალეთი დაეზავა ავსტრიას და მთელი ყურადღება აღმოსავლეთში გადმოიტანა<sup>140</sup>.

1611—1612 წლების ამბების გადმოცემისას ნაიმა თავის „ისტორიაში“ ძირითადად ირან-ოსმალეთს შორის ბრძოლის ეპიზოდებს აღწერს. ნაიმა მოგვითხრობს, რომ ისლამის მეციხოვნე ლაშქარს ამ დროს ნახჭევანის ციხე დაუკავებია და იქ ეწეოდა სამსახურს. მაგრამ ნახჭევანის ოსმალთა მეციხოვნეებს მოსვენებას არ აძლევდნენ ყიზილბაშები. მათი რიცხვი თანდათანობით დიდდებოდა. ამავე დროს ნახჭევანის დაცვის საქმეში უთანხმოება ჩამოგარდნილიყო. ნაიმა აღნიშნავს: „ამბობდნენ უფროსსა და ლაშქარს უთანხმოება მოუვიდათ“<sup>141</sup>. ბოლოს შეთანხმებულან, ციხე საიმედოდ გაუმაგრებიათ და იქიდან ერევანის ციხისკენ წასულან. ნაიმა ერთი წინადადებით მოგვითხრობს, რომ ნახჭევანის ციხის გამაგრების შემდეგ ერევანის მხარეს წავიდნენ, ერთი დღე-ღამე იარეს, „ციხეში მივიდნენ, დაიკავეს, ხალხი დახოცეს და იქ დადგნენ“<sup>142</sup>. მაგრამ ნაიმა არ ასახელებს რომელი ციხე აიღეს. შესაძლებელია ეს ერევანის ციხეა ანდა მასთან ახლოს მდებარე რომელიმე ციხე. უფრო ქვემოთ, შემდეგ თავში, ნაიმა მოგვითხრობს ოსმალთა მიერ ერევანის ციხის დაკავების შესახებ.

ნაიმას „ისტორიიდან“ ჩანს, რომ გაძლიერებული შაჰ-აბასი შიშის ზარს სცემდა მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობას. ნაიმა აღნიშნავს, რომ „რადგან ხალხში ხმები იყო გავრცელებული ნახჭევანსა და ერევანზე შაჰის ლაშქრობის შესახებ, ერევანის წარჩინებული მოსახლეობა, ნახჭევანის ლაშქარიც თავიანთ ციხეებში ვერ დგებოდნენ“<sup>143</sup>. ნაიმას ცნობით ამ დროს ე. ი. 1611—1612 წლებში ოსმალეთის მთავრობას ერევანის ციხისთვის უბოძებია კეთილმეგობრობის სიგელი. აქვე ნაიმა გვამცნობს, რომ სტამბოლში მუთუფერიკები შეკრი-

<sup>140</sup> ვ. ჩოჩიევის დასახ. ნაშრ., გვ. 341—342.

<sup>141</sup> გვ. 353. « تاريخ نعيما جلد ١ »

<sup>142</sup> იქვე.

<sup>143</sup> იქვე.

ბეს, მართალია, არასაკმაო რაოდენობისა, მაგრამ ეს ჯარი დიდ მიზნებს ისახავდა; მას დავალებული ჰქონდა ერევნის ციხის აღება „მაგრამ მრავალრიცხოვანი საქმიანობით იგი თავის ამოცანას ვერ შეასრულებდაო“<sup>144</sup> დასძენს ნაიმა. ნაიმა აქვე გვაუწყებს, რომ ოსმალებს ერევნის ციხის სამივე მხრიდან დაუწყიათ შემოტევა, მაგრამ თუ როგორ დამთავრდა ეს გარემოცვა ამაზე ისტორიკოსი სდუმს. ჩანს, რომ ოსმალებმა ამ გარემოცვის დროს ვერ მოახერხეს ერევნის ციხის აღება. ნაიმა აქ მხოლოდ წარსულის მოგონებებით კმაყოფილდება. იგი წერს: „წინათ განრისხებული ვეზირი როგორც კი მოვიდა, თხუთმეტ დღეში ნახევარი აიღო... მიზანი მიღწეული იყო“<sup>145</sup>.

ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელსაც ყიზილბაშები ან ოსმალები ატარებდნენ ამიერკავკასიაში, ნაიმა უკავშირებს ერევნის ციხეს. მაგალითად, თუ რაიმე სამხედრო სამზადისია, იგი უსათუოდ აღნიშნავს ერევნის ციხის ასაღებად სამზადისიან, ანდა ლაშქრის გამგზავრება ერევნის ციხისკენ, ან ბრძოლა ერევნის ახლოს და სხვ. ჩანს, რომ ერევნის ციხეს ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლენის გაძლიერებისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია, როგორც ყიზილბაშების ისე ოსმალებისთვისაც.

იმავე 1611—1612 წლების ამბების გადმოცემისას ნაიმა მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. როდესაც ყიზილბაშები თავრიზის ციხეში დამდგარან, ნაიმას სიტყვით, გაუციათ ბრძანება ნახჭევნისა და ერევნის აღების შესახებ. ნაიმა ძალიან ძუნწად მოგვითხრობს ამ ციხეების აღებაზე. იგი ერთი წინადადებით აღნიშნავს, რომ ყიზილბაშებმა ჯერ გააპრცელეს თავიანთი ძალა-უფლება ნახჭევნის ციხის მოსახლეობაზე, შემდეგ ერევნის ციხეც აიღეს და დაიმორჩილეს, ამის შემდეგ უფრო მეტი წარმატებები ჰქონიათ ყიზილბაშებს აზერბაიჯანში. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ირანის შაჰმა „აზერბაიჯანის აღების შემდეგ იქ არსებული მულქი მოვრუსი დაისაკუთრა. განჯისა და შირვანის მხარეში ბრძანება გაიცა და ამ წელს ყარაბაღში გამოზამთრება გადაწყდა“<sup>146</sup>. ნაიმას ცნობებიდან ჩანს, რომ ყიზილბაშებს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონიათ ამიერკავკასიაში, რაც უშუალო შედეგი უნდა ყოფილიყო შაჰ-აბასის იმ რეფორმებისა, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე რომ განახორციელა ირანში. შაჰ-აბასმა ამ რეფორმებით ეკონომიურად დააწინაურა ირანი და განსაკუთრებით ხელი შეუწყო მის მომავალ სამხედრო პოლიტიკურ წარმატებებს. რამდენადაც ირანის ყიზილბაშური სახელმ-

<sup>144</sup> გვ. 354. تاريخ نعيماء جلد ۱، ص 354.

<sup>145</sup> იქვე.

<sup>146</sup> იქვე. გვ. 355.

წიფო წინაურდებოდა და ძლიერდებოდა, იმდენად XVII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის გავლენა თანდათანობით სუსტდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე, რასაც კარგად იყენებდა შაჰ-აბასი.

ყიზილბაშთა თავდასხმებით შეწუხებული სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა ბუნებრივია დახმარებას და შევლას ოსმალეთისგან მოელოდა. ნაიმა კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ დაპყრობილი მოსახლეობა ოსმალეთის სარდლობას დახმარებას სთხოვს, „თავდასხმისაგან ჩივის და მიშველების თხოვნის წერილს უგზავნის ხშირად. პასუხი რა თქმა უნდა დუმილია. ძველებურად მიდიოდა საქმეები, ძალიან ბევრი დაპირება იყო ლაშქრობის სანაცვლოდ“. მაშასადამე, ნაიმას ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა მხოლოდ ლოიალური დაპირებებით კვებავდა ყიზილბაშების მიერ შევიწროებულ ამიერკავკასიის მოსახლეობას და მას რაიმე რეალური ღონისძიების ჩატარების სურვილი არ ჰქონდა, რადგან ერიდებოდა ყიზილბაშურ ირანთან პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებას და თავგამოდებით იცავდა ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის პირობებს, რომლის დარღვევას ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ცდილობდა გაძლიერებული ყიზილბაშური ირანი.

ნაიმას თავისი „ისტორიის“ პირველ ტომში ცალკე სათაურად აქვს გამოყოფილი „შაჰის მიერ ქალაქ ნახჭევნის აღება“. ნაიმას გადმოცემით იმავე 1611—1612 წლებში ირანის შაჰი არდებილის გამგებლის ზულფაკარ-ხანის ლაშქრით ნახჭევნის დესაპყრობად წამოსულა. ვეზირი და ხალხი ამოუწყვეტია, მაგრამ ამ ღონისძიებაში ყიზილბაშთა ლაშქრის ნახევარი დახოცილა. ყიზილბაშები „უსამართლობითა და შეურაცხყოფით სუნიტების ოჯახებში შევარდნენ და რასაც თვალი მოავლეს გაანადგურეს“<sup>147</sup>. ნაიმას სიტყვებიდან ჩანს, რომ ნახჭევნის მოსახლეობა სუნიტები ყოფილან და ბუნებრივია, რომ ნაიმას სიმპათიებიც სუნიტების ე. ი. ოსმალების მხარეზე იქნებოდა. ეს კი აშკარად ჩანს ოსმალ ოფიციალური ისტორიკოსის მთელ თხზულებაში. ყიზილბაშებს ზიზლითა და სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით იხსენიებს. სუნიტების გვერდით ნაიმა ნახჭევნის მოსახლეობაში აჯემებსაც ახსენებს. ესენი სპარსელები არიან, რომლებმაც ყიზილბაშთა მიერ ციხის აღების დროს „ზარბაზნებითა და თოფებით წინააღმდეგობა გაუწიეს“. ნაიმას ცნობით, ყიზილბაშებს იმავე ლამეს ნახჭევნის ციხე დაუზღვრევიათ. „შაჰის ლაშქართან შესაბამელად მათ ძალა არ ეყოთ, ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის ციხე გადასცეს სპარსელებს“<sup>148</sup>. ნახჭევნის აღების მესამე დღეს უკვე შაჰს ბრძანება გამო-

<sup>147</sup> გვ. 356. تاريخ نيماء، ۱

<sup>148</sup> იქვე,

უცია ქალაქში, რასაც ადგილობრივი რაფიზები ე. ი. ყიზილბაშები სიამოვნებით შეხვედრიან. შემდეგ ნაიმა მოგვითხრობს ზულფაკარ-ხანის ღონისძიებებზე ქალაქის მოსახლეობის დასამორჩილებლად და ურჩების დასასჯელად.

ყიზილბაშთა ბატონობის დროს, ნაიმას სიტყვით, „მუსლიმანი (ე. ი. ნაიმას გაგებით სუნიტური სექტის მიმდევარი — ნ. შ.) და ქაღირი სრულიად ერთნაირად იჩაგრებოდნენ“<sup>149</sup>.

ნაიმას ცნობით, ამ პერიოდში ერევნიდან ყიზილბაშური რაიონები ჩანდაო, სადაც მათი რაოდენობა 5—6 ათასს აღწევდა. ჩანს, რომ ერევნის ახლომახლო გარეუბნებიც, მისი მისადგომებიც ყიზილბაშებს უჭირავს ამ პერიოდში. ნაიმას გადმოცემით, ყიზილბაშთა შაჰისთვის წარუდგენიათ სომხეთის წარჩინებული არისტოკრატიის წარმომადგენლები, პროტინციის გამგებლები, მაგრამ შაჰი მათ ჩვეული ტირანიით მოქცევიდა და დაუწოცია. ისტორიკოსი გვამცნობს, რომ „შაჰის ერთგულმა ლაშქარმა მთავარ რაიონში საშიში ცეცხლით უძლეველობა დაიმსახურა და შითქმა-მოთქმის საგანი შეიქნა“. როგორც ჩანს, ნაიმა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შაჰის მიერ ცეცხლის იარაღის გამოყენებას.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ნაიმას ცნობები უმეტესად ბრძოლის ეპიზოდებს შეიცავს. იგი გატაცებულია ამა თუ იმ ციხის დაპყრობაზე ამბების მოთხრობით. იგი შედარებით დაწვრილებით აგვიწერს 1611—1612 წლებში შაჰის მიერ ერევნის ციხის აღებას, თუმცა სხვაგან მრავალგზის ჰქონდა საუბარი ერევნის ციხის აღებაზე. მისი გადმოცემით, შაჰ-აბასს წინათ ერევნის ციხე არაერთგზის დაუპყრია. ნაიმა აგვიწერს ყიზილბაშთა მიერ ერევნის ციხის აღების შემდეგ მათ მიერ ჩადენილ ხოცვა-ჟლეტას, ქონების ხელში ჩაგდებასა და ტყვეების წასხმას. ამ შემთხვევაში ნაიმა შედარებით დაწვრილებით აღწერს ყიზილბაშთა საქმიანობას დაპყრობილი ციხის შიგნით, ვიდრე სხვა ციხეების აღების დროს. ნაიმა მაინც ტენდენციურია ყიზილბაშთა ლაშქრის სიმკაცრის მიმართ, უფრო სწორად, ნაიმა შედარებით რეალურად გადმოგვცემს ყიზილბაშთა სისასტიკეს ადგილობრივი, დაპყრობილი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ იგი საერთოდ არაფერს ამბობს ოსმალეთის ლაშქრის მიერ ჩადენილი მსგავსი უსამართლობის შესახებ, რადგან მისი სიმპათიები ოსმალეთის ხელისუფლებისკენაა და იგი საჭიროდაც არ თვლის ასეთი რამის აღნიშვნას. იმ დროს, როდესაც ნათლად ხედავს მსგავს საქციელს მისი ქვეყნის დაუძინებელი მტრის — ყიზილბაშური ირანის ლაშქრის საქმიანობაში.

<sup>149</sup> 33. 357. تاريخ نيماء، جلد 1

ერევნის ციხის გარემოცვა ნაიმას მიხედვით, მთელი თვე გაგრძელებულა. 1500-მდე კაცი მოუკლავთ და ხუთასამდე ტყვედ წაუყვანიათ. ერევნის ციხის აღებასთან ერთად ნაიმა გვაუწყებს შემახასა და შირვანის დაპყრობას ყიზილბაშთა მიერ. ნაიმას „ისტორიიდან“ ჩანს, რომ შირვანი ყიზილბაშთა დაპყრობამდე ოსმალებს სუბერიათ და იქ თავიანთი გამგებელი ჰყოლიათ. (ნაიმა აქ მოგვითხრობს შირვანის გამგებლის ბიოგრაფიასაც). იგი ძალიან მოკლედ, ერთი წინადადებით აღნიშნავს ყიზილბაშთა მიერ შემახასა და შირვანის დაპყრობას. იგი აღნიშნავს: „ამასობაში ყიზილბაშთა ლაშქარი შემახაში მოვიდა და მისი გარემოცვის შემდეგ დაიპყრო. შირვანიც დაიპყრო“<sup>150</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ნაიმა სიტყვაძენწია სომხეთისა და აზერბაიჯანის ციხეების ყიზილბაშთა მიერ დაკავების თხრობისას, მაინც აშკარად ჩანს შაჰ-აბასის აგრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ და ოსმალეთის როლის შესუსტება ამ ქვეყნებში.

ნაიმას ცალკე სათაურად აქვს გამოყოფილი საკითხი: „ბრძოლა ერევნის მოსახლეობასთან“. ნაიმას მიერ აქ აღწერილი ამბებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ თავგამოდებით იბრძოდა ერევნის მოსახლეობა თავისი დამოუკიდებლობისათვის. ნაიმას აღწერილი აქვს ყიზილბაშთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა სომეხი ხალხისა და სუნიტური სექტის მიმდევარი მაჰმადიანებისა, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ.

ნაიმა გვაუწყებს, რომ ერევნის ციხის გარემოცვის შემდეგ ყიზილბაშთა სარდალმა ემირგუნე-ხანმა ახჩა-ყალას მიდამოები გაანადგურა და ნადავლი ისპაჰანში გააგზავნა. ყიზილბაშებმა „ერევნის გარეუბანიც ერთიმეორეზე მიყოლებით დაიკავეს. ვილაიეთი ემირ-გუნეს გადასცეს“. ყიზილბაშთა ლაშქარი კი ყარსის ასაღებად წავიდა. ყიზილბაშების წინააღმდეგ არზრუმისა და ახალციხის ფაშების მონაწილეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის პირველი მეოთხედის სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ისტორიისათვის მეტად უხვი და საინტერესო ცნობები აქვს დაცული ნაიმას თავის „ისტორიაში“. მართალია, ამბების გადმოცემისას ნაიმა წინამორბედი ისტორიკოსების ცნობებს ეყრდნობა, მაგრამ იგი მეტად სანდო წყაროა მაინც ამ დროის რიგი საკითხების შესასწავლად. ნაიმას „ისტორია“ იმითაც არის საყურადღებო, რომ ფაქტები და მოვლენები მას აღწერილი აქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

შემდეგ ნაიმა მოგვითხრობს ოსმალეთის შეიარაღებული ძალების სამზადისს და გალაშქრებას ყიზილბაშების წინააღმდეგ 1612 წელს.

ლაშქარი უსქედარში გადმოსულა და იქიდან მთელი ანატოლია გადა-  
უსერავს. გზადაგზა ეს ლაშქარი ვილაიეთების ხარჯზე თანდათან იზრ-  
დებოდა. ნაიმას ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ლაშქარში არ ყო-  
ფილა დისციპლინა. ანატოლიაში მომავალი ლაშქარი გზად სამხედრო  
ხელმძღვანელობას სთხოვს ლაშქრობის წარმატების შემთხვევაში ნა-  
დავლის განაწილებას. ლაშქრის ხელმძღვანელობა პირდება, რომ „აღ-  
მოსავლეთში თუ გავილაშქრებთ, ნადავლი გაიცემათ“.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლიდან გამოსულ ლაშქარს გზად შეუ-  
ერთდა ჩილდირის ბეგლარ-ბეგი. ნაიმა აღნიშნავს, რომ „ჩილდირის  
ბეგლარბეგი მიიმხრეს, რჩევა-დარიგებით გააფრთხილეს, რომ მორჩი-  
ლებით ჯარი გამოეყვანა“<sup>151</sup>. ამას გარდა ოსმალებს მიემხრო არზრუ-  
მისა და ვანის ბეგლარბეგი. ზოგი კიდევ ყიზილბაშებს მიემხრო. იმ  
დროს როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა მთელი ანატოლია გამოიარა და  
გზადაგზა პროვინციის გამგებლები თავიანთი ლაშქრით შეიერთა, „შაჰ-  
აბასი მთელი თავისი სამხედრო ძალებით ერევნისა და ახჩა-ყალას  
რაიონში დაბანაკდა“. მართალია, ნაიმას ბრძოლის მსვლელობა დაწვე-  
რილებით არა აქვს აღწერილი, მაგრამ მაინც ჩანს, რომ შაჰი გაქცეუ-  
ლა და ოსმალები უკან დადევნებიან და თავრიზი გარემოუცავთ. „თუმ-  
ცა, აღნიშნავს ნაიმა, რაიმე სარგებლობა (ჯარს) არ უნახავს“.

ნაიმას ცნობით, შაჰ-აბასმა ამ ბრძოლაში დიდი ზარალი ნახა,  
მთელი ალაფი ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში. „შაჰის მიერ დატოვებუ-  
ლი ნადავლი ჩვენი იყო. ამ ნადავლის ხელში ჩაგდებით გავმდიდრ-  
დით. რუშში წასვლის შემდეგ განჯისა და ყარაბაღისკენ წასვლა  
ურაცხვე წყალობას გვიქაღდა“<sup>152</sup>. იმავე წლის ზამთარში ლაშქარი ვან-  
ში გაჩერებულა.

ირან-ოსმალეთის გაუთავებელმა ომებმა და გვალებმა ამიერკავ-  
კასიის ქვეყნებში დიდი შიმშილობა გამოიწვია, განსაკუთრებით ცნო-  
ბილია დიდი შიმშილობა სომხეთში, რომელიც რამდენიმე წელიწადს  
გრძელდებოდა 1606 წლიდან მოკიდებული. ამ ცნობილი შიმშილობის  
შესახებ ნაიმა აღნიშნავს: „წინათ რეაიას მეტად მძიმე დღე ადგა, რად-  
გან იმ მხარეში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა სავალალო იყო.  
გვალვა იყო. პროდუქტებზე მაღალი ფასი იყო დაწესებული“<sup>153</sup>.

1613 წ. ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამიერკავკასიაში  
ირანის ბატონობისათვის შაჰ-აბასი აუცილებლად მიიჩნევდა ქრის-  
ტიანი სახელმწიფოების ლიკვიდაციას და მათ სეფიანთა სახელმწი-

<sup>151</sup> გვ. 394. تاريخ نعيماء، جلد ۱، ص 394.

<sup>152</sup> ი ქ ე ე. გვ. 396.

<sup>153</sup> გვ. 136. تاريخ نعيماء، جلد ۲، ص 136.

ფოს შემადგენლობაში გაერთიანებას. მაგრამ შაჰი კარგად გრძნობდა, რომ ამ ამოცანის შესრულება მოითხოვდა რუსეთის განდევნას და ოსმალეთის დამარცხებას ამიერკავკასიაში. ამიტომ შაჰი ყოველგვარ ზომებს იღებდა ამ ამოცანის შესასრულებლად, თვით ოსმალეთის დიდ-ვეზირი ნასუჰ-ფაშაც კი მოსყიდული ჰყავდა შაჰ-აბასს. მაგრამ შაჰმა მინც ვერ აიცილია ოსმალეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში. ოსმალეთი ხელს არ იღებდა ამიერკავკასიის დაპყრობაზე. ოსმალეთს კარგად ესმოდა ამ ტერიტორიების სტრატეგიული მნიშვნელობა. შაჰ-აბასის მიზნების განხორციელების შემთხვევაში ოსმალეთი უშუალოდ ირანს გაუშვებოდა<sup>154</sup>. ოსმალეთმა მტკიცედ გადაწყვიტა ირანთან ომის განახლება და 1615 წელს დიდი ლაშქრით გამოემართა ირანთან საბრძოლველად. ნაიმას მიხედვით, ამ ბრძოლის მიზეზი ყოფილა იმ ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ოსმალეთს შაჰ-აბასის წინაშე ჰქონდა. ნაიმას ცნობით, ოსმალეთს „შაჰ-აბასი ყოველ წელს 100 იუჟ აბრეშუმს და 100 იუჟ სხვა საქონელს ახდევინებდა. რაც ეს ვალდებულება ეკისრათ ორი წელი იყო გასული. შაჰმა მუქარით შემოუთვალა, ხარაჯს რატომ არ მიგზავნითო, პირობას არღვევთ და ამიერიდან ასეთი უსამართლობა არ შეიძლებაო. ფადიშაჰის ცეცხლისებური მრისხანება ნათელი იყო“<sup>155</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალეთი უკვე 1615 წელს წინააღმდეგი იყო იმ პირობისა, რომელიც შაჰ-აბასისათვის უნდა შეესრულებინა ოსმალეთს. რა თქმა უნდა, ოსმალეთის მიერ პირობის შეუსრულებლობა და შაჰის მუქარა არ არის მთავარი მიზეზი ირან-ოსმალეთის ახალი ომისა. ორივე ქვეყანას თავიანთი მიზნები ჰქონდათ ამიერკავკასიაში და ეს იყო რომ უბიძგებდა მათ გადამწყვეტი ბრძოლები-საკენ.

ნაიმა აღწერს 1515—1516 წლებში ოსმალეთის მთავრობის ღონისძიებებს ლაშქრობისათვის. იგი აღნიშნავს, რომ 1615 წელი ლაშქარმა ცალკეულ პროვინციებში გამოიზამთრა და 1616 წლის გაზაფხულზე ლაშქარი შეიყარა. მასში გაერთიანდა სხვადასხვა ვილაიეთის ლაშქარი, საერთო ხელმძღვანელი იყო დიდ-ვეზირი. სხვადასხვა პროვინციის მეთაურებს არზრუმის მხარისკენ გამგზავრების შესახებ ბრძანებები დაეგზავნათ. არზრუმის ციხიდან შვიდი ზარბაზანი გამოუტანიათ და ბოლოს რამდენიმე ვილაიეთის გაერთიანებულ ლაშქარს ყარსამდე მიუღწევია<sup>156</sup>.

<sup>154</sup> ე. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ. გვ. 343.

<sup>155</sup> გვ. 136. «فانما عينا»

<sup>156</sup> იქვე, გვ. 141—142.

ნაიმა, როგორც ყოველთვის, დეტალურად აღწერს ლაშქრობის სამზადისს, ამა თუ იმ ციხის აღებას, მაგრამ არაფერს ამბობს ნამდვილ მიზეზებზე, პოლიტიკურ სიტუაციებზე და სხვა ობიექტურ მხარეებზე, რომლებიც განაპირობებდა ორივე ქვეყნის კიდილს საუკუნეთა მანძილზე.

1616 წელს, როდესაც შაჰ-აბასი კახეთს აოხრებდა, ირან-ოსმალეთს შორის ომი გრძელდებოდა. მაგრამ ოსმალთა ლაშქარს ამიერკავკასიაში წარმატება არ ჰქონია. ერევნის, ნახჭევნისა და სხვა ქალაქების ციხეებში ჩაყენებულმა ყიზილბაშთა მეციხოვნეებმა მოიგერიეს ოსმალთა ყველა შემოტევა. ოსმალეთის სულთანი კი ყველა ღონეს ხმარობდა ირანის წინააღმდეგ აემხედრებინა ამიერკავკასიის მოსახლეობა, კერძოდ, კახეთის მეფე თეიმურაზი, რადგან ხედავდა, რომ შაჰ-აბასი კახეთის ერთიანად მოთხრას აპირებდა. ამიტომ ნაიმას ცნობით, ოსმალეთის მთავრობა თეიმურაზ მეფეს წერილს უგზავნის, სადაც მოუწოდებს, რომ საქართველოს ცალკეული მთავრები მიიმხროს და ყოველი ღონე იხმაროს ყიზილბაშთა საქართველოდან განსადევნად. ნაიმა მოგვითხრობს: „ზაგემის მმართველ ფურჯი თეიმურაზ-ხანს ბრძანება მიეწერა. ამ წელს ყიზილბაშებზე (სალაშქროდ) დიდგვზირი ხალილ-ფაშა სარდლად იგზავნება და შენც საქართველოს ოთხივე კუთხიდან ზოგიერთები მოიშველიე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მმართველები გაიერთვლულე და ყიზილბაშების განსადევნად ყოველგვარი ღონე იხმარე“<sup>157</sup>.

ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა დიდად ყოფილა დაინტერესებული ირან-ოსმალეთის ომში ოსმალეთის მხარეზე საქართველოს მონაწილეობით. რა თქმა უნდა, არანაკლებ დაინტერესებული იქნებოდა ირანიც საქართველოს თავის მხარეზე გადმოსაბირებლად და ყოველ ღონეს ხმარობდა, იქნებოდა ეს ძალით თუ შაჰ-აბასისათვის ჩვეული ვერაგული დიპლომატიური პოლიტიკით, რათა საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაება.

XVII ს-ის პირველ მეოთხედში ირან-ოსმალეთის ომებში ცხადი იყო ირანის აშკარა უპირატესობა ამიერკავკასიის ქვეყნების ათვისებაში. 1627 წ. შაჰ-აბასმა აბაზა-ფაშას დახმარებით შეძლო ახალციხის აღება. მაგრამ ოსმალეთი ხელს არ იღებდა სამცხეზე. ნაიმა 1626—1627 წლების ამბების გადმოცემისას აღნიშნავს: „აქემების საზღვარზე მდებარე ახალციხის ციხიდან მომჩივნები მოვიდნენ. ზემოხსენებულ ციხეში ათასამდე ყიზილბაშთა ლაშქარი მოსულა და ციხის გარემოცვის ბრძანება გაუციათო, დახმარებას ითხოვდნენ“<sup>158</sup>. ოსმალეთის მთავ-

<sup>157</sup> 33-№ 412. تاريخ نيماء، جلد ۲

<sup>158</sup> იქვე, 33-404.



რობას მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაუტარებია ამ მხარეში გამო-სალაშქრებლად. თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ოსმალეთის მთავრობა ახალციხის ყიზილბაშთაგან განთავისუფლებას, ეს ჩანს ნაი-მას შემდეგ სიტყვებშიც: „საუკეთესო სარდალიც (სხვა საქმეებისაგან) განთავისუფლეს, რათა იმ რაიონში გაეგზავნათ უშუალოდ“<sup>159</sup>. ახალ-ციხის განთავისუფლების გარდა ოსმალეთის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დაემორჩილებინა აჯანყებული აბაზა-ფაშა, რომელიც ხელს უწყობდა ირანს თავისი ზრახვების განხორციელებაში.

ნაიმას ცნობით აბაზა-ფაშა აზნაურის შვილია; შესაძლებელია მართლაც აბაზა წარმოშობით ქართველი ყოფილიყო. ნაიმას ცნობი-დან ნათლად ჩანს თუ რა გადაუწყვეტელი პრობლემა იყო ოსმალეთის მთავრობისათვის წლების მანძილზე განდგომილი აბაზა-ფაშას დამორ-ჩილება. ოსმალებს აბაზა-ფაშას წინააღმდეგ მოურავის მიერ მოტანი-ლი ზარბაზანიც გამოუყენებიათ. მისივე ცნობით 1627—1628 წლები-სათვის აბაზა-ფაშა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი იყო.

ნაიმა აგვიწერს არზრუმის ციხის გარემოცვას და მის აღებას 1628—1629 წლებში. არზრუმის ციხის გარემოცვის დროს „მოურავ მეკმედ-ბეგი გურჯის კარებთან (იღგა), საომრად იყო მომზადებული“<sup>160</sup>. ამ ღონისძიების დროს „12 ზარბაზნის დიარბექირის კარში გადატანა გურჯი მეკმედ-ფაშას ებრძანა“<sup>161</sup>. ჩანს, რომ გიორგი სააკაძეს აქტი-ური მონაწილეობა მიუღია აბაზა-ფაშას დამორჩილების საქმეში. ნაი-მას ცნობით, არზრუმის ციხე მეტად მიუვალი და ძლიერ გამაგრებუ-ლი იყო, რაც აძნელებდა ოსმალთა გაერთიანებული ლაშქრის შეტე-ვის წარმატებებს. ოსმალთა ლაშქარმა აბაზა-ფაშას დასამორჩილებ-ლად ძალით ვერაფერი გააწყო. ნაიმას გადმოცემით, მხოლოდ დამო-ყვრებითა და დიდი ვეზირის პატიოსანი სიტყვის მეოხებით გახდა შე-საძლებელი აბაზა-ფაშას ციხიდან გამოყვანა და დამორჩილება. ხოლო არზრუმის ვილაიეთი „მეკმედ-ფაშას ებოძა“.

აბაზა-ფაშას დამორჩილება მნიშვნელოვანი წარმატება იყო ოსმა-ლეთისათვის, რადგან იგი ფაქტიურად წლების მანძილზე განდგომილი იყო ცენტრალური ხელისუფლებისაგან და მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა შაჰ-აბასს დასახული მიზნის მისაღწევად.

1635 წელს ოსმალეთის სულთანმა მურად IV მოაწყო დიდი ლაშ-ქრობა ირანის წინააღმდეგ და დაიძრა ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ. ლაშქრობის ხელმძღვანელობა თვითონ ითავა და საზეიმო ვითარება-

<sup>159</sup> გვ. 404. ۲ تاریخ نعلیاء جلد ۲

<sup>160</sup> ი ქ ე ვ, გვ. 435.

<sup>161</sup> ი ქ ე ვ, გვ. 438.

ში გამოვიდა სტამბოლიდან. ანატოლიის პროვინციებში გზად გავლი-  
სას მას უხდებოდა ურჩი მმართველების დასჯა. 1635 წლის ივლისში  
ნაიმას ცნობით, მთელი შეიარაღებული ძალები არზრუმთან იდგა.  
„XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის შემდეგ საქართველოს  
საზღვრებთან აღარ ყოფილა ოსმალეთის ესოდენ მრავალრიცხოვანი  
და ორგანიზებული ლაშქარი“<sup>162</sup>. არზრუმიდან ოსმალეთის ლაშქარი  
აიყარა, ერევნის მიმართულებით წავიდა და ყარსის ახლოს დაბანაკდა.  
აქ მურად IV მიუვიდნენ ცალკეული ვილაიეთის გამგებლები. მაგალი-  
თად, ყარსის ვალი შეიხ-ფაშა და ჩილდირის ბეგლარ-ბეგი სეფერ-  
ფაშა. ყარსიდან მთელი ლაშქარი ნაიმას თქმით, საქრისტიანოში გადა-  
ვიდა. აქ კი სულთანს მიართვეს „გურიის ქვეყნის ფეშქაში და ხარაჯა“.  
ჩანს, რომ გურიელი დამოკიდებულების გარკვეული პოლიტიკური  
ფორმით ყოფილა დაკავშირებული ოსმალეთთან. მას ამ დროს ფეშ-  
ქაშისა და ძღვენის გადახდა ემართა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ  
გურიელი ყოველთვის მზად იყო ამ მოვალეობის შესასრულებლად. ის  
ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა შეეწყვიტა ამ ვალ-  
დებულების შესრულება.

ნაიმას ცნობით, ოსმალეთის მთელი ლაშქარი 1635 წლის 27 ივ-  
ლისს ერევნის ახლოს დაბანაკდა. ლაშქარი თავით ბოლომდე შეიარა-  
ღეს ყოველგვარი საჭირო იარაღითა და სურსათით. იქვე იყო იანი-  
ჩართა კორპუსები. ერევნის გარშემო ნაიმას სიტყვით, „ყოველი ჯა-  
რისკაცი თავის ადგილზე მდგარად იდგა“. ერევნის ციხის გარემოც-  
ვისა და ალემის დროს ოსმალები ზარბაზნებითაც იყვნენ შეიარაღე-  
ბული. არზრუმისა და ჩილდირის ბეგლარ-ბეგებს ამ ოპერაციაში დაევა-  
ლათ ქალაქის ციხის ჩრდილოეთით მდებარე წყლის სანაპიროზე დგო-  
მა და ამ მხრიდან მოქმედება. ნაიმა აქ ვრცლად აღწერს თითოეული  
ბეგლარ-ბეგის ლაშქრის განლაგებას ერევნის ციხის გარემოცვისათვის.  
აღნიშნავს თუ ვის რა დავალება მიეცა. აქ ერევნის ციხის ასაღებად  
მოსულა ალებოს ბეგლარ-ბეგიც. ერევნის ციხის გარემოცვისა და ოს-  
მალთა ლაშქრის შეტევის დაწყების წინ ამბების თხრობისას, ნაიმა სხვა  
ისტორიკოსების მოშველიებით ერევნის ისტორიაზე ლაპარაკობს, აღ-  
ნიშნავს, რომ ერევნის მფლობელად 30 წელი ემირ-გუნეს შვილი  
თაჰმასპ-ყული ხანი იყო. ამ ტერიტორიებს ერევნის ვილაიეთს ეძახდ-  
ნენ და სპარსელებს ემორჩილებოდნენ. აი ახლა, როცა გაიგეს ოს-  
მალთა ლაშქრის მოსვლა, საჭირო თადარიგს შეუდგნენო.

ნაიმას ვრცლად აქვს მოთხრობილი, თუ როგორ მიმართა სულ-  
თანმა მურად IV ოსმალეთის ლაშქრის ცალკეულ უფროსებს ბრძო-  
ლის წინ და როგორი გამამხნეველი სიტყვებით მოუწოდა გამარჯვები-

<sup>162</sup> ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

საკენ. დიდი ცერემონიებისა და მოწოდების შემდეგ დაიწყო ოსმალთა ლაშქრის შეტევა: „ზარბაზნებისა და თოფების ტყვიები ერევნისაკენ წვიმის წვეთების მსგავსად ყოველი მხრიდან ცვიოდაო“<sup>163</sup>, მოგვითხრობს ისტორიკოსი. ერევნის ციხის შეტევის დროს სულთანმა უშუალოდ გასცქეროდა ბრძოლის ველს, მონაწილეობდა ბრძოლაში და დამსახურებულ პირებს აქვე ასაჩუქრებდა. ნაიმას სიტყვებით: „გადმოგვეცემენ, რომ ერევნის გარემოცვასა და ბრძოლაში ფადიშაჰის უდიდებულესობა საკუთარი ფეხებით გორაკის ძირას იდგა და გაჰყურებდა (მდგომარეობას). ოქროსა და ყურუმის ქისებს თავი მოუხსნა და გასცა. ვინც (მოქრილი) თავი მოიტანა 40—40 ყურუმში მისცა“<sup>164</sup>.

ნაიმა ვერ მალავს ოსმალთა სულთნის წყურვილს ერევნის ციხის დაკავების თაობაზე და აღნიშნავს: „ჩანდა, რომ ყიზილბაშების მიერ აკლებული ადგილების ხელში ჩაგდებისათვის სწრაფვა უსაზღვრო იყო“<sup>165</sup>. 1635 წ. 8 აგვისტოს ოსმალებმა ერევანი აიღეს. ნაიმას ცნობით, ნადავლი, რომელიც ოსმალებმა ხელთ იგდეს ერევნის აღების შემდეგ, ურიცხვი იყო. ერევნის წინააღმდეგობის გატეხვამ და დიდი ნადავლის ხელში ჩაგდება მურად IV-ს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა.

ნაიმა ცდილობს, რომ ერევნის აღების შესახებ ცნობები დაწვრილებით გადმოგვეცეს. მაგრამ მაინც ჩანს, რომ ის თვითონ ვერ არის კმაყოფილი ამბების გადმოცემით და აღნიშნავს: „დაწვრილებითი ამბები რომ დაიწეროს, საჭიროაო“.

ნაიმას ვრცლად აქვს აღწერილი ის დიდი საზეიმო ცერემონიალი სტამბოლში, რომელიც ერევნის ციხის აღებასთან დაკავშირებით გაიმართა. ეს იყო 15-წლიანი ზეიმი ოსმალეთის სახელმწიფოში. სულთან მურად IV-ის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა ერევნის ციხის აღებითა და იქ შექმნილი ნადავლით.

სხვა ოსმალური წყაროებიდანაც ჩანს, რომ ერევნის ციხის დაკავების შემდეგ ოსმალები ანისისკენ წასულან და მისი აღების შემდეგ აზერბაიჯანშიც შექრილან. შემდეგ ოსმალთა ლაშქარი თავრიზში სამი დღე გაჩერებულა და დიდის ალაფით უკან დაბრუნებულა ერევნისაკენ. ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს მურად IV-მ ჭარის ერთი ნაწილი სამცხეში გააგზავნა და მოახერხა მისი დაკავება. ამიერკავკასიის ქვეყნების დალაშქვრის შემდეგ მურად IV სტამბოლს დაბრუნდა. ამ ლაშქრობამ გაანადგურა ამიერკავკასიის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობა. ამ ხალხებისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო ირა-

<sup>163</sup> გვ. 256. تاريخ نيماء، جلد ۳

<sup>164</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 258.

ნიცა და ოსმალეთიც. ამიერკავკასიის ხალხები ასეთ მძიმე პირობებშიც კი განაგრძობდნენ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ორივე აგრესორი ერთმანეთს ამიერკავკასიის ქვეყნებს ეცილებოდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებდა ამ ხალხების საბოლოოდ ინკორპორაციას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნებოდა. მეორეს მხრივ, ორივე აგრესორს სურდა ამ ქვეყნებში ფეხის მოკიდება. რა თქმა უნდა ყიზილბაშური ირანი ვერ მოითმენდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. „ერევნის ალებით ოსმალეთი მას გზას უჭრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე (ამას კარგად ითვალისწინებდა ირანის მთავრობა) გზას უხსნიდა ოსმალეთს დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობა-დამორჩილებას, როგორც ვნახეთ, თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა“<sup>166</sup>.

ირანი ყველაფერს აკეთებდა ამიერკავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ნაიმას ცნობით, ოსმალეთის ხელისუფლებამ გაიგო ირანის სამზადისი ერევანზე თავდასასხმელად და მთელი რიგი ღონისძიება მიიღო ერევნის გასამაგრებლად, რასაც ხელი შეუშალა მკაცრმა ზამთარმა. ირანის შაჰმა კი ქართლის ვალისგანაც მოითხოვა სამხედრო სამსახური ერევნის დაბრუნების საქმეში და როსტომს შეუსრულებია კიდევ შაჰის დაეალება, გარკვეული სამსახური გაუწევია მისთვის — ორი ზარბაზანი გაუგზავნია თბილისიდან. ერევნის დაბრუნებაში როსტომის ძმასაც მიუღია მონაწილეობა. ნაიმა წერს: „როსტომ ხანის ძმა ოთხი ათასი ყიზილბაშით ჰავიდში დაბანაკდა“<sup>167</sup>.

ნაიმას ვერცლად აქვს აღნიშნული ოსმალთა სამზადისი ციხის გასამაგრებლად. თითქმის ყველა ვილაიეთის ბეგლარ-ბეგს ევალებოდა გამოეყვანა ლაშქარი ერევნის გასამაგრებლად, მაგრამ მკაცრი ზამთარი ხელს უშლიდა დასახული ღონისძიების განხორციელებას. მთელ ლაშქარს თავი მოუყარეს ყარსში. ყარსში მდგომ ლაშქარს ერევნიდან ეცნობა: „ხუთ-ათ დღეში დახმარება თუ არ იქნება, ციხე ხელიდან წაგვივაო. ყიზილბაშებმა გარემოცვა გააძლიერესო“<sup>168</sup>. მაგრამ ყარსში მდგომმა ლაშქარმა დახმარება ვერ გაუწია ერევანში გამაგრებულ ოსმალთა გარნიზონს. „დამცველმა ლაშქარმა უიმედოდ (დარჩენილმა) ერევნის ციხე ყიზილბაშებს გადასცა“<sup>169</sup>. 1636 წლის გაზაფხულზე ყიზილბაშებმა ერევანი დაიბრუნეს, მაგრამ ახალციხის დაბ-

<sup>166</sup> ე. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 367.

<sup>167</sup> გვ. 280. *تاریخ نعیمی، جلد ۳*

<sup>168</sup> ი ქ ე ე, გვ. 281.

<sup>169</sup> ი ქ ე ე, გვ. 282.

რუნება ამ წელს ვერ მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ როსტომ მეფემ გაილაშქრა ახალციხის დასაბრუნებლად. ოსმალებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარეს ახალციხის შემოსამტკიცებლად. 1636 წლის ზაფხულში ახალციხეში დამატებითი მეციხოვნე ჯარი ჩააყენეს და ციხე შეაკეთეს. „მეთექვსმეტე დღეს ანატოლიის ბეგლარ-ბეგ გურჯი მეჰმედ ფაშამაც ახალციხის ციხის შეკეთება დაიწყო“ — წერს ნაიმა.

ირანმა მთელი რიგი დიპლომატიური ხერხებით სცადა ახალციხესთან დამოყვრება და ოსმალეთის წინააღმდეგ მისი ამხედრება, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

ყიზილბაშებმა ერევნის ციხის შეკეთებას დიდი ყურადღება მიაქციეს. „ერევნის ციხე ხელახლა შეაკეთეს, ირგვლივ წყალი გაიყვანეს. ციხის გამაგრების შემდეგ უფროსობა ქალბ-ალის სახელით ცნობილ ხანს უბოძეს“. მართალია, გასული წლის დიდი წარმატება — ერევნის დაკავება — უცხად გამოეცალა ხელიდან მურად IV-ს, მაგრამ იგი სრულებით არ კარგავდა იმედს: მას უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა წინ — ბაღდადზე გალაშქრება. ამიტომ შაჰის მოსალოდნელი შემოტევის შიშით სულთანმა საქართველოსა და სომხეთის სანაპირო საფაშოები ლაშქრით გააძლიერა და თვითონ 1638 წლის გაზაფხულზე ბაღდადისაკენ დაიძრა. მურადმა საზღვრის გასაძლიერებლად დასტოვა აგრეთვე ამ პერიოდში ანატოლიაში გადმომსხდარი ყირიმის სახანოს ლაშქრის ნაწილი. ხოლო არზრუმის ბეგლარ-ბეგ ვეზირ ქენან-ფაშას ახალციხელ საფარ ფაშასთან ერთად დავალებული ჰქონდა სპარსელების განადგურება<sup>170</sup>.

არზრუმისა და ახალციხის ფაშები 1638 წლის ზაფხულში შეიქრნენ სომხეთში, სასტიკად დაამარცხეს ერევნის გამგებელი ქალბ-ალი ხანი, „ნადავლი ადვილად იგდეს ხელთ და 400 საქონლისა და 30 ტყვის შესახებ სასიხარულო ცნობა გაავზავნეს სახელმწიფო ლაშქარში“<sup>171</sup>, რომელიც ბაღდადს უახლოვდებოდა სულთან მურადის მეთაურობით. ამრიგად, არზრუმისა და ახალციხის ფაშებმა პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ოსმალეთის მთავრობა ასეთ მარბიელ ლაშქარს სხვა პროვინციებსაც უსყევდა. მაგალითად, მათ დაანგრვიეს ქურთისთანი, შეპრიზორი. ნაიმა წერს: „წინათ შეპრიზორში ნადავლის მოსატანად გაგზავნილმა ლაშქარმა რამდენიმე ტყვე მოიყვანა, ურიცხვი პროვიანტით დატვირთულნი ერთ დღეს ბაღდადს მო-

<sup>170</sup> მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ. 1902. გვ. 362.

<sup>171</sup> გვ. 262. تاريخ نيماء، جلد ۳

ვიდნენ, მოჯადოებული მეგზური წინ მოუძღოდათ“<sup>172</sup>. ასეთი მარბი-ელი ლაშქრის გასევა ამიერკავკასიის ქვეყნებში და იქიდან ნადავლის ჩამოტანა, ერთგვარი პოლიტიკა იყო ოსმალთა ხელისუფლებისა, რომლის მიზანი იყო ის, რომ ამ ქვეყნებში ირანი არ გაძლიერებულიყო. ამიერკავკასიის ქვეყნების რბევა გრძელდებოდა 1638 წლამდე. ამ დროს კი საერთოდ დასრულდა ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომები. ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის რომ სწარმოებდა XVI—XVII სს. 1639 წ. დაიდო საზავო ხელშეკრულება ირან-ოსმალეთს შორის. „1639 წლის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევ დასაპყრობი რჩებოდა გავლენის სფეროებად, განაწილდა“<sup>173</sup>.

ნაიმა იძლევა ცნობებს 1639 წლის სამშვიდობო მოლაპარაკებისა და ზავის პირობების შესახებ. მოგვითხრობს თუ რომელი ადგილები ერგო ირანს და რომელი ოსმალეთს. ნაიმას მიერ მოტანილი ცნობები იმ მხრივია საინტერესო, რომ იქ არის პუნქტი, რომელიც საქართველოს ეხება. ირან-ოსმალეთის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს წყდება თუ ვის მხარეს უნდა იყოს ახალციხის, ყარსის, ვანისა და სხვა ტერიტორიები. 1639 წლის საზავო ხელშეკრულება „არის ირან-ოსმალეთის პირველი საზავო ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ოსმალეთის აგრესიის შედეგი საქართველოს მიმართ — მის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა“<sup>174</sup>.

ამრიგად, ნაიმას ცნობები ამ ხანის ირან-ოსმალეთის ომებისა და საზავო ხელშეკრულების შესახებ სანდოა და შეტად საინტერესო. იგი ზუსტად და შედარებით ობიექტურად გადმოსცემს მოვლენებს. განსაკუთრებით გატაცებულია ომების მსვლელობის აღწერით. ნაიმას ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის ზოგი საკითხის დაზუსტება-შესწავლის საქმეში.

<sup>172</sup> 33. 262. تاريخ: نعيمًا جلد 1

<sup>173</sup> ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 371.

<sup>174</sup> იქვე, გვ. 374.

XVIII—XIX საუკუნეების ნარატიული წყაროები

XVII—XVIII საუკუნეების ოსმალური ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელია სილაჰდარ ფუნდუკლულუ მეჰმედ ალა (1658—1724). იგი დაიბადა სტამბოლში ფუნდუკლუს რაიონში<sup>1</sup>. იგი ბავშვობიდანვე სულთნის სასახლეში მოხედა და აქვე მიიღო კარგი აღზრდა. ჯერ ბოსტანჯიების კორპუსში იმყოფებოდა, შემდეგ ბალთაჯიების რაზმში გადაიყვანეს. 1678 წელს კი სეფერლი ოდას რაზმში აიყვანეს. მას ერთ ხანს დულბენდ ალას თანამდებობა ეჭირა, შემდეგ ჩუბდარ-ალად გადაიყვანეს. აჰმედ III-ის ტახტზე ასვლისას (1703) სილაჰდარად დაინიშნა, მაგრამ მალე გადააყენეს ამ თანამდებობიდან. სილაჰდარობის ნაცვლად მას ანატოლიის ერთ-ერთი პროვინციის ვალის თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მეჰმედ ალამ უარი თქვა ამ თანამდებობაზე და საერთოდ თავი დაანება სამსახურს. მეჰმედ ალამ მთელი თავისი სიცოცხლე სტამბოლში გაატარა. მან 1683 წ. ვენის მეორე გარემოცვაში მიიღო მონაწილეობა. მეჰმედ ალა ყველაფერს იწერდა, რასაც გაიგონებდა და თვალთნახავდა. მან აღწერა სასახლის კარი თავისი წეს-ჩვეულებებით. როგორც კი ამის შესახებ სულთან მუსტაფა II-მ (1695—1703) გაიგო, იგი თავისი დროის ისტორიისა და დაპყრობათა წიგნების დასაწერად მიიწვია<sup>2</sup>. მეჰმედ ალა ყველგან თან

<sup>1</sup> ფუნდუკლულუს რაიონის ისტორიის შესახებ იხ. Cengiz Orhonlu, Fındıklı Sementinin Tarihi Hakkında Bir Araştırma. İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi, c. VII. s. 10. 1950. İstanbul, გვ. 61—78.

<sup>2</sup> მეჰმედ ალას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულებების წესებისა და გამოცემების შესახებ იხ. *ساجدار فندقلیلی محمد آغا، تاریخچه* (შესავალი), A. Refik (Altınay), Silâhdar Fındıklılı Mehmed Ağa. İstanbul, 1933.; Silâhdar Fındıklılı Mehmet Ağa, Nusretname, cilt. I. Fas. I. 1962. (Onsöz). გვ. I—V. İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları... 2 fasik. 1944. გვ. 260—261. В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлеченных и отрывках. СПб., стр. IX—X.

ახლდა სულთანს. სულთან მუსტაფა II-მ, რომელიც ბავშვობიდანვე იცნობდა მეჰმედ ალას, როგორც კი სასულთნო ტახტზე ავიდა, ოფიციალურად დაავალა მეჰმედ ალას თანამედროვე ამბების აღწერა. მეჰმედ ალამ სულთნის ბრძანებისამებრ 1654—1694 წლების ოსმალეთის ისტორია აღწერა და უწოლა მას „ზეილი ფეზლეჰე“ (Zeyl-i Fezleke)<sup>3</sup>. ფაქტიურად ეს თხზულება ქათიბ ჩელების—Fezleke-i Tarih-i Al-i Osman-ის ქრონოლოგიური გაგრძელება იყო.

მეჰმედ ალამ ამ ნაშრომში დაწვრილებით აღწერა XVII ს-ის II ნახევრის ოსმალეთის ისტორია, იგი 1695 წლამდე, აქმედ II-ის გარდაცვალებამდე, მოიყვანა ქრონოლოგიურად. ხოლო ამ თხზულების ქრონოლოგიური გაგრძელება იყო მისი მეორე ნაშრომი ნუსრეთ-ნამე (ვაშარკების წიგნი)<sup>4</sup>, რომელშიც 25 წლის (1695—1621) ამბებია დაწვრილებით გადმოცემული. იგი ორიგინალური თხზულებაა და ძვირფას წყაროს წარმოადგენს როგორც ოსმალეთის ისტორიისათვის, ისე რუსეთისა და საქართველოს ისტორიის არაერთი საინტერესო საკითხის გასათვალისწინებლად. მისი თანამედროვე და მომდევნო თაობის ოსმალთა ისტორიკოსები უხვად იყენებდნენ მეჰმედ ალას თხზულებას. მისი უმცროსი თანამედროვე — რაშიდი მისი თხზულებით ფართოდ სარგებლობდა<sup>5</sup>. მეჰმედ ალა ოსმალეთის იმპერიის საშინაო თუ საგარეო ვითარებიდან ბევრ წერილმანს გვაშენობს. მას უხვი ცნობები მოეპოვება პეტრე I-ის ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხებზე. იგი პეტრე I-ის თანამედროვე იყო და უშუალოდ იღებდა მონაწილეობას აზოვის ლაშქრობაში. მეჰმედ ალას საინტერესოდ აქვს აღწერილი კუნძულ კანდიის ეკლესიები და მონასტრები, რომლებიც 1669 წელს ოსმალებმა შეჩეუებდნენ აქციეს. ამბების გადმოცემისას იგი გვევლინება როგორც თვითმხილველი და უშუალო მონაწილე. ბევრ რამეს იგი უშუალო წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს.

ნუსრეთ-ნამეში მეჰმედ ალა ვრცლად გადმოგვცემს საქართველოს შესახებ. ეს თხზულება წარმოადგენს ქრონიკას, სადაც ამბები გადმო-

---

<sup>3</sup> ეს ნაშრომი „სილაჰდარ თარიჰის“ სახელწოდებით 1928 წელს ორ ტომად გამოცემულ რეჟიჰმა. იხ. سلاحدار تاريخى، محمد آغا، سلاحدار تاريخى، استانبول، ۱۹۵۶—۱۹۵۷، جلد ۱، ص. ۲.

ამ ნაშრომის II ტომის შესახებ იხ. Nevhiz Togulgar, Silâhdar Tarihinin II-cildinin Endeksi, Tarih Semineri Tez. no. 563. 1951.

<sup>4</sup> Silâhdar Fındıklılı Mehmed Ağa, Nusretname, Sadeleşiren İsmet Parmaksızoğlu. Cilt I, Fasikül I, 1962.; Cilt I, Fasikül II, 1963.; Cilt I, Fasikül III, 1964. Istanbul. Cilt II, Fasikül I, 1956., cilt II, Fasikül II, 1969.

<sup>5</sup> Orhan Köprülü, Raýid Tarihinin Kaynaklarından Biri: Silâhdarın Nusret-Nâmesi, Belleten, C. XI, S. 43. 1947. გვ. 473—487.



ცემულია თანამდევრობით, წლების მიხედვით, ცალ-ცალკეა თავმოყრილი ამა თუ იმ წელს მომხდარი ამბები. ნუსრეთ-ნამეს პირველ ნაკვეთში (Fasikül) ავტორს ვრცელი ცნობები მოაქვს რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ (გვ. 121—129). მეორე და მესამე ნაკვეთში საქართველოს შესახებ მოგვითხრობს. იგი 1108 წლის (1696—97 წწ) ამბების გადმოცემისას საქართველოზედაც ჩერდება. საგანგებოდ ეხება ამ დროის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობას და მის შესახებ დამოკიდებულებას როგორც ოსმალეთის მოსაზღვრე ფაშებისადმი, ისე ოსმალეთის სულთნისადმი. იგი საერთოდ გადმოგვცემს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ურთიერთდამოკიდებულებასაც<sup>6</sup>.

მესამე ნაკვეთში ამბების თხრობა იწყება 1697 წლიდან. იგი დაწვრილებით მოგვითხრობს ამ წელს ოსმალთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, გადმოგვცემს ოსმალეთის შამხალთან ურთიერთობის საკითხებს. მოყვანილი აქვს ავსტრია-საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულების თურქული თარგმანი, აღწერილი აქვს ყირიმის ხანის მოსვლა დედაქალაქში, უფლისწულის დაბადების ამბები. საუბარია ავსტრია-პოლონეთ, ვენეცია-რუსეთის მოლაპარაკების შესახებ. ამას მოსდევს ამბების თხრობა ოსმალთა ლაშქრის მიერ ქუთაისის ციხის დანგრევის შესახებ, ქუთაისის ციხის დაცვაში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მონაწილეობისა და მათი ოსმალეთის ლაშქართან მიმართებისა და მოლაპარაკების შესახებ<sup>7</sup>.

1703 წლის ამბების აღმწერია მეჰმედ შეფიქ მასრაფ-ზადე. რომელსაც მოკლე ხნით ეკავა ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობა. იგი დაიბადა სტამბოლში, ერთხანს ვეზირის დივანში მუშაობდა მწერლად. დიდგვირ შეჰიდ ალი ფაშას მზრუნველობით ეაკა-ნუეისის თანამდებობაც ეკავა. გარდაიცვალა 1715 წ. მას ეკუთვნის თხზულება შეფიქ-ნამე<sup>8</sup>, რომელიც 1703 წლის ამბებს შეიცავს.

1671—1703 წწ. ამბებს შეიცავს მეჰმედ ფაშას (+1717) თხზულება „ზუბდეთ ულ ვეკაი“ (Zübdet-ül Vekayi). ეს თხზულება ითვლება ოფიციალური ისტორიოგრაფის მეჰმედ რაშიდის თხზულებად.

<sup>6</sup> Silâhdar Fındıklılı Mehmed Ağa, Nusretname, Sadeleşiren İsmet Parmaksızoğlu. c. I. Fasikül II. 1963. İstanbul. გვ. 215—216.

<sup>7</sup> Silâhdar Fındıklılı Mehmed Ağa, Nusretname, Sadeleşiren İsmet Parmaksızoğlu. c. I. Fasikül III. 1964. İstanbul. გვ. 344—347.

<sup>8</sup> شفیع نامہ، جلد ۱، ۱۲۸۲، جلد ۲، ۱۲۸۸، استانبول  
ამ თხზულების გამოცემებისა და ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ.: İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, 2 Fasikül, 1944. გვ. 184—190.

ზის წყაროდ. მეჰმედ რაშიდი XVII საუკუნის უკანასკნელი მესამედის და XVIII საუკუნის პირველი მესამედის ამბებს გადმოგვცემს. იგი ქრონოლოგიურად ნაიმას „ისტორიის“ გამგრძელებელი და ამავე დროს ნაიმას თანამდებობის — ოფიციალური ქამთაღმწერლის შემცვლელიც იყო. ნაიმას შემდეგ ოფიციალური ქამთაღმწერლის თანამდებობა რაშიდს ებოძა.

რაშიდის ბიოგრაფიის შესახებ ცოტა რამ ვიცით, იგი მალათიელი ყაზიასკერის მუსტაფას შვილია. 1692 წ. დაუმთავრებია სასულიერო სასწავლებელი — მედრესე და 1704 წ. დაუწყო მუდერისობა ერთ-ერთ ცნობილ მედრესეში. 1703 წლიდან რაშიდი ინიშნება სულთნის კარის ოფიციალურ ქამთაღმწერლად. იგი მონაწილეობას იღებდა სულთნის მიერ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციებში და როგორც უშუალო თვითმხილველი ახდენდა მნიშვნელოვანი ფაქტების რეგისტრაციას. 1718 წელს დიდევზირ იბრაჰიმ ფაშას მითითებით მას დაევალა ოსმალეთის იმპერიის ისტორიის გაგრძელება იმ დროიდან, როდესაც შეწყდა ნაიმას „ისტორიის“ თხრობა (1661). ეს დავალება მან პირნათლად შეასრულა. მის მიერ შედგენილი „ისტორია“ მოიცავს პერიოდს 1660 წლიდან 1722 წლამდე. რაშიდს კიდევ სხვადასხვა მაღალი თანამდებობები ეკავა სამეფო კარზე. იყო ალექპოსა და სტამბოლის ყადი, რუმელიის ბეგლარ-ბეგი, ყაზიასკერი, იყო ელჩად ირანში და სხვ.<sup>9</sup>

რაშიდის „ისტორიაში“ ამბები გადმოცემულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. იგი უხვად იყენებდა თავის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებში დაცულ ცნობებს. მას ასევე თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი სამეფო კარის ოფიციალურ დოკუმენტებზეც. რაშიდის „ისტორია“ ორჯერ გამოიცა სტამბოლში<sup>10</sup>. რაშიდის „ისტორიის“ წყაროები გამოკვლეული აქვს ორჰან ქოფრულეს<sup>11</sup>.

<sup>9</sup> რაშიდის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 268—270. İslâm Ansiklopedisi, C. IX. İstanbul, 1960. გვ. 632—634.; M. Münir Aktepe, Vakıvı Raşid Mehmed Efendinin Eşref Şah Nezdindeki Elçiliği ve Buna Tekaddüm Eden Siyası Muhabereler. Türkiye Mecmuası. c. XII, 1955. İstanbul, გვ. 155—178.; M. Cavid Baysun, Müverrih, Raşid Efendinin İran Elçiliğine Dair. Türkiye Mecmuası, c. IX. 1946—51. İstanbul, 1951. გვ. 145—150. Ahmed Refik, Alimler ve Sanatkârlar, İstanbul, 1924. გვ. 302—328.; Ali Kemal, Raşid Müverrih mi, Şair mi? İstanbul, 1314.; M. Tahir, Osmanlı Müellifleri, İstanbul, III, 1343. გვ. 55—57.

<sup>10</sup> რაშიდის „ისტორია“ პირველად სამ ტომად დაიბეჭდა 1153 წ. (1740-1741), მეორედ — 1282 წელს (1865-1866) ხუთ ტომად. تاريخ راشد جلد ۱-۵  
۱۲۸۲ استانبول, რაშიდის ისტორიიდან ნაწევრები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ვენის გარემოცვის შესახებ ცნობები თარგმნილია ფრანგულად. იხ. Almanach His-

რაშიდის „ისტორიაში“ საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის. რაშიდი, შეიძლება ითქვას, პირველი უამთაღმწერელი იყო, რომელსაც თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით მოუხდა ოსმალეთის იმპერიის საგარეო და საშინაო წარუმატებლობათა შესახებ წერა. იგი თავისი თხზულების წერისას აშკარად გამოხატავდა ოსმალეთის ფეოდალური საზოგადოების შეშფოთებულ და გაბოროტებულ თვალსაზრისს ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის დაქვეითების გამო.

საყურადღებოა, რომ თუ აქამდე ოსმალო ისტორიკოსები საქართველოს შესახებ ამბების გადმოცემისას ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ეხებოდნენ, რაშიდი პირველი ისტორიკოსია, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ისტორიის გადმოცემით კმაყოფილდება. XVII საუკუნის შუა წლებამდე ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ნაკლებად იდგა დასავლეთ საქართველოს საკითხი. ოსმალეთის მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოზე, სადაც შეიძლებოდა ყიზილბაშები გაბატონებულიყვნენ. როდესაც 1639 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებით ირანმა ხელი დაადვა აღმოსავლეთ საქართველოს, ოსმალეთმა ამიერიდან მეტი ყურადღება გაამახვილა და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა დასავლეთ საქართველოს. ოსმალეთის ხელისუფლება შიშობდა ირანს პრეტენზია არ განეცხადებინა დასავლეთ საქართველოზეც, ამიტომ უფრო ინტენსიურად მოქმედებდა დასავლეთ საქართველოს ასათვისებლად. ოსმალეთისათვის დასავლეთ საქართველოს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის შავი ზღვის აუზში შეჭრის გამოც.

ბუნებრივია, რომ ნაიმას „ისტორიის“ გამგრძელებელი, რომელიც ამბების თხრობას აგრძელებდა 1660 წლიდან და ოსმალეთის გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი იყო, თავის თხზულებაში დასავლეთ საქართველოს ამბების გადმოცემას უფ-

---

torique, Paris, 1824. ამიერკავკასიის შესახებ ცნობები ა. საფრასტიანმა თარგმნა სომხურად. იხ. Турецкие источники с6 Армении. . . стр. 116—128. ვ. ჩოჩივი, მეამედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. (თურქული ტექსტი ქართული თარგმანი) თურთ ინახება საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროების კომისიაში).

<sup>11</sup> Orhan Köprülü, Raşid Tarih'inin Kaynaklarından Biri: Silahdarın Nusret-Nâmesi, Belleten C. XI, S. 43. 1947. გვ. 473—487.; რაშიდის თხზულებათა ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları. . . 2 fasikül. . . 1944. გვ. 233—239.

რო მეტ ყურადღებას მიაქცევდა, ვიდრე მისი წინამორბედი ისტორიკოსები. რაშიდის „ისტორიიდან“ ჩანს, რომ ოსმალეთი ისე მტკიცედ ფეხმოკიდებული არ ყოფილა დასავლეთ საქართველოში. რაშიდი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ოსმალეთის დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობის შესახებ. დამახასიათებელია ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც 1702—1703 წელს მომხდარ ამბებს ეხება. ოსმალეთის ხელისუფლებამ მთლიანად დააპატიმრა გურიის მთავრის მიერ გაგზავნილი ელჩობა, რომელმაც სულთანს საჩუქრების სახით ქალ-ვაჟები მიაართვა. ოსმალეთის ხელისუფლებამ ეს საჩუქრები კანონის დარღვევად მიიჩნია, ქალ-ვაჟები სტამბოლში საჯაროდ გაჰყიდეს და აღებული თანხა სახელმწიფო ხაზინაში შეიტანეს ვითარცა გურიიდან მიღებული ჭიზია. ამ ფაქტში აშკარად ჩანდა ოსმალეთის დამოკიდებულება გურიის მიმართ, რომელმაც ხარკის ნაცვლად საჩუქრები მიაართვა სულთანს. სულთანი გურიელისაგან მოხარკეობის პრინციპით ითხოვდა ურთიერთობას, გურიელი კი ამას თაკილობდა და როგორც ტოლი ტოლს სულთანს საჩუქრებს უგზავნიდა და არავითარ ვალდებულებას არ კისრულობდა. გურიელის ასეთი მოქმედება ოსმალეთის ხელისუფლებამ შეათვალა როგორც მისი თვითნებური საქციელი და არა ხელდებული ქვეყნის მოვალეობის შესრულება ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე.

რაშიდი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა ისტორიისათვის, ასევე საყურადღებო ცნობები აქვს მას დაცული ჩილდირის ვილაიეთის ადმინისტრაციული წყობილებისა და პოლიტიკური ისტორიის ცალკეული მომენტების შესახებ.

რაშიდის „ისტორიას“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აგრძელებს მისი მომდევნო ისტორიკოსი ჩელები-ზადე ისმაილ ასიმ ეფენდი, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც XVIII ს-ის ოსმალ პოეტი და ისტორიკოსი. მამამისმა მეჰმედ ეფენდომ, რომელიც ქოფრულუ-ზადე ფაზილ აჰმედ ფაშას სამსახურში იმყოფებოდა და მუსტაფა II-ის დროს (1695—1703) რეის ულ-ქუთთაბის თანამდებობაზე იყო დანიშნული, ისმაილ ასიმ ეფენდის ქუჩუკ ჩელები უწოდა. ამის გამო ასიმ ეფენდის ხან ქუჩუკ ჩელები-ზადეს და ხანაჯ მოკლედ ჩელები-ზადეს ეძახდნენ. ვინც ამ ისტორიკოსს შეჰხეზია, იგი მას ხან ქუჩუკ ჩელები-ზადედ იხსენიებს და ხან ჩელები-ზადედ.

ჩელები-ზადე დაიბადა დაახლოებით 1685 წელს სტამბოლში. 1708 წ. უკვე მას მუდგარისის თანამდებობა ეჭირა ქენან ფაშას მედ-

რესეში. რამდენიმე წლის შემდეგ მისი ერთი ნათესავი ვეზირის მეშვეობით იგი გადაყვანილ იქნა დემირკაფუში აჰმედ ფაშას მედრესეში, ხოლო 1719 წლისათვის კი გადაიყვანეს არიფეს მედრესეში. ბოლოს 1723 წელს დიდვეზირმა დამად იბრაჰიმ ფაშამ იგი ოფიციალური ეამთააღმწერლის თანამდებობაზე დანიშნა რაშიდის მაგივრად, რომელიც ალუბოს საყადოში იქნა გადაყვანილი. ამ დროიდან იგი დაუახლოვდა სახელმწიფოს დიდ მოხელეებს, სწავლულებს და მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მათთან.

მაჰმუდ I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ (1730—1754) ჩელები-ზადე ოფიციალური ეამთააღმწერლის თანამდებობიდან გადააყენეს. 1732 წლიდან იგი იენიშეჰირის საყადოში დაინიშნა, სადაც 15 თვის განმავლობაში მსახურობდა. მალე სტამბოლში ბრუნდება და 1739 წლისათვის ბრუსაში და შემდეგ 1744 წლისათვის მედინას საყადოში ინიშნება. ორივეგან თითო-თითო წელი იმსახურა. 1748 წლისათვის ის სტამბოლის საყადოში ინიშნება, სადაც ერთი წელი დაჰყო. ექვს წელზე მეტ ხანს თანამდებობიდან დათხოვნილი იყო. დიდვეზირ ჰეკიმ ოღლუ ალი ფაშას მისი ანატოლიის ყაზიასქერად დანიშვნა სურდა, მაგრამ მას ეს არ დასცალდა. იგი გადააყენეს. ასიმ ეფენდის კი მხოლოდ ანატოლიაში ებოძა თანამდებობა (1755), მაგრამ მას მალე ბედმა გაუღიმა. დიდვეზირის თანამდებობაზე დაინიშნა მისი ძველი ნაცნობი და ბავშვობის მეგობარი პოეტი და მოსამართლე რაგიბ ფაშა, რომელმაც მას 1757 წელს ანატოლიის ყაზიასქერობა უბოძა, ხოლო ერთ წელიწადში რუმელიის ყაზიასქერად გადაიყვანეს, მაგრამ რეალურად იგი რუმელიის ყაზიასქერი არ გამხდარა. 1759 წლისათვის შეიხ ულ-ისლამი გახდა. ამ თანამდებობაზე ყოფნა დიდხანს არ დასცალდა, დაავადმყოფდა და 1760 წ. გარდაიცვალა<sup>12</sup>.

ჩელები-ზადე გარდა იმისა, რომ სახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა, იყო ცნობილი პოეტი, სწავლული, ხელოვანი და სამართლისმცოდნე. იგი არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე წერდა ლექსებს და ლიტერატურულ თხზულებებს. ჩელები-ზადე ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ისტორიკოსი. როგორც აღვნიშნეთ, იგი რაშიდის შემდეგ ოფიციალური ეამთააღმწერლის თანამდებობაზე იყო 1722—1729 წლებში. მას დაწვრილებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აქვს აღწერილი ამ პერიოდის ოსმალებისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორია. იგი ახდენდა რეგისტრაციას ყოველგვარი მნიშვნელოვანი ფაქტებისა, რასაც ადგილი

<sup>12</sup> ჩელები-ზადეს ბიოგრაფიის შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 293—294. M. Cavid Baysun, Çelebi-zade, İslâm Ansiklopedisi, C. III. Cüz 25. İstanbul, 1964. გვ. 370—375.

ჰქონდა იმ პერიოდში. ამასთანავე, მას როგორც ოფიციალურ პირს, ხელი მიუწვედებოდა სახელმწიფო დოკუმენტებზე, ქვეყნებს შორის მიწერ-მოწერის მასალებზე მისი თხზულება საინტერესო წყაროა ამ პერიოდის ოსმალეთის რუსეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების გასაშუქებლად. მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვისაც. მის თხზულებაში<sup>13</sup> მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული 1723—1729 წლების საქართველოში თურქობის საკითხის შესასწავლად. მასთან დეტალურად არის რეგისტრირებული საქართველოში მომხდარი ფაქტები. იგი თავისი წინამორბედი ისტორიკოსის რაშიდისაგან განსხვავებით, ფართოდ იძლევა ცნობებს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის შესახებ.

ჩელები-ზადე თავისი თხზულების დასაწყისში დაწვრილებით აგვიწერს ოსმალთა ლაშქრის მიერ 1722 წელს თბილისისა და გორის ციხის აღებას და ვახტანგის მიერ ოსმალეთისადმი დამორჩილების შესახებ ცნობის გაგზავნას. ეს ფაქტი კი დიდი ზეიმით იქნა აღნიშნული ოსმალეთში. ამასთანავე ავტორი აღნიშნავს, თუ როგორი მღელვარება გამოიწვია საქართველოში ოსმალთა წარმატების შესახებ ცნობის მიღებამ ირანში. ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ დროს ოსმალებმა სომხეთშიც. მათ დაიპყრეს ერევანი, ორდუბადი და ნახჭევანი. ასევე გადმოგვცემს ავტორი ოსმალთა ლაშქრის შირვანში გამგზავრებისა და მოსახლეობის დაქვემდებარების ამბავს. საყურადღებოა მისი ცნობები ამ პერიოდში კახეთში ოსმალთა ლაშქრის მოქმედებისა და ლეკიანობის შესახებ, სერასქერ, კობრაჰიმ ფაშას განჯაში გალაშქრების შესახებ.

1726 წლის ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით ჩელები-ზადე დაწვრილებით ცნობებს იძლევა ოსმალთა მიერ სიღნაღელი სომხების გაწყვეტის შესახებ. ჩელები-ზადეს ცნობები საინტერესოა აფხაზეთში ოსმალთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ისტორიის გასათვალისწინებლად. ავტორი აფხაზების ბრძოლას ყაჩაღების მოძრაობას უწოდებს. ოსმალთა მიერ სოხუმის ციხის მშენებლობისას ჩელები-ზადე აგვიწერს თუ როგორ ესხმოდნენ თავს აფხაზები ოსმალებს ზღვიდან და ზმელეთიდან. ოსმალები იძულებული გახდნენ თავი მოეყარათ მთელი თავიანთი ძალებისათვის და დახმარებისათვის იმერეთის მეფისა და დადიანისათვის მიემართათ. ოსმალებმა საბო-

<sup>13</sup> تاریخ راشد، جلد 6. تاریخ چلبی زاده افندی، فی 7 محرم سنه 1122. ეს თხზულება პირველად ჩელები-ზადეს სახელით დაიბეჭდა 1153 წ. (1740—41 წ.). ამ თხზულების ხელნაწერების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. 2 fasikül, . . .1944. გვ. 131—133.

ლოდ აიძულეს აფხაზები დამორჩილებოდნენ და ოსმალთა ძალა-  
უფლება ეცნოთ.

: საინტერესოა ჩელები-ზადეს თხზულებაში დაცული ცნობები  
ტყვეთა სყიდვის შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩე-  
ლები-ზადეს თხზულებაში დაცული ცნობები 1722—1729 წლების  
საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ მნიშვნელო-  
ვანი და მეტად სანდო პირველწყაროა ამ ქვეყნების ისტორიისათვის.  
მისი ქართულად თარგმნა-კომენტირება და გამოქვეყნება კი „საშუ-  
რი საქმეა“<sup>14</sup>. ჩელები-ზადეს „ისტორიის“ თხრობას ქრონოლოგიუ-  
რად აგრძელებენ სუბჰი, სამი და შაქირი, რომელთა თხზულება  
„თარიჰი სუბჰის“ სახელითაა ცნობილი და მოიცავს 1730—1743  
წწ. ამბების აღწერას<sup>15</sup>. მათ თხზულებაში დაცვრილებით არის აღ-  
წერილი ირან-ოსმალეთის ომების ამბები, ოსმალთა წარმატებები  
სპარსელებთან ურთიერთობაში, ნადირ-შაჰის მიერ ბაღდადის გარე-  
მოცვა, მისი წარუმატებლობანი. მართალია, მათ თხზულებაში ძა-  
ლიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება მათ მიერ აღწერილი პერიოდის  
საქართველოს შესახებ, მაგრამ ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის  
თვალსაზრისით მას, როგორც წყაროს, უდაოდ გარკვეული მნიშვნე-  
ლობა ენიჭება. მათ შემონახული აქვთ ცნობები სომხეთისა და აზერ-  
ბაიჯანის შესახებ, რაც გასათვალისწინებელია აღნიშნული ქვეყნე-  
ბის ისტორიის კვლევისას. მათ თხზულებაში საინტერესო ცნობებს  
ვპოულობთ რუსეთის შესახებაც, რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთის  
ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ.

<sup>14</sup> ჩელები-ზადეს თხზულებიდან ნაწყვეტები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ  
სომხურად თარგმნა და გამოაქვეყნა ა. საფრასტიანმა. იხ. Турецкие источники об Ар-  
мениии..., стр. 128—163. ჩელები-ზადეს თხზულებაში საქართველოს შესახებ დაცული  
ცნობების მცირე ნაწილი, კერძოდ ოსმალთა მიერ თბილისისა და გორის ციხეების  
დაპყრობის შესახებ ქართულად თარგმნილია და იბეჭდება. იხ. ნ. შენგელია, ოსმალ-  
ისტორიისი ჩელები-ზადეს თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ. აკად.  
ს. ჭიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, „აღმოსავლური  
ფილოლოგია“, III, 1973. თბ.

<sup>15</sup> تاریخ سامی، صیحی، شاکر، جلد ۱، ۱۱۹۸، استانبول  
მათი ბიოგრაფიებისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ.  
გვ. 270—271; გვ. 277—278; გვ. 298—299; Subhi. Islâm Ansiklopedisi, cüz 109.  
1966. Istanbul. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. 2 fa-  
sikül, გვ. 254—255; გვ. 264—266. ამ კოლექტიური თხზულებიდან ნაწყვეტები სმირ-  
ნოვმა ცალკე შეიტანა თავის ცნობილ ქრესტომათიაში. იხ. В. Д. Смирнов, Об-  
разцовые произведения османской..., гв. 103—118. ამ წყაროს ნაწყვეტების სომ-  
ხური თარგმანი გამოაქვეყნა ა. საფრასტიანმა. იხ. Турецкие источники об Ар-  
мениии..., стр. 164—185. ამ კოლექტიური თხზულების ერთ-ერთი ავტორის მკვმელ სუბჰის ხელნაწერ  
ნუსხას საგანგებოდ შეუხო ვ. სმირნოვი და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა, იხ.  
Manuscrits Turcs de L'institut des Langues Orientales decrits par W. D. Smirnow.  
Avec cinq, planchet (VIII). 1897. Saint-Pe'tersbourg.

ამ კოლექტიური ისტორიის ქრონოლოგიური გამგრძელებელია სულემან იზი ეფენდი (+1755), რომლის ორტომიანი ისტორია<sup>16</sup> 1730—1750 წლების ამბებს მოიცავს. იზის მეორე ტომი ასახავს 1744—1750 წლების ამბებს. იზი, ოსმალთა ისტორიკოსი და პოეტი, სტამბოლში დაიბადა. მამამისი ჰალილ ალა მეჰმედ IV-ის ქალიშვილის, ხატიჯე სულთანის, ბალთაჯიების ქეთხუდა იყო. 1743 წ. და 1746 წ. ორჯერ ეკავა ოფიციალური ჯამთაღმწერლის თანამდებობა<sup>17</sup>. იზი თავის თხზულებაში აგრძელებს წინამორბედი ისტორიკოსების მიერ აღწერილი ამბების თხრობას, კერძოდ, აღწერს ირან-ოსმალეთის ომებს 1744—1750 წლებში. იგი თვითონ აწარმოებდა ოფიციალურ მიმოწერას ირან-ოსმალეთს შორის. აგრეთვე, თვითონ ადგენდა მათ შორის დადებული ხელშეკრულებების ტექსტებს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. მის თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დატული ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. იზი საგანგებოდ აღწერს ირანის საშინაო მდგომარეობას ამ პერიოდში, ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ შექმნილ ვითარებას, ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლას, რომელშიც მისი სიტყვით მონაწილეობას იღებდა „თბილისის ხანი თეიმურაზი“. თეიმურაზი თავს დაესხა სპარსელებს და დაიკავა „ერევანი, განჯა და თბილისი“, მაგრამ ლეკებისგან წააწყდა წინააღმდეგობას და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

XVIII საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწეობდა ჰასან ესირი ბენ ჰუსეინი. იგი სულთან აჰმედ II-ის დროს (1691—1695) იზრდებოდა, შემდეგ აჰმედ III-ის დროს (1703—1730) სასახლეში მსახურობდა. იგი დიდხანს იყო ტყვეობაში ავსტრიელებთან და ამიტომაც მიიღო სახელწოდება ესირი (ტყვე). იგი გარდაიცვალა დაახლოებით 1727 წელს სტამბოლში. მას იანიჩართა ოჯახში ჯებეჯიების ქეთ-

<sup>16</sup> იზის თხზულება თბილისში არა გვაქვს, იგი გამოცემულია სტამბოლში 3. 1199 წ. (—1784). *تاریخ عزیزی، ۱۱۹۹، فی قسطنطنیه*. *Histoire de la Turquie par Izzi depuis 1154-a 1165 en. E. parlis*. Constantinopl, 1199. ამ თხზულებიდან ნაწყვეტები გვამოგვებელია აქვს ვ. სმირონოვ თავის ქრესტომათიაში. იხ. В. Д. Смирнов, *Образование . . .*, გვ. 119—126 სომხეთის შესახებ ნაწყვეტები სომხურად თარგმნილი აქვს ა. საფრასტიანს. *Турецкие источники об Армении, армянах и других народах. . .*, стр. 186—213.

<sup>17</sup> იზის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. *İsmet Parmaksızoğlu, Izzi. İslâm Ansiklopedisi, cüz 54, 1952. გვ. 1267—1269. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. 287—288. Mithat Sertoğlu, Şehnamenüvisler, Vakanüvisler ile Diğer Mühim Osmanlı Müverrihleri ve Eserleri. Yeni Tarih Dergisi. Ocak, 1960. 37. გვ. 759. İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. . . 2 fasıkül, 1944. İstanbul, გვ. 160—161.*



ხუდად უმსახურია. მისი თხზულება<sup>18</sup> ორი ტომისაგან შედგება. მასში გადმოცემულია ამბები უძველესი დროიდან, მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკური დინასტიების დამკვიდრების, მათი რელიგიის, სამართლის, ენის, გეოგრაფიისა და სხვა საკითხები. მასში ამბები გადმოცემულია სულთან აჰმედ III-ის (1703—1730) დრომდე. იგი უხვად იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომებს. დადგენილია, რომ მისი თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილი ემყარება ჭატიბ ჩელების ფეზლექეს. მისი ნაშრომი ჭერჯერობით გამოქვეყნებული არ არის, იგი ხელნაწერის სახით ინახება სტამბოლის წიგნსაცავებში.

XVIII საუკუნის პირველი მესამედის მოღვაწეა ჰუსეინ მურთაზა ნაზმი-ზადე (+1721), რომელმაც როგორც აღნიშნული გეჰონდა, არაბულიდან თარგმნა იბნ-არაბშაჰის თხზულება — თემურის ისტორია. იგი 1729—1730 წლებში დაიბეჭდა სტამბოლში. ჰუსეინ მურთაზა ნაზმი-ზადე დაიბადა ბაღდადში. განათლების მიღების შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში დაიწყო სამსახური. სახელმწიფო ხაზინაში რუხნამეჯის მოადგილის თანამდებობამდე მიაღწია. მას ეკუთვნის თხზულება, სადაც გადმოცემულია ბაღდადის ისტორია 738 წლიდან ვიდრე 1721 წლამდე<sup>19</sup>. თხზულების ბოლო ნაწილში უშუალოდ განცდილ და დანახულ ამბებს გადმოგვცემს. ეს ნაშრომი საინტერესო წყაროა ბაღდადის ისტორიისათვის განსაკუთრებით ოსმალთა ბატონობის დროს. ამ თხზულებას შემდეგში გამგრძელბელიც გამოუჩნდა ვინმე რესულ ჰავი ეფენდის სახით. მან თავის თხზულებაში — „დაჰვეთულ ვუზერა“ — გააგრძელა ბაღდადის ისტორიის თხრობა 1830 წლამდე.

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობა ეკავა აბდის. მისი ბიოგრაფიიდან თითქმის არაფერია ცნობილი. მას ეკუთვნის თხზულება, რომელშიც 1728—1731 წლების ოსმალეთის ამბებია აღწერილი. ავტორი აღწერს უშუალოდ განცდილ, დანახულ და მის დროს მომხდარ ამბებს. სასახლეში არსებულ ვითარებას, ირანთან ურთიერთობას. დაწერილებით ცნობებს იძლევა პატრონ ხალილის აჯანყების შესახებ, ფართოდ ჩერდება ქვეყნად მიმდინარე სოციალურ მოძრაობებზე. ეს თხზულება

<sup>18</sup> معيار الدول و مسبار الملك. ამ წყაროს ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Istanbul Kültüpaneler Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. I. Türkçe Tarih Yazmaları. 2 fasikül, 1944 Istanbul, გვ. 150—151.

<sup>19</sup> نظمي زاده، كلشن خلفا (Nazmizade Hüseyin Murtaza, Gülşen-i Hulefa. Istanbul, 1143 (1730).; ნაზმი-ზადეს ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger დასახ. ნაშრ., გვ. 250—253.

მან სულთან მაჰმუდ I-ს (1730—1754) მიუძღვნა<sup>20</sup>. ავტორი არაფერს გვაძენობს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ, მხოლოდ ერთგან გაცვრით ახსენებს განჯას.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში სტამბოლში იბრაჰიმ მუთეფერიკამ გამოაქვეყნა თურქი სახელმწიფო მოხელის დურრი ეფენდის სპარსულად დაწერილი თხზულების თაღეუშ კრუშინსკისეული თურქული თარგმანი<sup>21</sup>. თხზულება საუკეთესო წყაროს წარმოადგენს XVIII ს-ის მე-2 მეოთხედის ირან-ოსმალეთისა და საქართველოს ისტორიისათვის. მასში უხვადაა მოცემული ცნობები ამ პერიოდში ირანში მოღვაწე ქართველებზე — გიორგი XI-ზე, ქაიხოსრო ბატონიშვილზე და სხვ. საყურადღებო ცნობებია ვახტანგ VI-ზე. თხზულებაში მოთხრობილია სეფიანთა ირანში ავღანელთა შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ.

ამავე პერიოდს განეკუთვნება და სწორედ „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიის საუკეთესო წყაროდ ითვლება თაღეუშ კრუშინსკისა და იოსებ ქართველის მიერ თურქულად დაწერილი თხზულებები. თაღეუშ კრუშინსკი, წარმოშობით პოლონელი, დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ისპაჰანში იეზუიტთა ორდენის წარმომადგენლად. მის თხზულებაში ირანის ისტორია მოთხრობილია 1727 წლამდე. იგი დაწვრილებით აღწერს ავღანელთა აჯანყებას, მათ შემოსევებს და მის შედეგებს. ვრცლად გადმოგვცემს ამ პერიოდში ირანში მოღვაწე ქართველებზე<sup>22</sup>. როგორც ბოლო ხანებში იქნა გამოკვლეული, თაღეუშ კრუშინსკის თხზულების წყარო იყო იოსებ ქართველის რამდენიმე თხზულება და მათ შორის მის მიერ თურქულ ენაზე დაწერილი ნაშრომი, რომლის ხელნაწერი გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება<sup>23</sup>. იოსებ ქართველის მიერ

<sup>20</sup> تاریخ سلطان محمود خان ابن مصطفى خان، یاهود عبدی تاریخی  
ამ თხზულების ხელნაწერი ნუსხების შესახებ Istanbul Kütüphaneri Tarih Coğrafya Yazmaları Kataloqları. 1. Türkçe Tarih Yazmaları. 2. faskül, 1944. İstanbul, გვ. 103—104. ამდის თხზულება 1943 წ. თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ ლათინოზებული შრიფტით გამოსცა. 1730 Patrona İhtilâli Hakkında Bir Eser Abdi Tarihi, Yayan Faik Reşit Unat. Ankara, 1943.

<sup>21</sup> Kruzinskiy Yudas Thaddeus, Tarihi Seyyah der beyanı zuhuri Avganiyan ve inhidami devleti Safeviyan. 1731.

<sup>22</sup> Reichman, J. Znaymsej nauczanie jezikow orientalnyeh w Polsce, Wrocław, 1950. აქვეა ცნობები კრუშინსკის მიერ თავისი თხზულების პოლონურიდან თურქულად თარგმნის შესახებ.

<sup>23</sup> واقعات میر ویس و شاه حسین  
შეიცავს 36 ფურცელს. ამ თხზულების ხელნაწერები ინახება თურქეთის, ინგლისისა

თურქულად დაწერილი თხზულების გამომზეურება, ქართულად თარგმნა და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სასარგებლო საქმეა.

XVIII ს-ის შუა წლების ოსმალური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ჩეშმი-ზადე მუსტაფა რეშიდი (+1770). იგი დაიბადა სტამბოლში ცნობილი სწავლულის ჩეშმი მეჰმედ საიდ ეფენდის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მედრესეში მიიღო. 1740—1741 წლებში უკვე მუდერისი იყო. იგი ოთხჯერ იყო ყაზიასქერის დოკუმენტების შემდგენლის (თეზქერეჯი) თანამდებობაზე. იგი სხვადასხვა მედრესეებში სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობდა. იყო მუდერისიც და მედრესეს წიგნსაცავის გამგებელიც. ჩეშმი-ზადე ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო თითქმის ორი წლის განმავლობაში. იგი სეიდ მეჰმედ ჰაქიმის გადაყენების შემდეგ 1766 წელს მიიწვიეს ვაკა-ი ნუვისის თანამდებობაზე. აქ მან 1768 წლამდე იმსახურა და შეადგინა 1766—1768 წლების ისტორია. ამ თხზულებაში მან შეიტანა ყველაფერი ის, რისი თვითმხილველი და უშუალო მონაწილეც იყო. ვაკა-ი ნუვისის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ისევ მედრესეში მსახურობდა.

ოფიციალურ ისტორიკოსად ყოფნის დროს მან მოაგროვა მასალები და აღწერა საქართველოს, პიჩაზის, კეიპროსის, ეგვიპტისა და საკუთრივ ოსმალეთის ისტორია 1766—1768 წლებში. ეს თხზულება<sup>24</sup> საუკეთესო წყაროა ამ პერიოდის ოსმალეთისა და მასში აღწერილი ქვეყნების ისტორიისათვის. აქვე მოცემულია ცნობები დამსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ<sup>25</sup>. მის თხზულებაში დაცული ცნობები შემდეგში გამოიყენა მისმა მომდევ-

---

და საფრანგეთის წიგნსაცავებში. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. *Türkische Handschriften*, T. I—II, 1968. იოსებ ქართველის ბიოგრაფიის, მოღვაწეობისა და თხზულებათა შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი—XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. 1955. თბ., გვ. 111—121. მისივე, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის. თსუ-ს შრომები. ტ. 116, თბ., 1965. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. V. გვ. 329—357. თამაზ ნატროშვილი, მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისათვის. „მაცნე“, 1969, № 5, გვ. 105—118. მისივე, ქართული ფეოდალური საზოგადოება და იოსებ ქართველი. „მაცნე“, 1970. № 5, გვ. 47—66. ი. ტაბაღა, იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში (1717—1726), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, XXII სამეცნიერო სესია, სესიის მუშაობის გეგმა, მოხსენებთა თეზისები, ანოტაციები, თბ., 1973. გვ. 23—25.

<sup>24</sup> Çeşmi-zade 'Mustafa Reşid, Çeşmi-zade Tarihi, Hazırlayan Bekir Kütükoğlu, İstanbul, 1959.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 2—9; 87—89.

ნო ისტორიკოსმა ვასიფმა (1738—1806). ვასიფის თხზულების ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს სწორედ ჩემში-ზადეს თხზულება<sup>26</sup> წარმოადგენს. ვასიფმა საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემისას უხვად ისარგებლა ჩემში-ზადეს თხზულების იმ ადგილითაც, სადაც ვრცელადაა საუბარი საქართველოს შესახებ, კერძოდ, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ 1766—1770 წლებში.

ჩემში-ზადეს გარდაცვალებისთანავე — 1770 წლისათვის ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობაზე დაინიშნა მუსა-ზადე მეჰმედ აბდულლაჰ ეფენდი, რომელიც დაიბადა სტამბოლში 1718 წელს. იგი ამ თანამდებობას ასრულებდა 1775 წლამდე. მის მიერ აღწერილი ამბები (1770—1775) შემდეგში ვასიფმა გამოიყენა თავისი თხზულების წერისას. იგი გარდაიცვალა 1782 წელს.

ჩემში-ზადეს ვაკა-ი ნუვისის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ვიდრე მუსა-ზადეს ამ თანამდებობაზე დაინიშნამდე, ოფიციალური ისტორიოგრაფის მოვალეობას ასრულებდა სეიდ მეჰმედ ჰაჰიმ ეფენდი. ვასიფი მის თხზულებაში დატულ ცნობებსაც უხვად იყენებდა<sup>27</sup>. ბ. ქუთუქოღლუს მტკიცებით, იზის შემდეგ, ჰაჰიმს ვაკა-ი ნუვისის თანამდებობა ეკავა მხოლოდ ექვსი თვის მანძილზე, 1753 წლის მარტიდან სექტემბრამდე. ჰაჰიმის გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია 1771—1772 წწ. მისი თხზულება შეიცავს 1758—1759 წლების ამბებს.

მუსა-ზადეს შემდეგ ვაკა-ი ნუვისის თანამდებობა ეკავა ჰასან ჯან ბეჰჩეთ ეფენდის. იგი მან დაიკავა 1775 წელს და იმავე წელს გადაყენებულ იქნა ამ თანამდებობიდან. მისი თხზულებაც ცნობილი იყო მომდევნო თაობის ისტორიკოსებისათვის. შემდეგ 1775 წელს ვაკა-ი ნუვისის თანამდებობა დაიკავა შიშმან სულეიმან მოლამ და მომდევნო წელს დაკარგა იგი. მისი ადგილი დაიკავა სადულლაჰ ენვერი ეფენდიმ.

სადულლაჰ ენვერის (1735—1795) რამდენჯერმე ეკავა ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობა. იგი წარმოშობით ტრაპიზონე-

---

<sup>26</sup> ჩემში-ზადეს თხზულების შესახებ იხ. Bekir Kütükoğlu, Çeşmi-zade Tarihine Dair. Y Türk Tarih Kongresi, Ankara, 12—17 nisan, 1956. Ankara, 1960. გვ. 340—346.

<sup>27</sup> Bekir Kütükoğlu, Müverrih` Vasfın Kaynaklarından Hakim Tarihi, Istanbul Universitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi. Istanbul, 1953—1954. Sayı 8. გვ. (69—76); Sayı 9 (გვ. 91—122); Sayı 10 (გვ. 79—10 ). ბ. ქუთუქოღლუს ამ ნაშრომში მოცემულია ცნობა ჰაჰიმის ბიოგრაფიისა და მის თხზულებათა შესახებ, მასში გარკვეულია, თუ როგორ პირველხარისხიან წყაროს წარმოადგენდა ვასიფისათვის ჰაჰიმის თხზულება.

ლი იყო. ახალგაზრდობაშივე ჩამოვიდა სტამბოლში. სწავლა-განათლებლის მიღების შემდეგ სულთნის სასახლეში მიიწვიეს სამუშაოდ. იქ მას სხვადასხვა თანამდებობები ეკავა. პირველად ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობა 1769 წელს დაიკავა. იგი ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომში იღებდა მონაწილეობას. ამ დროისათვის მან დიდვზირი სილაჰდარ მეჰმედ ფაშას უურადლება მიიქცია და ამ უკანასკნელმა იგი ცერემონმეისტერად გადაიყვანა სასახლეში (1771 წელს). ომის დამთავრების შემდეგ ენვერი ისევ ოფიციალურ ისტორიოგრაფად ინიშნება 1776 წელს, მაგრამ მალე სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ. მის ადგილზე კი ინიშნება ჯერ ბეჰქეთი ჰასანი და შემდეგ ომერ-ზადე სულეიმან ეფენდი. ენვერი 1787 წელს, მესამედ კვლავ დაინიშნა ოფიციალურ ისტორიოგრაფად, მაგრამ ამჯერადაც მხოლოდ ორ წელი იყო ამ თანამდებობაზე. სელიმ III-მ იგი გადააყენა და მისი თანამდებობა ვასიფს ებოძა, ხოლო 1791 წელს ვასიფი გადააყენეს და ისევ ენვერის გადასცეს ეს თანამდებობა, ამასთანავე ენვერი დაინიშნა ანატოლიის მოანგარიშის (Muhasebeci) თანამდებობაზე. ენვერი ამ თანამდებობაზე ყოფნისას გარდაიცვალა.

ენვერის სამტომიანი თხზულება<sup>28</sup> ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. იგი ხელნაწერის სახით ინახება თურქეთის წიგნსაცავებში<sup>29</sup>. პირველ ტომში აღწერილია 1768—1775 წლების ოსმალეთის ამბები. ვასიფი უხვად იყენებდა ამ თხზულებაში დაცულ ცნობებს<sup>30</sup>. მეორე ტომში აღწერილია 1775—1783 წწ. ამბები, ხოლო მესამე ტომში კი—1787—1792 წლების ამბებია გადმოცემული. ადვილი შესაძლებელია რომ ენვერის ამ გამოუქვეყნებელ სამტომიან თხზულებაში იყოს ცნობები დაცული საქართველოს შესახებ. ენვერის მიერ აღწერილი ამბები სარწმუნო წყაროა, იგი თვალხილულ და უშუალოდ განცდილ და მომსწრე ამბების აღმწერს ხველი ისტორიკოსია.

ენვერის თანამედროვე და ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო მეჰმედ ემინ ეფენდი. იგი ჯერ სულთნის კარზე ცერემონმეისტერი იყო, ხოლო 1788 წელს გახდა ოფიციალური ისტორიოგრაფი და 1775—1792 წლების ამბები აღწერა. იგი გარდაიცვალა 1801 წელს.

ამ პერიოდში მოღვაწეობდა სულეიმან შამადანი-ზადე ფუნდუკლულუ (+1779). იგი წარმოშობით ფუნდუკლულან იყო. სხვა-

<sup>28</sup> ენვერის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. M. Münir Aktepe, Enveri, İslâm Ansiklopedisi, cüz 32, 1946. İstanbul, გვ. 281—283. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 320—332.

<sup>29</sup> ენვერის თხზულებათა ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. İstanbul Külüpanejeri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları..., 2 fasikül, 1944. İstanbul, გვ. 143—146.

<sup>30</sup> M. Münir Aktepe, Enveri. . . გვ. 282.

დასხვა საყადოებში უხდებოდა მოღვაწეობა. მას ეკუთვნის ისტორიული ხასიათის ნაშრომი „მური აღ-თევარიჰის“ სახელწოდებით, რომელსაც დამატების სახით დართული აქვს ნაშრომი „თაკვიმ უთ-თევარიჰი“. თხზულებაში ამბები გადმოცემულია 1777 წლამდე. ამ თხზულების ერთი ნაწილი, რომელიც გადმოსცემს 1519 წლამდე მომხდარ ამბებს, გამოქვეყნებულია 1922 წელს სტამბოლში<sup>31</sup>. მასში ქრონიკების სახით გადმოცემულია ამბები ადამის დროიდან, მოთხრობილია სხვადასხვა პოლიტიკური დინასტიების ისტორია, ბოლოს ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე მოგვითხრობს, აგვიწერს ოსმალთა სულთანთა საქმიანობას. ამბების თხრობას ამთავრებს სულთან სელიმ I-ის ჯულთნობის დასასრულით. ნაშრომი მთლიანად კომპილაციურია, თითო-ორი წინადადებით ეხება საქართველოს. გადმოგვცემს თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის ამბავს. იგი თავის თხზულებას 13 წელი წერდა. საბოლოოდ დაასრულა 1778 წელს. მასში ოსმალთა სულთანთა ქრონოლოგიის გარდა გადმოგვცა შეიხ ულ-ისლამებისა და დიდვეზირების ქრონოლოგია 1778 წლამდე. იგი იყენებს ქათიბ ჩელეების თხზულებას „თაკვიმ უთ-თევარიჰს“. ეყრდნობა მას და თავის მხრივაც უმატებს.

XVIII საუკუნის ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსია აჰმედ რესმი (1700—1783). მას რესმი ეწოდა დაბადების ადგილის — რესმოს მიხედვით, რომელიც კუნძულ კრიტოსზე მდებარეობს. მისი ნამდვილი სახელია აჰმედ ბენ იბრაჰიმი. იგი წარმოშობით ბერძენია, განათლება სტამბოლში მიიღო. ოს ჩაესიდა რესმულ-ქუთთაბ თავუქჩუ დამადი მუსტაფა ეფენდის და მალე სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. მას არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. რამდენიმეჯერ გაიგზავნა ელჩად ვენაში, ბერლინში და სხვაგან. მას არაერთი ხელშეკრულება შეუდგენია; მონაწილეობას იღებდა რუსეთ-ოსმალეთის ომში და ქუჩუკ-კაინარჯის მოლაპარაკებაში. სახელმწიფოებრივი სამსახურის შესრულების დროს მის მიერ შედგენილი დოკუმენტები, რისალები, და სხვა ხასიათის ოფიციალური ცნობები თავის თხზულებაში შეჰქონდა. იგი გარდაიცვალა

<sup>31</sup> مرى التواريخ، اثر شمع‌دانی زاده فندقلی سابعان اندى، جلد ۱، ۱۳۳۸، استانبول. 1922. Istanbul) ამ თხზულების ხელნაწერებისა და ავტორის შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. I fasikül, გვ. 95—96. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 306—307.

სტამბოლში<sup>32</sup>. მას თავის ერთ-ერთ თხზულებაში<sup>33</sup> საგანგებოდ აქვს გადმოცემული რეის ულ-ქუთთაბის თანამდებობაზე მყოფი 66 პირის საქმიანობის შესახებ 1524 წლიდან — რეის ულ-ქუთთაბ კოჯა ნიშანჯი ქელალ-ზადე მუსტაფა ჩელებიდან — მოკიდებული 1740 წლამდე — ვიდრე რეის ულ-ქუთთაბის თანამდებობაზე რაგიბ მეჰმედ ფაშას დანიშვნამდე.

აჰმედ რესმის მეორე თხზულებაში (سيرة احمدية)<sup>34</sup> გადმოცემულია სასახლის კარზე არსებული კიზლარალაიქის თანამდებობის პირთა ისტორია მისი პირველი წარმომადგენლის — მეჰმედ ალასგან მოკიდებული (1574 წ.) ვიდრე 1765 წლამდე — ბეშირ ალა II-ის მკვლელობამდე.

XVIII ს-ის მიწურულის ოფიციალური ისტორიოგრაფია ჰალილ ნური ეფენდი, რომელიც წარმოშობით ტრაპიზონელი აყო. 1791 წელს დაიკავა „მალე თეჰქირეჯის“ თანამდებობა, 1794 წელს კი — ეაკა-ი ნუვისი გახდა. იგი გარდაიცვალა 1798 წელს ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობაზე ყოფნისას. მისი თხზულებაც სწორედ 1794—1798 წლების ამბებს შეიცავს<sup>35</sup>.

იზნ მიერ აღწერილ ოსმალეთის ისტორიას ქრონოლოგიურად აგრძელებს XVIII ს-ის ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი აჰმედ ვასიფი (1738—1806). იგი დაიბადა ბაღდადში, ბავშვობიდანვე შეითვისა არაბული ენა, მოიარა ბევრი ქვეყანა, მუშაობდა ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეების ბიბლიოთეკარად. რუსეთ-თურქეთის ომების დროს ტყვედ ჩაუვარდა რუსებს, მაგრამ მალე თავი დაიხსნა. ვასიფი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთ-თურქეთის საზავო მოლაპარაკებაში, აწარმოებდა მიმოწერას რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს და დიდგვებრის შორის. იგი ფრონტიდან რამდენჯერმე იქნა გაგზავნილი შიკრიკად დედაქალაქში. ვასიფმა შეადგინა 1772 წლის ბუქარესტის საზავო მოლაპარაკების ოქმი. 1783 წელს გახდა სულთნის კარის ისტორიკოსი, ოფიციალური უამთააღმწერელი. მან შეცვალა ენვერი, მაგრამ ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა. მალე ელჩად გაიგზავნა ესპანეთში, ხოლო სულთნის კარის ისტორიკოსის თანამდებობა მესამედ ისევ ენ-

<sup>32</sup> აჰმედ რესმის შესახებ იხ. Fr. Babinger, Ahmed Resmi, Islâm Ansiklopedisi, c. 3, 1941. Istanbul, გ. 202—203. Fr. Babinger, დასახ. ნომ. გვ. 309—312.

<sup>33</sup> Istanbul Kitaplıkları Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, I. Türkçe Tarih Yazmaları. 6 fasikül, 1948. Istanbul, გვ. 625—628.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 629—631.

<sup>35</sup> نوری تاریخی ამ თხზულების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, 2 fasikül, 144. გვ. 221.

ვერემ დაიკავა. ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ვასიფი ისევ სასახლეში ბრუნდება. 1791 წელს იგი მეორედ მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის საზავო მოლაპარაკებაში. იგი ანატოლიის საფინანსო საქმეების გამგებლად ინიშნება (Muhasebeci), შემდეგ კი ისევ სულთნის კარის ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობაზეა, ბოლოს მას რეის ულ-ეფენდის თანამდებობაც ეკავა.

ვასიფს, როგორც კარის ისტორიკოსსა და სახელმწიფო საქმეებში ჩახედულ პიროვნებას, ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროზე. იგი თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენისა, რომელთა შესახებ მას დაწვრილებით აქვს გადმოცემული თავის თხზულებაში. მისი გამოქვეყნებული ნაშრომი<sup>36</sup>—Mahasin ül-Asar ve Hakayik-ül Ahbar, (محاسن الاثار و حقايق الاخبار) ორი ტომისაგან შედგება და მოიცავს პერიოდს 1753 წლიდან 1774 წლამდე. პირველ ტომში ამბები აღწერილია 1753 წლიდან 1770 წლამდე. მეორე ტომში კი 1770—1774 წლების ამბებია გადმოცემული. ამ თხზულების ბოლო წლების ისტორიას, მის გამგრძელებელს, ოფიციალურ ჟამთააღმწერელს ენვერის მიაწერენ<sup>37</sup>.

თურქ ისტორიკოსს ბექირ სიდქი ქუთუქოღლუს შესწავლილი აქვს ვასიფის თხზულების წყაროები. იგი ვასიფის ისტორიის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევს მისი წინამორბედი ისტორიკოსის ჰაქიმის თხზულებას. მას საგანგებოდ აქვს შესწავლილი და ურთიერთშეჯერებული ვასიფისა და ჰაქიმის თხზულებები და საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული<sup>38</sup>. ასევე სპეციალურად აქვს მას შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული მეორე ოსმალო ისტორიკოსის ჩეშმი-ზადე მუსტაფა რეშიდის ისტორია, დეტალურად აქვს იგი შედარებული ვასიფის თხზულებასთან და გამოთქმული აქვს საინტე-

<sup>36</sup> محاسن الاثار و حقايق الاخبار، جلد ۲—۱، استانبول، ۱۲۱۹ (არსებობს კიდევ ევიპტის ორი გამოცემა 1246 წლისა (1830—1831). ვასიფის თხზულების ხელნაწერების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. . . 2 fasikül, 1944. გვ. 273—275. Ottoman Egypt in The Eighteenth Century, The Nizamname-i Misir of Cezzar Ahmed Pasha. Edited and Translated from the original Turkish by Shanford J. Shaw. Harvard University. Cambridge, Massachusetts. 1962. გვ. 7.

<sup>37</sup> Fr. Babinger, გვ. 336—337. Mithat Sertoğlu, Şehnamenüvisler, Vakanüvisler ile Diğer Mühim Osmanlı Müverrihleri ve Eserleri. II. Yeni Tarih Dergisi, Ocak, 1960, 37, გვ. 760.

<sup>38</sup> B. Kütükoğlu, Müverrih Vasıfın Kaynaklarından Hakim Tarihi, Istanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi. C. Y. s. 8. (გვ. 69—76), s. 9. (გვ. 91—122) s. 10. (გვ. 79—102), Istanbul, 1953—1954.



რესო მოსაზრებები<sup>39</sup>. მისი მტკიცებით, ჩემში-ზადე მუსტაფა რეში-დის ისტორია ერთ-ერთ პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს ვასიფის ნაშრომის 1766—1769 წლების ისტორიისათვის. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ. ჩვენ იგი შევეუჭრეთ ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის თხზულებას და გამოიკვია, რომ მართლაც, ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ნაშრომი ერთ-ერთი წყაროა ვასიფის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის. ვასიფი საკმაოდ ამოკლებს ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ისტორიაში მოტანილ ცნობებს საქართველოს შესახებ. იგი ხშირ შემთხვევაში არ ასახელებს იმერეთ-გურია-სამეგრელოს მთავართა და წარჩინებულთა სახელებს, რომელთაც ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდი იხსენიებს. ვფიქრობთ, ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ისტორიის მეცნიერული შესწავლა, მასში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების ქართულად თარგმნა-კომენტირება და გამოქვეყნება უფრო შეავსებს და სრულყოფილს გახდის ვასიფის ცნობებს საქართველოს შესახებ<sup>40</sup>. ვასიფის თხზულებიდან რამდენიმე ნაწყვეტი ცალკეა გამოქვეყნებული<sup>41</sup>. ვასიფს თავის თხზულებაში მეტად საინტერესო ცნობები აქვს შემონახული XVIII ს-ის 60-იანი წლების საქართველოს შესახებ. ჩვენთვის საინტერესო ცნობები ვასიფს ძირითადად პირველ ტომში აქვს გადმოცემული. მეორე ტომში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი რუსეთ-თურქეთის ომები. მის თხზულებას თარიღი თითქმის არსად

<sup>39</sup> Çeşmi-Zade Mustafa Reşid, Çeşmi-Zade Tarihi, Hazırlayan Bekir Kütükoğlu, İstanbul, 1959.

<sup>40</sup> საქართველოს შესახებ ვასიფის თხზულებაში დაცული ცნობების თაობაზე იხ. 6. შენგელია, ოსმალ ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“. წ. III, თბ., 1971 წ. ვასიფის ცნობები სომხეთის შესახებ იხ. Турецкие источники об Армении, армянах..., стр. 215—223.

<sup>41</sup> Relation turque de la bataille de Tehezme extrait du Vassif Efendi, Paris; Relation de L'ambassade de Derviche Mehemmed Effendi a Petersbourg, en 1168 de l'hégire (1754), extrait des annales de L'empire Ottoman de Vassif Efendi. Paris, 1821. В. Д. Смирнов, Отрацовые... стр. 127—139. ე. სმირნოვის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტები, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამოღებულია ვასიფის ისტორიის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დამატებებიდან, რომლის ხელნაწერი ეენის ბიბლიოთეკაში ინახება. აღსანიშნავია, რომ ვასიფის თხზულების ე. სმირნოვის მიერ გამოქვეყნებული ადგილიდან ჩვენთვის საინტერესოა ერთი ნაწყვეტი, რომელიც XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა და სამწუხაროდ, დღემდე ქართულად თარგმნილი არ არის.

[გვ. 137—139, ذکر انقاد مواد درمیانہ روسیہ و خان قلیسی.]  
ზოგიერთი ცნობარით დგინდება, რომ ა. ვასიფის თხზულების გამოუქვეყნებელი ნაწილი, სწორედ მისი თხზულების III—IV ტომებს შეადგენენ, იხ. İstanbul Kütüpaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloqları. 2 fasikül, გვ. 274.

არ უზის. ის არც ამბების გადმოცემისას უთითებს თარიღს. მაგრამ სხვა ქართული წყაროებისა და ჰაქციალური ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე, განსაკუთრებით ვასიფის თხზულების ერთ-ერთი წყაროს — ჩეშმი-ზადე მუსტაფა რეშიდის ისტორიის მიხედვით, აშკარად ჩანს, რომ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ შეეხება 1765—1767 წლებს.

ა. ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ შემოვლის გზით, ეკრძოდ, ჰამერის ნაშრომის მიხედვით<sup>42</sup>, ნაწილობრივ ცნობილი იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში<sup>43</sup>. მიუხედავად ამისა, ა. ვასიფის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ, ვფიქრობთ გარკვეულ დახმარებას გაუწევს XVIII ს-ის მე-2 ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს შესახებ არსებული ცნობების ერთ-ერთი წყარო ვასიფისათვის იყო ჩეშმი-ზადე მუსტაფა რეშიდის თხზულება, რომელიც უფრო ვრცლად და დაწვრილებით გადმოგვცემს 1765—1767 წლების საქართველოს ამბებს. ჩეშმი-ზადე სწორედ ამ პერიოდში ასრულებდა ოსმალეთის სულთნის კარზე ოფიციალური ეამთაღმწერლის მოვალეობას. მისი თხზულება საუკეთესო წყაროა ამ პერიოდის როგორც საქართველოს, ისე მისი მომიჯნავე ქვეყნებისა და ოსმალეთის საშინაო და საგარეო ვითარების შესასწავლად.

XVIII—XIX სს-თა მიჯნის ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია სეიდ აჰმედ ასიმ ეფენდი, იგივე მუთერჩიმ ასიმი (1755—1820). იგი წარმოშობით აინთაბელია, მამამისი ამ ქალაქის ძველი მკვიდრი და ცნობილი მეცნიერი და პოეტი იყო. ასიმმა აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, არაბულ ფილოლოგიასა და ისლამისმცოდნეობაში გაიღრმავა ცოდნა, სპარსული ლიტერატურა მამისგან ისწავლა. მან ისე კარგად აითვისა არაბული და სპარსული ლიტერატურა, რომ ამ ენებზე ლექსების წერაც კი დაიწყო. მალე მოიხვეჭა მეცნიერის, პოეტისა და მუნშის სახელი. იგი აინთაბის მუთასარიფის ქათიბი გახდა. პოლიტიკური სიტუაციების გართულების გამო იგი იძულებული გახდა 1789 წელს აინთაბიდან სტამბოლში წასულიყო. სტამბოლში იგი გაეცნო ცნობილ პოეტებს. 1796 წელს ყაზიასქერ თათარჯიკ აბდულლაჰ ეფენდის მეშვეობით მუდერისობა მიიღო და თავისი ოჯახი სტამბოლში გადმოიყვანა. ასიმის ოჯახს ამ პერიოდში სულთან სელიმ III-ის მზრუნველობა არ

<sup>42</sup> Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, IV, 1836.

<sup>43</sup> შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768) თსუ-ს შრომები. ტ. 41. თბ., 1950, გვ. 71—109.

შოკლებია. ასიმის მიერ შესრულებულმა პირველმა თარგმანებმა იმთავითვე მიიქციეს ყურადღება. იგი იყო მეცნიერი, ისტორიკოსი, პოეტი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ენათმეცნიერი. მას ორმა ნათარგმნა წიგნმა — ორმა ლექსიკონმა გაუთქვა სახელი. მის მიერ არაბულიდან და სპარსულიდან თურქულად შედგენილმა ლექსიკონმა მას ისეთი სახელი მოუხვეჭა, რომ იგი მუთერჯიმ ასიმის სახელით დარჩა ისტორიაში<sup>44</sup>.

ასიმი 1807 წელს ოფიციალურ ისტორიოგრაფად დაინიშნა. მისი, როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფის წინამორბედები იყვნენ მეჰმედ ფერთევ ეფენდი და ამირ-ეფენდი. მეჰმედ ფერთევ ეფენდი 1806 წელს ა. ვასიფოს გარდაცვალების შემდეგ გახდა ოფიციალური ისტორიოგრაფი, მაგრამ მან მხოლოდ ორი წელი შეძლო ემსახურა ამ თანამდებობაზე, იგი მალე გარდაიცვალა და თავისი რამდენიმე გვერდიანი თხზულება მუთერჯიმ ასიმს დაუტოვა, ამ უკანასკნელმა კი იგი თავის თხზულებაში შეიტანა.

მეჰმედ ფერთევ ეფენდის გარდაცვალების შემდეგ 1807 წელს ოფიციალური ისტორიოგრაფის ადგილი დაიჭირა ამირ ეფენდიმ. მან მხოლოდ ოთხი-ხუთი თვე შეძლო ემსახურა ამ თანამდებობაზე. მანაც თავისი ნაწერები მუთერჯიმ ასიმს გადაულოცა<sup>45</sup>. ჩვენთვის საინტერესოა ასიმი როგორც ისტორიკოსი. მისი ორტომიანი ისტორიული თხზულება<sup>46</sup>, სადაც აღწერილია ოსმალეთის ისტორია 1791 წლიდან 1808 წლამდე. მას თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომელსაც იყენებდა კიდევ თავისი ისტორიული ნაშრომის შედგენისას. ამავე დროს მას საკუთარი თვალით ხილული და უშუალოდ განცდილი ამბები შეჰქონდა თავის ისტორიაში. ასიმი ამ თხზულებაში აღწერს სელიმ III-ის სულთნობის (1789—1807) პერიოდის ოსმალეთის საშინაო და საგარეო ვითარებას. სასტიკად აკრიტიკებს სასახლის ხალხს, მეცნიერების წარმოადგენ-

<sup>44</sup> ასიმის ერთ-ერთი ნათარგმნი თხზულები — شرح قصيدة الحلي ترحمتهى ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ.: Istanbul Kitaplıkları Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları. I. Türkçe Tarih Yazmaları, 5 fasikül, İstanbul, 1954. გვ. 369—371.

<sup>45</sup> ასიმის შესახებ იხ. Aksoy Omer Asım, Mütercim Asım (1755—1819). Ankara, 1962. M. Fuad Köprülün, Asım Efendi. İslâm Ansiklopedisi. cüz 9. 1942. İstanbul გვ. 665—673.; Şakir Sabri, Gazi Antep Büyükləri, Gaziantap. 1934. გვ. 34—38.; Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 339.

بروسهلى محمد طاهر، عثمانلى مؤلفلىرى، استانبول، برنجى جلد، ۱۳۳۳ ز. 375—377

1928 წ. 8 პარტი. "جمهوريت" مودرجم اسيم. محمد فواد، محمد فواد، كوپرلى زاده محمد فواد، مودرجم اسيم. "جمهوريت" 8 جلد، ۱۳۳۳ ز.

<sup>46</sup> II، عاصم تاريخى، جلد ۱، ۱۳۳۳ ز.

ლებს. იგი სიზუსტით აღწერს ამ პერიოდის ქვეყნის ცხოვრების მრავალ მხარეს.

მეჰმედ ფუად ქოფრულუს შეფასებით, ნაიმადან ჯევედთ ფაშამდე მოღვაწე კარის ისტორიკოსთა შორის ასიმი ძალიან სასარგებლო და სახელოვანი ისტორიკოსია, იგი თავისი დროის ფსიქოლოგიის შესანიშნავი მცოდნე და ამბების პირუთენელი ამსახველია<sup>47</sup>.

ასიმი ოსმალეთის ისტორიის ამბების გადმოცემისას იძლევა ცნობებს ჩილდირის ვილაიეთის შესახებ. დაღესტნისა და ჩერქეზეთის შესახებ, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ. იძლევა ცნობებს ამ პერიოდის რუსეთის შესახებაც (გვ. 25—29). ფართოდ ჩერდება რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე (გვ. 63—68). ავტორი შრომის მეორე ტომში ისევ უბრუნდება საუბარს. ახალციხეზე, თბილისზე და ჩილდირზე (გვ. 299—300).

როგორც აღვნიშნეთ, ასიმ ეფენდიმ თავის თხზულებაში აღწერა 1808 წლამდე მომხდარი ამბები. ამის შემდეგ იგი 12 წელი იყო ოფიციალური ქამთაღმწერელი, მაგრამ ამ პერიოდის ამბები თავის ნაშრომში არ შეუტანია. ის შენიშვნები, რაც ამ უკანასკნელი პერიოდის შესახებ ჰქონდა გაკეთებული, მის მომდევნო ოფიციალურ ისტორიოგრაფს — ათაულა მეჰმედ შანი-ზადე ეფენდის დარჩა.

ათაულა მეჰმედ შანი-ზადე ეფენდი ცნობილი სტამბოლელი იურისტის შანი-ზადე მეჰმედ სადიქ ეფენდის შვილია. სწავლა-განათლების მიღების შემდეგ მან 1785 წელს მეცნიერულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. სხვადასხვა დროს მსახურობდა ეიუბიის საყადოში, 1793 წელს გახდა მუღდერისი, 1814 წელს იყო ეიუბიის მოსამართლე. 1819 წ. იგი ოფიციალურ ისტორიოგრაფად დანიშნეს, სადაც მსახურობდა 1825 წლამდე. ამ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა.

ათაულა მეჰმედ შანი-ზადემ თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო, იცოდა ფრანგული ენა, იგი იყო სამხედრო საქმის, მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, პოეზიის, მხატვრობისა და მუსიკის კარგი მცოდნე. მას არაერთი ნაშრომი აქვს ფრანგულიდან თარგმნილი მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან<sup>48</sup>.

მის მიერ შედგენილი ოსმალეთის ისტორია შეიცავს 1808—1821 წლების ამბებს. მასში აღწერილია ავტორის მიერ განცილი, თვა-

<sup>47</sup> M. Fuad Köprülü, Asim Efendi, Islâm Ansiklopedisi, cüz 9, 1942. İstanbul. გვ. 666.

<sup>48</sup> ავტორის ვინაობისა და თხზულების ხელნაწერი ნუსხების შესახებ იხ. Fr. Banning, დასახ. ნაშრ. გვ. 346. İstanbul Kütüphaneleri Tarih-Ccğrafiya Yazmaları Katalogları. . . 2 fasikül, 1944. გვ. 268—270.

ლით ხილული და მისი თანამედროვე ამბები. ამ მხრივ, მის თხზულებას, როგორც წყაროს უთუოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ნაშრომი ოთხი ტომისაგან შედგება. იგი ერთხელ გამოიცა სტამბოლში<sup>49</sup>.

თხზულების I—II ტომებში უხვადაა გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ. მასში მოთხრობილია ბათუმისა და ფოთის მდგომარეობის ამსახველ მოვლენებზე XIX ს-ის ოციან წლებში. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს საქართველოს გლეხთა მდგომარეობაზე, იმერეთის მეფე სოლომონ მეორეზე. ნაშრომს აქვე დართული აქვს სულთნის მიერ სოლომონ მეორისადმი გაგზავნილი ფირმანის აალი<sup>50</sup>. იქვეა სხვა ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ. ავტორი გვაუწყებს გონიოს ციხის მდგომარეობის შესახებ, იძლევა დაწვრილებით ცნობებს ოსმალეთის რუსეთთან ურთიერთობაზე, აღწერს ჩილდირის ეიალეთის მდგომარეობას. III—IV ტომებში ავტორს არაერთგზის აქვს აღნიშნული რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობის ცალკეული მომენტები აღნიშნულ პერიოდში.

XVIII—XIX სს-თა ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფერაიზი-ზადე მეჰმედ საიდ ეფენდი. იგი წარმოშობით ბრუსელია. აქვე, ემირ სულთნის მეჩეთში მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება, სადაც შემდეგში მუშაობდა ქათიბად. გარდაიცვალა 1835 წელს. მის ორტომიან თხზულებაში<sup>51</sup> ამბები გადმოცემულია უძველესი დროდან XVIII ს-ის მიწურულამდე. იგი 19 წელი წერდა ამ შრომას, დაასრულა 1834 წელს. ავტორი უხვად იყენებდა წინამორბედ ისტორიკოსთა — ქათიბ ჩელების, სად ედლინის, ნაიმას, რაშიდის, იზის, სუბჰის და სხვათა თხზულებებს. თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს მსოფლიოს ზოგად ისტორიას, მეორე ნაწილში გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია დასაწყისიდან ვიდრე სულთან აბდულ ჰამიდ I-ის (1774—1789) ტახტზე ასვლამდე, ქუჩუკ-კაინარჯის ზავამდე.

ორივე ტომში საკმაოადაა გაბნეული ცნობები საქართველოსა და

<sup>49</sup> . 1790.—1791, استانبول، جلد 1—2، شانی زاده تاریخی

<sup>50</sup> ამ ფირმანის ასლი შემდეგში, მომდევნო ისტორიკოსმა ჩევედეთ-ფაშამაყ თავი-სი „ისტორიის“ მეცხრე ტომში შეიტანა უცვლელად. იგი ითარგმნა ქართულადაც. იხ. ნ. შენგელია, ს. ქიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. № 4. 1964. თბ.

<sup>51</sup> 1782, 2—1 ج استانبول، معارف، كاشن معارف، سعيد، تاريخ  
ავტორის ვინაობისა და თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 352—353.

ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. პირველ ტომში ლაპარაკია 1440 წელს ოსმალთა მიერ ლახისტანის დაპყრობის თობაზე (გვ. 518—519), ყიზილბაშთა მიერ ახალციხის დაპყრობაზე და მათი ლაშქრის დაშარცხებაზე, ყიზილბაშთა მიერ საქართველოს დაპყრობაზე, შირვანისა და ვანის დაპყრობებზე, აბშისებისა და აფხაზების განადგურებაზე. ვრცლად აქვს აღწერილი შაჰ-აბასის დროინდელი ლაშქრობები ამიერკავკასიაში, აღწერს ყარსისა და სომხეთის ტერიტორიების განადგურებას, ყიზილბაშთა ლაშქრის საქართველოში არაერთგზის შემოჭრას, ირან-ოსმალეთის ომებს ამიერკავკასიაში იმთელს XVII საუკუნის სიგრძეზე.

მეორე ტომში ფართოდაა წარმოდგენილი ცნობები ოსმალთა მიერ თბილისის, ერევნისა და ნახჭევანის დაკავების შესახებ, ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობის შესახებ ამიერკავკასიაში. ავტორი საგანგებოდ ჩერდება საქართველოს ლაშქრის მდგომარეობაზე, ახალციხის ვითარებაზე.

წყაროს სარგებლობას აძნელებს ის, რომ ყოველგვარი დასათუ-რების გარეშე მიმდინარეობს თხრობა უძველესი დროიდან, ვიდრე XVIII საუკუნის მიწურულამდე. მართალია, საიღის თხზულება კომპილაციური ნაშრომია, იგი უშუალოდ იწერდა წინამორბედი ისტორიკოსებისაგან, მაგრამ მასში დაცული ცნობები საკმაოდ განსხვავებულიცაა და მათი შეჯერება სხვა ოსმალთა ისტორიკოსთა მონაცემებთან და სხვა ენებზე არსებულ წყაროებთან გარკვეულ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ოსმალური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მეჰმედ ეს'ად ეფენდი (1790—1848). იგი სტამბოლში დაიბადა. მამამისისა და სხვა ცნობილი სწავლულებისაგან ისმენდა ლექციებს. როდესაც 1805 წელს მამამისი მედინის საყადოში დაინიშნა და გემით მიემგზავრებოდა ჰიჯაზში, გემის კატასტროფის დროს დაიღუპა. ამ კატასტროფაში გადაარჩენილმა პატარა ეს'ადმა სტამბოლში მოახერხა დაბრუნება; ცნობილ სწავლულ პაღეთ ეფენდის შეაფხრა თავი და სწავლა განაგრძო. სწავლის დამთავრების შემდეგ სამუდგომად იქნა დატოვებული. 1817 წელს ადაფაზარის სანაიბოში გაამწესეს, შემდეგ ისევ სტამბოლში სანაიბოში დაინიშნა ხელმეორედ. 1825 წელს ოფიციალური ისტორიოგრაფის თანამდებობაზე დაინიშნა შანი-ზადე ათაულლამ ეფენდის ნაცვლად. იგი ამ თანამდებობაზე სიცოცხლის დასასრულამდე იმყოფებოდა. მას ერთდროულად არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. 1828 წელს რუსეთის ფრონტზე გაგზავნილ სელიმ მეჰმედ ფაშას ლაშქარში ყადის მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ უსქუდა-

რის საყადოში მუშაობდა. 1831 წელს ანატოლიისა და რუმელიის მოსახლეობის აღწერის დროს სოფიასა და შეჰირ-ქოის რაიონების აღსაწერად გაიგზავნა.

1834 წელს ეს'ად ეფენდი სტამბოლის ყადი გახდა, მაგრამ მხოლოდ ოთხი თვე იყო ამ თანამდებობაზე. შემდეგ ფათჰ-ალი შაჰის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით ირანში გაიგზავნა დიდი ელჩობით. 1841 წელს ეს'ად ეფენდი ნაკიბ ულ-ეშრეფის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1843 წელს რუმელიის ყაზისქერი გახდა. 1845 წელს სულთნის კარზე დაწესებული მეჯლისის წევრად დანიშნა. მომდევნო წელს განათლების მეჯლისის წევრია, 1846 წელს — საჰიდევანმწიგნობროს ზედამხედველთა საერთო მეთაური გახდა. სიკოცხლის ბოლო წლებში განათლების მეჯლისის თავმჯდომარე იყო<sup>52</sup>.

მექმედ ეს'ად ეფენდი თავისი დროისათვის განათლებული და ღრმად განსწავლული მეცნიერ-ისტორიკოსი იყო. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პოეზიაში, სტილისტიკაში. რადგანაც მექმედ ეს'ად ეფენდის ოთხი ათასზე მეტი ხელნაწერი დარჩა, 1846 წელს შეიქმნა მისი სახელობის ბიბლიოთეკა, რომელიც დღესაც სტამბოლში ერთ-ერთ ცნობილ წიგნთსაცავადაა აღიარებული.

მექმედ ეს'ად ეფენდის, როგორც ოფიციალური ისტორიკოგრაფის, საქმიანობა ემყარება წინამორბედ ისტორიკოს შანი-ზადეს თხზულებას. მან თავის თხზულებაში შეიტანა შანი-ზადეს ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც 16 თვის ამბებს გადმოგვცემს. შემდეგ ეს'ად ეფენდი ქრონოლოგიურად აგრძელებს ამბების თხრობას 1825 წლამდე. ეს თხზულება ეს'ად ეფენდის „ისტორიის“ სახელითაა ცნობილი და ორი ტომისაგან შედგება<sup>53</sup>. მას არაერთი თხზულება აქვს დაწერილი. მისი ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომია „უსსი ზაფერ“ (Ussi Zafer — „გამარჯება“), რომელშიც მოცემულია ცნობები იანიჩართა კორპუსის ფაქტების შესახებ. იგი საუკეთესო წყაროს წარმოადგენს იანიჩართა ოჯახის ისტორიის გასათვალისწინებლად. ეს ნაშრომი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა სტამბოლში. ითარგმნა ფრანგულ და ბერძნულ ენებზე.

მექმედ ეს'ად ეფენდის შემდეგ 1848 წელს ოფიციალური ისტო-

<sup>52</sup> მექმედ ეს'ადის ბიოგრაფიის შესახებ იხ.: Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 354—355; M. Münir Aktepe, Esad Efendi, İslâm Ansiklopedisi, cüz 33. 1957. İstanbul, გვ. 363—365; Milhat Sertoğlu, Şhnamenüvisler, Vakanüvisler ile Diğer Mühim Osmanlı Müverrihleri ve Eserleri, Yeni Tarih Dergisi, 1960, N 37. გვ. 760.

<sup>53</sup> زيبی تواریخ. ეს'ადის თხზულების შესახებ იხ. Istanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları. 1 fasikül, 1943, გვ. 63—64.; 7 fasikül, 1947, გვ. 603—604.

როგორაფი გახდა მეჰმედ რეჰაი ეფენდი, მაგრამ ისტორიული ნაშრომი არ დაუწერია. მისი მომდევნო ისტორიოგრაფი იყო ნაილ ეფენდი, რომელსაც არაფერი დაუწერია ისტორიაში. XIX საუკუნეში მოღვაწეობდა ისტორიკოსი მეჰმედ ნური (1833—1875), რომელსაც სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, დაგვიტოვა ისტორიული თხზულება Haber Sahih-ის სახელწოდებით, მასში ამბები გადმოგვცა 1875 წლამდე.

ასევე მეჰმედ ნურის თანამედროვე იყო მუსტაფა ნური ფაშა (1824—1889), რომელიც ოსმალეთის სახელმწიფო სამსახურში შევიდა, იყო სახელმწიფო დავთრის ზედამხედველი, განათლების მინისტრი, ვაკუფების გამგებელი ოსმალეთის იმპერიაში. მან დაგვიტოვა ისტორიული ხასიათის თხზულება „Nelayic ül Vükuat“, რომელშიც გადმოგვცა ოსმალეთის ისტორია აბდულ-მეჯიდის (1839—1861) დრომდე. ეს ნაშრომი 1811 წელს დაიბეჭდა სტამბოლში.

XIX საუკუნის ცნობილი ოსმალე ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ჰაირულლაჰ ეფენდი (? — 1866) დაიბადა სტამბოლში თავისი დროისათვის აღიარებული ექიმის აბდულჰაკ ეფენდის ოჯახში. შვილიც მამის კვალს გაჰყვა, 1843 წელს იზმირის მოლა გახდა. შემდეგ სამედიცინო საქმეების შესწავლას მიჰყო ხელი. მალე 1849 წელს განათლებისა და სოფლის მეურნეობის მეჯლისების წევრი გახდა. იყო აგრეთვე საკონსულტაციო საბჭოს მეორე თავმჯდომარეც. მას ყოველთვის მაღალი თანამდებობა ექირა. 1864 წელს ელჩად გაიგზავნა თეირანში. დიდხანს იყო სამედიცინო სასწავლებლის ხელმძღვანელად. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა თეირანში<sup>54</sup>.

ჰაირულლაჰ ეფენდის ეკუთვნის ნაშრომები ისტორიაში, გეოგრაფიაში, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მისი თხზულების ნაწილი გამოქვეყნებულია. მისი ისტორიული ნაშრომი საინტერესო თხზულებაა ოსმალეთის ისტორიის შესახებ<sup>55</sup>. იგი თბრობას იწყებს ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან. მისი თხზულება თექვსმეტი ტომისაგან შედგება. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ცხრა ტომი. გარდა ამ ტომებისა, დამატებების სახით გამოქვეყნ-

<sup>54</sup> ჰაირულლაჰ ეფენდის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ.: Th. Menzel, Hayrullah Efendi, Islâm Ansiklopedisi, cüz 43. 1943. გვ. 393—394.; Hammer-Purgstall, Bericht Über die zu Konstantinopol im Druck erscheinende Geschichte des Osmanischen Reiches von Chairullah Efendi. Sitzungsberichte der Ak. der Wiss in Wien. Phil. hist., XII. 533.

<sup>55</sup> خير الله افندي، تاريخي، جلد ۱—۹، ۱۲۷۳



და კიდევ რამდენიმე ნაშრომი<sup>56</sup>. ჰაირულაპ ეფენდის ცხრატომიანი ისტორიული თხზულება, რომელიც ერთადაა აკინძული და გამოცემული, ძირითადად კომპილაციური თხზულებაა. იგი იწერდა წინამორბედი ისტორიკოსებისაგან. მას საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ მოტანილი ცნობები ალებული აქვს წინარე ხანის ისტორიკოსებისაგან. იგი ვრცლად ჩერდება თემურ-ლენგის შემოსევებზე საქართველოში, აყ-ყონღუსა და ყარა-ყონღუს ურთიერთობაზე, მათ საქართველოსთან დამოკიდებულებაზე და სხვა. გადმოგვცემს აგრეთვე ცნობებს დაღესტნისა და ჩერქეზების შესახებ. ჰაირულაპ ეფენდის აქვს ნაშრომები მედიცინის საკითხებზეც<sup>57</sup>.

ოსმალეთის იმპერიის ვრცელი ისტორია, დასაწყისი პერიოდებიდან ვიდრე XIX საუკუნის შუაწლებამდე, აღწერილი აქვს თაიარ-ზადე აჰმედ ათას (1810—1877). იგი დაიბადა სტამბოლში სასახლის მოსამსახურის ოჯახში. შვილიც მამის კვალს გაჰყვა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობა ეკავა სასახლეში. სიცოცხლის ბოლო წლებში ქუთაჰის, კარაჰისარის, კარასისა და სხვა პროვინციების მუთასარიფი იყო. 1876 წელს მექაში დაინიშნა პარემი შერიფად. გარდაიცვალა მედინაში<sup>58</sup>.

თაიარ-ზადე აჰმედ ათა ავტორია ცნობილი „Ata Tarihi“-სა, რომელშიც ოსმალეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხებია გადმოცემული დასაწყისი პერიოდიდან ვიდრე XIX საუკუნის შუა წლებამდე. ეს თხზულება ხუთი ტომისაგან შედგება<sup>59</sup>. პირველ ტომში მოთხრობილია ოსმალეთის ისტორია ოსმან გაზის დროიდან ვიდრე სულთან სულეიმან კანუნის დრომდე. მასში არაფერია საქართველოს შესახებ. ნაშრომში პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად აღწერილია სასახლის კარი და მსახურები. მეორე ტომში გადმოცემულია დიდგვიზირების ბიოგრაფიები, მათი საქმიანობა, სასახლის მოხელეების, ბალთაჯიების, შეიხ ულ-ისლამების, ადმირალების საქმიანობა. დანარჩენ ტომებშიაც ავტორი გადმოსცემს თანამდებობის პირთა, სწავლულთა საქმიანობის შესახებ, პოეზიის, პროზისა და დიდებულების ისტორიას. ათას თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალეთის იმპერიის სამოხელეო და ადმინისტრაციული წყობილების შესასწავლად. ოსმა-

<sup>56</sup> Ali Şevki Bey, Zeyl-i Tarih-i Hayrullah Efendi. c. 2. Istanbul, 1289 (1872) 1292 (1875); Mansuri-Zade Vezir Mustafa Nuri Paşa, Netaicul Vukuat. 4 c. 2 tabi. Istanbul. 1323 (1909).

<sup>57</sup> Khair-aulah Efendi, Makâlât-i Tibbiyya. Constantinopol, 1259 (1843).

<sup>58</sup> თაიარ-ზადე აჰმედ ათას შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 366—367.

<sup>59</sup> تاريخ عطا "اثر" طيار زاده احمد عطا، جلد ۱-۱، ۱۲۹۳، استانبول

ლურ ისტორიოგრაფიაში აჰმედ ათას თხზულება ცნობილია, როგორც სასულთნო კარის ისტორია.

XIX საუკუნის სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი იყო აჰმედ ვეფიქ-ფაშა (1823—1891). იგი დაიბადა სტამბოლში. სწავლავანათლება ევროპაში მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთ ხანს სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურობდა. 1840 წელს შეფიქ ვეფენდის მზრუნველობით ელჩის ქათიბად გაიგზავნა ლონდონში. შემდეგ მთავარ თარჯიმანდ მუშაობდა სტამბოლში. იყო განათლების მინისტრი, დიდვეზირი, ედირენეს ვალი, საგარეო საქმეთა მინისტრი. სიეოცხლის ბოლო წლებში დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და მეცნიერებით იყო დაკავებული. იგი კარგად ფლობდა ფრანგულ, სპარსულ, არაბულ ენებს. იყო ფრანგული კულტურის კარგი მცოდნე. აჰმედ ვეფიქ-ფაშა 1875 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში. მან დაგვიტოვა ოსმალეთის ისტორია<sup>60</sup>, სადაც ამბები გადმოცემულია სახელმწიფოს დაარსებიდან ვიდრე 1789 წლამდე. მის თხზულებაში არაერთი საყურადღებო, ცნობაა შემონახული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ.

აჰმედ ვეფიქ-ფაშას თანამედროვე იყო სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი აჰმედ ჭევდეთ-ფაშა, რომელმაც ქრონოლოგიურად გააგრძელა ა. ვასიფის ისტორია. მისი 12-ტომიანი ისტორია მოიცავს პერიოდს 1774 წლიდან ვიდრე 1825 წლამდე<sup>61</sup>.

აჰმედ ჭევდეთ-ფაშა დაიბადა 1822 წელს ბულგარეთის ერთ-ერთ სოფელ ლოფჩაში. მამამისი ჰაჯი ისმაილ ალა წარმოშობით ქირქქილისადან იყო. ახალგაზრდა ჭევდეთ-ფაშამ აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. შემდეგ 1838 წელს სტამბოლში გადავიდა მედრესეში სწავლის დასასრულებლად. ჭევდეთ-ფაშამ სტამბოლში 7—8 წლის განმავლობაში საფუძვლიანი განათლება მიიღო. 1848 წელს ჭევდეთმა თავის მეგობარ ფუად ვეფენდისთან ერთად იმოგზაურა ბუქარესტში, სადაც დაჰყო ერთი თვე. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი სტამბოლში იწყებს სამსახურს და აქვეყნებს მთელ რიგ ოსმალურ

<sup>60</sup> Sadrâzam Ahmed Vefik Paşa, Fezleke-i Tarih-i Osmânî. Istanbul. 1869, 1871, 1873, 1877, 1885.; აჰმედ ვეფიქ ფაშას შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 373—374; Ahmed Hamdi Tampiran, Ahmed Vefik Paşa, İslâm Ansiklopedisi, c. 3. Istanbul, 1941, გვ. 207—210. كوربىلى زاده محمد فواد، احمد و فيق

1928 წ. 13 მარტი. „جمهورية“

<sup>61</sup> جودت تاريخى Tarih-i Ahmed Cevdet (Tarih-i Vekayi-i Devlet-i Aliyye) Istanbul 1271—1301. ტ. I—XII. არსებობს უფრო განახლებული გამოცემაც. ტ. I—XII. Istanbul. 1309. ნაწყვეტები ჭევდეთ-ფაშას ისტორიიდან გამოაქვეყნა ვ. სმირ-

დოკუმენტებს და სამეფო კარის დიდ ყურადღებას იქცევს. 1885 წ. მას ნიშნავენ სახელმწიფო კარის ისტორიკოსად. შემდეგ იგი ასრულებდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დავალებებს. იყო ალაბის, ბრუსის, მარაშისა და სირიის გამგებელი. სამჯერ იყო განათლების მინისტრი, ორჯერ ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა. იყო აგრეთვე საგარეო საქმისა და სამრეწველო საქმის მინისტრი.

აჰმედ ჭევდეთ-ფაშა გარდაიცვალა 1895 წელს. მან დაგვიტოვა ნაშრომები ლოგიკაში, პოეტიკაში, ისლამისმცოდნეობასა და სხვა დარგებში, დაგვიტოვა აგრეთვე თარგმანები. მან თარგმნა იბნ ხალდუნის თხზულების შესავალი. იგი იყო ფართო განათლების ისტორიკოსი, რომელსაც ამჟამადაც დიდი ანგარიში ეწევა. მას ხელი მიუწვდებოდა როგორც სახელმწიფო არქივებში დატულ დოკუმენტებზე, ისე მის წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებზეც. იგი თავისი ისტორიის წერისას იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების — ვასიფის, ენვერის, ედიბის, ასიმის და სხვათა თხზულებებს. იგი ამ თხზულებას 30 წლის განმავლობაში წერდა<sup>62</sup>. აღსანიშნავია, რომ ა. ჭევდეთ-ფაშას ისტორიის სხვადასხვა ტომებში უხვადაა გაბნეული ცნობები XVIII—XIX სს-თა საქართველოს შესახებ. მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ამ პერიოდის რუსეთ-თურქეთის ომები, ამ ომებში კავკასიის ხალხთა მონაწილეობა, საქართველოს საკითხი და სხვა. ჭევდეთ-ფაშა მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ქართველების, სომხებისა და კავკასიის სხვა ხალხთა ცხოვრებაზე, მას საინტერესო ფაქტები აქვს მოტანილი ერეკლე მეორისა და ოსმალეთის სულთნის ურთიერთობის შესახებ.

ჭევდეთ-ფაშას ისტორიის პირველ ტომში მოცემულია ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების მუხლები, ერევნის ხანებისადმი

---

ნოვა. სხ. В. Д. Смирнов, Образцовые произведения. . . , стр. 154—166. ჭევდეთ-ფაშას ისტორიის ხელნაწერი ნუსხებისა და გამოცემების შესახებ დაწვრილებით სხ. Istanbul Kültüraneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalođları. . . 2 fasikül. გვ. 136—138.

<sup>62</sup> ა. ჭევდეთ-ფაშას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 376—380; Ali Ölmezoglu, Cevdet-Paşa. İslâm Ansiklopedisi, c. 3. cüz 22. 1944. Istanbul გვ. 114—123; M. Şakir Ölkütaşir, Cevdet Paşa, Hayatı, Şahsiyeti, Eserleri (1822—1895). Ankara. 1945.; Ebülulâ Mardin, Medeni Hukuk Cephesinden Ahmed Cevdet Paşa. Istanbul, 1946.; M. Cavid Baysun, Cevdet Paşa Şahsiyetine ve İlim Sahasındaki Faaliyetine Dâir. Türkiyat Mecmuası. c. XI 1954. Istanbul. გვ. 213—230.; M. Cavid Baysun, Cevdet Paşanın İŞkodraya memuriyetine âid vesikalar. Istanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi, cilt 14—15. Sayı 19—20, 1964-65. გვ. 41—56; 21—38; Cevdet Paşa, Kırm ve Kafkas Tarihçesi, Istanbul, 1889. В. Д. Смирнов, Образцовые произведения. . . , стр. XI—XII. Турецкие источники об Армении. . . , стр. 224—227.

მიწერილი ფირმანების ასლები. მასში ლაპარაკია აზერბაიჯანელებზე სპარსელების თავდასხმებზე, სომხეთის პატრიკის გადაყენებაზე, ოს-მალეთში რუსეთის კონსულის დანიშვნასა და სხვ. შესახებ. მეორე ტომში ჩვედეთ-ფაშა ფართოდ ჩერდება ერეკლე მეორის რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხზე, რუსთა ჯარის მიერ საქართველოს დაკავებაზე და სხვ. ა. ჩვედეთ-ფაშას თავისი ისტორიის მესამე ტომში საგანგებოდ აქვს აღწერილი კავკასიის ხალხები — დაღესტნელები, ჩერქეზები, ქართველები. იძლევა ამ ხალხთა ისტორიული ხასიათის ექსკურსებს, დაწვრილებით აღწერს ჩერქეზთა გეოგრაფიულ მდებარეობას, ეთნოგრაფიულ ხასიათს და სხვ.<sup>63</sup> მეოთხე ტომში ჩვედეთ-ფაშას უპირატესად აღწერილი აქვს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხები 1786—1790 წლებში. მეხუთე ტომში იგი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ერეკლე მეორეზე, ჩილდირის მდგომარეობის შესახებ. აღწერილი აქვს 1791—1794 წწ. ოს-მალეთის იმპერიის ისტორია. მეექვსე ტომში კი დაწვრილებით ჩერდება ალა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევაზე, თბილისის დანგრევაზე, აზერბაიჯანისა და ყარაბახის დაპყრობაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე. აღწერილი აქვს 1794—1798 წლების ამბები. მეშვიდე ტომში არის ცნობები ახალციხის შესახებ, იქ შექმნილი ვითარების შესახებ. გადმოცემული აქვს 1798—1805 წლების ამბები. მერვე ტომში ავტორი ეხება რუსეთ-ირანის ურთიერთობის საკითხებს, ევროპის ქვეყნებთან რუსეთის დამოკიდებულების საკითხებს 1805—1808 წლებში. მეცხრე ტომში საქართველოს შესახებ არსებულ ცნო-

<sup>63</sup> ა. ჩვედეთის ისტორიის III ტომში კავკასიის ხალხთა შესახებ დაცული ცნობები ოს-რუსულად ითარგმნა ჯერ კიდევ XIX ს-ში. იხ. М. А. Гамазов, Описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Османской империи от 1192 года по 1202 год хиджры (1775—1784). «Русский архив», 1888, кн. I, № 3. Год двадцать шестой. Москва, стр. 369—392. ა. ჩვედეთ-ფაშას თხზულების ეს ნაწილი შევიდა თურქეთის საისტორიო საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული «თურქერების» პირველ ტომში. იხ. Cevdet Paşa, Tezakir, 1—12. Yayınlayan prof. Cavid Baysun, Ankara, 1953. ამ კრებულში შეთურთმეტრე «თურქერ» მთლიანად საქართველოსა და კავკასიის ხალხებს ეხება. იგი ჩვენ მიერ თარგმნილია ქართულად და ხელნაწერის სახით ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში. («თურქერების» პირველი ტომის გამოსვლის შემდეგ მალე მეორე და მესამე ტომებიც გამოვიდა ანკარაში 1960 და 1963 წლებში. სულ 40 «თურქერეს» შეადგენს). ჩვედეთ-ფაშა ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობაზე ყოფნისას მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ აკეთებდა ჩანაწერებს, შენახენებს; და ლუთფი ეფენდის უგზავნიდა. ეს ჩანაწერები მრავალმხრივი იყო. ამ დოკუმენტებმა შემდეგში «ჩვედეთის თურქერეს» სახელწოდება მიიღო. იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა ქვეყნის შინაგანი თუ საგარეო საკითხების შესასწავლად. მას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ოსმალეთის მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის საერთოდ და საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის კერძოდ.

ბებთან ერთად მოცემული აქვს საინტერესო დოკუმენტებიც, რომლებიც ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა. ავტორს გამოქვეყნებული აქვს ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ II-ის (1808—1838) იმერეთის მეფის სოლომონ II-ისადმი გაცემული სიგელის პირი. ამ სიგელის პირი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ჭვედეთ-ფაშას გადმოუღია წინამორბედი ისტორიკოსის — ათაულა მეჰმედ შანი-ზადეს თხზულებიდან. იგი თარგმნილია ქართულად და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაშია.

მეცხრე ტომში ჭვედეთ-ფაშას აღწერილი აქვს 1808—1811 წლების ამბები. მეათე ტომში მოთხრობილი აქვს ჩილდირისა და აქარის მდგომარეობის შესახებ. XI—XII ტომებში მას გადმოცემული აქვს 1811—1825 წლების ისტორია. ა. ჭვედეთის ისტორიის სხვადასხვა ტომებში საქართველოსა და კავკასიის შესახებ დაცული ცნობების<sup>64</sup> გამომწეურება უთუოდ სასარგებლო საქმე იქნება ჩვენი მეცნიერებისათვის.

ა. ჭვედეთ-ფაშას ეკუთვნის ოთხტომიანი ნაშრომი წინასწარმეტყველთა ისტორიის შესახებ. იგი რამდენიმეჯერ გამოიცა არაბული შრიფტით, ბოლოს ლათინიზებული შრიფტითაც გამოსცეს<sup>65</sup>. თხზულებაში ამბების თხრობა იწყება უძველესი დროიდან, ადამის გაჩენიდან. მასში საგანგებოდაა გადმოცემული ისლამამდელ წინასწარმეტყველთა ისტორია. შემდეგ ვრცელდა აქვს მოთხრობილი ისლამის ისტორია. იგი ამ თხზულებას სულთან მურად II-ის (1420—1451) მოღვაწეობით ამთავრებს. კერძოდ, 1440—1441 წელს ბელგრადის გარემოცვისა და აღების შესახებ თხრობით. ამ თხზულებაში ჭვედეთ-ფაშა საგანგებოდ ჩერდება მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის საკითხებზე, მის ურთიერთობაზე ხვარაზმელებთან. აქვე გადმოცემული აქვს ჯელალ ედ-დინ ხვარაზმშაჰის ურთიერთობა ქართველებთან, ხვარაზმელთა მიერ თბილისის დაკავებისა და საერთოდ მათი საქმიანობის შესახებ ამიერკავკასიაში.

ჭვედეთ-ფაშას შემდეგ ოფიციალური ჟამთაღმწერლის თანამდებობა ეკავა აჰმედ ლუთფი ეფენდის (1816—1907), რომელმაც აჰმედ ჭვედეთ-ფაშას ოსმალეთის ისტორიის თხრობა გააგრძელა 1876 წლამდე. მან 1825—1876 წლების ამბები აღწერა. აჰმედ ლუთფი ეფენდი დაიბადა სტამბოლში. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ საყადლოში მუშაობდა. 1864 წელს გახდა სულთნის კარის ოფიცი-

<sup>64</sup> ა. ჭვედეთის ისტორიის სხვადასხვა ტომში დაცული ცნობები სომხეთის შესახებ სომხურად თარგმნა ა. საფრასტიანმა. იხ. Турецкие источники об Армении..., стр. 227—319.

<sup>65</sup> Cevdet Ahmed, Kasası Enbiya, Peygamberler Tarihi, Cilt 1—4. 1947—1955.

ალური ქამთააღმწერელი. მისი ისტორია რამდენიმე ტომისაგან შედგება<sup>66</sup>. მიღწათ სერთოლლუს ცნობით, აჰმედ ლუთფის დაბეჭდილ რვა ტომში ამბები მოთხრობილია 1850 წლამდე. დანარჩენი შვიდი ტომი გამოუქვეყნებელია<sup>67</sup>. ლუთფის ისტორიის სხვადასხვა ტომებში გაბნეულია ცნობები XIX საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ. საგანგებოდ აქვს აღწერილი 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომები და მასთან დაკავშირებული საქართველოს საკითხები. საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ამ ომის დროს ახალციხის ბრძოლის შესახებ, აქარის ისტორიის შესახებ. ვრცლად აქვს განხილული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის საკითხები, საქართველოში საომარი მოქმედების მიმდინარეობა, ანაპის აღება, ჩურუქსუსთან გამარჯვება და ფაშის ციხის დაპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ ლუთფი ცალმხრივად, ტენდენციურად განიხილავს მთელ რიგ საკითხებს, მისი თხზულება მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. სხვანაირად მას არც შეეძლო. ის ოსმალეთის ხელისუფლების იდეალების მატარებელი ისტორიკოსია და ყოველ ისტორიულ მოვლენას ოსმალეთის ოფიციალური ისტორიოგრაფის თვალსაზრისით განიხილავს.

ლუთფის „ისტორიის“ ქრონოლოგიური გამგრძელებელი და უკანასკნელი ოფიციალური ქამთააღმწერელი იყო აბდურაჰმან შერეფბეი (1853—1925). იგი დაიბადა სტამბოლში, განათლება გალათასარაის სასწავლებელში მიიღო და მასწავლებელი გახდა. შემდეგ გალათასარაისა და კერძო სასწავლებლის დირექტორი იყო. მისი გარდაცვალებით დასრულდა ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობის

<sup>66</sup> Tarih-i Lutfi, I—VIII. Istanbul, 1290 — 1328 (تاریخ احمد لطفي)

ლუთფის ბიოგრაფიისა და თხზულებათა შესახებ იხ. Fr. Babinger, დაახ. ნაშრ. გვ. 384—385. ლუთფის „ისტორიის“ გარდა შედგენილი აქვს დოკუმენტური ხასიათის ნაშრომი — რისალე, რომელშიც ასახულია სულთან აბდულ აზიზის (1861—1876) საქმიანობა. იხ. I. H. Uzunçarşılı, Sultan Abdülaziz Vakasının Dair Vakanüvis Lütfi Efendinin Bir Risalesi. Belleten, Cilt VII<sup>2</sup>, Sayı 28. 1913. Ankara, გვ. 349—373. ჩვენს ხელთა აგრეთვე ლუთფი ფაშას „ისტორიის“ განახლებული გამოცემის პირველი ნაწილი, სადაც ამბები გადმოცემულია ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებიდან ვიდრე სულეიმან კანუნის მოლაშქობის დასასრულამდე იხ. تواریح عثمان لطفی پاشا. ۹۶۱ سنه سنه قدر اولان وقوعه:ندن باحدر ۵۰۰ هـ و

محدثیس، برنجی طبعی، استانبول، ۱۳۴۱

<sup>67</sup> Mithat Sertoğlu, Şahnamenüvisler, Vakanüvisler ile Diğer Mühim Osmanlı Müverrihleri ve Eserleri. II. Yeni Tarih Dergisi, Ocak, 1950. N 37. გვ. 762.

არსებობა სულთნის კარზე<sup>68</sup>. იგი გაუქმდა სასულთნოს გაუქმებასთან ერთად.

ლუთფის თანამედროვე ისტორიკოსი და ფილოლოგი იყო აჰმედ რასიმი (1864—1922), რომელიც დაიბადა სტამბოლში. ობლებისათვის განკუთვნილ ე. წ. დარუშშაფაქის სკოლის დამთავრების შემდეგ მწერლობა დაიწყო და მთელი სიცოცხლე ამ საქმეს ემსახურებოდა. მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფში, მასწავლებლობდა, იყო განათლების ზედამხედველი<sup>69</sup>. ჩვენთვის საინტერესოა მისი ისტორიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია დასაწყისიდან აბდულ აზიზის მოღვაწეობის ბოლო ხანებამდე (1861—1976)<sup>70</sup>. ა. რასიმის „ისტორია“ კომპილაციური ნაშრომია. მასში არაერთგზის გვხვდება ცნობები საქართველოს შესახებ, გიორჯი სააკაძის შესახებ.

სულთნის კარის ოფიციალური ემთადმწერლების გარდა ოსმალეთის იმპერიაში იყვნენ მთელი რიგი არაოფიციალური სწავლული ისტორიკოსები, რომელთაც საინტერესო ნაშრომები დაგვიტოვეს ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის. ოსმალთა ისტორიკოსთა ჯერ კიდევ ბევრი თხზულება ჩვენთვის უცნობია. მათში არ შეიძლება საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ არ იყოს ცნობები შემონახული. მართალია, ეს ისტორიკოსები თავიანთი თხზულებების წერისას ერთმანეთისაგან სარგებლობდნენ, მაგრამ განსხვავებული და საინტერესო უსათუოდ მოინახება.

---

<sup>68</sup> აბდურაჰმან შერიფის შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 404—406. Abdurrahman Şeref Ef., Tarih-i Devlet-i Osmâniye. C. 1—2; İstanbul, 1897—99; عبد الرحمن شرف مدير مكتب سلطاني، تاريخ دولت عثمانیه، جلد ۱، [طبع ثانی]، استانبول، ۱۳۱۵، جلد ۲، ۱۳۱۸.

<sup>69</sup> აჰმედ რასიმის ბიოგრაფიისა და თხზულებათა შესახებ იხ. Reşat Ekremi Koçî, Ahmed Rasim, Hayatı, Seçme Şiir ve Yazıları. 1938.; Sabri Esat Sıyavuşgil, Ahmed Rasim, İslâm Ansiklopedisi, 3 cüz, 1911. İstanbul, გვ. 200—202.

<sup>70</sup> احمد راسم، رسمى و خرىطالى عثمانلى تاريخى، ايكنجى طبع، يكنجى جلد، ۱۳۳۵—۱۳۳۳. برنجى طبع، اوچنجى جلد، ۱۳۲۹—۱۳۲۷. استانبول.

**XV—XVII საუკუნეების დოკუმენტური წყაროები**

ოსმალთა ისტორიკოსთა და მოგზაურ-გეოგრაფთა თხზულებების გარდა საქართველოს შესახებ ძალიან საყურადღებო ცნობებია დაცული ოსმალურ დოკუმენტურ მასალებში, ფირმანებში, რელაციებში, ხალხის აღწერის დავთრებში, კანუნ-ნამეებში, რისალებსა და სხვა ხასიათის საბუთებში, რომელთაც ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეები ადგენდნენ როგორც სულთნის კარზე და პროვინციებში, ისე საქართველოსა და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში.

ოსმალური დოკუმენტური მასალებიდან აღსანიშნავია ის ქრონიკები, რომლებიც ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე (1453) იქნა შედგენილი<sup>1</sup>. ეს საინტერესო მასალა, კალენდრები, რომლებიც შედგენილ იქნა XV ს-ის შუა წლებამდე, მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა. მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია XI—XV საუკუნეების სელჩუკთა სახელმწიფოების, ბილიქებისა და ოსმალთა სახელმწიფოს პირველი პერიოდის სულთანთა და სხვა წარჩინებულთა საქმიანობა. ამ წყაროში მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული სელჩუკ სულთნებთან ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ურთიერთობის შესახებ. ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული XI—XV სს-თა მახლობელი აღმოსავლეთის მეტნაკლები მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები. მასში საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მომენტებია წარმოდგენილი.

სტამბოლში, ველიუდდინ ეფენდის წიგნსაცავში № 3258 შიფრით ინახება სადი ჩელების კრებული, რომელიც XV ს-ის ბოლოსა და

<sup>1</sup> Istanbul Felhinden Once Yazılmıř Tarihi Takvimler. Yayınlayan Osman Turan. Ankara, 1954. ამ წყაროს თურქული ტექსტი, ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანითა და შენიშვნებით ხელნაწერის სახით ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოურ ო წყაროების კომისიაში.



XVI ს-ის პირველი ნახევრის მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან დოკუმენტებს შეიცავს. იგი გამოაქვეყნეს 1956 წ. პროფ. ნეჯათი ლუგალმა და დოც. აღნან ერზიმ<sup>2</sup>.

ამ კრებულში თავმოყრილია სულთან ბაიაზიდ II-ის ამასიაში ვაღლის თანამდებობაზე დანიშვნის დროს სხვადასხვა მბრძანებლებისადმი გაგზავნილი წერილები, მისი პასუხები, უზუნ-პასანისაგან მიღებული სხვადასხვაგვარი ხასიათის წერილები და მისი პასუხები, ჯემ-სულთანთან მიწერილი წერილები, ჯემ-სულთნის პასუხები, ოქროს ურდოში გაგზავნილი წერილი, შირვან-შაჰისადმი გაგზავნილი წერილი და სხვ. აქვე არაერთი საინტერესო თარიღია მოტანილი.

უზუნ-პასანის მიერ ბაიაზიდ II-ისადმი გაგზავნილ უთარიღო წერილში ვრცელი ცნობებია უზუნ-პასანის საქმიანობის შესახებ. წერილში მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების ვრცლად გადმოცემის შემდეგ საუბარია იმაზე, რომ უზუნ-პასანი შირაზიდან დაბრუნდება, ქალაქ ქუმში გაიზამთრებს და გაზაფხულზე საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრებს. წერილში ვრცლადაა გადმოცემული უზუნ-პასანის საქართველოში გალაშქრების შესახებ<sup>3</sup>. აქვეა მომდევნო დოკუმენტი, რომელიც ბაიაზიდ II-ის პასუხს წარმოადგენს. ბაიაზიდ II უზუნ-პასანისადმი მიწერილ წერილში გადმოცემულა ამბებით კმაყოფილებას გამოთქვამს და გაზაფხულზე საქართველოს წინააღმდეგ მოწალოდნელ გალაშქრებაზე უზუნ-პასანს მადლობას უცხადებს<sup>4</sup>.

არსებობს აჰმედ ფერიდუნ ბეის მიერ შედგენილი ოსმალთა სულთნების ბრძანებულებათა, გარეშე სახელმწიფოებთან მიმოწერათა და სხვადასხვა ხასიათის სიგელთა შემცველი კრებული. აჰმედ ფერიდუნ ბეიმ შეკრიბა და ქრონოლოგიურ სისტემაში მოიყვანა ოსმალთა სულთნების ბრძანებულებათა, გარეშე სახელმწიფოებთან მიმოწერათა და სხვადასხვა ხასიათის სიგელთა შემცველი დოკუმენტები და ამით გარკვეული ღვაწლი დასდო თურქულ წყაროთმცოდნეობას.

აჰმედ ფერიდუნ ბეის ბიოგრაფიის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ჩანს, რომ იგი XVI საუკუნის ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეა. იგი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე იმყოფებოდა. მისი დაბადების თარიღისა და წარმოშობის შესახებ არაფერი ვიცით. ცნობილია, მხოლოდ, რომ იგი დევთერდარ ჩივი-ზადე აბდულლაჰ ჩელების სახლში გაიზარდა, 1552/53 წ. სოკოლლუ მეჰმედ ფაშას სამსახურში დაინიშნა ქათიბის თანამდებობაზე, შემ-

<sup>2</sup> Tâci-zade Sa'dî Çelebi, Münşeâtı. Neşredenler: Prof. Necâli Lugal, Doc. Adnan Erzi. Istanbul, 1956.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 28—29.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, გვ. 32.

დეგში დევანქათიბი გახდა. 1554 წელს ნახქეენის ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას, 1570 წ. დაუნიშნავთ საგარეო საქმეთა სამდივანმწიგნობროს მეთაურის თანამდებობაზე (რეის ულ-ქუთთაბი). 1573 წელს კი — ნიშანჯიდ ე. ი. სახელმწიფო ბეკდის მცველად დაუნიშნავთ. ამ თანამდებობიდან ფერიდუნ ბეი 1576 წელს გადაუყენებიათ და სემენდერეში სანჯაყ-ბეგად გაუგზავნიათ. 1580—1581 წელს სულთან მურად III-ს იგი კვლავ ნიშანჯიდ დაუნიშნავს. ცხადია, ასეთ საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფ ადამიანს ადვილად შეეძლო ესარგებლა ოსმალთა სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ყველა ოფიციალური მიმოწერის დოკუმენტებით. მან გადაიღო მთელი ამ დოკუმენტების ასლები და თავი მოუყარა კრებულში, რომელიც დღეს „სულთანთა ეპისტოლეების კრებულის“ (مجموعه اساطيع منشاءات) სახელითაა ცნობილი. ამ კრებულში თავმოყრილია ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებიდან (1299) ვიდრე სულთან მურად III-ის ტახტზე ახვლამდე იქნა შედგენილი (1574); მაგრამ ჩანს, რომ ფერიდუნ ბეის გარდაცვალების შემდეგ (1583) მის საქმიანობას გამგრძელებელი აღმოაჩნდა. ფერიდუნ ბეის სახელით ცნობილი ამ „სულთანთა ეპისტოლეების კრებულში“ ჩვენ ვხვდებით მისი გარდაცვალების შემდეგდროინდელ, XVII ს-ის დოკუმენტებს. ეს კრებული ორ ტომად ორჯერ გამოიცა სტამბოლში: პირველად 1848—1849 წწ.<sup>5</sup> და მეორედ 1858 წელს<sup>6</sup>. პირველ გამოცემაში თავმოყრილია 735 დოკუმენტი, მეორეში კი — 835. საბუთები თურქული და სპარსულენოვანია. ზოგიერთი საბუთი უშუალოდ ეხება საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებს და ამდენად ისინი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. საქართველოს შესა-

<sup>5</sup> مجموعه منشاءات اساطيع فريدون بك، جلد ۱، جلد ۲، ۱۲۶۷، ۱۲۶۵

<sup>6</sup> منشاءات فريدون بك، جلد ۱، ۱۲۷۴، جلد ۲، ۱۲۷۵  
 ფერიდუნ ბეის ბიოგრაფიისა და კრებულის შესახებ იხ.: Ch. Rieu, Catalogue of the turkish, manuscripts in the British Museum. London, 1889, გვ. 80—83. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 106—108. J. H. Mordtmann, Feredun Bey, Islâm Ansiklopedisi, გვ. 569—570. А. Крымский, История Турции и ее литературы, т. I, М., 1916, стр. 249. და სხვ. ს. ჯიქია, ხონჭრის მიწის დიდი მოურავისადმი ვაცემული სიგელი. ენიშკის მოამბე XIII, თბ., 1942, გვ. 233—234. ს. ჯიქია, ეპიზოდური ოღიშის პოლიტიკური ისტორიიდან. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 294—298. მ. სევაიძე, ს. ჯიქია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1583—1590 წწ. „მაცნე“, 1966, № 6, გვ. 223—236.

ხებ ცნობები უპირატესად მეორე ტომშია გაბნეული. კრებულში მოთავსებულია სულთნის მიერ ქართლის მფლობელ მოურავ-ბეგისადმი, დადიანისადმი, იმერეთის მეფისადმი გაცემული სიგელების ასლები, არის აგრეთვე საბუთები, რომელშიც დაცულია ცნობები ზომხეთის შესახებ. ერთ-ერთ სიძნელეს ამ საბუთების სარგებლობისას წარმოადგენს ის, რომ მათ თარიღი არსად არ უზის. საერთოდ ამ კრებულში თავმოყრილი საბუთების დასათარიღებლად საჭირო ხდება სხვადასხვა ისტორიული რეალიების გათვალისწინება და ამა თუ იმ დოკუმენტში გადმოცემული ამბების შეჭერება სხვა წყაროებთან და შესაბამის ფაქტებთან. მხოლოდ ასეთი მეთოდებით შეიძლება ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტების დათარიღება.

ცნობილია ფერიდუნ ბეის კრებულიდან ამოღებული ერთ-ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც XVI ს-ის 80-იანი წლების საქართველო-თურქეთის ურთიერთობისათვის მეტად საყურადღებო მომენტს შეიცავს. თურქული დოკუმენტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოაქვეყნეს მ. სვანიძემ და ს. ჯიქიაშვილმა.

XVII ს-ის შუა წლების ოდიშის პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, ოსმალეთის ხელისუფლებასთან დადიანის პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმისა და ოდიშში შექმნილი ვითარების გასათვალისწინებლად ფერიდუნ ბეის კრებულში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის თურქული ტექსტი, ქართული თარგმანითა და სათანადო შენიშვნებით გამოაქვეყნა პროფ. ს. ჯიქიაშვილმა. ეს დოკუმენტი „დადიანთა ტომის თავაღებისადმი დიდფეოხორის მიერ გაგზავნილი მაღალღირსეული წერილის პირია“. ფერიდუნ ბეის კრებულში მოთავსებულია ირან-ოსმალეთის 1639 წ. საზავო ხელშეკრულების ტექსტის პირი<sup>9</sup>. ამ დოკუმენტს, როგორც წყაროს, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, რადგანაც ირან-ოსმალეთის მიერ ამ ზავის პირობებით დანაწილებულ იქნა ამიერკავკასიის ქვეყნებიც და მათ შორის საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროებიც საბოლოოდ „დაისაყუთრა“ ორივე დამპყრობელმა.

<sup>7</sup> მ. სვანიძე, ს. ჯიქია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588—1590 წწ. „მაკნე“, 1966, № 6, თბ., გვ. 223—236.

<sup>8</sup> ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. 1966, თბ., გვ. 294—298.

<sup>9</sup> ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ქართულად და რუსულად თარგმნილი აქვს ვ. ჩოჩიევს. იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 372. მისივე, Документы по истории агрессивной политики Турции и Ирана. Труды Сталинградского гос. пед. института, V, 1958, Сталинград, стр. 251—259.

როგორც ცნობილია, 1639 წლის ზავით შეწყდა ირან-ოსმალეთს შორის XVI—XVII სს. წარმოებული მრავალწლიანი ომები. „1639 წლის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევ დასაპყრობი რჩებოდა, გავლენის სფეროებად განაწილდა“<sup>10</sup>. ფერიდუნ ბეის მიერ შედგენილ კრებულში მოთავსებული ზავის პირობების ტექსტის შინაარსის მიხედვით ირან-ოსმალეთს შორის ტერიტორიები განაწილებულია და კონკრეტულადაა ჩამოთვლილი თითოეული პუნქტი<sup>11</sup>. ჩანს, რომ ზავის პირობები ეხება ირან-ოსმალეთს შორის იმ მიწების დანაწილებას, რომელიც „ბაღდადსა და აზერბაიჯანის მხარეებში“ მდებარეობდა. მაგრამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ის ტერიტორიებიც, რომელიც ოსმალეთმა აღრევე მიიტაცა, კერძოდ, ახალციხე. ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბასრას და სხვა საზღვრების შიგნით არსებული ციხეები, მხარეები, სანახები, მიწები, მინდვრები, უღაბნოები, გორაკები და მთები შეუვალი და დაულაშქრავი იყო მეორე მხრიდან“<sup>12</sup>. ხელშეკრულების ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ირანს საბოლოოდ აუღია ხელი სამცხეზე და იგი ოსმალეთს დაუსაკუთრებია. ამ ზავით ოსმალეთი ისაკუთრებდა მთელ დაპყრობილ ტერიტორიას სამცხიდან ვიდრე სპარსეთის ყურემდე. ამასვე ადასტურებენ ოსმალთა ისტორიკოსებიც, კერძოდ მუსტაფა ნაიმა. იგი წერს: „შაჰის მხრიდან აბსოლუტურად არ უნდა იქნას ხელყოფილი და დალაშქრული ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბაღდადის, ბასრას და სხვა (საზღვრების) შიგნით არსებული ციხეები, მხარეები, სანახები, მიწები, მთები და გორაკები“<sup>13</sup>.

ამ ზავით ოსმალეთმა ირანს საბოლოოდ ააღებინა ხელი სამცხე-საათაბაგოზე და იგი თავის ადმინისტრაციულ ერთეულად — საფაშოდ აქცია.

ფერიდუნ ბეის კრებულიდან ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლის სათაურია: „საქართველოს დაცვის განზრახვით ქურთების ამირებისა და ხანებისადმი გაგზავნილი სამეფო წერილის პირი“, თურქული

<sup>10</sup> ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. 1957, თბ., გვ. 371.

<sup>11</sup> ფერიდუნ ბეის კრებული, ტ. II, გვ. 217—219, იხ.: ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო..., გვ. 372. მისივე, Документы по истории агрессивной политики Турции и Ирана. Труды Сталининского гос. пед. института, V, Сталинир, стр. 251—259.

<sup>12</sup> ფერიდუნ ბეის კრებული, ტ. II, გვ. 218.

<sup>13</sup> ნაიმა „ისტორია“, ტ. III, გვ. 430.

ტექსტით, ქართული თარგმანითა და სათანადო შენიშვნებით გამოაქვეყნა ვ. ჩოჩიევმა<sup>14</sup>. ეს დოკუმენტი შედგენილია 1625 წლის მეორე ნახევარში და შეიცავს სულთან მურად IV-ის წერილს ქურთი ფეოდალებისადმი. იგი წარმოადგენს ოსმალეთის კარის ოფიციალურ გამოძახილს გიორგი სააკაძის მეთაურობით განხორციელებულ აჯანყებაზე. ეს წერილი ნიშნავს ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლის დოკუმენტურ აღიარებას. წერილი შეიცავს მარტყოფის აჯანყებისა და აგრეთვე მარაბდის ომის დეტალურ აღწერას. სულთანი მათ პოპულარიზაციას ეწევა თავის ადრესატებს შორის.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ სულთანი ქართველების აჯანყებას იყენებდა მეზობელი ქვეყნების, კერძოდ ქურთისთანის ფეოდალთა ასამხედრებლად ირანის წინააღმდეგ. წერილის ასეთ დანიშნულებას არ შეესაბამება გამომცემელთა მიერ მისთვის შერჩეული სათაური. დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქურთ ფეოდალებთან სულთნის ურთიერთობის მიზანს წარმოადგენდა არა საქართველოს დაცვაზე ზრუნვა, არამედ ქართველების აჯანყებით დასუსტებული ირანის წინააღმდეგ ქურთისთანის ამხედრებაც. სულთანი ქართველთა აჯანყებას განიხილავს, როგორც ყიზილბაშთა სამხედრო მოქმედების დამარცხებას.

ფერიდუნ ბეის კრებულში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელიც საქართველოს ეხება და გიორგი სააკაძის სახელზე გაცემულ ფირმანს წარმოადგენს, ეწოდება „სულთნის მიერ ქართლის მმართველის მოურავ ხანისადმი გაცემული ფირმანი“. ეს ფირმანი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცნობილია და დათარიღებული<sup>15</sup>.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ფირმანზე და გადმოვცეთ მისი შინაარსი, რამდენადაც ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა XVII ს-ის II მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. ფირმანში ვკითხულობთ: „მალაკეთილშობილ ემირთა წინამძღოლო,... (წერილების) შინაარსით მაცნობებ, რომ უბედურ ყიზილბაშს სწადია ის მხარეები დააზარალოს და, მალალმა ალაჰმა დაგვიფაროს, გზადანეული შაჰის დღისა და ღამის უწყმინდურ განზრახვასა და ფუჟ ოცნებას შეადგენს საქართველოს ქვეყნების დაპყრობა და იმ მხარეში ჩემი

<sup>14</sup> ვ. ჩოჩიევი, მარტყოფის 1625 წლის აჯანყების გამოძახილი ოსმალეთში (სულთან მურად IV წერილის მიხედვით). ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971 თბილისი, გვ. 243—248.

<sup>15</sup> ს. ჩიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, ენიშქის მოამბე, III, თბ., 1942. ე. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთნის მურად IV მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელის თარიღის შესახებ, სტალინის სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, VII, 1959.

ღვთივდაცულ ქვეყანათა საზღვრებისათვის ზიანის მიყენება. (იწერებოდა აგრეთვე), რომ საჭიროა დროულად ღონისძიებათა მიღება ურჯულ მტერთა და უკუღმართ გზაზე შემდგარ რაფიზიებისაგან (მოსალოდნელ) სიავეთა თავიდან აცილებათ და ითხოვ აქედან ჯარსა და შველას. ყველაფერი ის, რაც შენ მტრის მდგომარეობის შესახებ დაგეუწერა და მოგიხსენებია, ჩემს სამეფო დიდებას სრულიად ეცნობა...<sup>16</sup>.

მამასადამე, ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, რომ გიორგი სააკაძის თხოვნა ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ ოსმალეთის დახმარების შესახებ სულთანს შეუწყნარებია. იბადება კითხვა, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში და რატომ იყო გიორგი სააკაძე დაინტერესებული ირანის წინააღმდეგ ოსმალეთის ძალების მოშველიებით? როგორი პოლიტიკური სიტუაცია იყო ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში საერთოდ და რა დამოკიდებულებაში იყვნენ ირან-ოსმალეთი ერთმანეთთან. ამაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი და ამჟამად არ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ფირმანს, როგორც წყაროს ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უეჭველად გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

როგორც აღნიშნული იყო, ნაიშან „ისტორიიდან“ აშკარად ჩანს, რომ სულთანი თავისი ლაშქრით არ წამოსულა საქართველოსაკენ, მაგრამ გიორგი სააკაძისადმი ბოძებული ფირმანი კი იმას მოწმობს, რომ სულთანი არანაკლებად დაინტერესებული ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობით და გარკვეულ დახმარებასა და მითითებას აძლევს გიორგი სააკაძეს. სულთანი გიორგი სააკაძისადმი ბოძებულ ფირმანში პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ წელს მას ძალიან სერიოზული ლაშქრობა აქვს განზრახული. მისი მთელი შეიარაღებული ძალები დაკავებული იქნება სხვა საქმიანობით. მთელ ლაშქარს ნაბრძანები აქვს შეუერთდეს მის ჯარს და ამ ლაშქრობის დამთავრების შემდეგ სულთანი პირდება გიორგი სააკაძეს, რომ უახლოეს ვადაში უამრავი ლაშქრით წამოვა საქართველოს საზღვრებისაკენ. ფირმანში ვკითხულობთ: „ვინაიდან წლებადელი ჩემი სამეფო ლაშქრობა ტარდება უფრო გულმოდგინეობით, ვიდრე სხვა წლებისა, ამიტომ საყოველთაოდ მუსლიმანთა ჯარს და მთლიანად ერთღმერთიანობის მაღიარებელ ლაშქარს ებრძანა ჩემს ძლევამოსილ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. ხოლო ჩემი ძლევამოსილი სარდალი, თუ მალალმა ალლაჰმა — მეუფემ ინება, მზად არის უახ-

<sup>16</sup> ს. ქ ი ქ ი ა ს დასახ. ნაშრ., გვ. 337, შდრ.

ლოეს ვადაში ზღვა ლაშქრით წამოვიდეს ღვთივგამარჯვებული საზღვრისაკენ (ე. ი. საქართველოსაკენ — ნ. შ.)<sup>17</sup>.

ამრიგად, მართალია, სულთნის მთელი ძალები მობილიზებული იყოს სხვა საქმიანობისათვის, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ უწყურადღებოდ არ დატოვა გიორგი სააკაძის წინადადება. როგორც ქვემოთ ფირმანის შინაარსიდან დავინახავთ, ოსმალეთის მთავრობა ძალიან დიდ ყურადღებას იჩენს და დახმარებას უწევს გიორგი სააკაძეს. ფირმანიდან ვრცლად მოგვაქვს სათანადო აღგალი. სულთან მურად IV ფირმანში განაგრძობს: „...ვინაიდან ხსენებული საზღვრისათვის დახმარების აღმოჩენა ჩემს რელიგიურ და სახელმწიფო საქმეებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ შენს მეშველად დანიშნონ ყველა (ქვემოხსენებულნი): აწ ბათუმის ბეგლარ-ბეგი წარჩინებული ემირთა-ემირი ყომერი... მისდამი რწმუნებული ვილაიეთის ჯარით, ჩალღირის ხიდის ბეგი მურთაზა, არფალიყის წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარი... და საქართველოს მხარეების (სხვა) მმართველები და ემირები მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქრითურთ... ამათ გარდა, ჩემი ბედნიერების საყრდენი ზღურბლიდანაც გამოიყო ჩემ იანიჩართა ნაწილები, რომელნიც ემზადებიან გემით ჩავიდნენ ტრაპიზონს და იქიდან ზემოხსენებულ მთავარსარდალთან ერთად მოვიდნენ შენთან და შემოაგებოდნენ. შენთვის დახმარების გაწევა ებრძანა აგრეთვე ანატოლიის ვილაიეთების ზაყიმებსა და თიმარის პატრონებს და სრულიად არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაიეთში მყოფ იანიჩრებს თავიანთი მეთაურებითურთ. ჩემ საპატიო სამოსლებთან ერთად ჩემი დიდებული ბრძანებები გაეგზავნა (აგრეთვე) დაღესტნის მმართველებს, რათა მათ სასწრაფოდ გამოიყვანონ (ჯარი) და გამოაგზავნონ დანიშნულ აღდილს“<sup>18</sup>.

ვიდრე ამ ვრცელი ამონაწერის შესახებ რაიმეს ვიტყვოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოტანილი ცნობა მოკლედ აღნიშნული აქვს მუსტაფა ნაიმასაც. ნაიმა უფრო მოგვიანო ხანის ისტორიკოსია, ვიდრე ეს ფირმანია შედგენილი. როგორც ცნობილია, ნაიმას ხელი მიუწვდებოდა ყველა დოკუმენტსა და ფირმანზე, რომელიც მაშინ ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში ინახებოდა. ჩანს, რომ ნაიმა ამ ფირმანს ეყრდნობა, როცა ქვემოთ მოტანილ ცნობას აღნიშნავს თავის „ისტორიაში“. ნაიმა წერს: „მარჯვენა და მარცხენა ბოლუქებიდან ორ ათასამდე ყულის შვილები ჩაწერეს და შეადგინეს ჯარი მათ აღებთან ერთად. ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერ ფაშა დანიშნეს საქართველოში სერასქერად. ზემო-

<sup>17</sup> ს. ქოქია, დასახ. ფირმანი, გვ. 242.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 237—239.

ხსენებულ სარდალთან გაიგზავნა აგრეთვე რამდენიმე იანიჩარი და ყულის შვილები. გარდა ამისა, მომიჯნავე საზღვარზე მობინადრე ბეგებს წერილობით ებრძანათ, რომ საქართველოს მთავრებთან კავშირი დაამყარეთ და როდესაც სარდალი მანდ მოვა, ყიზილბაშთა ქვეყანა გაანადგურეთ და ააოხრეთო. კათაკის მფლობელის ისმი ხანის სახელზედაც გაგზავნილ იქნა წერილი — დაღესტნის ჯართან ერთად მზად იყავითო, რათა იქიდან თავს დაესხათ ყიზილბაშთა ქვეყანას<sup>19</sup>.

ნაიმას ეს ცნობა და ფირმანში აღნიშნული ამბები ერთმანეთს ემთხვევა. ფირმანის ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთის სულთანს საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებს და თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი მის გამაგრებას. რა თქმა უნდა საქართველოს სასაზღვრო ზოლის გამაგრება იმ დროისათვის ოსმალეთის იმპერიის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო, რადგან აქედან შეეძლო ირანს პლაცდარში ჰქონოდა მის წინააღმდეგ. ხოლო ოსმალეთის ხელში ამ ტერიტორიების არსებობა კი გულისხმობდა, რომ მას ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისაყენ გზა ხსნილი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის სულთანს, მაშინაც კი, როცა ის ბაღდადის დაპყრობის მნიშვნელოვანი ღონისძიებით იყო დაკავებული და მთელი შეიარაღებული ძალები იქითკენ იყო კონცენტრირებული, არ ივიწყებდა საქართველოს საზღვრების გამაგრებას და მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ერთიანად მოუწოდებდა მოსაზღვრე რაიონების ბეგებსა და ემირებს მის დასაცავად. ფირმანიდან ჩანს, რომ სულთანმა საქართველოს დასაცავად დახმარებისათვის გამოუგზავნა ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერი, ჩილდირის ბეგი მურთაზა, სანჯაყის მფლობელი საფარი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ფირმანში მოხსენიებული საფარი, რომელიც არფალიკის წესით ფლობს სანჯაყს, გამგებელი უნდა იყოს სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი რაიონისა. არფალიკი თურქულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს — საქერო, ქერისა, ე. ი. ქერის ფული. იგი ოსმალური მიწისმფლობელობის ერთ-ერთი ტერმინია და ეწოდება იმ ადგილ-მამულს, რომელიც ებოძებოდათ ლაშქრობაში ცხენოსანი ჯარით მონაწილე სიფაჰიებსა და სხვა დიდ მოხელეებს, როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო ცხენების გამოსაკვები ქერის საფასურის სახით. დროთა ვითარებაში არფალიკის მნიშვნელობა ახალი შინაარ-

<sup>19</sup> ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960. გვ. 258.



სით შეივსო და არფალიკის მამულის შემოსავალი ნატურით თუ ფუ-  
ლად ეძლეოდათ აგრეთვე დამსახურებულ სახელმწიფო მოღვაწეებსა  
და უღმებს, როგორც საცხოვრებელი სარჩო, ულუფა. არფალი-  
კის შესატყვისი უნდა იყოს შინაარსობრივად ქართულ წყაროებში  
დაცული სიტყვა „სარჩო“. მაგალითად, ბერი ეგნატაშვილის „ახალი  
ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „და მაშინ გაუგზავნა ბატონმა თე-  
იმურაზ ხონთქარსა კაცი შეეხვეწნა და სთხოვა ს ა რ ჩ ი, ზ ხონთქ-  
არმა სხვა ვეღარა გააწყო რა დამისცა გონიასა და ახალციხესა და  
გარეშემო მისსა მამული ს ა რ ჩ ი დ<sup>20</sup>.

ფირმანით ასეთი სარჩო მამულის მფლობელი, ნახევრად ქართუ-  
ლი და ნახევრად თურქული ფეოდალური ინსტიტუტების შემცველი  
მიწის მფლობელი საფარიც მონაწილეობას იღებს საქართველოს სა-  
ზღვრების გამაგრებაში. ჩანს, რომ იგი ოსმალთა სულთანს ემორჩი-  
ლება. სულთანს იმდენად დიდი მნიშვნელობა მიუნიჭებია გიორგი  
სააკაძის თხოვნისათვის, რომ დედაქალაქიდანაც კი იანიჩართა ნაწი-  
ლების გაგზავნა უბრძანებია, მოსაზღვრე ვილაიეთების გარდა დაღეს-  
ტნის მფლობელსაც უგზავნის ბრძანებას, რათა სასწრაფოდ გამოიყვა-  
ნოს ჯარი მოსაშველებლად.

აღსანიშნავია მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ამ ფირმანში  
ოსმალეთის სულთანი გიორგი სააკაძეს აცნობებს, რომ მისი დავალებით  
გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფეები ნიშნად თავიან-  
თი ერთგულებისა ოსმალეთის სამეფო ტახტისადმი, დაეხმარებიან გი-  
ორგი სააკაძეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში. ფირმანში ვკითხულობთ:  
„დიდებული ბრძანება დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგრელოსა და  
იმერეთის მეფეებს მასში, რომ ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურ-  
ყველი ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულებისა და მორჩილების  
შესაბამისად, თქვენთან ერთსულოვანნი იყვნენ და სამსახურის შეს-  
რულებას გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკიდონ“<sup>21</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს ცალკეული სამეფო-სამ-  
თავროები ამ დროს ოსმალეთთან გარკვეული პოლიტიკური დამო-  
კიდებულების ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი. „მე-17 საუკუნის  
განმავლობაში ოსმალთა ჯარი არაერთხელ შემოსულა დასავლეთ სა-  
ქართველოში მთავრების ან სხვა თავადების ზელისშეწყობით“<sup>22</sup>. დასავ-  
ლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის მხრივ მუდმივი  
საფრთხის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდა შინაგან ავტონომიას. ოსმა-  
ლეთი იძულებული იყო მათგან ხარკით დაკმაყოფილებულიყო. მას

<sup>20</sup> ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 145.

<sup>21</sup> ს. ქ ი ჭ ი ა, დასახ. ფირმანი, გვ. 239—240.

<sup>22</sup> საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 314.

ყოველთვის არ შეეძლო თავისი ვასალების დასჯა. ოსმალეთის ყოველი საგარეო მარცხი და საშინაო მდგომარეობის გართულება, რაც ან სახელმწიფოს დამახასიათებელ მოვლენად იქცა, სათანადო რეაქციას იწვევდა სულთნის ვასალების მხრივ. დასავლეთ საქართველოს მთავრები წლობით ხარკს აღარ უხდიდნენ ხონთქარს. ისინი მხოლოდ კონკრეტული ვითარების დროს ადგნენ ოსმალურ ორიენტაციას, ბევრჯერ კი ხონთქარის ხარკი ემძიმებოდათ.

1700 წელს გურიელმა ხარკი შეუმცირა სულთანს, მან სტამბოლში გაგზავნა მხოლოდ რვა ტყვე ქალ-ვაჟი. ოსმალეთის მთავრობამ არ ცნო ვასალის თვითნებური საქციელი. გურიელის ელჩები ცუდად მიიღეს და ბოლოს ციხეში ჩაყარეს. მაგრამ ოსმალეთის მთავრობის ამ მოქმედებას არ შეუშინებია ქართველები. ქართველების უკმაყოფილების ზრდა იმაში გამოიხატა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა მთლიანად შეუწყვიტეს ხარკი ხონთქარს.

გიორგი სააკაძისადმი ფირმანის გაცემის დროს ჩანს, სულთანს ფირმანებით მიუპართავს გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის სამეფო-სამთავროებისათვის და მათთვის გარკვეული დავალებაც მიუცია. მიუხედავად მათდამი ასეთი დავალების მიცემისა, ამავე ფირმანით აშკარად ჩანს, რომ სულთანს მაინც არა აქვს ქართველი მეფე-მთავრების იმედი და საგანგებოდ აღნიშნავს აქვე გიორგი სააკაძის მისამართით, რომ „შენს განკარგულებაში მყოფი საქართველოს ჯარის გარდა, შეძლებისდაგვარად (სხვადასხვა) კუთხეებში მყოფი საქართველოს ბეგები და წარჩინებულები კეთილი გულით მიიმხრე, მოიხმე შენთან და ყოველი ღონე იხმარე, რათა შენმა (ჯარის) შენაერთებმა დღითი დღე იმატოს და მტერზე გაიმარჯვო“<sup>23</sup>.

შემდეგ სულთანი მთელ რიგ დარიგებებს აძლევს გიორგი სააკაძეს და ამასთანავე აცნობებს, რომ სარჩოდ, არფალიკად მას სულთნის მთავრობამ უბოძა ერთ-ერთი სანჯაყი. „ანატოლიის ვილაიეთის პატივდებული და სახელოვანი სანჯაყთავანი, ბ:კ:ს სანჯაყი, შენ გებოძა არფალიკის წესით და შენ მიერ დასაკავებლად მზადაა. ახლა შენც, შენს ბუნებაში თანდაყოლილი დიდი თავგამოდების, განუზომელი მამაცობისა და გმირობის შესაბამისად, მოიკრიბე რაც ძალი და ღონე გაქვს და შენი მმართველობის ქვეშ მყოფი საქართველოს ჯარის გარდა, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოს სხვა ბეგები და გულადი წარჩინებულები წაახალისე და საკმარისი ხალხი შეკრიბე და ზემოხსენებულ ბეგლარ-ბეგებს დაუკავ-

<sup>23</sup> ს. ქიქია, დასახ. ფირმანი, გვ. 241.

შირდი...“<sup>24</sup>. შემდეგ სულთანი მოუწოდებს, რომ მთელი ძალ-ღონე იხმაროს რათა ხელიდან გამოგლიჯოს ყიზილბაშებს საქართველოს ციხე-სიმაგრეები. „ვინაიდან ჩემი უდიდებულესობა დიდ მზრუნველობას იჩენს საქართველოს ქვეყნებისადმი, განაგრძობს სულთანი, ამა და ამ ჩემს დიდ ვეზირ მთავარსარდალსაც ეცნობა და გაიცა მაღალღირსეული ჩემი ფირმანი მასში, რომ ხანებულის (დიდ ვეზირიც) სრული მზრუნველობით მოეკიდოს საქართველოს ვითარებას... იმედია, რომ როგორც წინათ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა საქართველოს ქვეყნებიდან დაიწყო, ისე ახლაც დაპყრობათა და გამარჯვებათა კარი მაგ ქვეყნებიდანვე გაიღოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოხარაჯე და აზატი ქვეშევრდომნი მაგ ჯოჯოხეთისწილ ურჯულოების ბოროტებათა სიავეთაგან“<sup>25</sup>.

როგორც ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, სულთანი მხოლოდ ლოიალური დაპირებებით აკმაყოფილებს გიორგი სააკაძის თხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სულთანი ძალიან დაინტერესებულია ამიერკავკასიის ქვეყნებზე გალაშქრებით, ის მაინც ვერ ახერხებს მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენას გიორგი სააკაძისადმი, რამდენადაც თვითონ ბაღდადის ოპერაციითაა დაკავებული. ფირმანის მიხედვით, თითქოს ჩანს, რომ სულთანმა მობილიზაცია უყო მთელი მოსაზღვრე ვილაიეთების ჯარებს, იანიჩართა ნაწილიც კი გამოიყვანა სტამბოლიდან, დაღესტნისა და საქართველოს სამეფო-სამთავროებსაც ერთიანად მოუწოდა გიორგი სააკაძესთან ერთად საბრძოლველად ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ, კერძოდ ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ. ფირმანით საგანგებო დარიგებები და მითითებები მისცა გიორგი სააკაძეს ლაშქრობის ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ მაინც, ნაიბას სიტყვით, „ამ წელს იმ რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი, კარგი საქმე არ გაკეთებულა“<sup>26</sup>.

მართალია, ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა ამ დროს ვერ მოხერხდა, მაგრამ სულთნის მიერ ბაღდადში ჩატარებულ ლაშქრობასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ოსმალებმა ვერ მოახერხეს ბაღდადის აღება. ამის შესახებ ნაიბა შენიშნავს, რომ „თუმცა ჰაფიზ-ფაშას ბაღდადში გამგზავრებით არაფერი გაკეთებულა, მაგრამ ჯარმა გამოცდილება შეიძინა, ისიც გაირკვა რომ ბაღდადის აღება არც ისე ადვილი საქმეა“<sup>27</sup>.

ამრიგად, მართალია, ოსმალთა ლაშქარს არც ამიერკავკასიის ქვეყ-

<sup>24</sup> ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ფირმანი, გვ. 240—241.

<sup>25</sup> ი ქ ე ე, გვ. 242.

<sup>26</sup> ნ. შე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

<sup>27</sup> ი ქ ე ე, გვ. 259.

ნებში და არც ბაღდადში რაიმე წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ამ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ ოსმალეთს საშუალება მისცა თავისი აგრესიული ზრახვების შესასრულებლად. ამ პერიოდში ოსმალებმა დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი (ახალციხის ჩათვლით) და იქ მოსაქეს ათაბაგობა. მთელი ქვეყანა გადაქციეს ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულად — ახალციხის საფაშოდ. ახალციხის საფაშო კი ოსმალეთისათვის წარმოადგენდა დასაყრდენს ქართული საშეფოსამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული ისეთ საკითხებთან, როგორცაა „ტყვის სყიდვა“ დასავლეთ საქართველოში და „ლეკიანობა“ აღმოსავლეთ საქართველოში.

ამრიგად. სულთან მურად IV-ის მიერ გიორგი სააკაძისადმი გაცემული ფირმანის შინაარსიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მას, როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის. ამ ფირმანში მოცემული ცნობების სხვა ოსმალურ და ქართულ წყაროებთან შეჯერება-შესწავლა საშუალებას გვაძლევს ზოგიერთი საკითხი უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, კერძოდ, განვსაზღვროთ, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში და საქართველოს როლი ძალთა თანათარღობის ცვალებადობაში, საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების დამოკიდებულება ოსმალეთის იმპერიასთან. ამ საბუთიდან ჩანს, რომ ბათუმი უკვე ოსმალეთის ხელშია და იქ ოსმალთა მოხელე—ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერი ზის. ასევე ჭაყვლების საგვარეულოს შთამომავალი საფარი არფალიკის წესით ფლობს სანჯაყს. ეს კი ძალიან ბევრი რამის მთქმელია. ათაბაგობის ტიტულიდან სანჯაყის არფალიკის წესით გამგებლობაზე გადასვლა უკვე ოსმალთა ფეხმოკიდებისა და მომძლავრების უტყუარი ნიშანია. სულ მოკლე ხანში ჩვენ საფარის სახელით ვგვხვებით ახალციხის საფაშოს პირველ ოსმალთა მოხელეს — ფაშას.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მრავალწლოვანმა „ნამოღვაწარმა“ თავისი ნაყოფი გამოიღო. მათი „მოღვაწეობის“ შედეგს ახალციხის საფაშო წარმოადგენდა. ახალციხის საფაშოს შექმნით ოსმალეთმა მოახდინა სამცხე-საათაბაგოს ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა. ამიერიდან სამცხის გამგებლები „არღარა იწოდებოდნენ ათაბაგად თვინიერ საქართველოთაგანთა, გარნა ახალციხის ფაშად<sup>28</sup>. მიუხედავად ამისა, ქართველები ახალციხის ფაშას „კვალად ათაბაგადვე“ უწოდებდ-

<sup>28</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II. სპ. ჩუბინოვის გამოცემა, 1854, გვ. 256.

ნენ, ხოლო ეს კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ ქართველები არ ცნობდნენ ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს გაუქმების ფაქტს და მას კვლავ საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.

ოსმალეთის მთავრობა იძულებული იყო ახალციხის ფაშად მემკვიდრეობით ათაბაგის შთამომავალნი (ჯაყულების გვარიდან) დაემტკიცებინა. „ხოლო ვინათგან მოეცა ხონთქარსა ფირმანი მკვიდრობისა საფარ-ფაშისათვის, შემდგომად სიკუდილისა მამათა მათათა წარვიდიან სტამბულს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად“<sup>29</sup>. ამიერიდან ახალციხის ფაშა სტამბოლში ღებულობს ინვენსტიტურის ნიშნებს. საფარ-ფაშას დროიდან სამცხეში სწრაფად ვრცელდება ოსმალთა. მის დროს ოსმალებმა სამცხე აღწერეს და „შეჰკვეთეს ხარკი ქრისტიანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შევიდისთავი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური: ხოლო საფაშოდ ხარკი დრაჰკნის მესაჰედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა“<sup>30</sup>.

ვახუშტი შემდეგნაირად აგვიწერს ახალციხის საფაშოს წარმოქმნის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში მომხდარ ცვლილებას: „ხოლო ამაჟამებთა შინა არღარა იყო სახელნი თავადთა მთავართა და აზნაურთა. არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალაი-ბეგად, სანჯახად და ალად, რამეთუ ახალციხეს და ოლთის იყო ათაბაგი ახალციხის ფაშად წოდებული, კოლას სჯდა ფაშა, შავშეთს, აჭარას ბეგნი და სხვათა ადგილებთა ალაი-ბეგი და ალანი. გარნა მორჩილებასა და ლაშქრობასა ქვეშე ახალციხის ფაშისასა“<sup>31</sup>. აქ ვახუშტი ძირითადად ზუსტად გადმოსცემს ოსმალთა განმტკიცების შედეგს. მას ნაჩვენები არა აქვს მხოლოდ მომხდარი ცვლილებების ეკონომიური საფუძველი, სახელდობრ, ოსმალური მიწისმფლობელობის გავრცელება საქართველოში, რომლითაც ფაქტიურად გაპირობებული იყო ვახუშტის მიერ აღნიშნული მოვლენების წარმოქმნა-განვითარება. დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ „საათაბაგოს ფარგლებში თურქების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლებოდა ძველი სამიწათმფლობელო ურთიერთობის დამსხვრევა და ქართული ლენური სისტემა, რამდენადმე სახეშეცვლილი თურქული სისტემით დიდხანს რჩებოდა“<sup>32</sup>. ავტორის აზრით, ოსმალთა-ხელისუფალთ

<sup>29</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, გვ. 256.

<sup>30</sup> ი ქ ვ ე, გვ. 255.

<sup>31</sup> ი ქ ვ ე, გვ. 260.

<sup>32</sup> Д м. Б а к р а д з е, Исторический очерк турецкой системы землевладения. Тбилиси, 1889, стр. 2.

მხოლოდ თანდათანობით შეეძლოთ მესხეთის გაბატონებული ფენებისათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი სისტემა. დიმ. ბაქრაძე სიზუსტით განიხილავს თურქული მიწისმფლობელობის კატეგორიებს და ქართული სამამულო მფლობელობის ფორმებთან ამ კატეგორიების დაკავშირების ერთგვარ ცდას იძლევა.

მთელ რიგ სოფლებში რომ ქართული სამამულო წესები ყოფილა გაბატონებული, ამის შესახებ მეტად საინტერესო დოკუმენტურ ცნობას გვაწვდის დიმ. ბაქრაძე. მას თავის შრომაში მოტანილი აქვს სულთან იბრაჰიმ I-ის მიერ 1640 წელს გაცემული ფირმანი ერთ-ერთი ქართველი ბეგისადმი. ფირმანით მას უდასტურდება ძველი მამულები და პრივილეგიები. ფირმანის მიხედვით, „...ამიერიდან ხოსრო ფლობდეს თავის სანჯაყს იმავე საფუძველზე, რა საფუძველზეც ქართველი ბეგები ფლობდნენ თავის მამულებს, და სანამ იგი დარჩება ერთგული ჩვენი პიროვნების, რელიგიის, მანამ ახდენდეს განკარგულებას მემკვიდრეობით და დაუბრკოლებლად მის მიერ კუთვნილ ციხე-კოშკებზე, სოფლებზე, გლეხებზე და ისარგებლოს თავისი მამულების შემოსავლით...“<sup>33</sup> დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული იმის შესახებ, რომ ქართველ ფეოდალს „ნებაყოფლობით“ მორჩილება გამოუცხადებია ოსმალეთის სულთნისათვის, მუსლიმანობა მიუღია და თავისი მამულები და პრივილეგიები ამ გზით შეუნარჩუნებია. ამ ფირმანიდან კარგად ირკვევა, რომ ხსენებულ სანჯაყში დაცული ყოფილა ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი წესები, და რომ სულთნის მიერ „ნაწყალობევი“ სანჯაყის გამგებელი თავის მამულებს მემკვიდრეობით ფლობდა. ფირმანიდან ისიც ირკვევა, რომ XVII ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ყოფილან სანჯაყები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ საერთო აღწერას. ასეთ სანჯაყებში არსებული ძველი წესები ხელუხლებელი რჩებოდა. ასეთი სანჯაყები ხელშეუვალი იყო და მართვა-გამგებლობაც აქ ძირითადად ძველებური წესით წარმოებდა. მაგრამ ოსმალური მიწისმფლობელობა ერთგვარად მაინც ეხებოდა გამაჰმადიანებული ქართველების სამამულო მფლობელობას. საქმე ისაა, რომ ქართველ ფეოდალებსაც თავიანთი ყმამამულის მფლობელობის უფლება ოსმალეთის სულთნისაგან უნდა მიეღოთ. ასე, რომ წესით, მათი მიწების უზენაეს მესაკუთრედ სულთანი გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი წესები ძირითადად ხელუხლებელი რჩებოდა. ოსმალების ეს „კომპრომისი“ იმით უნდა

<sup>33</sup> Д . Б а к р а д з е, О земельном владении по турецким законам, Юридическое обозрение, 1884, № 150, стр. 163.

ყოფილიყო გამოწვეული, რომ ყველა კერძო შემთხვევაში ოსმალური მიწისმფლობელობის შემოღებით სამცხე-საათაბაგოს მთელ ფეოდალურ საზოგადოებას თავიანთ წინააღმდეგ დარაზმავდნენ. ოსმალური წესი ფაქტურად იმით სრულდებოდა, რომ ყმა-მამულის მფლობელობა მიანიც სულთნის ფირჩანით მტკიცდებოდა.

XVI ს-ის 60-იანი წლებისათვის ოსმალეთისა და კახეთის სამეფოს ურთიერთობის ზოგიერთი მომენტის გასამუქებლად საყურადღებოა ვ. ჩოჩიევის მიერ გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტი, რომელიც „ირანის შაჰზე საჩივრის გამო საქართველოს ამირასადმი გაგზავნილი გადმოსაბირებელი სამეფო წერილის პირია“<sup>34</sup>.

XVI—XVIII სს. ოსმალური დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია კანუნ-ნამეები (კანონთა წიგნები), რომლებიც საუკეთესო წყაროა სოციალურ-ეკონომიური ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. საქართველოს გარკვეული ტერიტორიებისათვის შედგენილი კანუნ-ნამეები კი მნიშვნელოვანი წყაროა ამ პერიოდის შესასწავლად. ჩვენს განკარგულებაშია გურჯისტანის ორი კანუნ-ნამე 1573—1574 და 1595 წელს შედგენილი<sup>35</sup>, 1595 წლის ახალციხის კანუნ-ნამე და 1595 წლისა და 1620 წლის ახალციხის კანუნ-ნამეების ფრაგმენტები<sup>36</sup>. კანონთა წიგნები, როგორც წესი, წინ უძღოდა ხალხის აღწერის დავთრებს. დავთრებში აღნიშნული გადასახადებისა თუ ჯარიმების რაოდენობა განსაზღვრული იყო ამა თუ იმ დავთრისადმი წამდგარებული კანუნ-ნამეთი. გურჯისტანის კანონთა წიგნები საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიური და სამართლის საკითხების შესასწავლად. ამ კანონთა წიგნებში გათვალისწინებულია დაპყრობილი ადგილების თავისებურება და ოსმალური საერთო კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ამ მხარისათვის სავალდებულო კანონები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს მეზობელ ქვეყნებისათვის შედგენილი ოსმალური კანუნ-ნამეები. ამ მხრივ საყურად-

<sup>34</sup> ვ. ჩოჩიევი, კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI საუკუნის 60-იან წლებში. თსუ-ს შრომები, ტ. 118, 1967, თბ., გვ. 243—260.

<sup>35</sup> „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“, წ. II. 1941. წ. I, 1943. გვ. 1—6. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჩიქიაშვილმა. გვ. 1—6. შენგელია, გურჯისტანის 1572—1573 წ. კანუნ-ნამე. „აღმოსავლური კრებული“, თბ., I, 1960, გვ. 183—205; 5. შენგელია, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“. თბ., II, 1962, გვ. 219—229.

<sup>36</sup> მ. სენიძე, ახალციხის ლავას „კანუნ-ნამეები“, მახლობელ აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები. თბ., 1963. გვ. 149—175.

დღებოა არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე, რომელსაც მიაკვლია დოც. ცისანა აბულაძემ<sup>37</sup>. ასევე მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს ომერ ლუთფი ბარკანის მიერ გამოცემული ოსმალეთის ცალკეული ვილაიეთებისათვის შედგენილი კანუნ-ნამეების კრებულები<sup>38</sup>, რომელშიც დაცულია ამიერკავასიის ქვეყნების შესახებ შედგენილი კანუნ-ნამეებიც. ამ კრებულიდან ა. ტვერიტინოვამ რუსულად თარგმნა ზოგიერთი კანუნ-ნამე<sup>39</sup>, ხოლო დასავლეთ სომხეთის შესახებ არაებული ოსმალური კანუნ-ნამეების სომხური თარგმანი გამოაქვეყნეს ა. საფრასტიანმა და მ. ზულალიანმა<sup>40</sup>, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე რეცენზია დაბეჭდეს მ. სვანიძემ და კ. კუციამ<sup>41</sup>.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ოსმალ-ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხრეთი პროვინციებისათვის შედგენილი კანონთა წიგნები საუკეთესო წყაროა ამ მხარის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად. გურჯისტანის კანუნ-ნამეს პირველ თავში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ძველი დროიდანვე ფლობს მანა-პაპულ მღვწის ნაკვეთს, ახლადშემოსული ოსმალური წესების თანახმად იხდის გამოსაღებს ისტენჯს ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩას ოდენობით. „(ამ ისტენჯის) გადახდის შემდეგ მათი მიწებიდან ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დონუმის გამოსაღები არ აიღება“<sup>42</sup>. ამავე თავში მოცემულია მღვწის სარგებლობის წესები. კანონით მღვწის ჩამორთმევა ნება დართული არ

<sup>37</sup> ც. აბულაძე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წლის კანუნ-ნამე. საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 59—85.

<sup>38</sup> Ö. L. Barkan, XV ve XVI-ıncı Asırlarda Osmanlı İmparatorluğunda Ziraat Ekonomisinin Hukukı ve Malı Esasları. Birinci cilt. Kanunlar, İstanbul, 1945.

<sup>39</sup> Аграрный строй Османской империи XV—XVI вв. Документы и материалы. Составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, стр. 38—92. А. С. Тверитинова, Законоположения о провинциях Османской империи в XV—XVI вв. Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, т. XXVI, М., 1958.

<sup>40</sup> დასავლეთ სომხეთის ოსმალური კანუნ-ნამეები. XVI—XVII სს. კანონთა კრებული, ა. ხ. საფრასტიანისა და მ. კ. ზულალიანის თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები, ერევანი. 1964. (სომხურ ენაზე). ბარკანის მიერ გამოცემული კანუნ-ნამეების კრებულიდან არზრუმის კანუნ-ნამეს რუსული თარგმანი გამოაქვეყნა მ. ზულალიანმა იხ.: М. К. З у л а л я н, Армения в первой половине XVI в., М., 1971, стр. 99—113.

<sup>41</sup> კ. კუცია, მ. სვანიძე, დასავლეთ სომხეთის ოსმალური კანუნ-ნამეები. Историко-филологический журнал, Ереван, 1966, № 3, стр. 275—279.

<sup>42</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 1.



არის „უკეთეს ქალი მის მფლობელობაში მყოფ მიწას დაუშუშავებელს და ცარიელს არ დასტოვებს და ახალ სახელმწიფო დავთარში ჩაწერილი (წესების) მიხედვით იხდის ბეჭრესა და გამოსაღებს“<sup>43</sup>. კანონით მიწის მფლობელობა, როგორც სამკვიდრო, მამიდან შვილზე გადადის, მაგრამ ძმაზე არ გადადის. იმას შეუძლია იმ შემთხვევაში გახდეს მიწის მფლობელი თუ ის „თაფუს“ წესებს დაექვემდებარება“ და ეს მიწა კანონით სხვაზე არ გაიცემა. 1573 წლის კანუნ-ნამეში კორექტივია შეტანილი მიწის მემკვიდრეობითი სარგებლობის საკითხში. 1595 წლის კანუნ-ნამეში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ გარდაცვლილს ქალი დარჩა, მას აქვს თუ არა უფლება დაამუშაოს მამის მიწა თაფუს საფუძველზე. 1573 წლის კანუნ-ნამეში კი პირდაპირ ვახსულობა, რომ „თუ გარდაცვლილს შვილი არა ჰყავს და თუ მას ქალი დარჩა, (ეს მიწა) მას გადაეცემა თაფუს საფუძველზე“. აქვე აღნიშნულია, რომ „თაფუ ადგება მიუღვრომელი მუსლიმანების შეფასებით“.

„დავთარში“ რეგისტრირებული ხალხის აყრა-გაქცევის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ათი წლის განმავლობაში მათ უკან დაბრუნებას. ათი წლის გასვლის შემდეგ მათ გადასახადი გადაეხდებიან „საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“. 1573—1574 წლის კანუნ-ნამეში გათვალისწინებულია ის, რომ დაცარიელებული ადგილები დაუშუშავებელი არ დარჩეს, მიუხედავად იმისა მოხერხდება გაქცეულს უკან დაბრუნება თუ არა. „დაცარიელებული ადგილები უნდა დამუშავდეს და მიწა თაფუს საფუძველზე ახალ მფლობელს მიეცეს“.

მაგრამ კანონი სულ სხვანაირად უდგება რეაიას, თუ ის თავის დასამუშავებლად ვარგის მიწას მიატოვებს და სხვა სიფაჰის მიწას დაამუშავებს. „ამ შემთხვევაში დაკანონებულია ასეთებისაგან ორი ყურუმის აღება (სხენებული გარემოების დადასტურების შემდეგ). ხოლო თუ ის თავისი მიწის დამუშავების შემდეგ დაამუშავებს კიდევ სხვა სიფაჰის მიწას, (მაშინ) ორი ყურუმის გადახდა უქმდება“<sup>44</sup>.

ამრიგად, კანონთა წიგნის პირველი თავი შესანიშნავა წყაროა, როგორც გადასახადების ზოგიერთი სახეობის, ისე თურქული მიწის-მფლობელობის რაობის გასარკვევად. არანაკლები მნიშვნელობის აგრარული საკითხებია მოცემული „კანონთა წიგნის“ შემდეგ თავებშიც.

„კანონთა წიგნის“ მეორე თავი ისევ მიწისმფლობელობის საკითხს

<sup>43</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II. გვ. 1.

<sup>44</sup> იქვე.

თხებს ეხება. თავუს საფუძველზე გარედან მოსული რეაიას მიერ დამუშავებული მიწიდან ბეპრეს ვადახდის შემდეგ „აილება ორი დონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახია, ხოლო სამი დონუმი უარესი ადგილიდან (აგრეთვე) ერთი ახია“<sup>45</sup>. შემდეგ განსაზღვრულია დონუმის რაოდენობა. „კანონთა წიგნში“ საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ გადასახადი „ამაზე მეტი ან ნაკლები არ უნდა იქნეს აღებული“. კანონით თუ რეაია სამი წლის განმავლობაში მიწას დაუმუშავებელს დატოვებდა. ის კარგავდა მეოთხე წელს მიწის დამუშავების უფლებას, მიწა თავუს საფუძველზე სხვას გადაეცემოდა.

„კანონთა წიგნის“ მესამე თავი ეხება საძოვრების სათეს ადგილად გამოყენების აკრძალვას. აქვე აღნიშნულია, რომ „საიჯარო ქირა იქნეს აღებული „ძველსა და ახალ დაეთარში“<sup>46</sup> იჯარის სახით ჩაწერილი ვენახებიდან და ბაღებიდან“<sup>47</sup> და აგრეთვე დაკანონებულად ცხადდება იმავე ადგილებიდან ბეპრეს ალება. „კანონთა წიგნის“ მიხედვით გლეხი ვალდებული იყო არა მარტო გადაეხადა მასზე გაწერილი გადასახადი, — ყუშური, არამედ მის პირად მოვალეობას შეადგენდა „უახლოეს ბაზარზე გაუტანოს თავის სიფაჰის, ხოლო გარედან მოსულმა მიწის დამუშავებელმა (მიიტანოს) მის (სიფაჰის) სოფელში არსებულ ბედელში“<sup>48</sup>. ამავე დროს ამ გადასახადის გაღება ხდებოდა ლეწვის დროს, „სალარებმა დაუყოვნებლივ, იმ წამსვე უნდა გამორწყონ დამთავრებული კალო“<sup>49</sup>. 1573—1574 წლის კანუნ-ნამე დასძენს: „მაგრამ რეაიაც მიწის პატრონის დაუკითხავადაც მოსავალს იღებს და არ უნდა შეავიწროვონ“.

„კანონთა წიგნში“ არც წისქვილებით სარგებლობის კანონთა შესახებ არის დავიწყებული. აქაც, როგორც „კანონთა წიგნის“ სხვა თავებში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ არავითარ ძალმომრეობას არ ექნეს ადგილი გადასახადის გაღებისას, „ზეღმეტი რაიმე არ უნდა იქნეს აღებული“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკაში ადგილი ჰქონია ძალმომრეობასა და დადგენილი გადასახადების ზედმეტად გადახდევინებას. თუ 1595 წლის კანუნ-ნამეში არ იყო გათვალისწინებული წისქვილების გადასახადების რაოდენობა (თუმცა „დავთრის“ მომდევნო გვერდებიდან ამის დადგენა ადვილად შეიძლებოდა). 1573—1574 წლის კანუნ-ნამეში პირდაპირ არის განსაზღვრული წისქვილზე დაწესებული გადასახადი. აქ ნათქვამია: „მთე-

<sup>45</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 2.

<sup>46</sup> 1573—74 წლის კანუნ-ნამეში „ძველი და ახალი დავთრის“ მაგივრად წერია მხოლოდ დავთარი.

<sup>47</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 2.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> იქვე.

ლი წლით მომუშავე (წისქვილიდან) 60 ახია იქნეს აღებული, ევე-  
სი თვით მომუშავედან — 30 ახია წისქვილის გამოსაღები იქნეს აღ-  
ებული“. აქვე ამავე მუხლის ბოლოს ნათქვამია, რომ „რამდენადაც  
ძველი საგვარეულო არ არსებობს და აღწერის შემდეგ თუ იქნა აშე-  
ნებული (წისქვილი), ჩამოერთვას, მიწის პატრონს უფლება არა აქვს  
ჩაერიოს საქმეში“.

„კანონთა წიგნში“ გათვალისწინებულია გარკვეული გადასა-  
ხადი იმათთვის, ვინც თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფე-  
ბოდნენ და დროებით სხვაგან უხდებოდათ ცხოვრება. კანონით,  
მოსულ პირებს ერთ და იმავე ადგილზე სამი წლის დაყოვნების შემ-  
დეგ საკომლე გადასახადი ეხსნებათ და ჩვეულებრივ გადასახადის  
გამლებად იქცევიან. განსხვავებით 1595 წლის კანუნ-ნამესაგან  
1573—1574 წლის კანუნ-ნამეში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე სი-  
ფაპის მიწას დაამუშავეს, უმურსა და სალარიეს მას უხდის, თუ მი-  
წის გადასახადი მის სიფაპიზეა მიწერილი, მიწის გადასახადს აგრეთ-  
ვე მას უხდის, თუ დავთარში ვინმეზე რაითად არ არის მიწერი-  
ლი, რეაიას გადასახადზე ხელი არავის მიუწვდება“.

კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ ორ ცხვარზე ერ-  
თი ახია იქნეს გაღებული ყოველ აპრილის თვეში. ძველი კანონის  
მიხედვით, ცხვრის გამოზამთრებისთვის „თითოეულ ფარაზე აღე-  
ბულ იქნას საშუალო სიდიდის თითო ცხვარი, ხოლო ფარაზე ნაკ-  
ლები თუ არის (ყოველ) ათ ცხვარზე თითო ახია“<sup>50</sup>.

1573—1574 წლის კანუნ-ნამეს მეცხრე მუხლის ბოლოს დამატე-  
ბულია; „ფარაში სამასი ცხვარია, ჩვეულებრივ ორასია, ყველაზე  
უმნიშვნელო ფარა ასი, ასორმოცდაათი ცხვრისაგან შედგება“. მომ-  
დევნო მუხლში ცხვრის შესახებ სწერია: „თუ ცხვრის გამოსაღე-  
ბი თიმარის პატრონის მიერ არ იქნა რეგისტრირებული, მას მოხე-  
ლე დაისაკუთრებს. შემოხსენებულ ვილაიეთში განაწილებული თი-  
მარებისათვის ძველი დავთრის თანახმად ცხვრის რაოდენობა გა-  
მოანგარიშებული არ იყო. მათი ახალ დავთარში რეგისტრირები-  
სათვის უფროსის ბრძანება გამოიცა. ძველი ბრძანებით ცხვრები  
რეგისტრირებულ იქნა და აღწერის გარეშე დარჩენილი ცხვრები არ  
არსებობდა, ამიტომ ცხვრის გამოსაღებზე სხვას ხელი არ მიუწვდე-  
ბოდა“.

ასევე ფუტკრის გადასახადის შესახებ „კანონთა წიგნში“ ვკი-  
თხულობთ: „თითო სკის თათლზე ყუშურის ნაცვლად აიღება ორ-  
ორი ახია“<sup>51</sup>.

<sup>50</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 3.

<sup>51</sup> იქვე.

სხვა გადასახადების რეგლამენტაციასთან ერთად „კანონთა წიგნი“ იძლევა ცნობებს საქორწინო გამოსაღების შესახებ: „საქორწინო გამოსაღები აიღება 60—60 ახჩა ქალწულისაგან და 30—30 ახჩა ქვრივისაგან... ქალწულის საქორწინო გამოსაღებს.... იხდის მისი მამა და უხდის მას ვისი რეაიაც ის არის. ქვრივი უხდის საქორწინო გამოსაღებს იმ თიშარის მფლობელს, რომლის მიწაზედაც ის იმყოფება“<sup>52</sup>.

„კანონთა წიგნის“ მე-12, მე-13 თავი ეხება მოსახლეობის დაჯარიმებას, ანდა ჯარიმის სახით რაიმეს გადახდას. თუ რეაია მაგალითად, რაიმე ნივთს ან ტყვეს იპოვნინდა, ან დაიქვრდა და არ ჩააბარებდა ყადის შეშვეობით ვილაიეთის გამგებელს, ან რომელიმეს საქონელი თუ ზარალს მიაყენებდა მეორის ყანას, ასეთ შემთხვევაში რეაია დამნაშავედ ცხადდებოდა და დანაშაულისათვის ის ვალდებული იყო გადაეხადა გარკვეული რაოდენობა გადასახადისა. კანონით გათვალისწინებული იყო ბაზარზე გასაყიდი საქონლის ბაჟიც. იგი დადგინილი იყო წინასწარ. „კანონთა წიგნში“ ჩამოთვლილია გასაყიდ საქონელთა სახეობანი და მის მიხედვით არის დაწესებული ბაჟიც, მაგალითად, ცხენის, ცხერის, კამეჩის, საპალნე ტილოს, ბამბის, ხილის და სხვა საქონელთა გასაყიდად მოცემულია ბაჟების რაოდენობა ახჩებში. 1573—1574 წლის კანუნ-ნამეში არ არის გათვალისწინებული ტილოს, ბამბასა და ხილზე ბაჟის გადახდევინება. ეს საქონელი საერთოდ არ არის აღნიშნული. სამაგიეროდ აქვე აღნიშნულია. რომ „სოფელში ბაჟი არ იქნეს აღებულიო“. გასაყიდ მარცვლეულზე საბაზრო ბაჟი მოცემულია ქილებით. „თუ ხორბალი ან ქერი გაიყიდება, თითოეულ მუდღზე ნახევარ ქილა უნდა აიღონ და სხვა მარცვლეულზედაც ამგვარადვე. ხოლო, როცა (მუდღზე) ნაკლები შემოვა, თუ თითოეულ საპალნეზე ექვს-ექვსი ქილა იქნება, გამყიდველს (ყოველ) ქილაზე ერთი ახჩა (უნდა გადახდეს). მუდღის ზომა კი ოცა სტამბოლური ქილაა“<sup>53</sup>.

ნიხრით დადგენილი ბაჟების დარღვევის შემთხვევაში კანონი დამრღვევის მიმართ ითვალისწინებდა ჯარიმებს, თითოეულ ღირებულებაზე ერთ ახჩას. „ღირებულებით გასაყიდ ნივთებზე წესდება ნიხრი ათი-თერთმეტი ახჩის ფარგლებში. მეტი არ უნდა დაწესდეს. (ამჟამად) ხმარებული ნუქი შეიცავს თორმეტ ღირებულს, ბათმანში კი თორმეტი ნუქია“<sup>54</sup>.

1573—1574 წლის კანუნ-ნამეში ნათქვამია, რომ „ამჟამად ხმა-

<sup>52</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დოქტორი. წ. II, გვ. 3.

<sup>53</sup> ი ქ ვ ე, გვ. 4.

<sup>54</sup> ი ქ ვ ე, გვ. 5.

რებული ნუქი შეიცავს ორას ღირბემს, ბათმანი კი თორმეტი ნუქია“. აქ რიცხვი ორასი აშკარა შეცდომაა, რადგან 1595 წლის კანუნ-ნამეში ორასის ნაცვლად სწერია თორმეტი ღირბემი.

„კანონთა კრებული“ ერთგვარ შედგავთებს ითვალისწინებს, როცა მურახასიეს გადასახადს კომლზე ორ-ორ ახჩას აწესებს. იმ დროს, როდესაც ძველი დავთრის მიხედვით „თითოეულ კაცზე თურმე ორ-ორ ახჩას იღებდნენ“<sup>55</sup>.

„კანონთა წიგნი“ საინტერესო წყაროა სისხლის სამართლის საკითხების გასაშუქებლადაც. ოსმალური სამართლის მიხედვით, მკვლელობის შემთხვევაში მკვლელი იხდის ჯარიმას. მაგრამ აქაც დიფერენცირება ხდება. თუ სკვლევი მდიდარია, იგი ჯარიმის სახით ოთხას ახჩას იხდის, თუ საშუალო შეძლებისაა — ორას ახჩას, ღარიბი კი ას ახჩას. ეს დიფერენცირება ალბათ გულისხმობდა იმას, რომ შენაწერი ჯარიმა გადახდის თვალსაზრისით უფრო რეალური ყოფილიყო.

ასევე მრუშობის შემთხვევაში შეძლების მიხედვით უნდა აიღონ ჯარიმები სხვადასხვა რაოდენობით: მდიდრისაგან სამასი ახჩა, საშუალო შეძლებისაგან 250 ახჩა და ღარიბისაგან 200 ახჩა, მაგრამ თუ მრუშობის ჩამდენი უცოლო იყო, იგი შესაბამისად იხდიდა 250-დან 100 ახჩამდე. ასევე იყო დადგენილი ჯარიმები სხვადასხვა რაოდენობით თავის გაპობისათვის, ძვლის მოტეხვისათვის, კბილის ჩაგდებინებისათვის და სხვა.

1573—1574 წლის კანუნ-ნამეში საერთოდ გამოტოვებულია და არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლის საკითხებზე. კანონით დაჯარიმება და დამნაშავეის დასჯა არ უნდა მოხდეს „დანაშაულის გამოუძიებლად და ბოროტმოქმედების გამოუაშკარაველად“, „დანაშაული ვილაიეთის ყადის მიხედვით უნდა იქნეს დადასტურებული“.

„კანონთა წიგნის“ მეოცე მუხლი ითვალისწინებს, რომ „თუ სხვა რეაიადაა მოვა ვინმე, რომელიმე სოფელში დასახლდება და იცხოვრებს (იქ) სამ წელიწადს ისე, რომ ვინმეზე არ იქნება მიწერილი, ის თიმარის მფლობელის იხეთივე რეაია ხდება, როგორც სხვები“<sup>56</sup>.

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ოსმალ-ხელისუფალთა მიერ ფისკალური მიზნით შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“<sup>57</sup>, მეტად მრავალმხრივი და ძვირფასი წყაროა. იგი შეი-

<sup>55</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, წ. II, გვ. 4.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 6.

<sup>57</sup> გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანში და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშ. წ. I. 1948.; II. 1941.; III. 1958.; დავთრის შესა-

ცავს ეკონომიური ხასიათის ძალიან მდიდარ და მრავალფეროვან მასალას. როგორც საკუთრივ ოსმალეთის შინაგანი ისტორიის, ისე სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილის შესახებაც, რომელიც ოსმალეზბმა მოსწყვიტეს საქართველოს. ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი, საბეგრო დავთარი, შედგენილია ოსმალ-ხელისუფალთა მიერ იმ ქართული პროვინციებისათვის, რომელსაც მათ „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. დავთარი არ მოიცავს ცნობებს თურქთა მიერ მიტაცებული ყველა ადგილების შესახებ. მასში მხოლოდ ნაწილია შესული. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი. თუ რა ფასაღუდებელი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს „დავთარს“ თავისი შინაარსის მრავალმხრივობით, როგორც ისტორიული მეცნიერებისათვის, ისე მისი მომიჯნავე დარგებისთვისაც. ძნელია მოიძებნოს სხვა ისეთი წყარო, რომელიც იძლეოდეს ეკონომიური ხასიათის მრავალმხრივ ცნობებს XVI ს-ის საქართველოს სამხრეთი პროვინციების შესახებ. მით უმეტეს, რომ საერთოდ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე.

დავთარს ძირითად ნაწილში (გვ. 22—392, 403—503) წარმოდგენილია სოციალურ-ეკონომიური ხასიათის საინტერესო მასალები. მასში მოცემული ცნობები ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, მეცხოველეობას, მეთევზეობას, წყლის მეურნეობას, გზის მშენებლობის საკითხებს, გადასახადთა სახეებს და სხვა.

დავთარის მიხედვით „გურჯისტანის ვილაიეთი“ დაყოფილია რვა ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელსაც ლიეები ეწოდება. ლიეები თავის მხრივ ნაპიეებად ანუ რაიონებად იყოფა. თითოეულ ლიეაში მეტ-ნაკლები რაოდენობის რაიონი იყო გაერთიანებული. სულ რაიონების რიცხვი ოცდარეას შეადგენდა. „გურჯისტანის ვილაიეთი“ შემდეგი ლიეებისაგან შედგებოდა: 1. ახალციხის, 2. ხერთვისის, 3. ახალქალაქის, 4. ჩალდირის, 5. ფოცხოვის, 6. პეტრეს, 7. ფანაკისა და 8. დიდი არტაანის ლიეა. თითოეული რაიონი თავის მხრივ გარკვეული რაოდენობის დასახლებულ პუნქტებს აერთიანებდა, რომელთა რაოდენობა თითოეულ რაიონში 11-დან (პეტრეს ლიეა, ქაშვეთის რაიონი) 119-მდე (დიდი არტაანის ლიეის ტყიანი

---

ზე მდიდარი ბიბლიოგრაფია არსებობს. С. С. Д ж и к и я, Пространный реестр вилайета Гурджистан. Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени доктора филологических наук. Тб., 1956... დავთარის თურქული ტექსტის ნაწყვეტის რუსული თარგმანი გამოაქვეყნა ა. ტვერიტინოვამ. იხ. Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. Документы и материалы. Составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М. 1963. стр. 158—162.

რაიონი) აღწევდა. დასახლებული პუნქტების საერთო რიცხვი 1160 შეადგენდა. დავთარი, როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი. გაანალიზებული აქვს გ. გამყრელიძეს, რომელმაც დაადგინა: მოსახლეობის საერთო რიცხვი, მოსახლეობის განლაგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნებით და მოსახლეობის შემადგენლობა ეროვნებისა და საქმიანობის მიხედვით<sup>58</sup>. გ. გამყრელიძის გამოანგარიშებით, მოსახლეობის რაოდენობა 63.690 მცხოვრებს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზე იყო ახალციხის ლივა (19.625 მცხოვრები), შემდეგ მოდის არტაანის ლივა (17.875), ფანაქის ლივა (9.655) და ა. შ. მოსახლეობის სიმჭიდროვე შედარებით მაღალია ფანაქისა და დიდი არტაანის ლივებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახლებული პუნქტების მნიშვნელოვანი ნაწილი (368 სოფელი) მთლიანად ცარიელია მოსახლეობისაგან<sup>59</sup>. „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები“ „იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილი იყო, რომლებმაც, ამაყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრადველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ აავდებინეს, მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დატოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადასახლდნენ“<sup>60</sup>. მოსახლეობის ასეთი შემცირების ძირითად მიზეზს, უეჭველია, ოსმალო დამპყრობთა პერმანენტული შემოსევები წარმოადგენდა, რაც საგრძნობი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით იმ პროვინციებთანთვის, რომელთაც „საქართველოს სხვა ნაწილებზე ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდათ“<sup>61</sup>. როგორც დასავლეთიდან. ისე სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი მუდმივი მუქარის ქვეშ იყო.

„დავთარის“ გულდასმითი შესწავლის საფუძველზე შეიძლება გაირკვეს „ვილაიეთის“ ეროვნული შემადგენლობა. „დავთარში“ მოცემული ონომასტიკური მასალების მიხედვით „ვილაიეთის“ ტერიტორიაზე მასიურად ქართული მოსახლეობა იყო.

<sup>58</sup> გ. გამყრელიძე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი. თსუ-ს შრომები. ტ. XX. 1948. მისივე, დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 1955.

<sup>59</sup> სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ იხ. მიხეილ სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით. თსუ-ს შრომები, ტ. 121. 1967. თბ., გვ. 291—308.

<sup>60</sup> ს. ჯიქია, გაზ. „კომუნისტი“, 1946, 29 იანვარი, № 21.

<sup>61</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948. გვ. 318—319.

პროფ. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ „... ეს მასალები დიდი მნიშვნელობის მქონე ხდება არა მარტო ონომასტიკის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ, ამ მხარის იმდროინდელი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისითაც. (ეს მოსახლეობა მთლიანად ქართულია)“<sup>62</sup>.

XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ეკონომიური მდგომარეობის გასარკვევად დავთარში მოცემულია ისეთი მასალები. რომლებიც გეოგრაფიული თანმიმდევრობითაა განლაგებული თითოეული სოფლისათვის და ძეიკავს შემდეგ ცნობებს: 1. სოფლის სახელწოდებას „რაიონის“ ცენტრის აღნიშვნით, 2. მოცემული სოფლის კომლთა უფროსების სიებს. შემდეგ კი თითოეული სოფლისათვის მოცემულია გადასახადთა საერთო რაოდენობა, ახჩებში გაანგარიშებული. ამის შემდეგ ჩამოთვლილია გადასახადების სახეები გადასახადის თანხის აღნიშვნით. მარცვლეულზე გაწერილი გამოსადები ქილებით გადაყვანილია ახჩებში. ყველა სოფელი სოფლის მეურნეობის ერთი და იგივე პროდუქტებით არ არის დაბეგრილი. ზოგ რაიონში არ არის მაგალითად შეწერილი მუხუნდოს, სელის ან შირას გადასახადი, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების რა და რა სახეები მოდიოდა ამა თუ იმ რაიონში<sup>63</sup>. დავთარში აღნიშნულ სოფლის კომლთა სიასთან ერთად ზოგჯერ პროფესიის აღნიშვნაც არის მოცემული, რომლითაც შეიძლება გაირკვეს მოსახლეობის საქმიანობაც. როგორც დავთრიდან ჩანს, მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეადგენდა. გავრცელებული ყოფილა, როგორც მეშინდვრობა, ისე მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. დავთარი ეპიზოდურ ცნობებს იძლევა აგრეთვე მოსახლეობის სამრეწველო საქმიანობის შესახებაც. „სამრეწველო საქმიანობის სხვადასხვა ფორმებიდან მხარეში გავრცელებული იყო როგორც საოჯახო მრეწველობა (რომლის პროდუქცია ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყო დანიშნული), ისე ხელოსნობა (დანიშნული

<sup>62</sup> С. С. Джикья, Турецкая рукопись Музея Грузии, «Пространный реестр Грузинского вилайета. (სსრკ მეც. აკად. საქართველოს ფილიალის შიამბე, ტ. I. № 6, გვ. 483—487, 1940.

<sup>63</sup> დავთრის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიური საკითხები გარკვეულია შემდეგ ნაშრომებში: გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ეილიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. მნათობი, 1946, № 8; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1958, გვ. 326—344; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ეილიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. თსუ-ს შრომები. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. ტ. 91. (II). 1960, თბ., გვ. 277—304.



შემკვეთთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“)<sup>64</sup>. გ. გამყარელიძეს მოტანილი აქვს დაეთარში დამოწმებული ტერმინები: 1. მკედელი, 2. ოქრომკედელი, 3. ზეინკალი, 4. მკალავი, 5. მელოქე, 6. მექეჩე, 7. მეხალიჩე, 8. თერძი, 9. მექურქე და სხვა.

დაეთარი დეტალურ ცნობებს იძლევა ქვეყანაში არსებული ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. დაეთარის მიხედვით, შეიძლება გაირკვეს თუ მეურნეობის რა და რა დარგს მისდევდნენ მაშინ, რა და რა სახის გადასახადები დააწესეს ოსმალ-დამპყრობლებმა და საერთოდ როგორი იყო მაშინდელი სამცხე-საათაბაგოს ეკონომიური მდგომარეობა. დაეთარი საინტერესო ცნობებს იძლევა იმის შესახებ, რომ მევენახეობა გავრცელებული ყოფილა ისეთ სოფლებშიც კი, რომელთა მდებარეობა ზღვის დონიდან 1500—2500 მეტრს შეადგენდა. XVI ს. მიწურულში, რომ მევენახეობა ფართოდ იყო გავრცელებული სამცხე-საათაბაგოში და მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა, ამას ადასტურებს დაეთარში მოცემული აუარებელი ცნობები, სადაც ლაპარაკია ვენახებზე, მათ ძველ მებატრონებზე და იმ ახალ მფლობელებზე, რომლებიც დაეთარის შედგენისას იქნენ აღრიცხულნი. „ვენახი და ბაღი პაპუნა უზნაძისა, აწ ახალციხის ციხის მცველის იბრაჰიმის მფლობელობაში (მყოფი) სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში (იძლევა) 40 ახჩას... ვენახი გოგიჩასი ერთი ნაკვეთი, აწ აპმედის მფლობელობაში (მყოფი) სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში (იხდის) 40 ახჩას“<sup>64</sup>.

დაეთარის ფურცლებიდან აშკარად ჩანს, რომ მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ყოფილა. მევენახეობა დაეთარის მიხედვით, განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ახალციხის ლივის თითქმის ყველა რაიონში. ასევე ყოფილა ახალქალაქის, ფოცხოვის და ფანაჯის ლივების ყველა რაიონში. მევენახეობის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი ხერთვისის<sup>65</sup>, ჩალდირის, დიდი არტაანისა და პეტრეს ლივებში. პეტრეს ლივა დაეთარის მიხედვით თითქმის დაუსახლებელი იყო და ამით უნდა აიხს-

<sup>64</sup> გ. გამყარელიძე, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“, როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი. გვ. 87.

<sup>65</sup> დაეთარი, გვ. 42. ანალოგიური ცნობებია შემდეგ გვერდებზე: 41, 46, 47, 49, 57, 59, 90, 92, 94, 101, 104, 119, 127, 131, 133, 144, 165, 168, 179... დაეთარის თურქული ტექსტის გვერდებია: 38, 37, 42, 43, 45, 53, 55, 86, 88, 90, 97, 99, 100, 114, 123, 127, 129, 139, 140, 161, 163, 164 და სხვ.

<sup>66</sup> ხერთვისის ლივაში მხოლოდ ხერთვისის რაიონში შემაჯავლი 16 სოფელია დასახლებული, სადაც მოხსენებულია მევენახეობის შესახებ.

ნას ის, რომ ამ ლივაში ვენახების შესახებ ცნობები ძალიან ცოტაა. ასევე ძალიან მწირი ცნობებია პეტრეს ლივაში სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შესახებაც.

ოსმალ-დამპყრობლები ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობას ართმევდნენ ვენახებს და იჯარის წესით შეღავათიან პირობებში აძლევდნენ ისლამის მალიარებელ რენეგატ პირებს. დავთარში თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ვენახის გარკვეული ნაკვეთი „სასამართლოს განაჩენის თანახმად“ ეძლევა სხვა პირს და იხდის გარკვეულ გამოსაღებს.

თუ როგორი კუთხით უდგებოდა ოსმალეთის კანონმდებლობა მევენახეობის საკითხს, აშკარად ჩანს დავთრის იმ ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია „შირას“ გადასახადზე. ეს გადასახადი იმდენად დიდი რაოდენობით გაიღებოდა, რომ მისი გადახდის შემდეგ ვენახის პატრონს ყურძნის შემოსავლიდან ძალიან ცოტა რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული მოსახლეობა მაინც იბრძოდა მევენახეობის შენარჩუნებისათვის.

დავთრის მიხედვით, ყველა იმ ადგილებში, სადაც მოშენებული იყო ვაზი, მებაღეობაც ფართოდ ჩანს გავრცელებული. ზოგჯერ, ისეთ ადგილებშიაც კი, სადაც დავთრის მიხედვით ვაზი არ ხარობს, მებაღეობა მაინც ფეხმოკიდებულია. დავთრის მიხედვით, მებაღეობას არ მისდევდნენ დიდი არტაანის მნიშვნელოვან ნაწილში და ზოგიერთ მაღლობ ადგილებში. მევენახეობასთან ერთად მებაღეობა გავრცელებული იყო ბორჯომის ხეობაში, ახალციხისა და მის მიდამოებში, მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე — ასპინძისა და ვარძიის გაყოლებით, სადაც დიდი რაოდენობით იყო მოშენებული ვაშლისა და მსხლის სხვადასხვა ჯიშები. მეხილეობის დარგში სამცხე-საათაბაგო არამც თუ არ ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა ნაწილებს, არამედ ერთ-ერთ მოწინავე მხარედ ითვლებოდა<sup>66</sup>. როგორც ყველა სხვა ობიექტი სოფლის მეურნეობისა, ბაღებიც აღწერილია და გადაცემულია ახალ მფლობელებზე. „ვენახი და ბაღი დედისიმედისა, აწ აწყურის ღულამის მუსტაფა ტაბღუ-ლ-ლაჰის ძის მფლობელობაში (მყოფი) სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 40 (ახჩას) გაიღებს“<sup>67</sup>. ამგვარი ხასიათის ცნობები უხვადაა მთელ დავთარში.

დავთარი შეტად საინტერესო წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთ-

<sup>66</sup> გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს ბრძოლა თურქ-დამპყრობელთა წინააღმდეგ. ვაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 46.

<sup>67</sup> დავთარი, გვ. 20, აგრეთვე გვ. 59., 131, 190, 280, 310, 384, 391. დავთრის თურქული ტექსტის გვ. 10. აგრეთვე გვ. 57, 129, 188, 278, 308, 382, 389.

ში“ მარცვლეული კულტურის განვითარების დონის შესასწავლად. ჯერ კიდევ უამთააღმწერელი პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში როცა მოსახლეობა ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდა, ანდა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგებოდა, ამ უბედურებათაგან თავის დაღწევის მიზნით სამცხეში მიემგზავრებოდა და იქ პოულობდა თავშესაფარს. უამთააღმწერელის სიტყვით, „და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“<sup>68</sup>.

დავთარში უამრავი ცნობაა იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მემინდვრეობა შეადგენდა. მოსახლეობას დიდი რაოდენობით მოჰყავდა ხორბალი, ქერი და საერთოდ მარცვლეული კულტურა — ჭვავი, ფეტვი, მუხუნო, ოსპი, ცერცივი და სხვ. თითოეულ სოფელში მარცვლეულის კულტურაზე გაწერილი გადასახადებიდან ნათლად ირკვევა, თუ რა და რა სახითა და როგორ იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის ეს დარგები. დავთრის ანალოზიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ახალციხის ლივიაში ხორბალი, ქერი, ჭვავი და ფეტვი. შედარებით ნაკლები რაოდენობით, მაგრამ მაინც სახეზეა მარცვლეული კულტურის ისეთი დარგები, როგორიცაა მუხუნო, ოსპი, ცერცივი, სელი, კაკალი, რასაც სრულებით არ მისდევენ პეტრეს და დიდი არტაანის ლივებში. დანარჩენ ლივებში (ხერთვისის, ახალქალაქის, ჩალდირის, ფოცხოვის და ფანაკის ლივებში) ხორბლის, ქერის, ჭვავის და ნაწილობრივ ფეტვის მოყვანის გარდა მისდევენ სელის მოყვანასაც.

სამცხე-საათაბაგოში მარცვლეული კულტურის, ბალ-ვენახების და მებოსტნეობის განვითარებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ფართო მასშტაბით არსებული საირიგაციო ნაგებობანი. დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ „ოლთისის ოლქში მოგზაურის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არხების შესანიშნავი სისტემა, რომელიც უეჭველად შემონახულია შორეული წარსულიდან, არხები აქ დიდ მანძილზეა გაყვანილი, ისინი ჰკვეთენ ყველაზე უფრო მაღალი კლდეებისა და მთების ქანობებს, იყოფიან მეორეხარისხოვანი არხების მრავალ შტოებად, მიედინებიან ხეობის გრძელ ღარებში, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, წყლის ამწევი მანქანებით ხელ-

<sup>68</sup> უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959. გვ. 310.

ახლა ადიან სიმაღლეზე და ქმნიან ახალ არხებს<sup>69</sup>. ასეთივე არხები უნახავს დიმ. ბაქრაძეს ართვინის უბანში, განსაკუთრებით იმერხევში, რომლებიც მორიგეობით უწევდა მომსახურებას რამდენიმე სოფელს. ოსმალთა მიერ ეს არხები აღრიცხულ იქნა და გადაეცა იგი ახალ მფლობელებს, იმ პირებს, რომლებიც განაგებდნენ ამა თუ იმ სოფელს. არხი ისევ რჩებოდა რამდენიმე სოფლის საზიაროდ<sup>70</sup>. დავთარში მოხსენებულია აგრეთვე ისეთი არხებიც, რომლებიც ძველი დავთრის თანახმად დატოვებულ იქნა ძველი მფლობელების (სოფლების) განკარგულებაში<sup>71</sup>. ოსმალ-დამპყრობლების შემოსავლის წყაროდ იყო გადაქცეული სარწყავი არხებით სარგებლობის უფლება. დავთარში დამოწმებული ცნობების მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს თუ როგორი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო სარწყავი არხებით სპეკულაცია.

დავთარი საინტერესო ცნობებს იძლევა საირიგაციო ნაგებობათა გვერდით წყლის ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ წისქვილებსა და საერთოდ ფქვის საქმეში. დავთარში დაახლოებით 700-მდე თვალი წისქვილია დასახლებული. თითოეულ თვალ წისქვილზე გარკვეული რაოდენობის გადასახადი იყო გაწერილი. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით. თუ მაგალითად, წისქვილი 6 თვე იმუშავებდა, მას გადასახადი უნდა გადაეხადა — 30 ახჩა. თუ წისქვილი მთელი წელი შეუჩერებლივ მუშაობდა მის პატრონს 60 ახჩა უნდა გადაეხადა. წისქვილებთან ერთად დავთარში მოხსენებულია ბეზირხანეები — ზეთსახდელი სახელოსნოები, რომელზედაც გადასახადი ისეთივე რაოდენობით იყო გაწერილი, როგორც წისქვილზე.

წისქვილები ოსმალთა მიერ ქვეყნის აღწერის შედეგად საყანე მიწებთან და სათიბებთან ერთად გადაეცა სხვა პირებს — ახალ მფლობელებს და გადასახადი დაედოთ: „საყანე მიწა, ჩაირი, ერთი წისქვილი, საბოსტნე მიწა და ბალი და ერთი ნაკვეთი ვენახი აწ არტანუჯის მირალაის ველის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იძლევა ყუშურსა და გამოსაღებს“<sup>72</sup>.

<sup>69</sup> Дм. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. 1879. СПб., стр. 132. შტრ. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. თბ., 1950, გვ. 132.

<sup>70</sup> დავთარი, წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 40, 43, 462, წ. II. ქართ. თარგმ. გვ. 42, 45, 466...

<sup>71</sup> დავთარი, წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 47, 112, 115, 358, 383, 369, 377, 370. წ. II. ქართ. თარგმანი, გვ. 385, 360, 371, 119, 381, 374.

<sup>72</sup> დავთარი, წ. I. თურქ. ტექსტი, გვ.: 313, 416, 449, 450, 448, 469, 471 წ. II. ქართ. თარგმანი, გვ. 48, 315, 418, 441, 451, 452, 450, 473, 474.

დავთარი არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამცხე-საათაბაგოში ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის მეთევზეობის განვითარების დონის გასარკვევად. დავთრიდან ირკვევა, რომ მეთევზეობა ძალიან ფართოდ ყოფილა განვითარებული როგორც მდინარე მტკვარზე, ისე სამცხე-საათაბაგოში არსებულ ტბებზედაც. დაქერილ თევზზე ოსმალური კანონმდებლობით გადასახადი იყო შეწერილი. დავთარში ვკითხულობთ: „ყუშური მდინარე მტკვარზე დაქერილი თევზისა — სოფელ ნიალის საზღვრიდან სოფელ ტობას საზღვრამდე, სოფელ რუსთავის საზღვრის გამორიცხვით — ჯამი 2000“. „გამოსაღები ჩალდირის ტბის თევზზე, არხებითა და ტაშ-ქოღრუს წყლითურთ ჯამი 30000“<sup>73</sup>.

დავთარის მთელ რიგ გვერდებზე მოტანილია ცნობები საძოვრების შესახებ, რაც ერთ-ერთი უტყუარი საბუთია ამ მხარის მესაქონლეობით დაწინაურების შესახებ. დავთარში უამრავი გადასახადია შეწერილი იონჯასა და თივაზე. ყველა სათიბი და საძოვარი ძველი მფლობელების ხელში რჩებოდა და გარკვეული გადასახადი ედებოდა. „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ ახალციხის რაბათის მფლობელობაში (მყოფი) საძოვარი მტკვრის ხიდიდან (დაწყებული) სოფელ ვერანას საზღვრამდე ძველითგანვე მათი საძოვარი არისო, ამიტომ წინანდელი წესის თანახმად ახალ დავთარში ჩაწერილი იქნა, რომ ის ადგილები, სადაც ისინი წარსულში აძოვებდნენ, მათივე საძოვარი იყოს“. „... ახალ დავთარში ჩაწერილ იქნა, რათა ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებლებმა თიბონ და მათ უფლებაში იყოს უკანმოთილ ჩაირში (მდებარე) ის ადგილები, რომლებსაც ისინი ჩვეულებრივად ძველი (დროი)დანვე თიბავდნენ“<sup>74</sup>.

„კანონთა წიგნში“ სპეციალური მუხლი შეეხება საძოვრების დაცვასა და მოვლა-პატრონობას. „აკრძალულია დაშუშავება და შემოღობვა იმ საძოვართა, რომელზედაც ძველი დროიდანვე იმყოფებოდა შემოღობილი ადგილები ქალაქის მცხოვრებთა ანდა ციხეების და სოფლების მოსახლეობის საქონელთათვის“<sup>75</sup>.

როგორც დავთრიდან ჩანს, იონჯასა და თივაზე საკმაოდ დიდი რაოდენობის გადასახადი იყო გაწერილი. იგი თითქმის ყოველ სოფელზეა შეწერილი. მარტო ახალციხის ლივაში იონჯასა და თივაზე

<sup>73</sup> დავთარი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ. 148, 265, 315, 418, 441, 451, 452, 459, 471, 473, 263, 305. დავთარის თურქ. ტექსტი, წ. I, გვ. 313, 416, 439, 449, 450, 448, 471, 469.

<sup>74</sup> დავთარი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ.: 25, 67, 79, 103, 113, 118, 132, 134, 141, 296, 341, 404, 472, 476. დავთარის თურქული ტექსტი, გვ.: 21, 63, 75, 102, 109, 114, 128, 130, 137, 259, 262, 292, 301, 337, 400, 468, 472, 474.

<sup>75</sup> დავთარი, წ. I, გვ. 2.

გაწერილი გადასახადი 41.215 ახჩას აღემატებოდა. თვით პეტრეს ლივაშიც კი, სადაც სოფლები თითქმის დაუსახლებელი იყო, იონჯასა და თივაზე გაწერილი გადასახადი 1000 ახჩას აღემატებოდა. საძოვრების ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა მიუთითებს მესაქონლეობის დიდი რაოდენობით განვითარებაზე, რასაც დავთარში დამოწმებული უამრავი ცნობა ადასტურებს.

დავთარი იძლევა აგრეთვე ცნობებს იალაღების — საზაფხულო საძოვრების შესახებ. დავთარში ვკითხულობთ: „იალაღი, პატარა-ტყისთავის(?) მახლობლად (მდებარე), სოფელ მახლავურის მცხოვრებთა მფლობელობაში(ა), ვინაიდან (ეს იალაღი) ძველი დროიდან ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებლებისა იყო, ახალ დავთარში ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებთა იალაღად ჩაიწერა“<sup>76</sup>.

დავთარიდან ჩანს, რომ თითქმის ყოველ სოფელზეა შეწერილი ცხვრის გადასახადი. გადასახადის ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის ახალციხის ლივაზე. იგი 47.840 უდრის, შემდეგ მოსდევს დიდი არტაანის ლივა (31.361 ახჩა). მთელ ვილაიეთში ცხვარზე გაწერილი გადასახადი 151.087 ახჩას შეადგენდა<sup>77</sup>. თუ კანონით დადგენილ წესს დავეყრდნობით — გადაეხადათ ორ ცხვარზე ერთი ახჩა, მივიღებთ, რომ ცხვრის რაოდენობა მთელ ვილაიეთში შეადგენდა 302.164 სულს, მაგრამ ეს რიცხვი არ არის ზუსტი ამსახველი ცხვრის რაოდენობისა, რადგან „კანონთა წიგნის“ მიხედვით, ბატკანი არ შედის დასაბეგრავ სიებში. ცხვრის სულადობის დასაზუსტებლად საჭიროა ცხვრის საერთო რაოდენობას მიემატოს ბატკანის რაოდენობა, რაზედაც დავთარი არაერთაა ცნობებს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, მოყვანილი ციფრი (302.164 სული) ნათლად მეტყველებს თუ როგორ ფართოდ და მასიურად ყოფილა გავრცელებული მეცხვარეობა მთელს ვილაიეთში. სამაგიეროდ. დავთარში არაფერია ნათქვამი მსხვილფეხა საქონლის შესახებ.

დავთარში დამოწმებულია ცნობები მელორეობის შესახებ. ღორზე შეწერილი გადასახადი ვრცელდებოდა მთელს ვილაიეთზე. ყველაზე მეტი გადასახადი ახალციხის ლივაზე მოდიოდა (33.144 ახჩა). ღორზე შეწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა მთელს ვილაიეთში 84.480 ახჩას შეადგენდა. ამ რიცხვიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაში მელორეობას მნიშვნელოვანი

<sup>76</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II. ქართული თარგმანი, გვ.: 125, 316, 345, 365, 425. წ. I. თურქული ტექსტი, გვ.: 123, 314, 343, 364, 423.

<sup>77</sup> პროფ. გ. ტივაძის გამოანგარიშებით კი დავთრის მიხედვით სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას უნდა გაეღო ცხვარზე გადასახადი არანაკლებ 147. 635 ახჩისა. იხ. გ. ტივაძის დასახ. ნაშრ., გვ. 129.

ხვედრითი წონა ჰქონდა. მაგრამ „ამ ადგილებში ისლამის გავრცელებასთან ერთად მელორეობაც თანდათანობით ისპობა და ოსმალთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდში არც ერთი ღორი აღარ მოიპოვებოდა არამც თუ მარტო მუსლიმანებით დასახლებულ სოფლებში, არამედ იმ ადგილებშიაც კი, სადაც ქართველმა მოსახლეობამ შეძლო შეენარჩუნებინა ნაციონალური კულტურა და ძველი რელიგია“<sup>77</sup>.

არანაკლები მნიშვნელობის ცნობებია დაცული დავთარში მეფუტკრეობის შესახებაც. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც ფუტკარზე გადასახადი არ იყოს შეწერილი. ფუტკარზე შეწერილი გადასახადის შესახებ ლაპარაკია „კანონთა წიგნშიც“. ყველაზე მეტი გადასახადი შეწერილი იყო ახალციხის (31.256), დიდი არტანისა (17.122) და ფანაკის ლივებზე (10.340). ფუტკარზე შეწერილი გადასახადის საერთო ჯამი მთელ ვილაიეთში შეადგენდა 89.016 ახჩას.

დავთარში უამრავი ცნობაა სხვადასხვა გადასახადების ისტორიის, ყუშურისა და სხვათა შესახებ, რომელიც სპეციალური შესწავლის ღირსია.

დავთარი საინტერესო წყაროს წარმოადგენს მიწის ფეოდალური საკუთრების იმ ფორმების შესახებ, რომლებიც ოსმალებს შემოჰქონდათ სამცხე-საათაბაგოში. დაპყრობილ მხარეში ოსმალეთის მთავრობა ქართველთა მამულებს ურიგებდა ოსმალ საზღვრო პირებს, რადგან მოძალადის მტკიცედ დამკვიდრება ოსმალური მიწისმფლობელობის შემოღებაზე იყო დამოკიდებული. დავთარში მიწის მფლობელებად ოსმალ მოხელეები გვხვდებიან.

დავთრიდან ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა დაეინებით ცდილობდა ქართული სამამულო მიწისმფლობელობის ნაცვლად მიწისმფლობელობის ოსმალური წესების შემოღებას. დავთარში მრავლად გვხვდება ოსმალური მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელი ტერმინები: ვაკუფები, თიმარები, ზიამეთები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ვილაიეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად იყო გამოცხადებული. მოუხედავად იმისა, რომ დავთრის შედგენის დროისათვის ოსმალეთის სამხედრო-ლენური სისტემა უკვე ირღვეოდა, ოსმალეთის მთავრობა დაპყრობილ ქვეყნებში და კერძოდ სამცხე-საათაბაგოში დაეინებით ცდილობდა მის დანერგვას, რასაც მოყვებოდა დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის რეორგანიზაცია. დავთარში გვხვდება ცნობები, რომ სასამართლოს განაჩენის თანახმად ესა თუ

<sup>77</sup>ა. გ. ტ ი ვ ა ძ ე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს. თბ., 1946, გვ. 161.

ის მამული თიმარის კაცის მფლობელობაში გადადიოდა. „გომი ცნობილი დადა-ბევისა(?) بر وساعان(?), მეორე სახელი ,ماموعوسا სასამართლოს განაჩენის თანახმად აწ თიმარის კაცის ახმედ-ჩელების მფლობელობაშია“<sup>78</sup>.

სამხედრო ვალდებული პირი, რომელიც მიწას მიიღებდა, მოვალე იყო „სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში“ დაუყოვნებლივ გამოსულიყო სამხედრო სამსახურში, გამოეყვანა რამდენიმე მხედარი და თავისი მოვალეობა შეესრულებინა. „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი, წისქვილი სოფელ ფანაკში (მდებარე) — ნურაზიზის ძის გულაზიზ ზიმის მფლობელობაში (მყოფი), ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადის სამხედრო სამსახურში. ყარაჯა(?) გულდადის (?)-ძე, აზარი ნიკოლოზის-ძე, ტატერ აბრამის-ძე, სულთან ხაჩიკის-ძე, ამირ აზიზ ნურაზიზის-ძე, თევდორე ფირაზიზის-ძე“<sup>79</sup>.

ამრიგად, დავთრიდან აშკარად ჩანს, რომ თიმარები და ზიამეთები — ეს ოსმალური მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელი ფორმები, იწყებენ სამცხე-საათაბაგოში ფეხის მოკიდებას, რაც წარმოადგენდა ქართული სამამულო მფლობელობის რღვევის წინაპირობას და მის ნაცვლად მიწისმფლობელობის აღმოსავლური ფორმების დამკვიდრებას, რომლის დროსაც, როგორც ცნობილია, რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვევა<sup>80</sup>. ზიამეთებისა და თიმარების რაოდენობა დავთარში არც თუ ისე დიდია და თანაც გარკვეულ რაიონებშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ სუსტად არის ოსმალთა ფეხმოკიდებული ამ ქართულ პროვინციებში.

ასევე იშვიათად, მაგრამ მაინც არის დავთარში მოხსენებული ვაკუფები, რაც აგრეთვე მიუთითებს ისლამის რელიგიის გავრცელებაზე. დავთარში ნათქვამია: „ვაკუფი დიდებული ყურანის საკითხავად უდის ციხის წმინდა მეჩეთში: ვენახი და ბაღი, საყანე მიწითურთ, ჩაირი და წისქვილი სახელად მურასფა აზნაურისა და უდის ციხეში (მდებარე) სახლები ახალციხის (ჯარის?) მარჯვენა ფლანგის მოხალისის დერეფნ-აღას მფლობელობაში (მყოფი), თანახმად სასამართლოს განაჩენისა, ახალ დავთარში ჩაიწერა, რომ,

<sup>78</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II. ქართული თარგმანი, გვ. 337. წ. I. თურქ. ტექსტი. გვ. 225.

<sup>79</sup> ი ქ ე ე, წ. II. ქართ. თარგმანი, გვ.: 325, 326, 341, 344, 346, 350, 351, 363, 364, 369, 372, 380, 378, 384, 405, 408. . .

წ. I. თურქ. ტექსტი, გვ. 333, 334, 339, 342, 344, 348, 349, 361, 364, 367, 370, 378, 376, 382, 402, 406. . .

<sup>80</sup> კ. მ ა რ კ ს ი, კაბიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 310.



მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ვენახის, ბაღისა და ყანის ყუ-  
შური და გამოსაღები მიეცემა მიწის პატრონს (დანარჩენი) საარგო  
დაიხარჯოს ზემოხსენებულ წმინდა მეჩეთში ყურანის მკითხველებ-  
ზე<sup>81</sup>.

როგორც ვნახეთ, დავთარი იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს  
თიმარების, ზიამეთებისა და ვაკუფების შესახებ, მაგრამ დავთარ-  
ში არაფერია ნათქვამი ოსმალური მიწისმფლობელობის უფრო დი-  
დი ერთეულების — ხასების შესახებ. უფრო გვიანდელი წყარო —  
კოჩინი გორიჯელის „რისალე“ ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნო-  
ბას გვაწვდის. გორიჯელის მეორე რისალეში მითითებულია, რომ  
სულთანს საქართველოში (ჩილდირის ბეგლარბეგის) სახასო ქვეყანა  
ჰქონდა<sup>82</sup>. მაგრამ „ქართველი ფეოდალური საზოგადოება ებრაძოდა  
აღმოსავლური მიწისმფლობელობის შემოხიზვნა-შემოდების ცდებს,  
იცავდა ქართული მიწისმფლობელობის წესს, კლასობრივი ბატონო-  
ბის ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას — თავადურ-ბატონ-  
ყმურ სახელმწიფოს“<sup>83</sup>.

სამცხე-საათაბაგოს გამაჰმადიანების პოლიტიკა გამორიცხავდა  
ქართული ქრისტიანული ეკლესიის პრივილეგიების უცვლელად და-  
ტოვებას, ოსმალ-დამპყრობლები ცეცხლითა და მხვილით ანაღ-  
გურებდნენ ეკლესია-მონასტრებს და სასტიკად დევნიდნენ საეკლე-  
სიო კულტის მსახურთ. სწორედ აქ არის საძიებელი მიზეზი  
ქრისტიანული მოსახლეობის სამცხე-საათაბაგოდან საქართველოს  
სხვა კუთხეებში მასობრივი ემიგრაციისა. დავთარში მოცემული  
ცნობები თვალნათლივ ადასტურებენ იმას, თუ როგორ ეცლებოდა  
ეკონომიური საფუძვლები ქართულ ეკლესიას, თუ როგორ გადადი-  
ოდა ქართული ეკლესიის მიწები თიმარიოტების, ზიამებისა და ვა-  
კუფების მფლობელობაში. „ვენახი ეპისკოპოსისა და არსენა ბერი-  
სა I ნაკვეთი აწ მუსტაფა ზაყიშის მფლობელობაში მყოფი სასამარ-  
თლოს განაჩენის თანახმად იძლევა გამოსაღებასა და ბეჭატეს“. „ვე-  
ნახი არსენ ბერისა ორი ნაკვეთი და საყანე მიწა 50 კილიანი. აწ  
ოლთისის მირალაის ველის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს  
განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 100 ახჩას იძლევა“.

<sup>81</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგ., გვ. 57. წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 55.

<sup>82</sup> Koçi Bey Risalesi, Istanbul, 1939, გვ. 102. შტრ. А. С. Т в е р т и н о в а,  
Второй трактат Кочинскя, Ученые Записки Ин-та востоко ведения, VI, 1953, М.-Л.,  
стр. 243.

<sup>83</sup> ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „სათარო გამოსაღებელა“ გვიანდელი ქართული  
ლოში, „მომოზილელი“, ტ. III, 1953, თბ., გვ. 146.

<sup>84</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ.: 25, 26, 31, 40, 41, 42, 43, 46, 47,  
. . . წ. I, თურქ. ტექსტი, გვ.: 45, 23, 24, 29, 33, 39, 40, 41, 44, 45. . .

მსგავსი მაგალითები უხვადაა მთელს დავთარში, რაც იმის დაშადსტურებელია, თუ როგორ ინტენსიურად ცდილობდა ოსმალეთის მთავრობა ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტებას სამცხე-საათაბაგოში და მის ნიადაგზე ისლამის გავრცელებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, დავთარში მცირე რაოდენობით დამოწმებული ვაკუუმები ადასტურებს იმას, რომ ისლამი ჯერ კიდევ სუსტად იყო ფეხმოკიდებული.

ქართველი გლეხობა მტკიცედ ინახავდა თავის ეროვნულ კულტურას, ენას, რელიგიასა და ტრადიციებს, იმ დროს, როდესაც ქართველ ფეოდალთა მცირე ნაწილი რენეგატობის გზას დაადგა და ოსმალეთის მთავრობას ნებაყოფლობით მორჩილება გამოუცხადა, მის „სამსახურში“ ჩადგა. ანალოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე ბალკანეთის ქვეყნებში ოსმალთა ბატონობის ხანაში.

დავთარში მხოლოდ ნაწილობრივ არიან მოხსენებული ის ქართველი თავადები, რომლებმაც რჯული გამოიცვალეს, ოსმალეთს ერთგულება გამოუცხადეს და ამ გზით თავიანთი მამულები შეიპარჩუნეს. დავთრის მიხედვით, ვილაიეთის 53 სოფელი საერთო აღწერის გარეშე იყო დარჩენილი და იგი არ ექვემდებარებოდა ოსმალურ საგადასახადო სისტემას, მათზე არ ვრცელდებოდა ოსმალური კანონმდებლობა. უეჭველია, ეს ის სოფლებია, რომლებიც „წყალობის“ სახით ებოძა რენეგატ ქართველ ფეოდალთა იმ მცირე დასს, რომელმაც დათმო ქართველობა და ამით შეინარჩუნა თავისი ეკონომიური პრივილეგიები, განსხვავებით იმ მრავალრიცხოვან ქართველთაგან, რომლებმაც არ ისურვეს ოსმალების მორჩილება და მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. დავთარში ვკითხულობთ: „სოფელი უკან *موسى*, დავთრის გარეშეა, ექვემდებარება მზვარეს რაიონს. ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4.000. სოფელი იაილაჯიკი დავთრის გარეშეა, ექვემდებარება მზვარეს რაიონს, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3.000“<sup>85</sup>.

როგორც ჩანს „დავთრის გარეშე“ დარჩენილი სოფლები ქვეყნის აღწერის შემდეგაც ისევ ქართველ ფეოდალებს დარჩათ იმ განსხვავებით, რომ ისინი მამულის ფლობის უფლებას სულთნისაგან მიიღებდნენ „წყალობის“ სახით. ხოლო სოფლების შემოსავალი ქართველი ფეოდალების სალაროში მიდიოდა. ამ სოფლებში ქართული სამართალი მოქმედებდა და ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი წესები იყო გაბატონებული. XVII ს-ის 40-იან წლებშიაც რომ ზოგიერთ ადგილებში ქართული სამამულო

<sup>85</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგ. გვ.: 341, 439, 501, 502, 503... წ. I. თურქტაქსტი. გვ.: 339, 437, 498, 500, 501. . .

წესები ყოფილა გაბატონებული და ქართველი ბეგი გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობდა, ამის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული დიმიტრი ბაქრაძეს<sup>86</sup>.

დაეთარი საინტერესო ცნობებს იძლევა 'საგვარეულო-სამემკვიდრეო საკუთრების შესახებაც. როგორც ჩანს, დაეთარის შედგენის დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა მიწისმფლობელობის ძველი ფორმები. დაეთარში ნათქვამია: „შემოსავალი მამირეანის მირილვას ვეზირ ჰაჯი იბრაჰიმ ფაშის-ძის მიერ ჯემალ საყიდის სახელზე ბოძებული, როგორც საგვარეულო სამემკვიდრეო საკუთრება“<sup>87</sup>. მიწის საკუთრების ეს ფორმა — საგვარეულო-სამემკვიდრეო — ერთგვარად მაინც იყო დაკავშირებული ოსმალეთის ხელისუფლებასთან. ქართველი ფეოდალი მაინც იძულებული იყო ყმა-მამულის მფლობელობის იურიდიული უფლება ოსმალეთის სულთანსაგან მიეღო. ცნობილია, რომ მანუჩარ ათაბაგი და მისი მეუღლე ელენე თავდადებით იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. დაეთარიდან ჩანს, რომ სულთნის მთაერობას მათთვის მამულები ჩამოურთმევია და გადაუცია იგი ახალციხის მირალაის იადიგარისთვის. დაეთარში ვკითხულობთ: „სიმონის ასულის, მანუჩარის მეუღლის ელენე ხათუნის ვენახი 2 ნაკვეთი და მიწა 20 ქილიანი საკალო მიწითურთ და საბძელი, აწ ახალციხის მირალაის იადიგარის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში იძლევა 20 ახჩას“. „ვენახი სიმონის ასულის ელენე ხათუნისა — ერთი ნაკვეთი, აწ ოლთისის მირალაის ველის მფლობელობაში (მყოფი), საყანე მიწა და საიონჯე მიწა სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში (იძლევა) 30 (ახჩას). აწ სამეფო კარის ჩაუღმის ალის მფლობელობაშია სასამართლოს განაჩენის თანახმად“<sup>88</sup>.

დაეთარი შესანიშნავი წყაროა ოსმალური გადასახადებისა და გადასახადო სისტემის რაობის გასარკვევად<sup>89</sup>. დაეთარში უხვდაა წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები. „კანუნ-ნამეთია“ განაზღ-

<sup>86</sup> Дм. Бакрадзе, О землевладении по турецким законам. Юридическое обозрение, 1884, № 150, стр. 163. Его же, Археологическое путешествие по Гурнии и Алчаре, 1874, спб., стр. 30—31.

<sup>87</sup> დაეთარი, წ. II, ქართ. თარგ. გვ. 257. შტრ. წ. I, თურქ. ტექსტი. გვ. 262.

<sup>88</sup> დაეთარი, წ. I, თურქ. ტექსტი გვ.: 22, 24, 26, 29, 38, 39, 40, 44, 45, 46. . . წ. II, ქართ. თარგ. გვ. 46, აგრეთვე გვ.: 24, 26, 29, 31, 40, 42, 43, 46, 47, 49. . .

<sup>89</sup> ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და სავადასახადო სისტემა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარის“ მიხედვით. თბ., 1960 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).

ვრული მათი რაოდენობა და იმის მიხედვითაა გაწერილი თითოეულ სოფელზე. დავთარში გადასახადების გარდა დასახელებულია გამოსაღებები: საქონელზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, წიპკვილზე, კომლზე, საქორწინო და სხვა მრავალი. გადასახადების გარდა დავთრის მიხედვით. მოსახლეობა ვალდებული იყო შეესრულებინა სხვადასხვა სახის საბეგრო სამუშაოები, შეეკეთებინა გზები, ხიდები და სხვა. დავთარში ვკითხულობთ: „ვინაიდან ხსენებული სოფლის მახლობლად მდებარე ხიდი საეპკრო ადგილია მდინარე მტკვარზე და თუ არ ამ სიდით, ყარსიდან, ზერნიშატიდან და სრულიად გურჯისტანის ვილაიეთიდან (მომავალი) ვაქრებისა და სხვა მგზავრებისათვის სხვა ადგილას მტკვრის წყალზე გადასვლა შეუძლებელია, და ვინაიდან სანჯაყ-ბეგი იტყობინება, რომ ამ ხიდის შეკეთებას და აღდგენას ამ სოფლის მცხოვრებლები აწარმოებენ და, რომ საგანგებო გადასახადთაგან მათი განთავისუფლება ამ სამსახურის ასანაზღაურებლად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს, ამიტომ ახალ სახელმწიფო დავთარში იხინი ჩაწერა იქნენ (საგანგებო გადასახადთაგან) განთავისუფლებულად და მათ ხიდის შეკეთება დაეკისრათ“<sup>90</sup>.

ეს ამონაწერი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ამ ამონაწერის მიხედვით შეიძლება გაირკვეს მაშინდელი საეპკრო გზების მიმართულებანი და ამოიკრიბოს ზოგი რამ საეპკრო ადგილების შესახებაც. დავთარი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, მეტად საინტერესო და დიდძალ მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხის დადგენა-გარკვევის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. სერგი ჯიქიას<sup>91</sup>. დავთარში უამრავი გეოგრაფიული სახელებია ჩამოთვლილი. დასახელებულია როგორც დასახლებული, ისე დაუსახლებელი სოფლებისა და გამაგრებული ადგილების სახელები. მოტანილია მდინარეების, ტბების სახელები. დავთარი იძლევა აგრეთვე საინტერესო მასალებს ამ მხარის ტოპონომიკის შესასწავლად.

დავთარი კვლევა-ძიების ინტერესს მოკლებული არ არის პალეოგრაფიული და ლინგვისტურა თვალსაზრისითაც. დავთარში მოცემული ცნობების მიხედვით შესაძლებელია გარკვეული კვლევა-ძიების ჩატარება ზოგადი ენათმეცნიერების ზაზითაც, თურქულ-

<sup>90</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ. 280, აგრეთვე გვ.: 36, 55, 443. . .  
წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 277, აგრეთვე გვ.: 33, 52, 440. . .

<sup>91</sup> ს. ჯ ი ქ ი ა, სოფ. დღივის ლოკალიზაციისათვის ჯავახეთში. საქ. მეც. აკად. მოამბე. ტ. VII, № 3, 1946, გვ. 149—152. მისივე, სამცხე-საათაბაგოს ტოპონომიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. თსუ-ს შრომები. XLI (41). 1950. გვ. 186—201. მისივე, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ. 1958.

ქართული ენობრივი ურთიერთობის მხრივაც. ენობრივი ხასიათის საინტერესო დაკვირვებები და გამოკვლევები აქვს ჩატარებული პროფ. სერგი ჯიქიას<sup>92</sup>.

დავთარში მოხსენებული ისტორიულ პირთა სახელები: ქართლის მეფე სიმონის, მისი ასულის—ელენეს, ათაბაგ მანუჩარის, დედისიმედისა და სხვათა საშუალებას იძლევა ზოგიერთი რამ გაიჩვენოს საქართველოს ისტორიის პოლიტიკურ სფეროშიც. შეიძლება დადგინდეს დავთრის შედგენის დროისათვის თურქეთ-საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური საზღვრები და სხვა რიგი საკითხებისა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ დავთარი, როგორც წყარო XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის როგორც საქართველოს, ისე ოსმალეთის ისტორიის შესასწავლად. დავთრის მიხედვით შეიძლება გაშუქებულ იქნეს მთელი რიგი საკითხები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით. ზოგიერთი საკითხი, როგორც ეს ზემოთ სათანადო ადგილებზე მივუთითეთ, დავთარზე დაყრდნობით გაშუქებულია, მაგრამ დავთარში არის კიდევ მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც სპეციალურ კვლევა-ძიებასა და დამუშავებას საჭიროებენ.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი დავთარია ჩვენს განკარგულებაში, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დავთრის გარდა სხვა დავთრებიც არ არსებობდეს. ზაქმე იმაშია, რომ XVI—XVIII სს-თა მანძილზე ოსმალთა ხელისუფალთა მიერ არაერთი დავთარი იქნა შედგენილი, რომელშიც საქართველოს ტერიტორიებია აღწერილი. მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება. ისინი სტამბოლისა და ანკარის არქივებში ინახება. ჩვენთვის ზოგიერთების შიფრებაც კი ცნობილია.

XVI—XVII სს-თა საქართველოს ისტორიის დოკუმენტურ წყაროთა შორის აღსანიშნავია სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში დაცული 1573—1574 წ. [პ. 981 წ.] გურჯისტანის ლივას მოსახლეობის აღწერის ვრცელი დავთარი [შიფრი: 525]. აქვე ინახება ამავე წლით დათარიღებული გურჯისტანის ვილაიეთში შემავალი მცირე არტანისა და ყარსის ლივაში არსებული თიმარების აღწერის მოკლე დავთარი [შიფრი: 527], ცალკეა 1573—1574

<sup>92</sup> С. С. Джикия, Пространный реестр вилайета Гюрджистан. Автореферат диссертации. . .

მ ი ს ი ე ვ, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958.

წლით დათარიღებული მცირე არტაანის თიშარების აღწერის დავთარიც [შიფრი: 529]. ამავე არქივში ინახება ბათუმის სანჯაყის ნაპი-  
ეებისა [შიფრი: 1031] და გურჯისტანის ვილაიეთში შემავალი ნა-  
მერვანის, თორთუმის, ლივანას ლიეების მოსახლეობისა და მათი შე-  
მოსავლის აღწერის ვრცელი დავთარი [შიფრი: 1035], ამ დავთ-  
რებს, აღწერის მიხედვით, თარიღი არ უზის.

XVI საუკუნის დოკუმენტური წყაროებიდან ამავე არქივში ინა-  
ხება ყარსისა და ზულკადირიეს ლიეების თიშარების აღწერის მოკ-  
ლე დავთარი [შიფრი: 326], რომელიც 1560—1561 წლით (პ. 968)  
არის დათარიღებული. აქვეა ყარსის, არტაანის, აღზევანის, გეჩვა-  
ნის ლიეების ხასის, ზეამეთისა და თიშარების აღწერის შემცველი  
დოკუმენტი [შიფრი: 621]. იგი 1587—1588 წლით (პ. 996) არის  
დათარიღებული. აღსანიშნავია მურად მეორისდროინდელი (1420—  
1451) ჩილდირის ვილაიეთში შემავალი ლიეების თიშარების აღწერის  
მოკლე დავთარი, რომელიც ამავე არქივში ინახება [შიფრი: 653].

XVII საუკუნის მასალებიდან იმავე არქივში დატულია 1610—  
1611 წ. ბათუმის აღწერის დავთარი [შიფრი: 710], 1631—1632 წ.  
ყარსის, ზარუშატის, არტაანის, გეჩვანისა და აღზევანის სანჯაყებში  
არსებული ხასების, ზეამეთების, თიშარებისა და მიწის ნაკვეთების  
(„მუჯატას“) აღწერების დავთარი [შიფრი: 754]. აქვე ინახება უფ-  
რო მოგვიანო ხანის—1677—1678 წ. (პ. 1088 წ.) არტაანისა (შიფ-  
რი: 807) და 1686—1687 წ. (პ. 1098 წ.) ჩილდირის აღწერის დავ-  
თრები (შიფრი 818). გარდა ამისა ამ არქივში ინახება ყარსის,  
აღზევანის, შურაგელისა და გეჩვანის ლიეებში არსებული თიშარების  
მოკლე დავთარიც (შიფრი: 837), რომელიც 1692—1693 წ. (პ. 1104  
წ.) არის დათარიღებული. აქვეა ყარსისა და მარაშის 1632—1634  
წლების (პ. 1042—1043 წწ.) აღწერის დოკუმენტებიც (შიფრი: 758).  
არის აგრეთვე მურადმეორისდროინდელი ყარსის, ნამერვანის აღწე-  
რის მასალები (შიფრი: 669), სულთან სულეიმან კანუნისდროინ-  
დელი ყარსისა და ზულკადირიეს ვილაიეთის აღწერის დავთარიც  
(შიფრი: 402). ამავე არქივში ინახება მურად მეოთხისდროინდელი  
ფანზაკისა და ლორის აღწერის დავთრები (შიფრი: 769)<sup>93</sup>.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიული  
პროვინციების შესახებ არსებული (დავთრების) გამოძეულება,  
ქართულ ენაზე თარგმნა და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემო-

<sup>93</sup> ზემოთ მოტანილი ცნობები პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში არსებუ-  
ლი დავთრების შესახებ დამოწმებულია აჰმედ ოზქან მელაშვილის ნაშრომიდან, იხ.:  
Ahmed Özkan (Melaşvili), Gürcüstan. Tarih, Edebiyat, Sanat, Folklor. Istanbul,  
1968, გვ. 234—237.

ტანა ბევრ საინტერესო საკითხს მოჰყენდა შუქს, თურქეთის არქივები ამ მხრივ საკმაოდ მდიდარია. მარტო სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში ამჟამად ოსმალეთის იმპერიის 1155 დავთარი ინახება, ხოლო ანკარის თაფუსა და კადასტრის საკანცელარიო არქივში დაახლოებით 250 დავთარია. გარდა ამისა მოსალოდნელია კიდევ თურქეთის პროვინციებში მათი პოვნა<sup>94</sup>. მარტო სტამბოლის არქივში ირანისა და აზერბაიჯანის შესახებ ათამდე დავთარი ინახება<sup>95</sup>, რომელთაც ასევე განუზომელი მნიშვნელობა აქვს, როგორც წყაროს ამ ქვეყნების ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად.

ჩვენთვის ცნობილია რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც საქართველოს XVI—XVIII სს. ისტორიისათვის მეტად ძვირფასი წყაროებია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე ხელი არ მიგვიწვდება. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტის სათაურია: „ოსმან-ფაშას მიერ საქართველოს დაპყრობა“. ეს არის ოსმან-ფაშას მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ დაწერილი წერილის პირი, რომელიც დემირკაფიდან ივაზ-ეფენდის გაეგზავნა. წერილი დათარიღებულია 1583 წლის 9 მისით. მაგრამ არ ვიცით თუ რა შინაარსისაა იგი. სათაურიდან ჩანს, რომ მასში საინტერესო და ახალი ცნობები უნდა იყოს XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის ხელისუფლებს მიერ საქართველოში მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრის გამოგზავნის შესახებ<sup>96</sup>.

ასევე, არანაკლებ საინტერესო წყაროა XVI საუკუნის მიწურულის საქართველოს ისტორიისათვის დღემდე ჩვენთვის ხელმიუწვდომელი დოკუმენტი, რომელიც ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ მოგვითხრობს. შეჰნამეჯი თალიკიზადე მეჰმედ სუბუჰი ჩელეების მიერ აღწერილია 1599 წ. ფერჰად ფაშას მიერ საქართველოში ლაშქრობის ამბები. წყარო მოგვითხრობს დიდევზირ ოსმან-ფაშას მიერ შირვანის დაპყრობის ამბებს. გადმოგვცემს ერევნის დაპყრობისა და ფერჰად ფაშას მიერ საქართველოს დალაშქრის შესახებ, დაუდ-ხანისა და მისი ძმის დატყვევების შესახებ. ხელნაწერი ინახება სტამბოლში თოფკაფის წიგნსაცავში<sup>97</sup>.

<sup>94</sup> B. Lewis, Registers on Iran and Adharbayjan in the Ottoman Defter-i Khani. Mélanges Massé, Téhéran, 1963. გვ. 18.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> Flügel, Viyana Ktg, c. II. s. 293. No. 1018. v 5. დამოწმებულია წიგნიდან: Gazavat-Nameleir ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat-Namesi, Ankara, 1956, გვ. 88.

<sup>97</sup> Topkapı, Revan Ktp. No 1300. v. 33. დამოწმებულია წიგნიდან: Gazavat-Nameleir. . . გვ. 91.

სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში ინახება სელიმ პირველისდროინდელი (1512—1520) ისტორიული დოკუმენტი: „მეკმედ ფაშას ახსნა-განმარტება საქართველოს მდგომარეობის შესახებ სელიმ I“ (NE—5674)<sup>98</sup>. სათაურიდან აშკარაა, რომ იგი საინტერესო ცნობების შეკცველია. ასევე არანაკლებ საყურადღებოა მეორე დოკუმენტი, რომელიც 1515 წლითაა დათარიღებული და „საქართველოს დასალაშქრად გაგზავნილ სინან ფაშასადმი მიწერილი ახსნა-განმარტება“ (NE—8277)<sup>99</sup>. ამავე არქივში ინახება და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამხრეთ საქართველოსათვის ისტორიული დოკუმენტი, რომელიც „ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშას მიერ არზრუმში დიდვეზირისადმი ქართველებისაგან არტანუჯის ციხის წართმევის შესახებ მირთმეულ არზას“ წარმოადგენს (NE—8417)<sup>100</sup>. XVII საუკუნეში ოსმალეთთან საქართველოს ვაჭრობის ისტორიის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანი წყარო ჩანს ამავე არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც 1643 წლითაა დათარიღებული: „საქართველოსთან ვაჭრობის შეწყვეტისა და ლაშქრობის საჭიროების მიმოხილვა“ (NE—6055—6149)<sup>101</sup>. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ჩანს XVII საუკუნის დოკუმენტური წყარო, რომლის სათაურია „საქართველოსა და რუსეთის კავშირის გამო“ (NE—4382)<sup>102</sup>. ასევე საინტერესოა XVII საუკუნის წყარო, რომლის სათაურია „საქართველოს სხვადასხვა საქმეების შესახებ“ (NE—2935—4222; 4388—8475)<sup>103</sup>.

ჩვენთვის ხელმიუწვდომელია სულთან მურად მესამისადმი 1584 წელს უცნობი ავტორის მიერ მირთმეული თხზულების — „ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას დაღესტანსა და შირვანში ლაშქრობათა ისტორიის“ ტექსტი. მასში გადმოცემულია 1578 წელს ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას ირანში, შირვანსა და საქართველოში ლაშქრობის შესახებ. ხელნაწერის შემოკლებული ვარიანტი ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. სრული ხელნაწერი ტექსტი დაცულია სტამბოლის წიგნსაცავებში<sup>104</sup>.

ოზდემიროღლუ ოსმან-ფაშას 1578 წლის შირვანში ლაშქრობას ეხება ნაშრომი: Şifa'ül Kulub ve Likā'ül Mahbub yahut Natru'n-

<sup>98</sup> Midhat Sertoğlu, Arşiv Kılavuzu, Ankara, 1955. გვ. 8.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> Gazavat-Nameher. . . გვ. 87.



Nazirin ve Makbulü'l-Hatırın. ამ თხზულების ხელნაწერი ინახება ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში<sup>105</sup>. სტამბოლის წიგნსაცავებში ინახება ლექსად დაწერილი თხზულება Şeca'at-name, სადაც გადმოცემულია ასათი კოჯა დევთერდარ მეჰმედ ფაშას მიერ ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას თბილისის დასაპყრობად გაგზავნა. შემდეგ მოთხრობილია ყირიმის ლაშქრობის შესახებ, ბოლოს თავრიზის დალაშქვრაზე საუბარი.<sup>106</sup> ასეთივე ლექსად დაწერილი რამდენიმე თხზულებაა ცნობილი ამ ლაშქრობის შესახებ<sup>107</sup>. ქუთაისის ალაი ბეგი რაჰიმი-ზადე იბრაჰიმ ჩავუში თავის ლექსად დაწერილ თხზულებაში: Gencine-i feth-i Gence—ფერჰად ფაშას საქართველოში ლაშქრობის შესახებ გადმოგვცემს. თხზულების ხელნაწერები ვენისა და სტამბოლის არქივსაცავებში ინახება<sup>108</sup>.

ჩვენთვის ხელმოუწვდომელია აგრეთვე დოკუმენტური ნაშრომი, სადაც მოთხრობილია 1603—1604 წელს თავრიზის, ნახჭევნისა და ერევნისკენ ოსმალთა გალაშქრების შესახებ. ხელნაწერი თოფკაფის წიგნსაცავში ინახება<sup>109</sup>.

ოსმალური დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალე, რომელიც შედგენილია სულთან იბრაჰიმის ზეობის (1640—1648) წლებში. კოჩიბეი გორიჯელი მეორე რისალეში სულთანს ურჩევს, თუ როგორ უნდა მოხდეს ოსმალეთის იმპერიის ოდინდელი ძლიერების აღდგენა. იგი მას საამისოდ რეცეპტს უდგენს<sup>110</sup>. იგი ეხება ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, სასახლის მოხელეთა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობას, მოცემულია აგრეთვე ოსმალეთის ადმინისტრაციული დაყოფაც, რაც ჩვენთვის საყურადღებოა. „რისალეში“ ჩამოთვლილია ოსმალეთის იმპერიის ყველა ვილაიეთი და სანჯაყი, ნაჩვენებია სიფაჰიების რაოდენობა და წლიური შემოსავალი. ჩვენთვის საინტერესოა „რისალეს“ ის ადგილი, სადაც მოცემულია სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციული დანაწილება. საყურადღებოა ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ამ ადმინისტრაციულ დანაწილებაში აშკარად ჩანს ქართული ფეოდალური მიწის-

<sup>105</sup> Gazavat-Nameler. . . გვ. 87—88.

<sup>106</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>110</sup> კოჩიბეი გორიჯელისა და მისი თხზულების შესახებ იხ. გ. ფუთურჩის საკანდიდატო დისერტაცია. გ. ფუთურჩიძე, კოჩიბეი გორიჯელის „რისალე“, როგორც წყარო ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. თბ., 1954 (ხელნაწერი).

Yeni Türk Tarihi, No 38. 1960. გვ. 1901—1902.

მფლობელობის თავისებურებანი. „რისალეს“ მიხედვით, საჰცე-საათაბაგო ერთ ვილაიეთს არ წარმოადგენდა. იგი სანჯაყებად იყო დაყოფილი სხვადასხვა ვილაიეთებში. ერთ-ერთი ვილაიეთი კი მთლიანად მოიცავს ქართულ ტერიტორიებს, მაგრამ მის გარდა ზოგიერთი სანჯაყი სხვა ვილაიეთებშია გაერთიანებული. „რისალეს“ მიხედვით, არზრუმის ვილაიეთში გაბნეული იყო სამი ქართული სანჯაყი: ისპირი, თორთუმი და ნამერვანი<sup>111</sup>. ეს ქართული ტერიტორიები რომელიც განაწილებული იყო არზრუმისა და ყარსის ვილაიეთებში, ახალციხის საფაშოზე ადრე ჰქონდა ოსმალეთს მიტაცებული. სამცხე-საათაბაგოს დანარჩენი ტერიტორიები კი ახალციხის საფაშოში შედიოდა. მას ოსმალურ-ადმინისტრაციულ სისტემაში ჩილდირის ვილაიეთი ეწოდებოდა. „რისალეს“ მიხედვით, ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა: 1. ოლთის, 2. ხერთვისის, 3. არტანუჯის, 4. დიდი არტანის, 5. ჰაჰარაჰის, 6. ფოცხოვის, 7. მაჰახლის, 8. აჰარის, 9. ფანაკის ლივები, აგრეთვე სანჯაყები, რომელსაც ოჯაქლიქის წესით ფლობდნენ, 10. ფერთეგრეკის, 11. ლივანას, 12. ნისფი ლივანას, 13. შავშეთის, 14. ჩილდირის. ამ სანჯაყების თიშარიოტებისა და ზაიმების მხედრების რიცხვი 1380 იყო, მათი წლიური შემოსავალი — 92 იუქი და 86.000 ახჩა იყო<sup>112</sup>.

სამხრეთ საქართველოს ადმინისტრაციული და ეკონომიური ცენტრების გასაჩვენებლად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მონაცემები აქვს XVII ს-ის დასაწყისის სახელმწიფო მოღვაწეს აინი ალის; მას თავის პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის ტრაქტატში მოცემული აქვს ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა შემოსავლის ჩვენებით. თვითონ აინი ალის ბიოგრაფიის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. იგი დაიბადა მანისაში, მოღვაწეობდა XVI—XVII სს-თა მიჯნაზე, სხვადასხვა მაღალი თანამდებობები ეკავა. იყო დევთერხანეში რეესტრების გამგებელი (Defter-i Hakaanî Emîni), სულთნის ხაზინის ზედამხედველი, სახელმწიფო საბჭოს მდივანი (Divan kâtibi), ეგვიპტის დევთერდარი და სხვ.<sup>112a</sup> მან დიდვეზირ მურად

<sup>111</sup> А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей. Ученые записки Ин-та востоковедения, VI, 1953. გვ. 243. აქვე მითითებულია, რომ ყარსის ვილაიეთში შედიოდა პატარა არტანი. ა. ტვერიტინოვას ამ წერილზე იხ. რეცენზია. Г. В. Путиридзе, А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей. Ученые зап. ИВ АН СССР, т. V, М.-Л., 1953. თსუ-ს შრომები, ტ. 73. (1), 1959. თბ., გვ. 231—236.

<sup>112</sup> А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრ. გვ. 243.

<sup>112a</sup> აინი ალის ბიოგრაფიისა და კრებულის შესახებ იხ. Fr. Babinger, დასახ. ნაშრ. გვ. 140. Kemal Edib Kürkçüoğlu, Münşe'alu s-Salatin'e Dair Kısa Bir not. Ankara Universitesi Dil ve Tarih Coğrafya Fakültesi Dergisi, C. VIII. Sayı 3. 1950. Yeni Tarih Dergisi, N 44, 1960, გვ. 2314. İstanbul Kitaplıkları Tarihi Coğrafya Yazmaları Katalogları. 1. Türkçe Tarih Yazmaları. 10. Fasikül, 1951, İstanbul. გვ. 787 — 791.

ფემას დავალებით 1609 წელს სულთან აჰმედ I-ს (1603—1617) წარუდგინა „რისალე“, რომლის სახელწოდება იყო: „ოსმალთა ხელისუფალთა კანონები და სახელმწიფო დავთარხანეში დაცული სააღწერო დავთრების ძირითადი შინაარსი“. ეს ნაშრომი ემყარება ოფიციალურ ოსმალურ დოკუმენტებს, ხალხის აღწერის დავთრებს, კანონთა კრებულებს და სხვა უტყუარ დოკუმენტურ მონაცემებს. ამ წყაროდან ჩანს, რომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები ძირითადად ჩილდირის, ტრაპიზონისა და ნაწილობრივ არზრუმის ეიალეთებში შედიოდა<sup>113</sup>.

აინი ალის „დავთარი“ მიხედვით, ჩილდირის ეიალეთში შედიოდა შემდეგი სანჯაყები: 1. ჩილდირის, 2. ოლთის, 3. ხერთვისის, 4. არტანუჯის, 5. დიდი არტაანის, 6. ჭაჭარაქის, 7. ფოცხოვის, 8. მაჭახლის, 9. აქარის, 10. ფანბაქის, 11. ფანაკის, 12. ტაოსკარის, 13. ლივანას, 14. ახალციხის, 15. ახალქალაქის<sup>114</sup>.

აინი ალის ამ ცნობასა და კოჩიბეი გორიჯელის „რისალეს“ მონაცემებს შორის განსხვავებაა. აინი ალის აქ ჩილდირის ეიალეთში დასახლებული აქვს ახალციხისა და ახალქალაქის ლივები, ამასთანავე ოჯაქლიქებზე ის არაფერს ამბობს. შეიძლება 1611 წლისათვის აინი ალისეული ადმინისტრაციული დაყოფა არსებობდა, მაგრამ ახალციხის საფაშოს წარმოქმნის შემდეგ სავსებით შესაძლებელია სანჯაყების გადაჯგუფება სხვადასხვა ვილაიეთებში. აინი ალის ცნობით, ბათუმისა და გონიოს ლივები ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა, <sup>115</sup> ხოლო არზრუმის ვილაიეთში შედიოდა: მანასკერტის, თორთუმისა და მამირვანის ლივები<sup>116</sup>.

„რისალეს“ ზემოთ მოტანილი ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ XVII ს-ის შუა წლებისათვის ქართულ ტერიტორიებზე გავრცელებულია ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები. ჩილდირის ვილა-

<sup>113</sup> აინი ალის „რისალე“ შეისწავლა გ. ალასანიამ. იხ. გ. ალასანია, აინი ალის „რისალე“ როგორც წყარო ოსმალეთის აგარაკულ ურთიერთობათა შესწავლისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. III. თბ., 1971, გვ. 226—235.

<sup>114</sup> 23. 52—59. **عين على افنديك قوانين رسالهسى، ١٠١٨ سنة.** აინი ალის დავთარი ლათინურული შრიფტით გამოსცა ჰადიე თუნჯერმა. იხ. (Kannunname-i Al-i Osman) Osmanlı Devleti Arazi Kanunları, Yazan Defter-i Hakaani Emini Aynı Ali Efendi, Sene, 1018 (1602). El Yazması Çeviren Hadiye Tuncer. Ankara, 1962. ამ ნაშრომზე იხ. რეცენზია მიხ. სვანიძე, ოსმალთა სახელმწიფოს მიწისმფლობელობისა და [მიწათსარგებლობის კანონები, შედგენილი აინი ალის მიერ, წელი 1018 (1602), მთარგმნელი ჰადიე თუნჯერი, ანკარა, 1962, გვ. 262. თსუ-ს შრომები, ტ. 118. თბ., 1967. გვ. 295—301.

<sup>115</sup> ა ი ნ ი ა ლ ი, დასახლებული „რისალე“, გვ. 60.

<sup>116</sup> ი ქ ე ე, გვ. 52—53.

იეთში მიწით შეწყალებული ოსმალ-ფეოდალების — ზაიმებისა და თიმარიოტების რაოდენობა 1.380 ხმალს უდრიდა, წლიური შემოსავალი კი 92 იუქსა და 86.000 ახჩას. ეს ციფრები კი აშკარად მიუთითებს მიწისმფლობელობის ოსმალური წესის გავრცელებაზე. მაგრამ ამავე „რისალედან“ აშკარად ჩანს, რომ არსებობას განაგრძობდა მიწისმფლობელობის ქართული ფორმები რამდენადმე სახეშეცვლილი სახით. „რისალეში“ ჩამოთვლილია სანჯაყები: 1. ფერთეგრეკის, 2. ლივანას, 3. ნისფი ლივანას, 4. შავშეთისა, რომლებსაც ოჯაქლიქების წესით ფლობდნენ. ოჯაქ (ocak) თურქულად ნიშნავს „ოჯახს“, „გვარს“, „კერას“. „ოჯაქლიქი“ კი ნიშნავს „სავგარეულოს“, „საოჯახოს“. ოჯაქლიქების სინონიმად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი იურთლუქი და მულქიეთი. ყველა ეს სახელი აღნიშნავდა მიწას, რომელიც მემკვიდრეობით მფლობელობაში რჩებოდა დაპყრობილი ქვეყნების ზოგიერთ ფეოდალს.

ამ შემთხვევაშიაც, ფერთეგრეკის, ლივანას, ნისფი ლივანასა და შავშეთის სანჯაყები წარმოადგენდა ქართველი ფეოდალებისათვის მემკვიდრეობით დატოვებულ სამფლობელოებს. მათი მემკვიდრეობითი ფლობის უფლებას კი ოსმალეთის სულთანი ოფიციალურად უდასტურებდა ფირმანით. ოჯაქლიქების გამგებლად უსათუოდ იყო ქართველი ბეგი, რომელიც წარმოადგენდა ფაქტიურად სულთნის ვასალს და არა მოხელეს, ფაშას ან ბეგს. მისთვის ბოძებულ ტერიტორიებზე ძირითადად გაბატონებული იყო ბატონყმური ურთიერთობა, ქართული ფეოდალური ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი ფორმები. შავშეთის, ლივანას, ნისფი ლივანას და ფერთეგრეკის ქართველი მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატატორი იყო გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალი. ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელი იყო ქართველი მიწისმფლობელი არისტოკრატია. ეს ქართველი არისტოკრატია ნახევრად დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ფენად რჩებოდა ჩილდირის ვილაიეთის გარკვეულ ნაწილში. გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალებს, როგორც სულთნის ვასალებს, ევალებოდათ თავიანთი მხედრობით გამოსულიყვნენ მის სამსახურში.

ფერიდუნ-ბეის დავთარშიც არის მოტანილი ოსმალეთის იმპერიის აღმინისტრაციული დაყოფა და მათ შორისაა ჩილდირის ეიალეთის ორგანიზაციაც. მართალია, არ ვიცით თუ როდინდელი აღწერით აქვს მოტანილი ცნობები ფერიდუნ-ბეის, მაგრამ ის ძირითადად იმეორებს აინი აღისა და კოჩიბეი გორიჯელის დაყოფას. ფერიდუნ-ბეი აჭარას ოჯაქლიქად იხსენიებს. ფერიდუნ-ბეის ეს ცნობა თუ სიმართლეს შეეფერება, მაშინ მისი აღწერა ეხება აჭარის დაპყრო-

ბის პირველ ხანებს, როდესაც სავსებით შესაძლებელი იყო ოსმალეთს აპარა ეცნო ოჯაქლიქად. აპარის ზოგიერთი რაიონი რომ ოჯაქლიქად იყო თვით XIX ს. მეორე ნახევარშიც, საამისო ცნობები ჩვენ ბევრი მოგვეპოვება<sup>117</sup>, მაგრამ მთლიანად აპარის ოჯაქლიქობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით.

ოსმალ-ხელისუფალთა მიზანი იყო ქართული ფეოდალური არისტოკრატიის მოსპობა, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული ქონებრივი და უფლებრივი განსხვავების ლიკვიდაცია და ქართველი ფეოდალის ოსმალ-მოხელედ — ფაშად, ბეგად გადაქცევა. ქართველმა გამაჰმადიანებულმა ფეოდალებმა დიდხანს შეინარჩუნეს ეს პრივილეგიები, თვით XIX ს-ის შუა წლებამდეც.

კოჩიბეი გორიჯელის „რისალეს“ მიხედვით, ტრაპიზონის ვილაიეთი შედგებოდა ორი სანჯაყისაგან: ტრაპიზონისა და ბათუმის სანჯაყისაგან. ამ პერიოდში ჩანს, ბათუმი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულია და მას ბეგლარ-ბეგი განაგებს. ჩვენ არა გვაქვს ცნობები თუ მიწისმფლობელობის რა წესი არსებობდა ამ პერიოდში ბათუმის სანჯაყში. ოსმალური ნარატიული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ბათუმის ბეგლარ-ბეგს ოსმალეთის სულთანს ეყოველთვის იყენებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე ლაშქრობისათვის და იგიც თავის მხრივ მოწოდებისთანავე მზად იყო მონაწილეობა მიეღო სულთნის მიერ ჩატარებულ ამა თუ იმ ღონისძიებაში.

\* \* \*

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული თურქული დოკუმენტების კოლექციაში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს XVI—XVII სს. ისტორიას შეეხებოდეს. აქ უფრო გვიანდელი ხანის საბუთებია. თურქული დოკუმენტებით მდიდარია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები. ამ ფონდების თითქმის ყველა საბუთი საქართველოს ეხება. განსაკუთრებით ბევრია XVIII—XIX სს. თურქული საბუთები. XVI—XVII სს. შესახებ მხოლოდ ხუთიოდე საბუთია, რომელიც საინტერესო წყაროა ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის ისტორიის გასარკვევად.

თურქული საბუთების შინაარსი მრავალმხრივია. ისინი ძირითადად ასახავენ ოსმალთა შემოღების ცდებს XVIII ს-ის მეორე მეოთხედში. საბუთებში ლაპარაკია ქართულ მიწებზე თიშარებისა და ზიამეტების შემოღების შესახებ, ჯიზიას გადასახადის შესახებ, გორ-

<sup>117</sup> ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აპარში. ბათუმი, 1960.

ში ყადის საქმიანობის შესახებ და სხვ. არის მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც გაცემულია ოსმალთა ხელისუფალთა მიერ ქართველი თავადებისადმი.

ერთ-ერთი საბუთი, რომელიც 1588 წლითაა დათარიღებული<sup>118</sup>, ეხება მიწით შეწყალებას. ოსმალეთის სულთნისადმი ფოცხოვის სანჯაყ-ბეგს — სულეიმანს შუამდგომლობა აღუძრავს, რათა მანუჩარის ძმას, რომელმაც ისლამი მიიღო, ებოძოს მამული ხერთვისის სანჯაყში. ამ შუამდგომლობის საფუძველზე სულთანს ფირმანი გამოუცია, რომლითაც მანუჩარის ძმას ხერთვისის სანჯაყში ებოძა 11.999 ახჩიანი მამული. ჩანს, რომ ოსმალეთის სულთანი ქართველი ფეოდალების ყმა-მამულებს ისევ ქართველი წარჩინებული არისტოკრატის წარმომადგენლებს უტოვებს. ოსმალთა სულთნის მიერ ქართველი ფეოდალებისადმი ყმა-მამულის დატოვება ერთგვარი დათმობაა, კომპრომისია ქართული ფეოდალური ურთიერთობის მიმართ. ოსმალთა სულთანი მაინც იძულებულია დაუშვას ფამონაკლისები და მოხელის ნაცვლად ისევ ფეოდალი გახადოს მიწის მემკვიდრეობით მფლობელად.

1629 წლით დათარიღებულ სულთნის ფირმანში<sup>119</sup> ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თარჯიმანი ფარსადანი ჯიზიასა და სხვა გადასახადების გადახდისას სარგებლობდეს შეღავათებით. სულთნის ფირმანი გაცემულია გორის ყადისადმი. ჩანს, რომ 1629 წლისათვის ოსმალები თავისუფლად გრძნობდნენ თავს გორში. მათ თავიანთი ყადიცი კი მოუყვანიათ აქ. ხოლო ფარსადანის ჯიზიასა და სხვა გადასახადთაგან განთავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდში ოსმალეთის მიერ საგადასახადო სისტემის შემოღების ერთგვარ ცდასთან გვაქვს საქმე. მართალია, ჩვენ სხვა ცნობები არა გვაქვს ქართლში ოსმალური გადასახადების არსებობის შესახებ, მაგრამ თვით ფაქტი ფარსადანის ჯიზიასა და სხვა გადასახადთაგან განთავისუფლების შესახებ ნიშნავს იმას, რომ ისინი ქმნიან ქვეყნის გაოსმალების საშიშ პრეცედენტს.

1649 წლით დათარიღებული ფირმანი მეტად საინტერესო საკითხს ეხება<sup>120</sup>. ფირმანის მიხედვით, ახალციხის ეიალეთში ჩილდირის ბეგლარ-ბეგის წარდგინების საფუძველზე მაწყვერლის თანამდებობა ებოძა იოანე ბერს. ფირმანის გამცემია არზრუმის სერასქე-

<sup>118</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 57. ამ ფირმანის თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით დასაბუქვად მოამზადა ც. აბულაძემ და იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის მორიგ კრებულში. იხ. ც. აბულაძე, XVI საუკუნის ერთი თურქული ფირმანი.

<sup>119</sup> იქვე, № 60/78.

<sup>120</sup> იქვე, № 14/15.

რი. ამ ფირმანიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქართული ეკლესია XVII საუკუნის შუა წლებშიც განაგრძობდა არსებობას და გარკვეული უფლებებით სარგებლობდა. ოსმალთა ყადების გვერდით არსებობდა მაწყვერლის თანამდებობაც. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. ჩვენ გვაქვს შემდეგში ცნობები, რომ ოსმალთა მიერ მოსახლეობის შევიწროების შედეგად სამცხე-საათაბაგოდან, კერძოდ ზარზმის მონასტრიდან ხატი ფადატანილ იქნა გურიაში — შემოქმედის მონასტერში. მაგრამ თვით ფაქტი მაწყვერლის თანამდებობის არსებობისა და იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნისა, XVII საუკუნის 50-იან წლებში მეტად ნიშანდობლივი მოვლენაა. ეს მოწმობს ქართული ეკლესიის გავლენის არსებობას ამ პერიოდში. დიმიტრი ბაქრაძის მიერ ნაპოვნი ისტორიული დოკუმენტი „კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს“, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სამცხე-საათაბაგოში ქართული ეკლესიის სიძლიერეზე და ამავე დროს მოხაზავს ქართული ტერიტორიების ისტორიულ საზღვრებს. ამ დოკუმენტში მაწყვერლის შესახებ ვკითხულობთ: „მაწყვერელი გვირგვინი — ბისონიანი არს ამისი სამწყსო ყვიბის კორტანეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეით ხევობა და სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გურიის წარდგომამდის“<sup>121</sup>.

მაწყვერელი ბერის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების შესახებ ცნობები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიაცაა“ შემონახული. დავთრის მიხედვით, მაწყვერლის მამული ოსმალთა მოხელის ხელში გადადის. იქ ნათქვამია: „ვენახი ღეკანოს ბერისა ერთი ნაკვეთი და მაწყვერელი ბერისა ერთი ნაკვეთი და ორთავ ხსენებულთა ყანა, საბძელი, საკალოო მიწა და წისქვილი ჩაირითურთ, აწველი ზაყიმის მფლობელობაში (მყოფი) სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში (იძლევა) 50 ახჩას. ამჟამად სამეფო კარის ჩავეუმის ყალის მფლობელობაშია სასამართლოს განაჩენის თანახმად“<sup>122</sup>. დავთრიდან შეიძლებოდა უამრავი მსგავსი მაგალითის მოტანა.

ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე ფირმანი, რომელიც 1694 წლითა დათარიღებული<sup>123</sup>. ფირმანი გაცემულია სულთნის მიერ ვინმე ისპაქისადმი, რომლითაც მას ეძლევა სოფ. კლდე, დვირი და სხვა სოფლები 20 000 ახჩიანი მამულით.

<sup>121</sup> კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს, იხ.: Дм. Ба к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб., 1879, стр. 81.

<sup>122</sup> დავთარი, წ. II, გვ. 46. . . წ. I. თურქული ტექსტი, გვ. 44.

<sup>123</sup> ხელნაწერთა ინსტრუქტის ფონდი, 1/18.

ამ ფირმანიდან აშკარაა ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმების შემოსვლა სამცხე-საათაბაგოში. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ანალოგიური ცნობები უფრო ადრინდელი, რომელიც გვაძლევს უფლებას დავასკვნათ. რომ ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმები სამცხე-საათაბაგოში შემოდის ჯერ კიდევ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან.

1713 წლის სულთან აჰმედ III-ის (1703—1730) ფირმანით, ოსმალური სამხედრო ლენური სისტემის საფუძველზე ვინმე ოსმანის შვილებს — იბრაჰიმს, მუსტაფას, მირზასა და იუსუფს მამის გარდაცვალების შემდეგ მისი დარჩენილი მამული ებოძა საზიაროდ<sup>124</sup>. ფირმანში აღნიშნულია, რომ „ჭაქარაქის სანჯაყსა და ნაჰიეში კოთის სახელით ცნობილ კარიედან და სხვა ადგილებიდან 14000 ახჩა შემოსავლიანი თიმარის მფლობელი ოსმანი გარდაიცვალა და თიმარი უპატრონოდ დარჩა“<sup>125</sup>. შვილების თხოვნის საფუძველზე ფირმანი ოსმანის მემკვიდრეებს შვილებზე მფლობელობის გადასვლის უფლებას უდასტურებს საკიროების შემთხვევაში „თავიანთი ალაი ბეგის ბაირად ქვეშ სალაშქროდ წასვლის პირობით“<sup>126</sup>.

ხელაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში დაცულ თურქულ ფირმანებს შორის მოიპოვება ზემოთ დასახელებული თიმარის გარდაცვლილი მფლობელის ოსმანის სახელზე თავის დროზე გაცემული სიგელიც, რომელიც მას ებოძა ჯერ კიდევ 1695 წ. სულთან მუსტაფა II-ის (1695—1703) მიერ. ამ ფირმანის მიხედვით, სულთანი აკმაყოფილებს ოსმანის თხოვნას, რომ ებოძოს მას მამა-პაპის დროიდან მათ სახელზე არსებული თიმარი ჭაქარაქის სანჯაყსა და ნაჰიეში მდებარე ხეოთის კარიე და სხვა ადგილები 14 000 ახჩა შემოსავლით. სათანადო დოკუმენტების წარდგინების საფუძველზე როდესაც ოსმანს დაუშტკიცდა, რომ აღნიშნული თიმარი მართლაც მის წინაპრებს ეკუთვნოდა და ამით ირჩენდნენ თავს, სულთანმა სათანადო სიგელით, ოსმალური სამხედრო-ლენური სისტემის საფუძველზე იგივე თიმარი უბოძა ოსმანს.

ბულგარეთის არქივებში დაცულია უამრავი თურქული დოკუმენტი, ძვირფასი წყაროები, რომელთაც უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვთ, როგორც ოსმალთა ბატონობის დროინდელი ბალ-

<sup>124</sup> ზემოთ აღნიშნული ორი ფირმანი დაღვნილა თურქული ტექსტით, ქართული თარგმანით, შენიშვნებითა და სათანადო ახსნა-განმარტებებით გამოაქვეყნა ც. აბულაძემ. იხ.: ც. აბულაძე, ორი თურქული ფირმანი. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I. გვ. 394—401, თბ., 1971.

<sup>125</sup> ი ქ ვ ე, გვ. 396.

<sup>126</sup> ი ქ ვ ე, გვ. 398.



კანეთის ქვეყნების, ისე ანატოლიის პროვინციების სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესასწავლად. ბულგარეთის არქივებში არსებული თურქული დოკუმენტების კოლექციებში აღმოჩნდა უამრავი ისეთი საბუთი, რომლებიც საგანგებოდ საქართველოს ეხება. დოკუმენტები მეტად მრავალმხრივია და ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მთელ რიგ მომენტებს ასახავს. ამ ძვირფასი წყაროების მიკროფილმები ბულგარეთიდან ჩამოიტანა დოქ. კ. მეშველიანმა<sup>127</sup>.

დასავლეთ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია დღემდე სრულიად უცნობი თურქული წყარო, რომელშიც XVII ს-ის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ლაშქრობის ამბებია დაწვრილებით აღწერილი. ამ წყაროს თურქული ტექსტი ფრანგულ თარგმანთან ერთად იწახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში<sup>128</sup>.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსი აგაპ სირრი ლევენდი ამ წყაროს ავტორად მიიჩნევს ნიუდელი ყადი ნამი მეჰმედს, რომელიც 1673 წელს გარდაიცვალა. მისი განცხადებით, ეს ნამი სულთან მეჰმედ IV-ის დროს (1648—1687), როდესაც ოსმალებმა დასავლეთ საქართველოში ილაშქრეს, ყარსში იმყოფებოდა და იესუფ-ფაშას წაქეზებით 1660 წელს დაიწყო ამ თხზულების წერა. ნამი თან ახლდა ლაშქარს და დაწვრილებით აღწერა მთელი ლაშქრობის მსვლელობა. მისი აზრით, ეს ლაშქრობა სწორედ 1660 წელს შედგა<sup>129</sup>.

ბაბინგერის აზრით, ამ დოკუმენტური წყაროს ავტორი შეიძლება იყოს სულთან ოსმან III-ისა (1754—1757) და მუსტაფა III-ის (1757—1774) თანამედროვე პოეტი და დივანის ქათიბი ნამი, რომელმაც პეკიმოლლუ ალი ფაშას გარდაცვალების გამო ელევია დაწერა<sup>130</sup>. ამ თხზულების ავტორის — ნამის ბიოგრაფიის შესახებ ჯერ-

<sup>127</sup> კ. მეშველიანი, ბულგარეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, თსუ-ს შრომები. ტ. 127, გვ. 413—421. თბ., 1968.

<sup>128</sup> Fetih-Name der Hakk-i Gürcistan. N 872. v. 50. ხელნაწერი ინახება აგრეთვე უფსალას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც. იხ. Uppsala, Univer. -Bibl. N 293 (209). დამოწმებულია წიგნიდან: Agah Sırrı Levend, Gazavat-Namelei ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat-Namesi, Ankara. 1956. ამ წყაროს პარიზის ნუსხის თურქული ტექსტი ფრანგული თარგმანით მიკროფილმების სახით მივიღე პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებიდან. თურქული ტექსტი დავადგინე და ქართულ თარგმანთან ერთად სათანადო მეცნიერული კომენტარებით ეამზადებ გამოსაქვეყნებლად — ნ. შ.

<sup>129</sup> Agah Sırrı Levend, Gazavat-Namelei ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat-Namesi. Ankara. 1956. გვ. 117.

<sup>130</sup> Fr. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 289.

ჯერობით ცოტა რამ ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი მის მიერ აღწერილი ლაშქრობის უშუალო მონაწილეა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოსმალეთის სარდლობასა და საქართველოს სამეფო-სამთავროთა მეთაურებთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. თხზულების ბოლოს დასმულია თარიღი — ჰიჯრის 1146 (= 1733—1734) წ. ამ თარიღის მიხედვით, ფრ. ბაბინგერის მოსაზრება — ნამის XVIII ს-ის ავტორად მიჩნევის შესახებ, თითქოს მართებულად გამოიყურება, მაგრამ თხზულების მთელი შინაარსი, მასში მითითებული თარიღი — 1660 წელი და ოსმალთა ლაშქრის მეთაურთა და წყაროს ავტორის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან — შაჰ-ნავაზთან, მის შვილთან — იმ პერიოდში იმერეთის მეფედ მყოფ არჩილთან და სხვებთან აღწერილი ურთიერთობის ამბები უცილობლად ადასტურებენ, რომ ძეგლი დაწერილია 1660 წელს და მისი ავტორია ჰასან ალა ნამი. წყაროში ავტორი არაერთხელ იხსენიებს თავის თავს. აღნიშნავს, რომ თვითონ ჰასან ალა ნამია და მთელი თხზულებაც მან დაწერა.

წყაროს მიხედვით, სულთანმა სარდალი გაგზავნა არზრუმის, ჩილდირისა და ყარსის ვილაიეთებში, რათა მნიშვნელოვანი სამზადისი ჩაეტარებინათ საქართველოში გადაწყვეტილი ლაშქრობისათვის. წყაროში დახასიათებულია ლაშქრის რეალური მდგომარეობა, საქართველოში მოსალოდნელი ლაშქრობის პირობები. გზების, ფურაყისა და ამინდის შესახებ. საქართველოს წინააღმდეგ 4000 ლაშქარი დაიძრა არზრუმის, ჩილდირისა და ყარსის გამგებლების მუსტაფა-ფაშას, როსტომ-ფაშასა და იუსუფ-ფაშას მეთაურობით. მათ საერთო მეთაურად მთავარსარდალი ჰყავდათ. საქართველოში გამგზავრებული ლაშქარი მკაცრი ზამთრისა და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ავტორი აღნიშნავს, რომ გზაზე თოვლი თანდათანობით მატულობდა, დიდი ნისლი იყო, ბევრი ჭაობში იფლობოდა, ბევრი ციკაბო ადგილებიდან ვარდებოდა უფსკრულში, მაგრამ ოსმალთა ლაშქარმა მალე ხეებითა და ხილით სავსე ადგილებს მიაღწია. ლაშქარმა დაისვენა და გზა განაგრძო საქართველოსაკენ. როდესაც ოსმალთა ლაშქარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა, ქართველებმა მოციქულები გამოაგზავნეს. მათ შორის იყვნენ ბერები. კათალიკოსი და ოფიცერთა ჯგუფი. ქართველთა მოციქულებმა დაინახეს რა ოსმალთა უზარმაზარი ლაშქარი, თანხმობა განაცხადეს ოსმალთა მიერ წამოყენებულ წინადადებაზე.

ქართველთა წარგზავნილებმა უკან გამგზავრებისას, ოსმალთა უზარმაზარი ლაშქრის მხილველებმა აღნიშნეს, რომ, მართალია, ჩვე-

ნი ბატონი (მეფე) არ იქნება კმაყოფილი ჩვენი მოლაპარაკების შედეგებით, მაგრამ რაც არ უნდა გვიქნან, ჩვენ არ შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ ამხელა ლაშქარს. ჩვენი სხევანაირი მოქმედებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ჩვენი ქვეყანა, არმია, ხალხი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი არმია ერთიანად განადგურდება, ჩვენს მეფეს დაატყვევებენ, მთელ ქვეყანას ცეცხლს მოსცემენ, ხალხი, მამაკაცები, ქალები, ბავშვები მონობის სამარცხვინო უღელქვეშ მოექცევიან<sup>131</sup>.

წყაროში არ ჩანს, თუ ვისი წარგზავნილები ეახლნენ ოსმალთა ლაშქარს. ველზე დაბანაკებულმა ოსმალთა ლაშქარმა ორი დღის შემდეგ თავისი ხალხი გაგზავნა ადგილობრივი ძალების დასათვალისწინებლად. ამასთანავე მათ თავიანთი კაცი გაგზავნეს დადიანთან, ხოლო თავად გადაწყვეტილება მიიღეს ალყა შემოერთყაჷ ქუთაისის ციხისათვის.

წყაროს მიხედვით, ქართველი თავადები და აზნაურები ჯერ ღრმა გამოქვაბულებში დაიმაღლნენ. შემდეგ იძულებული გახდნენ ოსმალთა ლაშქრის შესახვედრად გამოსულიყვნენ და თავყვანი ეყათ მათთვის, პატიება ეთხოვათ. ისინი ოსმალთა ძალებთან შეერთებას ითხოვდნენ და ყიზილბაშთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მათი თხოვნა ოსმალთა მთავარსარდლობამ საგანგებო თათბირზე მოიწონა და გადაწყდა, რომ დადიანი და მისი ვეზირიც მოეყვანათ. უღემებმა შეადგინეს პირობის წიგნი და დაადგინეს, რომ დადიანთან რაზმი გაეგზავნათ და ეუწყებინათ მისთვის, შეიდ დღეში ვეზირთან ერთად ჩაბარებოდა ოსმალთა სარდლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ომს გამოუტყხადებდნენ მას. დადიანისადმი მორჩილების წიგნის შირთმევა დაევალა ყარაის გამგებელს იუსუფ-ფაშას.

შემდეგ, წყაროებში აღწერილია იუსუფ-ფაშას თავისი ლაშქრით გამგზავრება დადიანის სასახლისაკენ. გზად მათ ადგილობრივი ლაშქარი შემოეყარათ, მაგრამ ოსმალთა ძალების სიჭარბის გამო მორჩილება არჩიეს. იუსუფ-ფაშა ადგილობრივ ხელისუფალთ არწმუნებდა, რომ სპარსელთა მორჩილებას ოსმალთა მოწყალება სჯობია, ჩვენ იმისათვის მოვედით, რომ მოიკრიფოთ გონება და გაიგოთ ეს კეშმარიტება. ქართველთა ლაშქრის მეთაურმა, რომელმაც ვერ შებედა წინააღმდეგობის გაწევა, მოახსენა იუსუფ-ფაშას, რომ არაფერი აქვთ საერთო სპარსელებთან. იუსუფ-ფაშამ ქართველთა მეთაური თავისი თანმხლები პირებით არზრუმის ფაშას კარავში გააგზავნა, აქედან კი იგი როსტომ-ფაშას ბანაკში გაგზავნეს. დადიანისაკენ მი-

<sup>131</sup> Fetih-Name der Hakk-ı Gürcistan. N 872. გვ. 61—62.

მავალ ოსმალთა ლაშქარს არაერთხელ შეხვდა ქართველ აზნაურთა რაზმი, მაგრამ მათ პირდაპირ შებმას მორჩილება ამჯობინეს. ლამი აღწერს მათ შეხვედრას და ზიზღით იხსენიებს მათ.

იუსუფ-ფაშამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა დადიანისათვის წარედგინა ოსმალთა ჯარისადმი მორჩილების წიგნი, ამ წყაროს ავტორს — ლამის დაავალა ამ მისიის შესრულება. ლამი აღწერს თავის ელჩობას დადიანის სასახლეში. მისი სიტყვით, დადიანის ვეზირმა იგი ბაღში მიიღო და სადილიც გაუმართა. ისაუბრეს და ბოლოს დადიანთან შეახვედრეს. იგი აღწერს დადიანთან მიღების ცერემონიას. დადიანი დათანხმდა, მიეღო მორჩილების წიგნი, მაგრამ ლამის ურჩია გადაეცა ოსმალთა სარდლობისათვის ქუთაისის ციხის აღებისაგან თავი შეეკავებინათ, იგი ქაობიან ადგილასაა გაშენებული და მის აღებას ვერ მოახერხებთო. დადიანი აღნიშნავდა, მე თვითონ წამოვალ თქვენთან და ვეახლები სარდლებსო, მე თქვენს ძმებს ვეძმები, მტრებს — ვუმტრებო. მაშინ ლამიმ ვრცელი სიტყვით მიმართა დადიანს, სადაც საგანგებოდ აღნიშნა ოსმალთა ლაშქრის უძლეველობისა და ქუთაისის ციხის აღვილად დაკავების შესაძლებლობაზე.

ლამი აღწერს ოსმალთა ლაშქრის გამგზავრებას ქუთაისისაკენ, მათ დაბანაკებას ქაქუთის ველზე. ოსმალებმა ჯერ 800 ბალთაჯი გაგზავნეს ქუთაისისაკენ გზების გასაწმენდად, შემდეგ კი ქუთაისი უბრძოლველად ჩაიბარეს. დადიანი 2000 კაცით მოვიდა ოსმალთა ლაშქრისადმი მორჩილების მისაღებად, მაგრამ პირდაპირ არ ეახლა მას. ორი მილის მანძილზე დაბანაკდა, ლამი მიიწვია თავისთან და მორჩილება მოაწესნა. ლამიმ ერთი ღამე დადიანთან გაატარა. დადიანმა ოსმალთა სარდლობას მორჩილების წერილები გაუგზავნა ამაღასთან ერთად. ამ წერილში დადიანი ბოდიშს იხდიდა თავისი საქციელის გამო და ყველაფერს ირანის შაჰს აბრალებდა. იგი ითხოვდა მმართველად დარტოვებას, კისრულობდა გადასახადების გადახდას და ყოველგვარი პირობის შესრულებას. იგი ფაშებს თხოვდა შეუამელობას სულთნის წინაშე.

ლამი აღწერს ოსმალთა ლაშქრის გამგზავრებას აღმოსავლეთ საქართველოსაკენ, იმერეთის მეფესთან ურთიერთობას, მის მორჩილებას და თხოვნას იმერეთის მეფედ ისევ არჩილის დატოვების შესახებ. ოსმალთა სარდლობის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა ქართლისათვის ალყის შემორტყმა. იმერეთ-ქართლის საზღვარზე მათ დაუხვდა ქართლის ელჩი, რომელიც ითხოვდა აჩიკ-ბაშის მეფედ ქართლის მეფის მემკვიდრე დაენიშნათ. ოსმალებმა მოსთხოვეს შაჰნავაზისა და მისი ვაჟის ხლება და ციხის გასაღების მოტანა.

წყაროში ბევრი, სრულიად უცნობი ამბავია აღწერილი. მისი ავ-

ტორი, როგორც აღენიშნეთ, საქართველოს სამეფო-სამთავროების წარმომადგენლებთან ოსმალთა სარდლობის ურთიერთობის უშუალო მონაწილე და მთავარი მოქმედი პირია. იგი დეტალურად აღწერს ყველაფერს, რისი თვითმხილველი და მონაწილეც იყო. წყაროში არაერთი საყურადღებო ცნობაა როგორც საქართველოს საშინაო ვითარების, ისე საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის ცალკეული საკითხების გასათვალისწინებლად, ირან-ოსმალეთის ჭიდილისა და მათი უფლებების საქართველოში გავრცელების საკითხების შესასწავლად.

XVIII—XIX საუკუნეების დოკუმენტური წყაროები

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში განსაკუთრებით საინტერესო და ბევრი საბუთი მოიპოვება XVIII—XIX სს. ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის შესახებ. დღეისათვის ყველა საბუთი აღწერილია და თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოსაცემად მზადდება აკად. ს. ჯიქიასა და დოც. ც. აბულაძის მიერ. ამ ფონდებიდან გარკვეული ნაწილი გამოქვეყნებულია. ერთ-ერთი საბუთის ტექსტი (Tur. d. No 270) და ქართული თარგმანი საინტერესო შენიშვნებით გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქია<sup>1</sup>. საბუთი ეხება მამულის სამემკვიდრეოდ ბოძების საკითხს. დოკუმენტის მიხედვით სულთან ოსმან III (1754—1758) მამული სამემკვიდრეოდ უბოძებია ვინმე სულეიმან ეს'ადისათვის.

გამოქვეყნებული დოკუმენტი ძალიან საინტერესო წყაროა სამხრეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების გასარკვევად. ის არანაკლებ საინტერესოა თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების საკითხების შესასწავლადაც. დოკუმენტი ეხება ახალი სულთნის მიერ ტახტის დაკავებასთან დაკავშირებით ძველი ბერათის განახლების საკითხს, რომელსაც ფლობდა ვინმე ეს'ადი. ახალი სულთანი ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მიწისმფლობელ სულეიმან ეს'ადს უმტკიცებს ძველ პრივილეგიებს. ფირმანიდან ჩანს, რომ ამ დროს საერთოდ მიმდინარეობდა ბერათებისა და ფირმანების განახლება. სულეიმან ეს'ადს, რომელიც წინა სულთნის ფირმანის საფუძველზე ფლობდა ქართულ ტერიტორიებზე მამულებს, ახალმა სულთანმა დაუტოვა თავისი პრივილეგიები და შეუნარჩუნა ძველი უფლებები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სულეიმან ეს'ადი იერთ-

<sup>1</sup> ს. ჯიქია, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. II. თბ., 1960, გვ. 161—185.

ლუქისა და ოჯაქლიქის საფუძველზე ფლობდა მამულებს და მისი შემოსავლის რაოდენობა ახჩებით შეადგენდა ორ იუქსა და ცხრაას ახჩას. ამის გარდა საბუთიდან ჩანს, რომ სულეიმან ეს'ადი ფლობდა ალთუნ-ყალას, ოცხისა და ახალციხის სანჯაყებს, ალთუნ-ყალას რაბათს, რომელსაც მეორე სახელი შოყა ერქვა და ალთუნ-ყალას სახასოში შემავალ სხვა მამულებს.

სულთანი აღნიშნულ მამულებს ისევ იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით უბოძებს სულეიმან ეს'ადს, სამაგიეროდ საბუთში ხაზგასმულია, რომ სულეიმან ეს'ადმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი. საბუთიდან ჩანს, რომ სულეიმან ეს'ადი სანჯაყ-ბეგია და მამულები, რომელიც მას უკავია, ლივას წარმოადგენს. მხოლოდ არ ჩანს, თუ რომელი ლივაა იგი. სულთანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სულეიმან ეს'ადი სანჯაყ-ბეგად იცნონ და მას დაექვემდებარონ ყველა ადმინისტრაციული და სამოხელეო თანამდებობის პირები. მომაქვს ვრცელი ამონაწერი ფირმანიდან: „ეინაიდან ამჟამად მოხდა ჩემი სამეფო და ბედნიერებას მიღწეული აღსვლა ოსმალთა მალალ და სეიან ტახტზე და, რადგანაც ამასთან დაკავშირებით, საერთოდ მიმდინარეობს განახლება ჰუქუმებისა, ბერათებისა და ფირმანებისა, ამიტომ კეთილშობილი ემირების წინამძღოლმა სულეიმან ეს'ადმა — ხანგრძლივი იყოს დიდებულება მისი — რომელიც იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით და ათას ას სამოცდაათი წლის რები-ულ-ახირის მეშვიდე დღით დათარიღებული ყოფილი ხონტქრის ბერათის საფუძველზე ფლობს ორი იუქი და ცხრაასი ახჩის შემოსავლიანსა და ალთუნ-ყალას, ოცხისა და ახალციხის სანჯაყებსა და ალთუნ-ყალასა და სხვა ნაჰიიეებში მდებარე ალთუნ-ყალას რაბათს (მეორე სახელი სოფელი შოყა) და ალთუნ-ყალას სახასოში (შემავალ) სხვა მამულებს... ებოძოს ზემოხსენებულ სულეიმან ეს'ადს... ჩემი ბედნიერების ზღურბლიდან მე ის ვცანი ღირსეულად, შესაბამისად, ღირსპატივისცემად და დამსახურებულად და მივეცი, რაც აქვე იხსენიება...“<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დოკუმენტი მეტად საინტერესო წყაროა თურქეთ-საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად, მით უმეტეს, რომ XVIII ს-ის შუა წლებისათვის აღნიშნული საკითხების შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ ფირმანის, როგორც წყაროს მნიშვნელობა სხვა მხრივაც არის საყურადღებო, მასში საინტერესოა ის, რომ სულთანი ბერათის განახლებასთან დაკავშირებით გაცემულ სიგელში

<sup>2</sup> ს. ჯიქია, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შ რ ო მ ე ბ ი. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. II, თბ., 1960, გვ. 167—168.

ისევე ძველ მფლობელს უტოვებს თავის უფლებებს და იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით ქართული მამულების მფლობელს უდასტურებს თავის პრივილეგიებს, ამ დოკუმენტში იურთლუქისა და ოჯაქლიქის მოხსენიება ძალიან დიდი მნიშვნელობისაა.

როგორც ცნობილია, ოსმალური მიწისმფლობელობის სისტემაში არსებობდა იურთლუქებისა და ოჯაქლიქების კატეგორია. ოსმალთა ხელისუფალნი მათ მიერ დაპყრობილ განაპირა ტერიტორიებზე ადგილობრივ ფეოდალებს მიწებს უნარჩუნებდნენ იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით. ეს იმას ნიშნავდა, რომ ადგილობრივ ფეოდალებს ხელი მიუწვდებოდათ მათ მიწებზე მოსახლე გლეხებზე, სარგებლობდნენ საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტით და ეს ფეოდალები იყვნენ უშუალოდ პასუხისმგებელნი სულთნის ხელისუფლების წინაშე. ამჟერადაც, სულთნის მიერ განახლებული ბერათი ადგილობრივ ფეოდალს უხანგრძლივებდა უფლებებს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. თავის მხრივ სულთნის ბერათით შეწყალებული ფეოდალი ვალდებული იყო პირნათლად შეესრულებინა ვალდებულებანი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, დროზე გადაეხადა გარდაკვეთილი გადასახადები და სხვ. იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწის მფლობელი ფეოდალი მისადმი ბოძებული მიწებისა და მასზე მოსახლე გლეხების სრული ბატონ-პატრონი იყო.

ამ დოკუმენტში იურთლუქებისა და ოჯაქლიქების მოხსენიება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ XVIII ს-ის 50-იანი წლებისთვისაც კი ოსმალებმა ვერ მოახერხეს ქართული მიწისმფლობელობის სისტემის საბოლოო გაუქმება. ისინი გარკვეულ დამობებზე წავიდნენ. იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწების მფლობელობა იყო გარკვეული კომპრომისი. ამ წესით ქართული მიწების მფლობელნი იყვნენ ქართველი ფეოდალები, რომლებიც გარკვეულ ვალდებულებას კისრულობდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, მაგრამ თავიანთ მიწებზე თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ატარებდნენ საკუთარ პოლიტიკას. ეს ქართველი ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ ყოველი ახალი სულთნის ტახტზე ასვლასთან ერთად განეახლებინათ თავიანთი ბერათები, რომლითაც მათ ეძლეოდათ ეს უფლებები გარკვეული ტერიტორიების მიმართ.

ქართველ ფეოდალთა ეს პრივილეგიები — იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწების ფლობა XIX ს-ის შუა წლებამდე გაგრძელდა. მიწისმფლობელობის ეს ნახევრად კერძომესაკუთრული ფორმები ოსმალეთის ხელისუფლებამ გააუქმა თანზიმათით. მართალია, თანზიმათამდე მიწისმფლობელობის ეს კატეგორიები არსებობდა, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მის შეზღუდვას,



შემცირებას. ხოლო თანზიმათით იგი საბოლოოდ გააუქმა და ყველა მიწა ოსმალეთის მიწისმფლობელობის კატეგორიებს დაუქვემდებარა.

იურთლუქებისა და ოჯაქლიქების სისტემა არსებობდა ოსმალურ საქართველოშიც. ა. ავალიანს საგანგებოდ აქვს შესწავლილი იურთლუქების არსებობის საკითხი აჭარაში XIX ს-ში, მისი გაუქმებისა და აჭარაში არსებული ოსმალური მიწისმფლობელობის საკითხები<sup>3</sup>. იგი აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ ქართულ სანჯაყში (ლივანა, ნისფი-ლივანა, შავშეთი, აჭარა და ნაწილობრივ ფანაჯი) თურქი დამპყრობლები ადგილობრივი თავადაზნაურობის წინაშე იძულებული იყვნენ დათმობებზე წასულიყვნენ. ამ სანჯაყებს ადგილობრივი ფეოდალები... იურთლუქის, ოჯაქლიქისა და მულქიეთის საფუძველზე ფლობდნენ. ეს უფლება კი ძალიან გავს და თითქმის არაფრით განსხვავდება მულქის კატეგორიისაგან... ეს უფლება იკვეცებოდა, იზღუდებოდა, თანზიმათმა კი იგი საერთოდ გააუქმა“<sup>4</sup>. იქვე ა. ავალიანი შენიშნავს, რომ „ქართველი ფეოდალები XVII საუკუნის დასაწყისში ფანასკერტსა, ლივანასა, ნისფი-ლივანასა და შავშეთთან ერთად აჭარაშიაც მფლობელობას ახორციელებდნენ იურთლუქის, ოჯაქლიქისა და მულქიეთის ე. ი. საგვარეულო, სამემკვიდრეო და კერძო საკუთრების უფლებით. ეს იყო ის პრივილეგიები, რომელიც იმ დროისათვის ქართველ ფეოდალებს გააჩნდათ და რომელმაც თანდათანობით სახე იკვალეს, უფრო შეკვეცილი ფორმები მიიღეს“<sup>5</sup>.

მოტანილი დოკუმენტი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ სულთნის ბერათის მფლობელი იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მიწებს ფლობს არა იმპერიის განაპირა მხარეებში, არამედ სამცხეში. ამ დოკუმენტით იურთლუქებსა და ოჯაქლიქებს წარმოადგენენ ისეთი ტერიტორიები, როგორიცაა ალთუნ-ყალას რაბათი, ოცხისა და ახალციხის სანჯაყები, ხოლო ეს ტერიტორიები, როგორც ცნობილია, ოსმალეთს XVI ს. მიწურულისათვის უკვე მიტაცებული ჰქონდა და ინტენსიურად ეწეოდა მის ინკორპორაციას. ამ დოკუმენტით აშკარად ჩანს, რომ XVIII ს. შუა წლებისთვისაც კი ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული გამხდარა დათმობებზე წასულიყო და მიუხედავად ამ ქართულ ტერიტორიებზე საუკუნეზე მეტი ხნის ბატონობისა, აქ იურთლუქებისა და ოჯაქლიქების შემოღებით დაკმაყოფილებულიყო. ეს ფაქტი მიუთითებს ადგილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგობასა და „ქართველობისათვის“ ბრძოლის სიძლიერეზე. როგორც აღვნიშნეთ,

<sup>3</sup> ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, 1960, ბათუმი, გვ. 106.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 59—60.

მიწისმფლობელობის ამ ფორმების შენარჩუნებით ქართველი თავადე-  
ზი გარკვეულ პრივილეგიებს ინარჩუნებდნენ. ოსმალურ დოკუმენ-  
ტურ და ნარატიულ წყაროებში იურთლუქისა და ოჯაქლიქის გვერ-  
დით გვხვდება ტერმინი „ოჯაქლიქ ჰუქუმეთი“. ეს კი გულისხმობდა  
პოლიტიკური დამოკიდებულების ისეთ ფორმას, რომელიც გამორი-  
ცხავდა „ოსმალობის“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტე-  
მის) არსებობას. ასეთი „ოჯაქლიქ ჰუქუმეთი“ იყო დასავლეთ საქარ-  
თველო. პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „ეს თურქული ტერმი-  
ნი ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ისეთი ვილაიეთებისათვის, სადაც სან-  
ჯაყები არ არსებობდა, ხოლო მფლობელობის დამოუკიდებელი მდგო-  
მარეობა განპირობებული იყო „ოჯაქლიქებით“ და „იურთლუქებით“.  
ერთი და მეორეც „მულქიეთთან“ ერთად აღნიშნავდა ფეოდალების  
საკუთრებაში მყოფ მიწებს, მაშინ როდესაც სანჯაყებში განლაგებული  
მიწები ოსმალური მიწისმფლობელობის წესისამებრ მხოლოდ დროე-  
ბით მფლობელობაში იყვნენ გაცემული“<sup>6</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, იურთლუქები და ოჯაქლიქები ოსმალეთში  
აღნიშნავდა მემკვიდრეობით მფლობელობას. ასეთ მემკვიდრეობით  
მფლობელობაში მყოფი მიწებისაგან მიღებული შემოსავალი სხვადა-  
სხვა დანიშნულებას ხმარდებოდა. როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი აღ-  
ნიშნავს: „ამ მიწების შემოსავალი ხმარდებოდა ციხე-სიმაგრეების მე-  
ციხოვნე ჯარების შენახვას და მისთანებს. იურთლუქები და ოჯაქლი-  
ქები დამოწმებულია აგრეთვე ოსმალეთის იმ მომთაბარულ რაიონებ-  
ში, სადაც ტომთა ბელადები ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეო-  
ბით სარგებლობდნენ (მაგ., ქურთები და სხვ.)“<sup>7</sup>.

აღნიშნულ დოკუმენტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტორიუ-  
ლი გეოგრაფიის საკითხების გასარკვევადაც. ამ დოკუმენტში მოხსე-  
ნებულია ისეთი გეოგრაფიული პუნქტები, რომელთა დადგენას გარ-  
კვეული მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის აღ-  
მინისტრაციული ერთეულების შესწავლისათვის. მაგალითად, დოკუ-  
მენტში ნათქვამია: „ალთუნ-კალას რაბათი, მეორე სახელი შოყა, ექვემ-  
დებარება ალთუნ-კალას“<sup>8</sup>. ალთუნ-კალა თურქული სიტყვაა და ნიშ-  
ნავს ოქროს ციხეს. პროფ. ს. ჯიქიას გამოკვლევით, „ოქროს ციხე ან  
Altun-kal'a სახელია იმ ციხე-სიმაგრისა, რომელიც ადიგენის რაიონ-

<sup>6</sup> ვ. გაბაშვილი, XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენ-  
ტური მასალები როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური  
ისტორიისათვის. თსუ-ს შრომები, 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, გვ. 315,  
1960, თბ.

<sup>7</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნე-  
ებში. თბ., 1958, გვ. 185.

<sup>8</sup> ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., . . . გვ. 168.

ში სოფ. შოყას ზემოთ მდებარეობდა (მისი კედლები დღესაც დაცულია...). ამჟამად ადიგენის რაიონში სოფ. შოყა, ფრეხო და ზემო ენთელ სოფლებთან ერთად, ფხეროს სასოფლო საბჭოში შედის<sup>9</sup>.

დოკუმენტში დასახელებულია ათამდე გეოგრაფიული პუნქტი. ესენია: ბელნარა, ჭულეს ეკლესია, جو جو -ის სათესველი სოფელი კიკიბოსთან, ქორთა, ხორჯომი, გორა, ვალისონი, სუმუხთუბანი, ზემო მოხე ქვემო მოხეთურთ და სხვა. ამ გეოგრაფიული სახელების რაობისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ საინტერესო შენიშვნები აქვს პროფ. ს. ჯიქიას. მას დაზუსტებული და გარკვეული აქვს ამ გეოგრაფიული სახელების ზუსტი ადგილი და მისი დღევანდელი ადგილმდებარეობა ადმინისტრაციული დაყოფის სისტემაში<sup>10</sup>. ამიტომ ამ საკითხებზე ჩვენ აქ საუბარს არ გავაგრძელებთ. ჩვენს უურადლებას იპყრობს ამ დოკუმენტში მოხსენებული ტერმინები და რაოდენობა ოსმალური გადასახადებისა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისადმი იყო გაწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის მიხედვით თითოეული გეოგრაფიული პუნქტის დასახელებისას იქვე აღნიშნულია გადასახადების ჯამი. ამას გარდა ცალ-ცალკეც არის აღნიშნული გადასახადების სხვადასხვა სახეობანი. მაგალითად, დოკუმენტში მოხსენებულია ჯიზია და მურახხასიე. იქ ნათქვამია: „შემოსავალი ხსენებული ლივას ჯიზიასა და მურახხასიიდან ზაიმთა (ზაიმეთებისა) და თავისუფალ თიმართა გამოკლებით, თითო-თითო კომლიდან წელიწადში — 4.000“<sup>11</sup>.

ზემოთ მოტანილ ციტატაში დასახელებული ჯიზია იყო არამუსლიმან მოსახლეობაზე დაწესებული სულადი გადასახადი. ამ გადასახადისაგან არ თავისუფლდებოდა ქრისტიანული მოსახლეობის არც ერთი ფენა. ამ გადასახადით იბეგრებოდა არა ცალკეული პირები ამა თუ იმ სახლიდან, არამედ სახლის უფროსები<sup>12</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი ციტატა ზუსტად გამეორებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მინაწერში, რომელიც დათარიღებულია 1786 წლით. აქ ვკითხულობთ: „შემოსავალი ჯიზიესა და მურახხასიეს

<sup>9</sup> ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ... გვ. 172.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 172—177.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>12</sup> Б. Недков, Поголовният данък в Османска империя с оглед на България. Исторически преглед, год 2, кн. I. 1945. София, გვ. 22—23.

ჯიზიას გადასახადის შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს იუგოსლაველ მეცნიერს ჰამიდ ჰაჯიბეგიჩს Н. Hadzibegic, Džizija ili Harac, Prilozi za orijentalnu filologiju Istoriju Jugoslovenskih naroda pod Turskom vladavinom. III—IV, 1952—53. Sarajevo, 1953. Y, 1954—55.

პატრონთაგან, ზაყიმებისა და თავისუფალ თიმართა გამორიცხვით, წელიწადში — 4.000<sup>13</sup>. აქ ლაპარაკია ახას რაიონზე, რომელიც ექვემდებარებოდა ახალქალაქის ლივას. ამ გადასახადის მოხსენიება ამ დოკუმენტში და აგრეთვე „დავთრის“ მინაწერში, მეტყველებს ამ რაიონში ჯერ კიდევ ქრისტიანული მოსახლეობის არსებობაზე. ჯიზიას გადასახადი მძიმე ტვირთად აწვებოდა არათურქი, ქრისტიანი მოსახლეობის მწარმოებელ ნაწილს. ჯიზიას გადასახადი სხვადასხვა ოდენობით იკრიფებოდა. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობისათვის ჯიზია ერთიანი, უნიფიცირებული ოდენობის გადასახადი არ იყო. იგი სხვადასხვა ვილაიეთისათვის სხვადასხვა ოდენობით იყო რეგლამენტირებული კანუნ-ნამევეში. გურჯისტანის კანუნ-ნამეში იგი საერთოდ არ არის აღნიშნული. მაგალითად, დამასკოს ვილაიეთში ჯიზიას გადასახადი სხვადასხვა ზომით გაიღებოდა. მის შესახებ დამასკოს ვილაიეთის კანუნ-ნამეში ვკითხულობთ: „ზემოხსენებულ ლივაში მცხოვრები ქაფირების თვითეულ სულზე სახელმწიფოს ბრძანებით 40—40 ჯიზია გადასდება, რომელიც 80 ოსმალურია“<sup>14</sup>. ამავე კანუნ-ნამეს მომდევნო თავში კი ნათქვამია, რომ „ქაფირების ჯიზია ხუთი აჩჩა, ებრაელებისაგან 22 აჩჩაზე მეტია (ჩაწერილი) ფირმანით და ახალ დავთარშიც ასეა ჩაწერილი“<sup>15</sup>. მაშასადამე, ჩანს, რომ ერთსა და იმავე ვილაიეთში ჯიზიას გადასახადი სხვადასხვა რაოდენობითაა განსაზღვრული. ამავე დროს სულ სხვა ოდენობითაა იგი გაწერილი ებრაელებზეც, რომლებიც დამასკოს ვილაიეთში ცხოვრობდნენ.

ოსმალეთის იმპერიაში ჯიზიას გადასახადის არსებობა ნათლად მეტყველებდა რელიგიურ-ნაციონალური დისკრიმინაციის პოლიტიკაზე. მართალია, მუსლიმან რეაიას მძიმე ფეოდალური ვალდებულებანი ემართა და საამისო მასალები უხვადაა მოტანილი ოსმალურ წყაროებში, მაგრამ თურქი რეაიასაგან განსხვავებით არამუსლიმანი მწარმოებელი საზოგადოება გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყოველ არამუსლიმანს, მამრობითი სქესისას, 15-დან 75-წლამდე მართებდა გადაეხადა ჯიზია<sup>16</sup>. ამ გადასახადის არსებობა მკაფიოდ უსვამდა ხაზს მუსლიმანების უპირატესობას არამუსლიმანებთან შედარებით. ჯიზიას გადასახადის არსებობა თავისთავად ნათლად მეტყველებდა იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას ეწეოდა ოსმალეთის მთავრობა იმპე-

<sup>13</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II. ქართ. თარგ., გვ. 257. წ. I. თურქ. ტექსტი, გვ. 251.

<sup>14</sup> Ö. L. Barkan, XV-ve XVI üncü Asırlarda Osmanlı İmparatorluğunda Zirai Ekonominin Hukukî ve Malî Esasları. Birinci Cilt, Kanunlar, İstanbul, 1943, გვ. 296.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე.

<sup>16</sup> C. H. Becker, Cizye, İslâm Ansiklopedisi, Cilt III, İstanbul, 1944. გვ. 199—201.

რის არამუსლიმანი მოსახლეობის მიმართ. ქრისტიან მოსახლეობაზე ჯიზიას გადასახადის არსებობა ერთიორად ამწვავებდა რეაიას ისედაც ნაძივე ეკონომიურ მდგომარეობას. ამ გადასახადის საშუალებით ოსმალეთის მთავრობა ქრისტიან მოსახლეობას ეკონომიურად აიძულებდა დაეთმო ქრისტიანული სარწმუნოება და მიეღო მუსლიმანობა.

ოსმალური ფეოდალური არისტოკრატია ქრისტიან მოსახლეობაზე ჯიზიასა და სხვა გადასახადების დაწესებით აღვივებდა რელიგიურ ფანატიზმს და სიძულვილს თურქი მოსახლეობისა არათურქი ქრისტიანი რეაიას მიმართ. გაბატონებული კლასი ამით ცდილობდა ჩამოეშორებინა თურქი გლეხის ყურადღება სახელმწიფოში გამოწვეული სოციალური წინააღმდეგობებისათვის და ხელი შეეშალა მათთვის ნამდვილი კლასობრივი ექსპლოატატორის შეცნობაში. ქრისტიანი რეაიას ფეოდალურ ექსპლოატაციასთან ორგანულად იყო დაკავშირებული მათი რელიგიურ-ნაციონალური დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ამუხრუჭებდა დაპყრობილი არათურქი მოსახლეობის განვითარებას.

ჯიზიას გადასახადთან ერთად დოკუმენტში მოხსენებულია მურახხასიეს გადასახადი. იგი ჯიზიასთან ერთად იკრიფებოდა. ჯერჯერობით მთლად ნათელი ვერ არის თუ რა სახის გადასახადი იყო იგი. ყოველ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ იგი არამუსლიმან მოსახლეობაზე უფრო იყო გაწერილი, ვიდრე მუსლიმანზე. მურახხასიეს შესახებ დავთარში უხვადაა ცნობები დაცული. იქ ნათქვამია: „გურჯისტანის ვილაიეთში გამოსაღები მურახხასიეს სახით თვითეულ კაცზე თურმე ორ-ორ ახჩას იღებდნენ. ახალ სასულთნო დავთარში ჩაწერილობის შესაბამისად, რეაიას მდგომარეობის შესამსუბუქებლად თითოეულ კომლზე უნდა აიღონ ორ-ორი ახჩა. ზედმეტი არ უნდა აიღონ“<sup>17</sup>. ამას გარდა მურახხასიეს გადასახადი დავთრის მიხედვით თითქმის ყოველ ლივაზეა შეწერილი, ამასთანავე იგი სხვადასხვა რაოდენობითაა გაწერილი მოსახლეობაზე. დავთრის გარდა, სხვა ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში მურახხასიეს გადასახადი იშვიათად გვხვდება. ჩანს, რომ ის მუსლიმან რეაიას ოსმალეთის შიდა პროვინციებში არ ემართა, ბარკანის მიერ გამოცემულ კანუნ-ნამეების კრებულში მურახხასიეს გადასახადი დამოწმებულია მხოლოდ იმ პროვინციების კანუნ-ნამეებში, სადაც ჭარბობდა არამუსლიმანი მოსახლეობა. მაგალითად, იგი დამოწმებულია გურჯისტანის, არზრუმისა და ერზინჯანის კანუნ-ნამეებში.

საინტერესოა, რომ მურახხასიეს გადასახადი არზრუმის კანუნ-

<sup>17</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგ., გვ. 4, წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 3.

ნამეში გაიგივებულია kara — baṣ-თან, ხოლო kara — baṣ-ი პროფ. ს. ჯიქიას განმარტებით, ნიშნავს ბერს, სომეხთა ეპისკოპოსს და მის-თანებს<sup>18</sup>. ამ განმარტების მიხედვითაც ჩანს, რომ მურახხასიეს გადასახადი ქრისტიანობის მატარებელ პირებთან არის დაკავშირებული. ყურადსაღებია, რომ ეს გადასახადი გვხვდება აგრეთვე ქართულ წყაროებშიაც. იქ ნათქვამია: „ჩავათხანის შვილი რო ზევლათ ამოყევანათ და ამისი ხარჯიც დღეში თორმეტი მანეთი რუსები აძლევდნენ, ახლა მურახხასი უქნიათ...“ „მეფემან ირაკლიმ დაქერილთა მურახხასი უყო და ჭავიანთ ქუეყანაში გაუშუა“. „ოდეს ღმერთმა ხელი მოუმართა, იქილამ დიდს ხელმწიფეს შაჰნშას მურახხასი მიეცა და მშვიდობით ბატონუჰმანი მოხვედით“<sup>19</sup>. დ. ჩუბინაშვილს მურახხასი განმარტებული აქვს როგორც განტეება, გაშვება<sup>20</sup>.

ჯიზიასა და მურახხასიეს გადასახადების გარდა დოკუმენტში მოხსენებულია ბად-უ ჰავასა და საქორწინო გადასახადები, ნაჩვენებია მათი წლიური ჯამი. იქ ნათქვამია: „სიფაჰიების თიმარების ბად-უ ჰავას ნაქევარი და საქორწინო, ზაიმთა (ზიამეთებისა) და თავისუფალი თიმარების გამოკლებით, წელიწადში — 11.585“<sup>21</sup>.

ბად-უ ჰავასა და საქორწინო გადასახადების შესახებ საკმაოდ ცნობები მოგვეპოვება ოსმალურ დოკუმენტურ წყაროებში. მათზე არსებობს სპეციალური ლიტერატურა. ბად-უ ჰავასა და საქორწინო გადასახადების შესახებ უხვ ცნობებს იძლევა დავთარი. დავთრის მიხედვით, იგი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა გაწერილი თითქმის ყველა სოფელზე.

საქორწინო გადასახადი გადახდებოდა იმ პირს, ვინც ქორწინდებოდა. იგი გადასახადს იხდიდა პირველი ღამის უფლების გამოსყიდვის სახით. საქორწინო გამოსაღებს სხვადასხვა ოდენობით იხდიდა ქრისტიანი და მუსლიმანი, ქერივი და ქალწული. ამ გადასახადის გადახდისას გარკვეულ პირობებში იყვნენ ჩაყენებული იურუქები და მომთაბარე ტომები. გადასახადის რაოდენობა სარწმუნოებრივი თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით ჩაწერილი იყო კანუნ-ნამეში. ოსმალურ წყაროებში საქორწინო გამოსაღების აღსანიშნავად გვხვდება resmi arus, resmi arusane, resmi nikâh, resmi gerdek. წყაროების

<sup>18</sup> ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ. გვ. 183.

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის. II. გვ. 297; ე. თაყაიშვილის „კვიციანის“ (ცალკე ამონაბეჭდი). გვ. 49. „საქართველოს სიძველენი“, III, გვ. 457.

<sup>20</sup> შაჰინაშაჰ ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, თბ., 1957. გვ. 28.

<sup>21</sup> ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

მიხედვით მუსლიმანები „რესმი არუსანეს — ქალიშვილისაგან 60 და ქვრივი ქალისაგან — 30 ახჩას იღებენ“<sup>22</sup>. ზოგიერთ ვილაიეთებში კი — „ქალწულისაგან 40—40 და ქვრივისაგან 25—25 ახჩა რესმი არუსანეს იღებენ“<sup>23</sup>. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანთან შედარებით მუსლიმანი საქორწინო გამოსაღებს ორჯერ მეტს იხდიდა. წყაროებში განმარტებულია, რომ „რესმი არუსს მუსლიმანი ქალიშვილისაგან — 60 ახჩა და ქვრივისაგან — 30 ახჩა აიღება“<sup>24</sup>.

საქორწინო გადასახადს მიწის პატრონი იღებდა. წყაროების მიხედვით, „ქალიშვილი რა აღვილიდანაც არ უნდა გათხოვდეს მამამისი ვისი რაიათიცაა იმ სიფაჰს უხდის არუსანეს. ქვრივი ქალი რა აღვილიდანაც არ უნდა გათხოვდეს, რესმი არუსს მას (მიწის პატრონს) უხდის“<sup>25</sup>. საქორწინო გადასახადის აკრფებისას, როგორც ჩანს, მიწის მფლობელობასაც ექცეოდა ყურადღება, რადგან გადასახადი ძირითადად მიწისმფლობელის სასარგებლოდ იკრიფებოდა. ოსმალეთში მომთაბარე იურუქების ტომიდან საქორწინო გამოსაღებისა და სხვა გადასახადების აკრფვა ძნელდებოდა, რადგან ისინი არ იყვნენ მიწასთან მიმაგრებულნი და მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაგრამ კანონთა კრებულებში მანც აღნიშნული იყო, რომ მომთაბარე ტომებისაგან „რესმი არუსანე სუბაშისაა. მაგრამ სიფაჰისა და სიფაჰის რეაიას ოჯახიდან თუ გათხოვდა, გადასახადი, კანონის მიხედვით, სიფაჰისაა“<sup>26</sup>.

ოსმალური კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო, რომ საქორწინო გამოსაღები გაღებულყო მხოლოდ იმ ქვეშევრდომთაგან, ვინც მიწაზე იყო მიმაგრებული და ვისაც გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მაგალითად, მომთაბარე თურქების ტომებისაგან საქორწინო გამოსაღებისა და სხვა რაიმე გადასახადის აკრფვა იკრძალებოდა იმის გამო, რომ ისინი მიწაზე არ იყვნენ მიმაგრებული და მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

გურჯისტანის კანუნ-ნამეში იურუქებისა და იუზდეჯის შესახებ ნათქვამია, რომ „ვინაიდან იურუქისა და იუზდეჯის ტომებს არ გააჩნიათ განსაზღვრული (საცხოვრებელი) ადგილი, ქალწული და ქვრივი მამასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით თანაბარნი არიან“<sup>27</sup>. იმ გარემოებას, რომ თურქები მუსლიმანებს გაცილებით მეტს ახდევინებდნენ, ვიდრე ქრისტიანებს, გ. იბრაჰიმოვი ხსნის იმით, რომ თურ-

<sup>22</sup> ო. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ.: 158, 165, 181, 207, 20 და სხვ.

<sup>23</sup> ი ქ ვ ე, გვ. 314.

<sup>24</sup> ი ქ ვ ე, გვ.: 321, 317, 302, 324.

<sup>25</sup> ი ქ ვ ე, გვ. 181.

<sup>26</sup> ი ქ ვ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

<sup>27</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II. ქართ. თარგმ., გვ. 3. წ. I. თურქ. ტექსტი, გვ. 2.

ქის ქალები უფრო ძვირად ფასობდა და უფრო მეტი ღირსებები გააჩნდა თურქი ფეოდალის თვალში, სხვა ეროვნების ქალები მხოლოდ ჰარამხანებისთვის თუ გამოდგებოდა, ამიტომ საქმრო არამუსლიმანი ქალწული ქალისთვის იხდიდა საქორწინო გადასახადს დადგენილი კანონის მიხედვით, ნახევრის ოდენობით, ე. ი. 30 ახჩას, ხოლო არაქალწულისათვის — 25 ახჩას<sup>28</sup>.

საქორწინო გამოსაღების აკრეფის შესახებ კანონთა წიგნში ნათქვამია: „ზაიმთა, თიმარის მფლობელთა, მონადირეთა, ციხის მცველთა და ღურებას ასულთაგან საქორწინო გამოსაღები მიწერილი აქვს სულთნის სახასოს (სალაროს), იგი სულთნის სახასოს ემინებმა უნდა აიღონ“<sup>29</sup>.

საქორწინო გადასახადის არსებობა ოსმალეთში და ასევე მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, მიუთითებს იმაზე, რომ რეაიას არ ჰქონდა უფლება თავისუფლად მოეწყო თავისი პირადი ცხოვრება, ისინი კანონით ვალდებულნი იყვნენ თავიანთი სიფაჰიებისათვის ფულადი გადასახადი გადაეხადათ. ჩვენს შემთხვევაშიაც, როგორც ზემოთ მოტანილი ადგილიდან ჩანდა, საქორწინო გადასახადს ბად-უ ჰავასთან ერთად იხდიდა ქართული მოსახლეობა. ამ გადასახადის შემოღებითაც ჩანს, რომ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას ოსმალეთის ხელისუფლება XVIII ს-ის შუა წლებში ბეგრავდა იმ გადასახადებით, რასაც აწერდა ადრე როგორც სამცხის მოსახლეობას, ისე სხვა დაპყრობილი პროვინციების მწარმოებელ საზოგადოებას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ დოკუმენტში საქორწინო გადასახადთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოითხოვდა ბად-უ ჰავას გადასახადებს. ისე როგორც ამ დოკუმენტში, დავთარშიც ბად-უ ჰავას გადასახადები არეულია საქორწინო გადასახადების რაოდენობასთან და ძნელი ხდება ბად-უ ჰავასა და საქორწინო გამოსაღებთა ოდენობის ცალ-ცალკე გამოანგარიშება. დავთრიდან ჩანს, რომ ეს ორივე გადასახადი საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევა ქართველ მოსახლეობას. მისი ოდენობა მთელი ვილაიეთისათვის 168.625 ახჩას შეადგენდა, იგი ყველაზე დიდი რაოდენობით ახალციხის ლივაში იკრიბებოდა (149.938 ახჩა). ამ გადასახადს, როგორც წესი ყველა სოფელი იხდიდა.

ბად-უ ჰავას შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ა. ვალუისკის აზრით, ბად-უ ჰავაში გაერთიანებული იყო მთელი ჯგუფი ფეოდალური გადასახადებისა. ასეთი იყო ჯარიმები, საქორწინო გადასახადი და მიწის გადასახადი — თაფუ, საკვამლე — იმ

<sup>28</sup> Г. И. И б р а г и м о в, Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв., Византийский временник, VII, 1953, стр. 127.

<sup>29</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგ., გვ. 3, წ. I. თურქ. ტექსტი, გვ. 2.



პირთავან, რომლებიც გამოსაზამთრებლად მოვიდნენ სხვა ადგილებიდან<sup>30</sup>. ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს თურქი ისტორიკოსი მუსტაფა აკდალი. მისი აზრით, ბეგებისათვის ბად-უ ჰავას სახელწოდებით იკრიბებოდა გადასახადი: „ჭერიმე“, „რესმი არუს“, „იავა“, „კაჩკუნ“ და სხვ.<sup>31</sup>. მეორე თურქი ისტორიკოსი ჰალილ ინალჯიკი ო. ბარკანის მიერ გამოქვეყნებული კანონების დამოწმებით აღნიშნავს, რომ „ბად-უ ჰავას ქვეშ რამდენიმე გადასახადია გათვალისწინებული“<sup>32</sup>. იგივე ავტორი იქვე სქოლიოში აიღინის დავთრის დამოწმებით შენიშნავს, რომ „ნიაბეთის ქვეშ იკრიბებოდა შემდეგი გადასახადები: Cürüm ve Tayyâret ve Resmi Gerdek ve Kaçkun ve Yuva ve Bâdihava Resimleri“.<sup>33</sup>

უნგრელი მეცნიერის ლ. ფეკეტეს აზრით კი, ბად-უ ჰავას გადასახადი დამნაშავეების დასაჯარმებლად დაწესებული ფულადი გადასახადი იყო<sup>34</sup>. გ. იბრაჰიმოვი ოსმალეთის კანუნ-ნამეების დამოწმებით აღნიშნავს, რომ ბად-უ ჰავა იყო ჰაერზე დაწესებული გადასახადი და გადახდებოდა ყველას, ვინც იხდიდა არუსანეს, თაფუს, ჭარიმებს. ამას გარდა გადახდებოდა გამოსაზამთრებლად მოსულ პირს<sup>35</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. იბრაჰიმოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბად-უ ჰავა ჰაერზე დაწესებული გადასახადია, პირველი წყაროებით არ დასტურდება. ასევე არამართებულია მ. ფაქალინის განმარტება, რომ ბად-უ ჰავას ფეოდალურ ოსმალეთში იხდიდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ<sup>36</sup>.

სხვა მკვლევართა შეხედულებების მოტანა, ვფიქრობ, საჭირო არ არის. აქედანაც ჩანს, რომ ბად-უ ჰავას გადასახადების შესახებ ჭერჯერობით ერთიანი შეხედულება არ არსებობს. მისი ნამდვილი მნიშვნელობა გარკვეული არ არის. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ბად-უ ჰავა უნდა იყოს ერთი ჯგუფის გადასახადების საერთო სახელწოდება. ამის საფუძველს იძლევა კანუნ-ნამეები. ნიკოპოლის კანუნ-ნამეში ბად-უ ჰავას შესახებ ნათქვამია: „დაეთარში ბად-უ ჰავას სახელით

<sup>30</sup> А. М. В а л у й с к и й, Феодальный строй Турции в XV—XVI вв., 1939, стр. 47.

<sup>31</sup> Mustafa Akdağ, Osmanlı İmparatorluğunun Kuruluş ve İnkişafı Devrinde Türkiyenin İklisatı Vaziyeti. Belleten, 1949, c. XIII, s. 51, გვ. 547.

<sup>32</sup> H. İ n a l c i k, Hicri 835 Tarihli Sureti Defteri Sancak-i Arva nıd, 1954. Ankara, გვ. XXVII.

<sup>33</sup> ი ქ ვ ე .

<sup>34</sup> L. Fekete, Türk Vergi Tahrirleri, Belleten, c. IX. s. 42. 1917, Ankara, გვ. 315.

<sup>35</sup> გ. ი ბ რ ა ჰ ი მ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

<sup>36</sup> M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, III, გვ. 29.

აღნიშნულია ჯარიმები, თათუს გამოსაღები და გარედან მოსულთაგან — ახჩა საკვამლე გამოსაღები“<sup>37</sup>. ასეთივე აზრია გატარებული სულთან სულეიმანის კანუნ-ნამეში: „ბად-უ ჰავას სახელით აღნიშნულია რესმი არუსანე, ჯარიმები“<sup>38</sup>. მორავიის კანუნ-ნამეში ბად-უ ჰავა შემდეგნაირად არის განმარტებული: „რესმი არუსს, ჯარიმებს, თაფუს... და დეშთიბანს ყველას ერთად ბად-უ ჰავას ეძახიან“<sup>39</sup>. იმის ნათელსაყოფად, რომ ბად-უ ჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე გადასახადი, ზემოთ მოტანილი ცნობაც საკმარისია. ასეთივე ცნობები წყაროებში არაერთგზის გვხვდება. ზოგან ბად-უ ჰავას გამოსაღებები სუბაშის სასარგებლოდ მიდიოდა. ამის შესახებ კანუნ-ნამეებში მითითებულია: „ჯარიმები, რესმი არუსები და სხვა ბად-უ ჰავეები თვითონ სუბაშისაა“<sup>40</sup>. წყაროებში ჯარიმები, საერთოდ რესმი არუსანე, იავა, კაჩყუნ, მალი-გაიფ, ბად-უ ჰავა და სხვ. ერთადაა დასახელებული<sup>41</sup>.

ამრიგად, წყაროებიდან ჩანს, რომ ბად-უ ჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახე გადასახადისა, რომლის გადახდა მწარმოებელი საზოგადოების უშუალო ეკლდებულებას შეადგენდა. ბულგარელი მეცნიერის ვერა მუტაფჩიევას გამოკვლევების მიხედვით, ჩანს, რომ ბად-უ ჰავას ჭკუფის გადასახადებისათვის დამახასიათებელია არარეგულარობა, არაპერიოდულობა. მისი გადახდა დაკავშირებული იყო მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებთან, ქორწინებასთან და სხვ.<sup>42</sup> ზემოთ დასახელებული გადასახადების გარდა, დოკუმენტის მიხედვით, ოქროს ციხის მოსახლეობა იხდიდა ცხვრის გადასახადს 5.000 ახჩის ოდენობით. ეს საკმარად დიდი თანხაა, იქ ნათქვამია: „შემოსავალი ცხვრის გამოსაღებიდან ხსენებული ლივას სახასოებზე გარდა ზაიმთა (ზაიმეთებისა) და სიფაპიებისა და მეციხოვნეთა თიმარებისა, წელიწადში — 5.000“<sup>43</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოსმალური კანონმდებლობით, ძირითადად ორ ცხვარზე ერთი ახჩა გაიღებოდა, მაშინ ოქროს ციხის

<sup>37</sup> Ö. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

<sup>38</sup> Б. А. Цветкова, Принос към изучаването на турския феодализъм в Българските земи през XV—XVI вв. «Известия на инс-та Българска история», 1956, № 6, София, стр. 135.

<sup>39</sup> Ö. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 105, 247, 263.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 34, 80, 245, 247, 264, 281, 287, 317 . . .

<sup>42</sup> В. Мутафчиева, Един препис от закона за войнуците от Никополския и Силистренския санджак. Известия за 1953 г. София, 1955, გვ. 269. შდრ. მისივე, О Османские и категории podatkowej «bad-u hava» (XV — XVIw), Przegląd orientalistyczny. N 3 (27), ვარშავა, 1958, გვ. 305—311.

<sup>43</sup> ს. ქიქია, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. II. თბ., 1960, გვ. 169.

მოსახლეობას საკმაოდ დიდი რაოდენობის ცხვარი ჰყოლია. მათი მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ მეცხვარეობა უნდა მივიჩნიოთ. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში ცხვრის გადასახადის შესახებ ვკითხულობთ: „დაკანონებულია, რომ ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლებოდეს ერთ მთელად. დაკანონებულია (აგრეთვე), რომ ცხვრის გამოსაღები აღებულ იქნას აპრილის თვეში, თუ მას შემდეგ რაც ვილაიეთის აღწერის დროს ცარიელად აღრიცხულს სოფელში, გარეშე რეყაიდან მოვიდა ვინმე და ცხვარი მოაშენა, მაშინ თუ ცხვრის გამოსაღები მისგან არაა მიწერილი სხვა სიფაპიზე, ის (გამოსაღები) აიღება ისე, როგორც ჩაწერილია და იმის სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გამოსაღები განკუთვნილია ამ ვილაიეთში“<sup>44</sup>.

დავთრის მიხედვით. თითქმის ყოველ სოფელშია შეწერილი ცხვრის გადასახადი, მაგრამ გადასახადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდიოდა ახალციხის ლივანზე. იგი შეადგენდა 47.840 ახჩას.

ოქროს ციხის შესახებ გაცემულ დოკუმენტში ცხვრის გადასახადის გარდა დატულია ცნობები იალაღებზე დაწესებული გადასახადის შესახებ. იალაღებზე დაწესებული გადასახადის საერთო რაოდენობა 4.000 შეადგენდა. იქ ნათქვამია: „შემოსავალი ხსენებული ლივას იალაღებიდან — ზანიმთა ზიამეთებისა და სიფაპიების თიმარების გამოკლებით, წელიწადში — 4.000“<sup>45</sup>. იალაღებზე დაწესებული გადასახადის გადახდა ძირითადად ევალებოდა მწყემსებს; ოსმალეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა საძოვრების მოვლა-პატრონობას. კანუნ-ნამეებით „საძოვრების შემოღობვა და დათესვა აკრძალული იყო“<sup>46</sup>. გურჯისტანის კანუნ-ნამეში აღნიშნულია, რომ „აკრძალულია დამუშავება და შემოღობვა იმ საძოვართა, რომელზედაც ძველი დროიდანვე იმყოფებოდა შემოღობილი ადგილები ქალაქის მცხოვრებთა ანდა ციხეებისა და სოფლების მოსახლეობის საქონელთათვის“<sup>47</sup>.

იალალის გამოსაღების შესახებ არზრუმის კანონში ნათქვამია: „არზრუმისა და ფასინის სანჯაყებში იალალის გამოსაღები ყოზილბაშთა ტომიდან 100 ცხვარზე ერთი ცხვარი აიღება, ჩომან-ბეგის ცნობილი გამოსაღები 300 ცხვარზე ერთი ცხვარი აიღება“<sup>48</sup>. ამავე კანუნ-ნამედან ჩანს, რომ იალალის გამოსაღებით მოსახლეობა შეწუხებულია. დიარბექირის კანუნ-ნამეს შესწავლიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ

<sup>44</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგ., გვ. 3, წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 3.

<sup>45</sup> ს. ყ ი ჭ ი ა, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ; ვი. 169.

<sup>46</sup> ო. L. B a r k a n, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

<sup>47</sup> დ ა ვ თ ა რ ი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ. 2, წ. I, თურქ. ტექსტი გვ. 2.

<sup>48</sup> ო. L. B a r k a n, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ტომს იალაღების გამოსაღების შესახებაც სპეციალური კანუნ-ნამეგები ჰქონიათ<sup>49</sup>. იალაღებზე დაწესებული გადასახადის ოდენობა მოწმობს, თუ რაოდენ ფართო მასშტაბით ყოფილა გავრცელებული საზაფხულო საძოვრები.

ოქროს ციხის შესახებ სულთნის მიერ გაცემულ დოკუმენტში ბაჟების რაოდენობაზეცაა ცნობები დაცული. იქ აღნიშნულია, რომ „შემოსავალი შავი დამლისა და ხსენებული ლივას ბაზრის ზედამხედველობიდან (იპთისაბ) წელიწადში — 4.000“<sup>50</sup>.

აქ ნახმარი ტერმინი დამლა აღნიშნავს ბაზარზე გასაყიდი საქონლის ბაჟს, გამოსაღებს. ბაჟები ოსმალეთში გაიღებოდა ყველა სავაჭრო საქონელზე. როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო ბაჟები. იგი კანონით გათვალისწინებულ გადასახადთა შორის იყო მოქცეული. ბაჟებით სარგებლობისა და მისი გამოყენების შესასწავლად საუკეთესო წყაროებს წარმოადგენს ოსმალური კანუნ-ნამეგები, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი თითოეული საქონლის სავაჭრო ადგილებზე გატარებისა და მასზე გაწერილი ბაჟების ოდენობის შესახებ. ო. ბარკანის მიერ გაცემულ კანონთა კრებულში ძნელია მოიძებნოს ისეთი კანუნ-ნამე, სადაც არ არის ლაპარაკი ბაჟის გადასახადის აუცილებლობაზე. დამასკოს ვილაიეთისათვის სპეციალურადაა შედგენილი დამასკოს საბაჟოს კანონები<sup>51</sup>, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი დამასკოში შეტანილ და გატანილ საქონელზე ასაღები ბაჟის ოდენობა. აქ გათვალისწინებულია ევროპიდან მოტანილ ფუფუნების საგნებზე ასაღები ბაჟის ოდენობა. ზღვით გასაზიდ და შემოსაზიდ საქონელზე სხვა ოდენობის ბაჟებია გათვალისწინებული. ასევე ბაჟები გათვალისწინებულია ბაზარში გასაყიდად შემოტანილ საქონელზე. აღსანიშნავია, რომ გამყიდველს საქონლის გაყიდვის შემთხვევაში სხვა ოდენობით გადახდებოდა ბაჟები, ვიდრე მისი გაუსაღებლობისას. დამასკოს საბაჟოს კანონით, ადვილად შეიძლება გაირკვეს, თუ როგორ ფართოდ ყოფილა იმ დროს განვითარებული როგორც საგარეო, ისე საშინაო ვაჭრობა. შეიძლება დადგინდეს აღებ-მიცემობის საგნების ცალკეული სახეობანი.

თითოეულ ციხე-სიმაგრეს, გასასვლელს, გზაჯვარედინს, ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით, ჰქონდა თავისი ბაჟის კანონები. მაგალითად, ბუღინისა და ესთერგონის ციხის კანუნ-ნამეგებში<sup>52</sup> სპეციალური თავები იყო გათვალისწინებული ბაჟების შესახებ, სადაც კონ-

<sup>49</sup> ო. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>50</sup> ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

<sup>51</sup> ო. L. Barkan, დასახ. ნაშრ., გვ. 221—226.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 301.

კრეტულად იყო ჩამოთვლილი გასატარებელი საქონლის სახელწოდება, მასზე გაწერილი ბაჟის ოდენობა იმისდა მიხედვით თუ მგზავრს საით მიჰქონდა ესა თუ ის საქონელი. თვით უბრალო მგზავრზედაც, რომელსაც არაფერი მიჰქონდა, გათვალისწინებული იყო ბაჟის გარკვეული რაოდენობა.

ოსმალური დოკუმენტური წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ბაჟებს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოს ბიუჯეტში. იგი ოსმალ ხელისუფალთა და ფეოდალთა, ციხის მცველთა, ფაშებისა და სხვათა გაზრდილი ეკონომიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. საბაჟოებს, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალურ ქვეყანაში. სამწუხაროდ, თითქმის შეუსწავლელია საქართველოში საბაჟოებისა და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა საბაჟოების ადგილ-მდებარეობის დადგენა და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის გასათვალისწინებლად, ამ საბაჟოების მიხედვით, უძველესი სავაჭრო გზების დადგენა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟოების მნიშვნელობისა და მისი შესწავლის აუცილებლობის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ „ბაჟი ფეოდალური ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგია. ამდენადვე ფეოდალურ საქართველოში ბაჟისა და საბაჟოების საკითხის ისტორიულ-ეკონომიური შესწავლა მეტად საჭირო ამოცანაა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენს საისტორიო-სამეცნიერო მწერლობაში აქამდის არაფერი გაცემებულა. ამიტომაც აღნიშნული ამოცანის სასურველ სისრულით შესწავლა, და ეს ქართული საისტორიო მასალების ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობის პირობებში, საკმაოდ მძიმე საქმეა“<sup>53</sup>.

ოსმალეთში ბაჟების საქმეების სწორი ორგანიზაციისათვის, დადგენილი ნიხრების ზუსტად დაცვისათვის არსებობდა სპეციალური თანამდებობები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ზომა-წონის ზუსტად დაცვისათვის თვალყურის მიდევნება. უსამართლობისა და ზომა-წონის დამახინჯებისათვის სპეციალური ჯარიმები არსებობდა. იგი კანონით იყო გათვალისწინებული. მაგალითად, გურჯისტანის კანუნნამეში აღნიშნულია, რომ „არასრული წონით გაყიდვის დროს, თითოეულ ღირჰემზე ჯარიმად ერთი ანჩა უნდა აიღონ“, „ჯარიმა ერთი ანჩა თითოეულ ღირჰემზე გადახდება ნაკლები წონით გამყიდველს ღირჰემობით გასაყიდ ძვირფასიან ნივთზე“<sup>54</sup>. ბაზარზე სამართლიანობის

<sup>53</sup> ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B. გვ. 17, თბ.

<sup>54</sup> დავთარი წ. II, ქართ. თარგმანი, გვ. 4, 5, წ. I, თურქული ტექსტი, გვ. 3, 4.

დასამყარებლად და წესრიგის დასაცავად არსებობდა სპეციალური თანამდებობები. ასეთი იყო ბაზრის ზედამხედველობა — ე. წ. იპთისაბის თანამდებობა. იგი არაბულად ნიშნავს თვლას, ანგარიშს, თვალ-ყურის მიდევნებას ყველაფერ იმაზე, რაც ანგარიშს საკუროებს. იპთისაბის ინსტიტუტის რაზმა და მისი ფუნქციები მახლობელ აღმოსავლეთში შესწავლილი აქვს პროფ. მ. ლორთქიფანიძეს<sup>55</sup>. ამ ინსტიტუტის შესახებ საინტერესო დაკვირვებები და მასალები აქვს მოტანილი აკად. ს. ჭიქიასმა.

ბაქებისა და საბაქოს მოხელეების გარდა ჩვენს დოკუმენტში მოტანილია ცნობები სამღებროების გადასახადის შესახებ. მისი წლიური შემოსავალი სახელმწიფოსათვის შეადგენდა 13.000. იქ ნათქვამია: „შემოსავალი ხსენებული ლივას სამღებროებიდან წელიწადში — 13.000“<sup>57</sup>. მეტად საინტერესო ცნობაა. სამხრეთ საქართველოში სამღებროების არსებობისა და მისი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ჩვენ საერთოდ ძალიან მწირი ცნობები გვაქვს. ამასთანავე, არ გაგვაჩნია რაიმე ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომს<sup>58</sup>. სამღებროების მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობას აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ 1937 წ. გადაუდებელ საკითხად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ „ადგილობრივ თუ უცხოური წყაროებიდან წერილობითი ცნობების ამოკრებით, ხელსაქმის ნაშთებისა თუ ფერწერის ჩგლთა ამ თვალსაზრისით შესწავლით, ენობრივ და ფოლკლორული მასალის გამოყენებით და მეზობელ ქვეყნებში ამ საკითხის შესწავლის მოშველიებით შესაძლებელია ეს ამოცანა სასურველი სისრულით იქმნას გადაჭრილი გარდასული მეურნეობის ისტორიულ ფონზე“<sup>59</sup>.

ამ წერილში აკად. ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ იხილავს სამღებროების საკითხს. ამ საკითხის გასაგებად და უფრო სრული და ზუსტი სურათის აღსადგენად იგი ეყამათება პროფ. გ. ნათაძეს. პროფ. გ. ნათაძის აზრით, მღებარი და მებაქეს ტერმინი იდენტურია. აკად. ნ. ბერძენიშვილს მოაქვს მეტად საინტერესო და უხვი მასალა პროფ. გ. ნათაძის ზემოთ მოტანილი დებულების გასაბათილებლად. ამას გარდა აკად. ნ. ბერძენიშვილი აქვს საინტერესო მასალები ქართლსა და კახეთში

<sup>55</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბ., 1954.

<sup>56</sup> ს. ჭიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 180—182.

<sup>57</sup> ი ქ ე ვ, გვ. 169.

<sup>58</sup> ნ. ბერძენიშვილი, სამღებროების შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. VI, გვ. 431—470. თბ., 1937.

<sup>59</sup> ი ქ ე ვ, გვ. 431.

XVIII ს-ში არსებული სამღებროების შესახებ, მისი ორგანიზაციისა და ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ, მისი რაოდენობის ზრდის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ „კანონით სამღებროები სადღღოფლოს მონოპოლიებში შედიოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოიციხავდა იმ შესაძლებლობას, რომ შემოსავლის ეს წყარო „წყალობის“ სახით თუ „შეწირვის“ გზით „საუკუნოდ“ ებოძოს, ან შეეწიროს ფეოდალს თუ ეკლესია-მონასტერს“<sup>60</sup>.

ავტორს დადგენილი აქვს ქართლ-კახეთში არსებული სამღებროების რაოდენობა, მათი მფლობელობის ხასიათი, შემოსავალი და სხვ. მართალია, ავტორს დაწვრილებით და საგანგებოდ აქვს განხილული სამღებროების საკითხი XVIII ს-ის ქართლ-კახეთში და საამისო საინტერესო დოკუმენტური მასალები აქვს მოტანილი, მაგრამ ძალიან მწირი ცნობებია მოხმობილი სამხრეთ საქართველოში არსებული სამღებროების შესახებ. ამასთანავე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ქართლ-კახეთის სამღებროებზე. ჩვენს თურქულ დოკუმენტში დამოწმებული ცნობა — სამღებროს სამცხეში არსებობისა და მისი შემოსავლის ოდენობის შესახებ გარკვეულ შუქს შეიტანს ამ საკითხების შესწავლის საქმეში. მით უმეტეს, რომ ამ მხარის სამღებროთა მეურნეობის საქმიანობის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვებობება. ამას გარდა თურქულ დოკუმენტში არის ცნობები გარკვეული თანხის გადახდის შესახებ სხვადასხვა მიზეზით დაკარგულ და ისევ ნაპოვნ ნივთებზე, უკან მოყვანილ ყმებზე და სხვაზე. იქ ნათქვამია: „შემოსავალი უპატრონო და ნაპოვნი ცხოველებიდან და გაქცეულ და უკან მოყვანილ ყმებიდან და დაკარგული და კვლავ მოპოვებული ნივთებიდან, წელიწადში — 4.000“<sup>61</sup>.

თურქული დოკუმენტის ზემოთ მოტანილი ადგილიდანაც ჩანს, რომ ოქროს ციხის მოსახლეობა სხვადასხვაგვარი ოსმალური გადასახადებისა და ვალდებულებების გარდა, მოვალე იყო გარკვეული შემთხვევების დროს გადაეხადა სხვადასხვაგვარი სახის ჭარიმები. ჭარიმის მრავალსახეობა დამახასიათებელი იყო მთელი ოსმალეთის იმპერიისათვის. ჭარიმები ოფიციალურად იყო დაკანონებული. ჭარიმების სხვადასხვა სახეები გვხვდება ოსმალურ კანუნ-ნამეშუმი. ასევეა გათვალისწინებული ჭარიმები გურჯისტანის კანუნ-ნამეშუმი. იქ ნათქვამია: „თუ ვინმე ... დაიჭერს გაქცეულ მონას ან მხეველს და ან საქონელს (დაიჭერს), მან უნდა წაიყვანოს (იგი) და გადასცეს... (ამისათვის მან)

<sup>60</sup> ნ. ბ. ბ. ნ. ი. შ. ე. ლ. ი., სამღებროების შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. VI, თბ., 1937, გვ. 439.

<sup>61</sup> ს. ჯ. ი. ა. ა., მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. II. თბ., 1960. გვ. 169.

უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული სამახარობლო ჯილდო. კანონიერი ვადის გასვლის შემდეგ ისინი ჰყიდიან (მათ) საჯარო ვაჭრობით ვილაიეთის ყადის მეშვეობით და მათ ღირებულებას თავისთვის იტოვებენ. ხოლო კანონიერ ვადად როგორც მონის, ისე მხეველის შენახვისათვის (ითვლება) სამი თვე, საქონლისათვის კი — 1 თვე. უკეთუ ვინმე იპოვის ტანისამოსს, ქსოვილს, ხალიჩას და მისთანას, ის ვალდებულია ჩააბაროს (ასეთი) ყადის მეშვეობით ემინებს და (თავისთვის) არ დაიტოვოს“<sup>62</sup>.

კანუნ-ნამეებში დაწვრილებით იყო გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევები და ყოველი კონკრეტული ვითარებისათვის დადგენილი იყო სხვადასხვა სახის ჯარიმები. მაგალითად, „საქონლის (მიერ მიყენებული ზარალისათვის) სასჯელი კიდევ (ესაა): თუ რეაიადან ვინმეს ცხენი ან ხარი და საერთოდ (ყოველგვარი) ჯიშის ოთხფეხა (საქონელი) დააზარალებს მეორის ყანას, მაშინ ზარალის ანაზღაურების შემდეგ, საქონლის პატრონს 5-ჯერ დაჰკარავენ ჯონს, ხოლო თიმარის პატრონი ახდევინებს მას ჯარიმის სახით თითო სულ საქონელზე ხუთ-ხუთ ახჩას. უკეთუ საქონელი დაქერილ იქნა იმ (ჯოგიდან), რომელიც იმწყისის, (ჯარიმა) უნდა აიღონ ზემოხსენებული წესის მიხედვით“<sup>63</sup>.

კანონით, სხვადასხვა სახითა და სხვადასხვა ოდენობით იყო დადგენილი ჯარიმები სისხლის დაქცევისათვის. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო დამნაშავეს შესაძლებლობანი. ერთი და იმავე დანაშაულის ჩამდენი მდიდარი და ღარიბი სხვადასხვა ოდენობით ჯარიმდებოდა. ასევე გათვალისწინებული იყო ჯარიმები მრუშობისათვის, თავის გაპობისათვის, ძელის მოტეხვისათვის, კბილის ჩაგდებისათვის და სხვა ხასიათის დანაშაულისათვის. კანუნ-ნამეში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „სანჯაყ-ბეგებსა და სუბაშებს ეკრძალებათ სხვადასხვა ბრალდების წამოყენებით რეაიადან ბოროტმოქმედი ჩაქვით შებორკონ და სოფელ-სოფელ ატარონ, ვიდრე ისინი არ იქნებიან ყადის წინაშე წარდგენილნი“<sup>64</sup>.

ასეთი და მსგავსი კანონები არსებობდა როგორც გურჯისტანის ვილაიეთში XVI ს-ის II ნახევარში, ისე ოსმალეთის თითქმის მთელ იმპერიაშიც. ჩვენი დოკუმენტიდანაც ჩანს, რომ იგი XVIII ს-შიც გარკვეული რაოდენობით იკრებებოდა ოქროს ციხის მოსახლეობისაგან და მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა.

ამას გარდა, ზემოთ დასახელებულ თურქულ დოკუმენტში თითქ-

<sup>62</sup> დაეთარი, წ. II, ქართ. თარგმანი, გვ. 4, წ. I, თურქ. ტექსტი, გვ. 3.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 5, თურქული ტექსტი, გვ. 4.



მის ყველგან გვხვდება ოსმალური ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები. მაგალითად, თიშარები და ზიამეთები, მათი მფლობელები, ხასები, სიფაჰიები, თავისუფალი თიშარები და სხვა. ერთი სიტყვით, დოკუმენტიდან ჩანს, რომ ოსმალური მიწისმფლობელობის კატეგორიები განაგრძობენ არსებობას სამხრეთ საქართველოში. თუ, მაგალითად, დავთარში იშვიათად გვხვდება ეს ტერმინები, ახლა უკვე XVIII ს-ის მე-2 ნახევარში სავსებით კანონზომიერი მოვლენა უნდა იყოს ამ დოკუმენტში ოსმალური მიწისმფლობელობის კატეგორიების დამოწმება. ამჟერად, ქართული მიწები მთლიანად ოსმალური მიწისმფლობელობის კატეგორიებთანაა გაიგივებული, არ არსებობს ქართული სამამულო მიწისმფლობელობა. მემამულის ადგილი აქ დაიჭირა ოსმალ მოხელემ, რომელიც ამ ქართულ მიწებს ფლობს პირობით, ოსმალური ცენტრალური ხელისუფლების წინაშე გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ. ჩვენ აქ არ შევუდგებით ცალ-ცალკე თიშარის, ზეამეთის, ხასისა თუ სიფაჰის კატეგორიების განხილვას. მათი მნიშვნელობა, რაობა და ხასიათი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული. მივუთითებთ მხოლოდ, რომ ეს ტერმინები აღნიშნავენ ოსმალური მიწისმფლობელობის ზოგიერთ კატეგორიას. ამ ოსმალური მიწისმფლობელობის წესთან იყო დაკავშირებული ოსმალური საგადასახადო სისტემა, რომელიც ოსმალეთს შემოჰქონდა სამხრეთ საქართველოში. ამ დოკუმენტიდანაც ნათლად ჩანს ეს ოსმალური გადასახადები, რომლებიც XVIII ს-ის მე-2 ნახევარში ემართა ოქროს ციხის მოსახლეობას.

ამრიგად, ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ თითქმის ყველა ის საკითხი, რის შესაძლებლობასაც იძლევა თურქულ დოკუმენტში მოცემული ცნობები. აქვე გვინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი უაღრესად საინტერესო წყაროა როგორც ამ მხარის სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ისტორიისათვის, ასევე თურქული პალეოგრაფიული და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლადაც. დოკუმენტში არაერთი გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებაა აღნიშნული.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული საბუთების კოლექციიდან აკად. ს. ჭიქიამ გამოაქვეყნა ორი თურქული დოკუმენტი<sup>65</sup>, რომელიც

<sup>65</sup> ს. ჭიქია, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ-ს შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმოდუნობის სერია, III, თბ., 1962.

XVIII ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხება. სახელდობრ, ერთი დოკუმენტი დათარიღებულია 1732 წლით. იგი წარმოადგენს ოსმალთა სულთნის მიერ ქართლის ერისთავებისადმი, გამოჩენილი ქართველი თავადებისა და აზნაურებისადმი ბოძებულ დოკუმენტს. ხოლო მეორე საბუთი დათარიღებულია 1745 წლით, ე. ი. ოსმალთა შემდეგდროინდელი დოკუმენტი. ამ საბუთის გამკვეში არის ოსმალთა მთავარსარდალი. იგი ამას უგზავნის ქართველ თავადს — დავით თარხანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დოკუმენტი ძალიან საყურადღებო წყაროა XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართლში ოსმალთა დროინდელი საკითხების უფრო ნათლად წარმოსადგენად.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი დოკუმენტი 1732 წლითაა დათარიღებული. ე. ი. დოკუმენტის გაცემის დრო საქართველოს სინამდვილეში ის პერიოდია, როდესაც აქ ოსმალთა იყო დამყარებული. როგორც ცნობილია, XVIII ს-ის მე-2 მეოთხედი ქართლ-კახეთისათვის მეტად ძნელბედობის პერიოდი იყო. 1723 წელს აქ ოსმალთა დამყარდა. 10—12 წლის შემდეგ იგი ყიზილბაშობამ შეეცვალა, რომელიც 1747 წლამდე გაგრძელდა. ქართლში ოსმალთა დამყარებას ადგილობრივი მოსახლეობა ვერ შეურიგდა, აწყობდნენ აჯანყებებს. ოსმალები მათ იარაღით იმორჩილებდნენ. ამ პერიოდში „ენითგან არღარავინ ჰყავთ წინააღმდეგმანი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრულიად და დასდევს ხარკი კაცს სულზედ დრაჰმანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კანბეჩსა და ცხვარზედ ექვსი შაური. მოსავალსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ, და ამის გამო იქმნა კირი დიდი“<sup>66</sup>.

ქართლში ოსმალთა დამყარებასთან ერთად შემოდიოდა ოსმალური საგადასახადო სისტემა, რომელიც სავსებით განსხვავებული იყო ქართული საგადასახადო სისტემისაგან. ქართული ფეოდალური გადასახადების გვერდით არსებობას იწყებდა ახალი, უცხო საგადასახადო სისტემა. ეს კი უფრო ამძიმებდა ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოების ისედაც მძიმე მდგომარეობას. ოსმალური საგადასახადო სისტემა გლახთა კატეგორიების უნიფიკაციას ახდენდა და იგი მას რაიათის პირობებს უთანაბრებდა. როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, „ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის უჩვეულო გარემოება იყო აგრეთვე, რომ ეს ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის ყველა ფენას აწვა. ოსმალთა არ სცნობდა თარხანს, აზატს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალნი იყვნენ სხვა-

<sup>66</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ცხოვრება. (1469—1745), ზ. კვიციანი გამომცემი, თბ., 1913, გვ. 88.

დასხვა გადასახადებისაგან, არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრული იყო მძიმე გადასახადებით“<sup>67</sup>.

ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან ერთად ოსმალებმა ქართლი რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად დაჰყვეს. ვახუშტის მიხედვით 1727 წ. როდესაც იესე გარდაიცვალა, დამპყრობლებმა „სომხით-საბარათიანო მისცა ერასტის ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეით ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანის და საერისთონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხვათა რა იგი უხმდათ“<sup>68</sup>. ოსმალთა მიერ ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულად ქვეყნის დაყოფა მიზნად ისახავდა დამპყრობელთა მიერ ქვეყნის რაციონალურ ექსპლოატაციას. თუმცა ოსმალთა ხელისუფლება ქართველი თავადის სუვერენიტეტში არ ერეოდა, მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯები, რომლებიც ქმნიდნენ ქვეყნის ინკორპორაციისა და ქართველი თავადების უფლებების შეზღუდვისა და გაუქმების საშიშ პრეცედენტს. ქართლის არცერთი სოციალური ფენა არ იყო კმაყოფილი ოსმალობით. სხვადასხვა სოციალური ფენები სხვადასხვანაირად განიცდიდნენ ოსმალობის სიმძიმეს. ამ პერიოდში შექმნილი ვითარების შესახებ საინტერესო დაკვირვებები და მოსაზრებები აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს<sup>69</sup>. ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სულთნის მიერ სწორედ ამ პერიოდშია გაცემული ფირმანი ქართლის თავადების მიმართ. კერძოდ, ეს ფირმანი გაცემულია გივი ამილახვრის, აბაშიძის, თარხნიშვილის, ყაფლანიშვილის, ქსნისა და არაგვის ერისთავების, სხვა თავადების, აზნაურებისა და თბილისის ეიალეთის მკვიდრთადმი. ფირმანში სულთანი ამ თავადებს მოუწოდებს ოსმალ მოხელეთა მორჩილებისაკენ. გაცემული ფირმანიდან ჩანს. რომ ქართლში უკვე ოსმალ მოხელეები არიან. და საკმაოდ კარგად იცნობენ ადგილობრივი ქვეყნის მდგომარეობას. ფირმანში ოსმალ სულთანი მოუწოდებს ქართლის წარჩინებულებს, რომ „... როდესაც მაღალი და უზენაესი ფირმანი თქვენთან მიალწევს, იცოდეთ, რომ ... თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროებისამებრ ყველა თავადი და აზნაური ჩემს მაღალ სამსახურში ზემოხსენებული ვეზირების განკარგულებებსა და ბრძანებებს დაემორჩილეთ და შეასრულეთ და როგორც ლეკთა ბრბოებისაგან თავდაცვასა და (მათთან) ბრძოლებში, ისე სხვა საქმეებშიც სულითა და გუ-

<sup>67</sup> ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. I, 1944, თბ., გვ. 179.

<sup>68</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ცხოვრება (1469—1745), ნ. კვიციანი გამოცემა, თბ., გვ. 88.

<sup>69</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 177—186.

ლით მთელი თქვენი ძალ-ღონე, ბრძოლის უნარიანობა და შესაძლებლობა არ დაზოგოთ. ებრძანებ, რომ, როდესაც ფირმანი თქვენამდე მიიღწევს, იმოქმედეთ ზემოაღნიშნულის მიხედვით და გაცემული პატრაცემული ფირმანის შესაბამისად, რომლის შესრულება და მორჩილება სავალდებულოა...“<sup>70</sup> ამ ფირმანის ვრცელი შინაარსი აქ იმიტომაც მოვიტანეთ, რომ ნათელი ყოფილიყო ოსმალთა სულთნის პრეტენზიები ქართული ტერიტორიების მიმართ საერთოდ და ქართველი თავადების მიმართ კერძოდ. საქმე იმაშია, რომ დოკუმენტში მოხსენებული ქართველი თავადები, რომელთაც ოსმალთა ხელისუფლებმა თავიანთი უფლებები დაუტოვეს და გარკვეული სამსახურითა და მორჩილებით კმაყოფილდებოდნენ, ნომინალურად მათ მორჩილებას უცხადებდნენ, მაგრამ ყოველი შესაძლებელი შემთხვევისას მზად იყვნენ აჯანყებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა დოკუმენტში მოხსენებული, ოსმალთა სამსახურში მყოფი გივი ამილახვარი. მართალია, ამ საბუთიდან ჩანს, რომ ოსმალთა ხელისუფლება ითხოვს გივი ამილახვისაგან ერთგულ სამსახურს, და ეს სხვა თურქული დოკუმენტებიდანაც აშკარად ჩანს, მაგრამ გივი ამილახვარს ქართველობისათვის არასდროს არ უღალატნია. პირიქით, იგი ყოველთვის ქართველობისათვის ბრძოლის სათავეში იდგა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, იგი „ქართლში ქართველობის დაცვისათვის ებრძოდა „ოსმალთაასაც“ და „ყიზილბაშობასაც“<sup>71</sup>. იქვე განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, რომ „ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდაუნებურად ოსმალების აგენტი ხდებოდა“<sup>72</sup>. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის გაცემის დროისათვის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება, ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობს გივი ამილახვარიც. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები მრავალმხრივი იყო. პროფ. დ. გვრიტიშვილი შენიშნავს, რომ ქართველები „ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ და თავხედ ოსმალებს მადას უმციერებდნენ, ზოგჯერ ქრთამს იღებდნენ და ამით ქართველობას ინარჩუნებდნენ. ასე რომ, ამა თუ იმ მომენტში ქართველები ბრძოლის იმ ხერხს იყენებდნენ, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა. ბრძოლის სათავეში ხან გივი ამილახვარი იდგა (თუმცა გივი ოსმალთა სამსახურში იყო, მაგრამ ქარ-

<sup>70</sup> ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ-ს შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 154—155.

<sup>71</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 207.

<sup>72</sup> ი ქ ე ე.

თველობისათვის მას არ უღალატია), ხან შანშე ერისთავი, ხან მაჩაბელი, ხან არაგვის ერისთავი, და ასე შემდეგ<sup>73</sup>.

ოსმალთა წინააღმდეგ მეზობლთა შორის გივი ამილახვარს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. გივი ამილახვრის ორიენტაციისა და განწყობილების ნათლად წარმოსადგენად საინტერესოა ერთი ადგილი იმ წერილიდან, რომელიც შანშე ქსნის ერისთავმა გაუგზავნა ვახტანგ VI-ს. იგი წერს: „შენ ნუ მამიკედები, დაიჭრეთ, (გივი) დიდად ერთგული არის თქვენი და დიდის სამსახურის მცდელი არის და მომჭირნე. ამაზე გუნება დააჭრეთ, ამის გუნებაში თქვენი ურიგო და უმსახურება არა ძეს, ამის თავდები და მოპირე მე ვიყო, არაგვის ერისთავია და ესეც ერთგულია... დამიჭრეთ, ეს ორი კაცი, ნამეტნავად ამილახვარი, ჩემგან ითხოვეთ“<sup>74</sup>.

გივი ამილახვარის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ აქ სიტყვას არ ვაგრძელებთ, რამდენადაც მისი საქმიანობა საგანგებოდ აქვს შესწავლილი პროფ. დ. გვრიტიშვილს<sup>75</sup>. დოკუმენტებში გივი ამილახვრის გვერდით დასახელებულია აგრეთვე ქსნის ერისთავი. მართალია სახელი არაა მოხსენებული, მაგრამ იგი უეჭველად შანშე ერისთავია, რომელიც იყო შვილი დათუნა ერისთავისა (გარდაიცვალა 1717 წ.). შანშე ქსნის ერისთავის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები შესწავლილი აქვს პროფ. დ. გვრიტიშვილს. იგი აღნიშნავს, რომ „შანშე ერისთავი, ქსნის ერისთავთა შორის ყველაზე უფრო საინტერესო პიროვნება იყო... დადებითი და პროგრესულია შანშეს საქმიანობა, როცა იგი მთელს ქსნის მცხოვრებთ სათავეში უდგება და წლების განმავლობაში ებრძვის ხან ოსმალთა და ხან ერანელ დამპყრობლებს“<sup>76</sup>. შანშე ერისთავის დაუღალავ ბრძოლას ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ დადებითად ახასიათებს აკად. ნ. ბერძენიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ შანშე ერისთავი იყო „ენერგიული პატრიოტი ... (რომელიც) სამ წელიწადს მედგარ ბრძოლას მეთაურობდა დამპყრობელთა წინააღმდეგ“<sup>77</sup>. ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმების განხორციელებისათვის იყო რომ შანშე ერისთავი რუსეთს გაემგზავრა და თან წაიღო ქართლის თავადების ხელმოწერით საერთო თხოვნა.

<sup>73</sup> დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955. გვ. 409.

<sup>74</sup> Переписка грузинских царей с российскими государями от 1659 г. по 1770 г., СПб., 1801, стр. 206.

<sup>75</sup> დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 385—438.

<sup>76</sup> ი ქ ვ ე, გვ. 317.

<sup>77</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 195.

მასთან ერთად რუსეთს მიდიოდა იმერეთის მეფის ელჩი ტიმოთე. იგი რუს ხელმწიფისაგან ბაქარს ითხოვდა და იმერეთიდან ოსმალთა ჯარების განდევნას მოითხოვდა. გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო შანშე პეტერბურგის კარზე ვერ მიიღეს და იმედგაცრუებული უკან დაბრუნდა, „მაგრამ ენერგიული პატრიოტი არ გატყდა, ის შევიდა თავის სამკვიდრო ქსნის ხეობაში და სამ წელიწადს შედგარ ბრძოლას მეთაურობდა დამპყრობელთა წინააღმდეგ“<sup>78</sup>.

ზემოთ მოტანილ თურქულ დოკუმენტში მოხსენებულია კარაკალკანის ერისთავი. ამ დოკუმენტის გამომცემელს გარკვეული აქვს კარაკალკანის, როგორც ეთნიკური ტერმინის მნიშვნელობა და შინაარსი, გამორკვეულია, რომ კარაკალკანი თურქულ წყაროებში არა ერთგზისაა დამოწმებული და იგი არაგვის საერისთაოს აღნიშნავს<sup>79</sup>.

ქსნისა და არაგვის ერისთავებთან ერთად დოკუმენტში დასახელებულია თავადი აბაშიძე. ესაა ვახუშტი აბაშიძე, ვახტანგ VI-ის სიძე, ქალიშვილის ანუკას ქმარი, რომელმაც თავი გამოიჩინა ოსმალთა და ყიზილბაშობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის გივი ამილახვართან და შანშე ქსნის ერისთავთან ერთად ქართლის აჯანყების სათავეში იდგა. ვახუშტი აბაშიძის შესახებ საკმაოდ ბევრი დოკუმენტური წყარო არსებობს<sup>80</sup>, რომლის შესწავლა და გაანალიზება უთუოდ მეტ შუქს მოჰფენდა ვახუშტი აბაშიძის საქმიანობის გამორკვევის საქმეს.

ამავე თურქულ დოკუმენტში ზემოთ დასახელებული თავადების გვერდით მოხსენებული არიან თარხნიშვილები და ყაფლანიშვილები. სხვათა შორის თარხნიშვილები დასახელებულია აქვე გამოქვეყნებულ მეორე თურქულ დოკუმენტში, სადაც იგი აღიარებულია ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ერთგულ პიროვნებად. ორივე დოკუმენტში დასახელებული თარხნიშვილი ერთი და იგივეა, კერძოდ, დავით თარხნიშვილია. დავით თარხნიშვილის შესახებ საინტერესო დოკუმენტური წყაროები მოგვეპოვება<sup>81</sup>. ასევე არანაკლებ საინტერესო ცნობები მოგვეპოვება ჩვენს თურქულ დოკუმენტში მოხსენებული ყაფლანიშვილის შესახებ<sup>82</sup>.

<sup>78</sup> ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 175.

<sup>79</sup> ს. ჯიქია, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ-ს შრომები, ტ. 97, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962., გვ. 154—163.

<sup>80</sup> შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის საჰეფოსა და გერია-ოღოლის სამთავროებისა, I, გვ.: 46, 53, 57, 64. თბ., 1958. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 213. თბ., 1940. სპი. ისტორიული ქრონიკა, გამოც. ე. თაყაიშვილისა, თბ., გვ. XXXIX, LXXIV, LXXV. Материалы по археологии Кавказа, XII, стр. 132, 139, 143., 147.

<sup>81</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 222, 242, 250 და სხვა.

<sup>82</sup> საქართველოს სიძველენი, II, თბ., 1926, გვ. 216, 335. . .

როდესაც ოსმალებმა 1727 წელს ქართლში მეფობა გააუქმეს და იგი ექვს ერთეულად დაყვეს, ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული ყაფლანიშვილს ერგო. ერასტი ყაფლანიშვილი სომხით-საბარათიანოს უფროსად იქნა დანიშნული და იგიც ერთგულად ასრულებდა ოსმალთა სამსახურს. ვუფთასთან კახელებსა და ოსმალებს შორის მომხდარ ბრძოლაში ერასტი ყაფლანიშვილმა იესე მუსტაფასთან ერთად ოსმალებს უშველა. კახელთა მოკვეთილი თავები „ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანიშვილმა თბილისს რაჭაფთაშასთანა, რომელმან მოსცა ოცდაათი ღრპკანი ჯილდოთ“<sup>83</sup>. ერასტი ყაფლანიშვილი 1731 წ. გარდაიცვალა და ყაფლანიშვილთა სახლის უფროსად ქაიხოსრო დანიშნა.

ზემოთ დასახელებულ ქართველ თავადთა გარდა თურქულ დოკუმენტში მოხსენებულია თბილისის ციხისთავი — ვეზირი ისპაყ ფაშა და ჩილდირის ვალი — თოფრაკ(?) ახჩა ყალას ციხისთავი — ვეზირი იუსუფ-ფაშა. ეს ორი ფაშა ოსმალთა მიერ ქართლში დანიშნული მოხელეები იყვნენ. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „1725 წელს ოსმალებმა ქართლის მმართველად ისაყ ახალციხის ფაშა დანიშნეს და მას კახეთის დაპყრობა დაავალეს“<sup>84</sup>. ისაყ-ფაშა წარმოშობით ჭაყვლეზის დინასტიიდან იყო და ახალციხის საფაშოს განაგებდა. როდესაც ოსმალებმა ქართლი აიღეს და თბილისის ვილაიეთი შექმნეს, აქ გამგებლად ისაყ-ფაშა მოავლინეს. სწორედ ამ ისაყ-ფაშას დროსაა შედგენილი ოსმალთა მიერ „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ამჟამად სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში ინახება 897/418 და 900/831 ნომრებით.

ისაყ-ფაშას საქმიანობის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალა არსებობს. როგორც ოსმალურ დოკუმენტებში, ისე ქართულ საბუთებშიაც საკმაოდ უხვი ცნობები მოგვეპოვება ისაყ-ფაშას საქმიანობის შესახებ. არსებობს ისაყ-ფაშას ბრძანებები ქართულად<sup>85</sup>.

თურქული წყაროების მიხედვით, დოკუმენტში მოხსენებული ჩილდირის ვალი იუსუფ-ფაშა, ზემოხსენებული თბილისის ციხისთავის ისაყ-ფაშას შვილი ჩანს. მისი ბიოგრაფიის შესახებ მეჭმედ სურვიას ნაშრომში ნათქვამია: „იუსუფ-ფაშა ისაყ-ფაშას შვილია. ირანთან ლაშქრობებში მონაწილეობით რუმელიის ბეგთაბეგობის წოდება დაიმსახურა. 1145 წ. (1732—1733) მამამისს თბილისის ვილაიეთი, ხოლო მას ვეზირის რანგით ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთი ებოძა.

<sup>83</sup> ვ ა ს უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს ცხოვრება (1469—1745), ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 88.

<sup>84</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველას ისტორიიდან, 23-179.

<sup>85</sup> საქართველოს სიძველენი, III, თბ., 1926, გვ. 418, 419. ტ. II, 1926, გვ. 336.

შემდეგ მამაზე ძლიერ ადრე გარდაიცვალა“<sup>86</sup>. იუსუფ-ფაშას შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული პაპუნა ორბელიანს<sup>87</sup>.

თურქული დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ ოსმალთა მოხელეებს უნდა დაექვემდებარონ ქართლის თავადები და აზნაურები. ფირმანით სულთანი ქართლის წარჩინებულებს მოუწოდებს ყოველგვარ საქმეებში ოსმალ-მოხელეებისადმი მორჩილებისაკენ. ფირმანიდან ისიც ჩანს, რომ ოსმალთა პერიოდში ლეკიანობაც აწუხებდა ქართველ მოსახლეობას. ფირმანში საგანგებოა აღნიშნული ლეკიანობისაგან თავდაცვის აუცილებლობა. ლეკთა ბრბოებისაგან თავდაცვის საქმეშიც სულთანი ქართლის წარჩინებულებს მოუწოდებს იმოქმედონ ოსმალთა მოხელეების ნება-სურვილის მიხედვით. თუ ზემოთ განხილული თურქული დოკუმენტი ქართლში ოსმალთა დროინდელ ვითარებას ასახავდა, მეორე დოკუმენტი 1745 წლითაა დათარიღებული და ქართლში ყიზილბაშობის პერიოდს ეხება, თუმცა საბუთი ოსმალთა ხელისუფალთა მიერაა გაცემული და ქართლის თავადების ოსმალეთთან ურთიერთობის დამადასტურებელია. ეს ის პერიოდია, როდესაც დამარცხდა გივი ამილახვრის აჯანყება ყიზილბაშების წინააღმდეგ. „აჯანყებას იღუპრი საფუძველი გამოეცალა, მან რეაქციული ხასიათი მიიღო და თავადთა ურთიერთთავდამსხმელ ავანტიურად გადაიქცა“<sup>88</sup>. ყიზილბაშობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი თავადები და მათ შორის გივი ამილახვარიც, ბუნებრივია ოსმალეთის ძალებს მოიშველიებდნენ და მათთან კავშირს გააბამდნენ. მაგრამ, როდესაც ამილახვარი ოსმალეთთან კავშირს აბამდა, იგი „ქართლში „ქართველობის“ დაცვისათვის ებრძოდა „ოსმალთასაც“ და „ყიზილბაშობასაც“... ერთადერთი, ვისგანაც ახლა ამილახვრის დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო და უფრო ოსმალეთზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალთა“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე რომ ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდაუნებურად ოსმალეთის აგენტი ხდებოდა“<sup>89</sup>.

გივი ამილახვრის აჯანყების დამარცხებისა და ყიზილბაშთა მიერ გივის ტყვედ ჩაგდების შემდეგ არის გაცემული ფირმანი სულთნის მიერ. ფირმანის ადრესატია გივი ამილახვრის მოადგილე და მოურავი დავით თარხანი, რომელსაც სულთანი ამ ფირმანით უდასტურებს ყვე-

<sup>86</sup> გვ. 663. ტ. IV ، محمد ثريا ، سجل عثمانی

<sup>87</sup> პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინოვის გამოც. 1854. სპ.

<sup>88</sup> დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი , ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 432.

<sup>89</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , X VIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 207.



ლა იმ პრივილეგიებს, რაც ადრე გივი ამილახვარს გააჩნდა. მოგვაქვს ფირმანიდან ვრცელი ამონაწერი: „... შენ მიერ გაწეული სამსახურისა და ამაგის სანუქფოდ შენ დანიშნული ხარ ქართველთა ტომის სარდლად. ამას გარდა ... დადგენილია და გადაწყვეტილია, რომ შენც გაწეული სამსახურის სამაგიეროდ და შენი წადილის შესაბამისად წარჩინებულთა შორის ღირსპატივისცემა იქნები და უკეთუ ზემოხსენებული ბეგის გამოხსნა ვერ მოგვიხერხდა, იმ შემთხვევაში უეჭველია, რომ მის ადგილს შენ დაიკავებ და დანიშვნას მიიღებ. როდესაც შენ ამას გაცნობებენ, საქართველოდან ოსმალეთს თავშეფარებული ხალხი შენთან მოიხმე და შემოიკრიბე. და დიდი გულისყურით მოეციდე ამ საქმეს და ეცადე... რომ თავადები აზნაურები და სხვა ქართველთა ჯგუფები შემოირიგო და დაამშვიდო ისინი. გამოიჩინე როგორც საჭიროა დიდი გულმოდგინება, რათა ეს ხალხი შენ შემოიკრიბო და გადმოიბირო“<sup>90</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ფირმანი გაცემულია იმ დროს, როდესაც გივი ამილახვრის აჯანყება უკვე დამარცხებულია და თვითონ აჯანყების მეთაური ყიზილბაშთა ხელშია. ეს აშკარად ჩანს ფირმანიდან. ბუნებრივია, დამარცხებულთა მხარეზე და ყიზილბაშთა წინააღმდეგ იქნებოდა ოსმალეთიც. ფირმანში აღნიშნულია გივი ამილახვრის დატყვევების შესახებ. იქ ნათქვამია, რომ ციხის ლაღუმისაგან დანგრევის შედეგად იგი ყიზილბაშებმა დაატყვევეს, მაგრამ ფირმანიდან არა ჩანს, თუ რომელ ციხეში იყო იგი გამაგრებული. ქართული წყაროებით დასტურდება, რომ ფირმანში მოხსენებული ციხე, რომელშიც გივი ამილახვარი იყო გამაგრებული. სურამის ციხე ყოფილა. პაპუნა ორბელიანი მიუთითებს, რომ „მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა“<sup>91</sup>. ამ ციხის დანგრევის შემდეგ გივი ამილახვარი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო და თვითონ დაიწყო შემორიგებაზე ლაპარაკი. გივი ამილახვარი მოითხოვდა, რომ „ბატონი დედოფალი მობრძანდეს და იმას მივენდობიო“<sup>92</sup>. გივის სურვილი შეუსრულეს, „თამარი სურამს მივიდა, გივი ეახლა თამარს და ერთგულება შეჰფიცა. თამარმა თავის მხრივ უვნებლობა აღუთქვა. გივიმ თავისი საქონლის დავთარი გადასცა და ციხე ჩააბარა... დედოფალი თბილისში წამოვიდა და გივიც თან წამოიყვანა“<sup>93</sup>.

ამრიგად, გივი ამილახვრის აჯანყება დამარცხდა, დატყვევებული გივი ამილახვარი ნადირ-შაჰს გაუგზავნეს. ამ აჯანყების საბოლოოდ.

<sup>90</sup> ს. ჯიქია, XVIII საუკუნის ორი თურქული ოქცემენტი, გვ. 157—158.

<sup>91</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, გვ. 379.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> დ. გერიტიშვილი, ღასახ. ნაშრ., გვ. 431.

დამარცხების შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ერანისაყენ გამგზავრებულ ამილახორს გზაზედ შანშე ერისთავი შემოეყარა. ის თეიმურაზის შუამდგომლობით ყაენს სამშობლოში დაებრუნებინა. თავადური ქართლისათვის ორი მებრძოლი, ორივე ბრძოლაწაგებული, ერთი თვალედათხრილი და მეორე თვალედასათხრელი ურთიერთს უბედურებაში მწარე ტირილით ანუგეშებდნენ. ეს იყო თავადური ქართლის გლოვა“<sup>94</sup>.

დატყვევებული გივი ამილახვრის უფლებებს ოსმალთა ხელისუფლება ფირმანით დროებით დავით თარხანს უდასტურებს, ანიჭებს მას ყველა იმ პრივილეგიას, რაც ადრე გივი ამილახვარს ჰქონდა და მოუწოდებს მას ოსმალთა სახელმწიფოს ერთგულებისაკენ. ამასთანავე საგანგებოდ აფრთხილებს, რომ შემოიკრიბოს და გაიერთგულოს ყველა ქართველი თავადი და აზნაური და ჩააყენოს ისინი ოსმალეთის სამსახურში. ამის სანაცვლოდ იგი მას დიდ წყალობასა და პატივს ჰპირდება. ფირმანში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ თუ გივი ამილახვარი ტყვეობიდან დაბრუნდება, მას თავისი თანამდებობა დაუბრუნდება, მაგრამ თუ მისი ყიზილბაშთა ხელიდან გამოხსნა ვერ მოხერხდება, მაშინ დავით თარხანი საბოლოოდ მიიღებს დანიშნას გივი ამილახვრის მაგივრად. დოკუმენტში საგანგებოდაა ხაზგასმული დავით თარხანის დამსახურება ყიზილბაშთა წინააღმდეგ. ამ ფირმიანიდან აშკარად ჩანს ოსმალეთის განწყობილება ქართლის მიმართ. იგი ცდილობს თავისი დასაყრდენი გაიზინოს ქართლში ადგილობრივი თავადების და აზნაურების სახით. გახადოს ისინი ოსმალეთზე დამოკიდებული, მყარი საფუძველი შექმნას ოსმალობის გასაგრცელებლად და დაუპირისპირდეს ყიზილბაშობას. ამით ოსმალეთი ორ საქმეს აკეთებდა. ჯერ ერთი, ქართლში ოსმალობის აღდგენას და იქიდან ყიზილბაშობის ფეხის მოკვეთას ლაშობდა, მეორეს მხრივ, თავისი საუკუნოვანი მტრის — ყიზილბაშური ირანის წინაშე იგი გამარჯვებული გამოდიოდა, ამით მისი საერთაშორისო ავტორიტეტი უფრო დიდდებოდა.

ქართლში ოსმალობისდროინდელი ერთი თურქული ფირმანი გვაუწყებს, რომ იგი სულთანმა უბოძა გივი ამილახვარს. ფირმანში საუბარია იმის შესახებ, რომ სულთანმა გივი ამილახვარს ამიერიდან სამემკვიდრეოდ უბოძა სოფელი ცხინვალი. ეს დოკუმენტი ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიაშვილი<sup>95</sup>.

საინტერესოა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში

<sup>94</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

<sup>95</sup> ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ. თსუ-ს შრომები, ტ. 116, გვ. 243—247. თბ., 1965.

დაცული ორი თურქული დოკუმენტის შინაარსი, რომლის ქართული თარგმანი სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა აკად. სერგი ჯიქიაშვილი<sup>96</sup>. ამ დოკუმენტების მიხედვით, „თბილისის ვილაიეთის დიდი დაფთვიდან“ ამოწერილი სოფლები და სხვა მამულები ეძლევა ოსმალთა მოხელეებს. ერთი საბუთის მიხედვით, 1728 წ. საბარათიანოში შემავალი ორი სოფელი: მაწევანი და სატრედო თავისი შემოსავლით ებოძა ვინმე აჰმედს. მეორე დოკუმენტით კი — 1727 წელს გორის სანჯაყსა და ნაჰიეში სოფ. ატენი და წედისი სოფელ ბნავისითურთ და სათესველით — დავასირით(?) სარჩო-საკვების წესით ებოძა გარდაცვლილი მფლობელის, მუსტაფა-ფაშას, შვილს ალის.

„ოსმალთა“ ახლად დამყარებული იყო ქართლში, რომ სულთან აჰმედ III-მ (1703—1730) იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით თბილისის ვილაიეთი (ქართლის) საბეგლარ-ბეგოდ უბოძა ბაქარ ვახტანგის ძეს, რომელიც „გაპატიოსნდა“ ისლამის მიღებით და იწოდა იბრაჰიმად. ამ ფირმანის ბოძებით ოსმალეთის ხელისუფლება იმაგრებდა თავის პოლიტიკურ პოზიციებს ქართლში და ბეგლარ-ბეგობასთან ერთად იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით, ქართლის დაპყრობილი ტერიტორიები მუდმივ და სამემკვიდრეო მფლობელობაში ეძლეოდა ბაქარს. მიწების გაცემის ამგვარი წესით ოსმალეთის ხელისუფლება ერთგვარ ღონისძიებას ატარებდა დაპყრობილი ქვეყნის წარჩინებულთა გადმოსაბირებლად. საამისო ღონისძიებებს ოსმალები მიმართავდნენ ხოლმე დაპყრობილ სასაზღვრო პროვინციებში.

ფირმანი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. იგი ქართულ თარგმანთან ერთად სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიაშვილი<sup>97</sup>.

XVIII ს-ის მე-2 მეოთხედში ქართლში „ოსმალთა“ პერიოდში ოსმალთა-ხელისუფალთა სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო თურქული დოკუმენტი ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდში. აქ დაცული ოსმალური სასამართლო წყობილების შესახებ არსებული თურქული დოკუმენტების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდში ქართლში ყოფილა შარიათის სამი სასამართლო საყადო: თბილისის, გორისა და თრიალეთის. ოსმალური სასამართლო წყობილების ამსახველი დოკუმენტების ნა-

<sup>96</sup> ს. ჯიქია, მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972, გვ. 210—216.

<sup>97</sup> ს. ჯიქია, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, „ქართული წყაროთმცოდნეობა“. III, გვ. 278—282, თბ., 1971.

წილი, ექვსი საბუთი ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიაშ<sup>98</sup>.

იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მოღვაწეობის ბოლო წლებს ეხება მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცნობების შემცველი ოთხი თურქული დოკუმენტი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციიდან, რომელიც დოც. ცისანა აბულაძემ ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა<sup>99</sup>. დოკუმენტებში საინტერესო ცნობებია დაცული ოსმალეთის ხელისუფლებასთან სოლომონ II-ის ურთიერთობის ცალკეული მომენტების დასაზუსტებლად. ასევე ოსმალთა მოხელეთა და ცალკეულ ფაშათა სოლომონ II-თან ურთიერთობის დამადასტურებელი ორი თურქული დოკუმენტი გამოსცა დოც. ცისანა აბულაძემ<sup>100</sup>. მან გამოაქვეყნა ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში დაცული თურქული დოკუმენტების ტექსტები ქართული თარგმანითა და შენიშვნებით. იგი შეიცავს ტრაპიზონის ფაშას სეიდ სულეიმანისა და იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს. გამოქვეყნებული დოკუმენტები ტრაპიზონის ფაშას მიერ სოლომონ მეორისადმი მიწერილი წერილებია, როდესაც ეს უკანასკნელი სიცოცხლის ბოლო წლებში ტრაპიზონის ვილაიეთში იმყოფებოდა ოსმალთა ხელისუფალთაგან დახმარების მიღების მოლოდინში.

დოც. ვ. ჩოჩიევმა გამოაქვეყნა XVIII ს-ში ირან-ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტები ქართული თარგმანითა და გამოკვლევით<sup>101</sup>. ამ დოკუმენტის მიხედვით შეიძლება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გათვალისწინება. მასში ასახულია ირან-ოსმალეთის მრავალწლოვანი პოლიტიკური ურთიერთობის შედეგები. დოც. ვ. ჩოჩიევმა გამოაქვეყნა აგრეთვე ირან-ოსმალეთის 1727 წლის საზავო ხელშეკრულების თურქული ტექსტი, ქართული თარგმანითა და გამოკვლევით<sup>102</sup>. ამ ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი

<sup>98</sup> ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, გვ. 165—188, თბ. 1969.

<sup>99</sup> ც. აბულაძე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ, თსუ-ს შრომები, ტ. 121, გვ. 165—185, თბ., 1967.

<sup>100</sup> ც. აბულაძე, ტრაპიზონის ფაშას სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორისადმი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, გვ. 402—406, თბ., 1971.

<sup>101</sup> ვ. ჩოჩიევი, ირანისა და ოსმალეთის 1736 და 1746 წლების საზავო ხელშეკრულებები. თსუ-ს შრომები, ტ. 99, გვ. 271—305, 1962.

<sup>102</sup> ვ. ჩოჩიევი, ირანის საერთაშორისო მდგომარეობა ირან-ოსმალეთის 1727 წ. საზავო ხელშეკრულების მიხედვით, თსუ-ს შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, გვ. 401—419, თბ., 1965.

პუნქტებია საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით შესაძლებელი ხდება ირან-ოსმალეთს შორის არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გარკვევა, ოსმალეთის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ, ძალთა თანაფარდობის გათვალისწინება მახლობელ აღმოსავლეთში და სხვ.



ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ ის თურქული დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართული თარგმანითა და სათანადო კომენტარებით, ეს წყაროები სამეცნიერო მიმოქცევაშია, მაგრამ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული კოლექციების ფონდებში საკმაო რაოდენობით ინახება ისეთი თურქული დოკუმენტები, რომლებიც ძალიან საინტერესო წყაროს წარმოადგენენ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების ნათელსაყოფად და საბუთები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია. ამ დოკუმენტების უმრავლესობის თურქული ტექსტი გადმოწერილია, დადგენილია, ქართულად თარგმნილია და მზადდება დასაბეჭდად. ამ მძიმე და მეტად შრომატევადი სამუშაოს შესრულება იტვირთეს აკად. სერგი ჭიქიამ და დოც. ცისანა აბულაძემ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილავთ იმ თურქულ დოკუმენტებს, რომლებიც XVIII ს-ის საქართველოს ისტორიის რიგ საკითხებს შეეხება. საბუთების შინაარსი მრავალგვარია, ისინი ძირითადად ასახავენ ოსმალობის შემოღების ცდებს XVIII ს-ის მე-2 მეოთხედში. საბუთებში ლაპარაკია ქართულ მიწებზე თიმარებისა და ზიამეთების შეზღოებაზე, ჭიზიას გადასახადზე, გორში ყადის საქმიანობისა და სხვა საკითხების შესახებ. არის მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომელიც გაცემულია ოსმალთა ხელისუფალთა მიერ ქართველი თავადებისადმი.

1727 წლით დათარიღებულ ერთ თურქულ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ სულთნის ფირმანი ებოძა ვინმე აჰმედს, რომლითაც მას ეძლევა უფლება იყოს მფლობელი თბილისის სანჯაყში ბარათას(?) ნაპიეში, სოფ. მაწევანში მდებარე 6.400 ახჩიანი თიმარისა. სულთნის მეორე, ამავე წლით დათარიღებულ ფირმანში ლაპარაკია იმაზე, რომ ზუსტად ეს თიმარი, იმავე რაოდენობით ებოძა ვინმე მუსტაფას. ამ ორი ფირმანიდან ჩანს, რომ სულთანს ერთი და იგივე მამული გაუბოძებია ორი სხვადასხვა პირისათვის — აჰმედისა და მუსტაფასათვის. იურიდიულად ორ სხვადასხვა პიროვნებას ჰქონდა უფლება ქართული მიწების ფლობისა. შესაძლებელია ერთი პირის გარდაცვალების შემდეგ სულთნის ფირმანით ეს მამული ებოძა მეორეს, ანდა უფრო მო-

სალოდნელია ორივე ოსმალო მოხელე ახორციელებდა თავის უფლებებს ქართულ მიწაზე. იურიდიულად ორივეს ეძლეოდა უფლება თავიანთი ღონისძიების გატარებისა, მაგრამ ამ პერიოდში, ქართლში ოსმალობის დროს ქართული სამამულო მიწისმფლობელობა არ დაღვეულა. ოსმალო მოხელე დაინტერესებული იყო მხოლოდ გადასახადების აკრეფით. სწორედ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ეძლეოდა მას ეს მამულები სულთნის ხელისუფლებისაგან. ფირმანიდანაც ჩანს, რომ თბილისის სანჯაყში მდებარე სოფელი 6400 ახჩიანი თიმარია, ოსმალო მოხელე ამ თანხის აკრეფით იყო დაინტერესებული და არა მეურნეობის წარმოებით.

თიმარების გარდა, სულთნის ხელისუფლება ქართულ მამულებს ზიამეთების სახითაც ურიგებდა ოსმალო მოხელებს. ზიამეთები მიწისმფლობელობის უფრო დიდი ერთეულია. 1727 წლის ერთ-ერთი ფირმანით, სულთანი უბოძებს 21.000 ახჩიან მამულს — ზიამეთად ვინმე მუსტაფა ფაშას ძეს — ალის. ფირმანში აღნიშნულია, რომ მუსტაფა-ფაშას გარდაცვალების გამო გორის სანჯაყსა და ნაჰიეში მდებარე ატენისა და წედისის 21.000 ახჩიანი მამული — ზიამეთი ებოძა ალის.

ვინმე ალისადმი ამავე უფლებების დადასტურებაა მეორე ფირმანშიც. ზუსტად იმავე რაოდენობისა და იგივე სოფლები ეძლევა ამ მეორე ფირმანით იმავე ალის. აქ ერთი და იგივე საკითხზე ორი ფირმანია გაცემული სულთნის მიერ. არსებითად ერთი და იგივე უფლებები უდასტურდება ალის, რომელსაც მამა გარდაეცვალა. ადრე მამა ფლობდა ამ მამულებს, ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოფიციალურად, სულთნის ნებართვით მამიდან შვილზე გადადის ამ მამულების ფლობის უფლება. შვილი კი თავის მხრივ ვალდებულია შეასრულოს ყველა ის მოვალეობა, რაც მამამისს ეკისრა სულთნის ხელისუფლების წინაშე. მისი არ შესრულების შემთხვევაში იგი კარგავს ამ უფლებებს მამულებზე. უფრო სწორად, კარგავს ჯამაგირს, რომელსაც ის ამ მამულების შემოსავლიდან იღებს. ფირმანებიდან ჩანს, რომ ქართლში ოსმალობის შემოღებისას ოსმალური ადმინისტრაციული სისტემაც იკიდებდა ფეხს. ფირმანში ლაპარაკია თბილისის სანჯაყზე, გორის სანჯაყზე და ნაჰიეებზე.

სულთნის მიერ გაცემულ, 1727 წლით დათარიღებულ ერთ სიგელში, რომელიც ბოძებულია გივი ამილახვრისადმი, ნათქვამია, რომ მას ებოძოს თბილისის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში მდებარე სოფ. სხილვანი 66.832 ახჩის შემოსავლით. ფირმანში ხაზგასმულია, რომ გივი ამილახორ-ოღლი ერთგულად გვემსახურა, მას დიდი შრომა აქვს გაწეული ლეკების შემოსევისას გორის ციხის დაცვაში და სხვ.

მომდევნო 1728 წელს ისპაკ ფაშას წარდგინებით იმავე გივი ამილახერისადმი სულთნის მიერ გაცემულ ფირმანში საგანგებოდაა აღნიშნული გივი ამილახერის ერთგულება სულთნისადმი, მისი დამსახურება გორის ციხის დაცვისა და გამაგრების საქმეში. ასეთი დიდი სამსახურის სანაცვლოდ ფირმანით მას ებოძა სოფლები სახასო მამულებიდან. სულთნის მიერ გივი ამილახერისადმი გაცემული მამულები, ჩანს, ზიამეთებია და საკმაოდ დიდი შემოსავლის მქონეც. ამ პერიოდში გივი ამილახერი ოსმალეთის სამსახურში იმყოფებოდა, იგი ოსმალთა მიერ ზემო ქართლის მმართველად იყო დანიშნული. მიუხედავად ამისა, „ფეოდალთა ურთიერთობა, თითოეული ფეოდალის სახლის წევრთა დამოკიდებულება ამილახვარს უნდა გაერჩია“<sup>103</sup>. ამილახერისადმი ბოძებულ მამულებში იგი ვალდებული იყო ოსმალთა სუვერენიტეტი განეხორციელებინა. ფირმანიდან ჩანს, რომ ოსმალთა ხელისუფლება კმაყოფილია გივი ამილახერის საქმიანობით საქართველოში და მისი ამ დამსახურების სანაცვლოდ მას მამულებს უბოძებს. ფირმანიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ ოსმალთასთან ერთად ქართლის მოსახლეობას ძალიან აწუხებდა ლეკიანობა. ლეკთა თავდასხმებისაგან თავის დაცვის საქმეში გივი ამილახერის დამსახურება საგანგებოდაა აღნიშნული ფირმანში. მართალია, გივი ამილახერი ებრძოდა ლეკიანობას, მაგრამ იგი არანაკლებ ებრძოდა ოსმალთასაც. ჯერ კიდევ ქართლში ოსმალთა შემოღების პირველ წლებში ადგილობრივი მოსახლეობა სასტიკად ებრძოდა უცხო ძალის გაბატონებას.

აჯანყებული ქართველი მოსახლეობის მიმართ გარკვეულ „ჰუმანურობას“ იჩინს ოსმალთა სულთანი, როდესაც გორისა და არდაშენის ადგილობრივ მოსახლეობას „აპატიებს“ აჯანყების მოწყობას. 1724 წლის ბრძანებით, რეჯეფ-ფაშა უბრძანებს მუსტაფა-ფაშასა და ისმაილ-ბეგს, რომ ისინი ამიერიდან ნულარ დასჯიან გორსა და არდაშენში აჯანყებულებს, რადგანაც ხონთქარმა მათ დანაშაული აპატიო.

ამ პერიოდში ლეკთა თარეში ისე ძლიერი ყოფილა, რომ თვით ოსმალთა მოხელეებიც კი გარკვეულ ღონისძიებებს ხმარობენ მათ სალიკვიდაციოდ. არსებობს 1731—1732 წწ. თურქულ ენაზე შედგენილი ელიზბარ დავითაშვილის წერილი იმ სოფლების შესახებ, რომლებიც მის მფლობელობაში იყო. იგი სთხოვს ხელისუფალთ მიიღონ ზომები სოფლების გასათავისუფლებლად. ქვეყანა გაოხრდა, არავითარი შემოსავალი არაა, ლეკთა ყაჩაღებისაგან მოსვენება აღარაა და მოსახლეობა იფანტება.

<sup>103</sup> დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. 1955, თბ., გვ. 407.

1732 წელს გორის კონენდანიტი მეჰმედი ჰასან თუმანოლის წერილში წერს, რომ რამდენიმე წელია, რაც ლეკების ბრბოები შემოდის და ლარიბი რეაიას ბავშვები ტყვედ მიჰყავთ, გლეხთა ქონებას იტაცებენ და ამრიგად სოფლებს ანადგურებენ, მათი უმოსევები არეულობებს იწვევს. წერილში ჩამოთვლილია ღონისძიებანი ამ შემოსევათა სალიკვიდაციოდ. სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძალზე შეუწუხებია ლეკთა თარეშს და მათ თხოვნით მიუმართავთ ოსმალთა მოხელეებისადმი. ოსმალთა მოხელეები კი გარკვეულ ღონისძიებებს ხმარობენ ლეკების წინააღმდეგ. ჩვენს ხელთ არის 1732 წელს შედგენილი გორის ყადის განაჩენი გორის კომენდანტის მეჰმედ ფაშას მიმართ გორის რაბათის მცხოვრებთა მიერ წარდგენილ თხოვნაზე იმის შესახებ, რომ ლეკები თავს ესხმიან, აწიოკებენ, არბევენ, იტაცებენ ბავშვებს და სხვა მოქალაქეებს. ამიტომ საჭიროა 30 მუდმივი ცხენოსანი რაზმის შედგენა. თითოეულ მხედარს თვიურად დაენიშნოს ხუთი ყურღუმი და სხვ.

არსებობს 1723 წლით დათარიღებული ფირმანი გორის ციხის მკველის მირმირან ომერისადმი იმის შესახებ, რომ თანახმად მისი წარდგინებისა, გორის ციხის რაბათის ქეთხუდას — ფარსადანს გორის ციხის გაწმემო საყარაულო სამსახურისთვის დაენიშნოს დღიურად 30 ახჩა, ხოლო მის ამაღაში მყოფ 40 კაცს დღეში ხუთ-ხუთი ახჩა.

სხვა თურქული დოკუმენტების მოტანისას ქვემოთ უფრო ნათლად დავინახავთ, რომ ქართლში ოსმალობის დროს გორში იჯდა სასულიერო მოსამართლე — ყადი, რომელიც განაგებდა ადგილობრივი სასამართლოს წარმოების საქმეს შარიათის საფუძველზე. ზემოთ მოტანილი ცნობიდანაც აშკარაა, რომ გორის ყადი იძლევა განაჩენს და ავალებს სხვა ოსმალთა მოხელეებს გარკვეული საქმიანობის წარმოებას. მაშასადამე, ქართლში ოსმალობის შემოღებისთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლებას თან შემოჰქონდა ოსმალური სამართლის ნორმებიც და მისი ცხოვრებაში გამტარებელი, სასულიერო მოსამართლე — ყადიც გარკვეული ფუნქციებით იყო აღჭურვილი. მას მიმართავს ადგილობრივი მოსახლეობა ლეკთა თარეშისაგან თავის დასაცავად ღონისძიების მისაღებად. ყადიც გარკვეულ ღონისძიებებს ღებულობს. თურქული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად ყადს მიმართავს. მაგალითად, არსებობს 1728 წლის გორის ყადის მეჰმედის განაჩენი სოფ. ხელთუბნის მცხოვრებ ზურაბ ჰაატას ძის მიერ აღძრულ საჩივარზე იმის შესახებ, რომ იმავე სოფლის მცხოვრებმა გიორგი ბეროს-ძემ თავის მიწაზე მუშაობისას დანით მოკლა თავისი ძმა — ერეკლე. ანდა კიდევ, 1729 წლით დათარიღებული გორის ყადის განაჩენი გიორგი თადეოზის-ძის



გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი უძრავ-მოძრავი ქონების მემკვიდრეთა და სხვათა შორის განაწილების შესახებ.

1732 წ. ყაღმა თავის უფროსს წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ ბარხუდარ და ბერო ურჯულოებმა თავიანთი მამული მიატოვეს, გაიქცნენ და თბილისში ცხოვრობენ. ყადი უფროსისაგან ითხოვს, მათი მამული სხვა რეაიას გადაეცეს. მოვიტანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს თურქული დოკუმენტებიდან ყადის საქმიანობის მრავალმხრივობის შესახებ. არსებობს 1732 წლის გორის ყადის განაჩენი ხელთუბნის მცხოვრების ქაიხოსრო ესტატეს ძის საჩივრის გამო იმის შესახებ, რომ მან ჰასან ჩავეუ აბდულ-ლაჰის-ძეს გადასცა სოფლის მცხოვრებთაგან ჯიზიას გადასახადის აკრეფის უფლება. გორის ყადის განაჩენი ეხება სოფ. ხელთუბნის მცხოვრების ქაიხოსრო ესტატეს-ძისა და ჰასან ჩავეუ აბდულ-ლაჰის ძეს შორის არსებული დავის შესახებ სოფელში ჯიზიას გადასახადის შეკრებისა და შეკრებილი თანხის დანიშნულებისამებრ გაუცემლობის საკითხს.

ჩვენს ხელთაა 1727 წლის ყადის უჯათი (განჩინება) თრიალეთში სოფელ კლდისის მცხოვრების საზა ყარაბუღანის ძისა და ვინმე მარილინას(?) შორის წამოჭრილი დავის შესახებ ვალის გადახდის თაობაზე. ყადი თავისი განჩინებით აწესრიგებს ამ ორ პირს შორის წამოჭრილ დავას ვალის თაობაზე. ყადი აწესრიგებდა აგრეთვე ამა თუ იმ პირის ქონების ყიდვა-გაყიდვის საქმეში არსებულ უთანხმოებებსაც. 1729 წლის ყადის უჯათით დადგენილია, რომ ვინმე აბდულლაჰ აბდულქერიმის ძემ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება მიყიდოს ყაფლან-ოღლი დიმიტრი ზურაბის ძეს 120 ყურუშად.

მამულის ფლობის საკითხში წამოჭრილი დავის მოწესრიგება ყადის უშუალო მოვალეობას შეადგენდა. არსებობს 1732 წლით დათარიღებული თხოვნა იმაზე, რომ ბარათლის რაიონში მდებარე სოფ. მონასტერი ომის შემდეგ იყო ჩემს განკარგულებაშიო, ახლა ვინმე მამუკა მედავება და ყადისგან ითხოვს სამართალს.

ანდა კიდევ, არსებობს 1724 წლის თბილისის ყადის ჰასანის უჯათი (განჩინება) თბილისის დევთერდარის ხალილის წარდგინების თანახმად, ვახტანგ VI-თან ერთად გაქცეული ნაზირ ოსეფ ზურაბის ძის დების -- გოზალის, ხორეშანის, მარეხისა და მარიამისადმი კუთვნილი, თბილისში მდებარე 16 დუქნისა და სხვა საქონლის გაყიდვის თაობაზე.

თურქული დოკუმენტების ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ ყადს საკმაოდ მრავალმხრივი პრაქტიკული საქმეების განხორციელება უხდებოდა. ყადი იჯდა როგორც გორში, ისე თრიალეთსა და თბილისშიც და განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა მთელი

რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ყოფა-ცხოვრების მთელი რიგი საკითხები, ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, დავის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა და სხვა საკითხები ყველაფერი ყადის მეშვეობითა და გადაწყვეტილებით ხდებოდა. იურიდიულად ყადს ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი. ყადის გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდნენ სხვა-ოსმალო-მოხელეები. ყადის თანამდებობის არსებობა თბილისში, გორსა და თრიალეთში მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ქართლში-ოსმალური კანონმდებლობა მოქმედებდა და იმის მიხედვით ხდებოდა სამართლის წარმოება. ზემოთ მოტანილ ცნობებში მოხსენებული იყო თბილისის დევთერდარი. დევთერდარი იყო ისეთი თანამდებობა, რომელსაც ევალებოდა საფინანსო საქმეების წარმოება. თბილისის დევთერდარის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო ხალხის აღწერა და ყოველგვარი ცნობების დავთარში შეტანა. ქართლში ოსმალობის დროს ხდება ხალხის აღწერა და ოსმალური გადასახადებით დაბეგვრა. არსებობს თბილისის დავთარი, რომელზედაც სამწუხაროდ ჭერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება. იგი 1727 წელსაა შედგენილი. საფიქრებელია, რომ თბილისის დავთარი ძალიან ბევრ საინტერესო და ახალ ცნობებს შეიცავს ქართლში ოსმალობის მთელი რიგი საკითხების გასაშუქებლად. ამჟამად თბილისის დავთარი ინახება სტამბოლში, პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში (№ 897/418 და 900/831).

ჩვენს ხელთაა 1728 წლით დათარიღებული საბუთი, რომელიც თბილისის დევთერდარს აბდურრაჰმანს გაუცია თავად ქაიხოსროსადმი. საბუთი უდასტურებს ქაიხოსროს იმას, რომ სოფ. მონასტერში მდებარე ვენახი გადაეცეს მას უშურისა და გადასახადების გაღების პირობით, ამ საბუთიდან ჩანს, რომ დევთერდარს ხელი მიუწვდებოდა როგორც მამულებზე, ისე მათზე დაწესებულ გადასახადებზედაც. დევთერდარი ქართულ მამულებს აძლევს ისევ ქართველ თავადს გარკვეული გადასახადის გაღების პირობით. გადასახადის გადაუხდელობისას ის კარგავს ამ უფლებას და იგი სხვას გადაეცემა. ქართველი თავადი ოსმალო ხელისუფლების წინაშე ვალდებულია მხოლოდ გადასახადის გაღებით. მას ენიჭება უფლება ქართულ მიწაზე მოსახლე გლეხებზე თვითონ აწარმოოს სამართალი. ამ შემთხვევაში ქართველ თავადს ხელი მიუწვდება როგორც მიწაზე, ისე მასზე მსხდარ გლეხებზე. მას თავისი ნება-სურვილის მიხედვით შეუძლია გააწეროს გადასახადები.

ოსმალობის დროს მთელი ქართლის მოსახლეობა აღწერილი და დავთრებში შეტანილი იყო. დავთრის მიხედვით, ქართლის მიწები ისევ ქართველ თავადებს ეძლეოდათ სამფლობელოდ გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ. ამ ქართული მამულების მფლობელებად ოსმალო მოხელეებიც გვევლინებიან. 1728 წელს ციციანთ რაიონ-

ში მდებარე სოფლების — წედისისა და ატენის მფლობელი მუსტაფა აცნობებს ისპაჟ-ფაშას, რომ დაეთარში ის ამ სოფლების მფლობელად არ არის ჩაწერილი, მაშინ, როდესაც მას აქვს ამაზე სულთნის ბერათი. ისპაჟ-ფაშა აკმაყოფილებს ვინმე მუსტაფას თხოვნას და იქვე უდასტურებს მას ზემოთ დასახელებულ სოფლებზე მფლობელობის უფლებებს.

სულთნის ხელისუფლება უხვად ასაჩუქრებდა იმ პირებს, რომლებიც მათ სამსახურში ჩადგებოდნენ. დოკუმენტში ლაპარაკია ერასტი დივან-ბეგზე, რომელსაც დიდი სამსახური გაუწევია ოსმალ-ხელისუფალთათვის. ამ სამსახურის სანაცვლოდ მადლიერი ხონთქარი უხვად ასაჩუქრებს რენეგატ ერასტის. 1722 წლით დათარიღებულ ფირმანში სულთანი ერასტი დივან-ბეგის დამსახურებასა და ერთგულებას აღნიშნავს და ამის სანაცვლოდ მას და მის ძმის შვილებს ელიზბარსა და ვახტანგს (თავადებს) უბოძებს ლორესა და სომხითს შუა მდებარე სოფლებს — ხუჯურიანასა და მელიქაშირას. რამდენიმე წლის შემდეგ — 1725 წელს სულთანი ისევ გაუცია ფირმანი აღჯა-ყალას მცველის ისმაილისა და ყადისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დივან-ბეგ ერასტის, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის ციხის აღებაში, ებოძოს სომხითში მდებარე ორი სოფელი — جوجولزی და მელიქ-ქეშანი იმ პირობით, რომ წელიწადში გარდაკვეთილად გადაუხადონ ხაზინას 50 ყურუში.

ზემოთ დასახელებული ფირმანებით, რენეგატი ერასტი წყალობის სახით მიღებულ მამულებს არ სჯერდება და ისპაჟ-ფაშას სთხოვს, რომ რეჯეფ-ფაშას დროს ბარათლი-ოღლი გარდაიცვალა უძეოდ და მისი უპატრონოდ დარჩენილი მამული მე მებოძაო, რადგანაც მე შვილი (ძე) არა მყავსო, გთხოვთ ბრძანება (ბუირულთი) ჩემი სიძის სახელზე გასცეთო. ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარმა დივან-ბეგმა ერასტიმ დიდძალი მამულები შემომიტყიცა. იგი არ დაჟერდა მასზე ბოძებულ მამულებს და თავისი სიძის სახელითაც ითხოვა მიწები.

იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მაცხოვრებელი ისლამის რელიგიას მიიღებდა, თავისუფლდებოდა ჭიზიას გადასახადისაგან. არსებობს 1728 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომლის მიხედვით სოფელ ზირანაკის მცხოვრების ერთ შვილს ისლამის სარწმუნოება მიუღია. მამამისი (გულბათი?) თხოვს ისპაჟ-ფაშას გაათავისუფლოს მისი შვილი ჭიზიას გადასახადისაგან. ქართველი მოსახლეობა სასტიკი წინააღმდეგი იყო ისლამის რელიგიის მიღებისა. ქართველი წინააღმდეგი იყო აგრეთვე თავისი ქალიშვილი მუსლიმანზე გაეთხოვებინა. თუ ასეთ შემთხვევას ექნებოდა ადგილი, მაშინ ყადისგან სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. მაგალითად, ერთ-ერთი 1734 წლით დათარიღებული

დოკუმენტით, ავთანდილ გიაურის ქალიშვილის მარიამის (მუსლიმან-ზე?) გასათხოვებლად მამამისი ნებას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში სასიძოს ნება ეძლევა წავიდეს გორში ან თბილისში და იქიდან ნე-ზართვა მოიტანოს. მასთანადამე, ქართველი ძნელად თუ მუსლიმანდებოდა ან მუსლიმანს გაყვებოდა. იყო მხოლოდ ცალკეული, ერთეული შემთხვევები, როდესაც გარკვეული ეკონომიური იძულების შედეგად ხდებოდა ქართველის გამუსლიმანება. მუსლიმანები კი გარკვეული ეკონომიური პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

ჩენს ხელთ არის კიდევ ერთი ფირმანი, 1744 წლით დათარიღებული (№ 15). ფირმანის ადრესატია უსკუდარ-ყარსის გზაზე დანიშნული ყველა ყადი და სამხედრო პირი. ფირმანით სულთანი აფრთხილებს უსკუდარ-ყარსის გზაზე მომსახურე ყველა ყადს და სამხედრო პირს იმის შესახებ, რომ თბილისელ თავადს დავით თარხანს, რომელიც ხონთქართან იყო ზოგიერთი საქმის გამო, უკან დაბრუნებისას (მოგზაურობის ან გზაში შეჩერების დროს) გაეწიოს დახმარება, რათა მან მშვიდობით ჩააღწიოს დანიშნულ ადგილს.

მეორე ფირმანი, რომელიც 1745 წლითაა დათარიღებული (№ 38) გივი ამილახვრის ტყვედ ჩავარდნის გამო მის ადგილზე ქართველთა მმართველად დავით თარხანის დანიშვნას ეხება. ზემოთ დასახელებული ორი ფირმანის ქართული თარგმანი სათანადო კომენტარებით გამოსაქვეყნებლად მოამზადა დოც. ც. აბულაძემ<sup>104</sup>.

ჩენს ხელთ არის 1744 წლით დათარიღებული ორი თურქული ფირმანი, რომელთაგან ერთი გაცემულია სულთნის მიერ გივი ამილახვრისადმი, მეორე კი ყარსის სერასქერის — აჰმედ ფაშას სახელზე. პირველ ფირმანში სულთანი აუწყებს გივი ამილახვარს, რომ მან შეკრიბოს ლაშქარი რჩეულთაგან და მიაშველოს ყარსის ახლოს მყოფ სერასქერს — აჰმედ-ფაშას ნადირ-შაჰთან ბრძოლაში. ფირმანით ხულთანი ითხოვს, რათა ქართველობა გივი ამილახვართან ერთად სრულ მზადყოფნაში იყოს, დიდი მონდომებითა და ერთგულებით იღვწოდეს სპარსელთა გასანადგურებლად. ასეთივე მოთხოვნა გაუგზავნია სულთანს აჩიკ-ბაშის მეფისთვისაც. მეორე ფირმანით კი სულთანი აჰმედ-ფაშასგან ითხოვს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენია უკვე გამოგზავნილი და რამდენი უნდა გამოიგზავნოს იმ 53.000 ყურაუშიდან, რომელიც თბილისის თავადის ამილახვრის შვილის მიერ შეგროვილი 1.000 ცხენოსანი კაცის ულუფისა, ჭამაგირისა და სხვა ხარჯებისათვის იყო განკუთვნილი. ამ მეორე ფირმანიდან ჩანს, რომ უკვე გივი ამილა-

<sup>104</sup> ც. აბულაძე, ორი ფირმანი დავით თარხანს. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულა „ფალოლოგიური ძიებანი“. თბ., 1973.

ხვარს შეუსრულებია სულთნის ბრძანება და ყარსის სერასქერის აჰმედ-ფაშასთვის მიუშველებია 1.000 ჯარისკაცი. ეს ის პერიოდია, როდესაც გივი ამილახვარი ახალი გამოქცეულია ირანიდან და იძულებულია დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართოს.

არსებობს მთელი რიგი თურქული დოკუმენტებისა, რომლებიც სამცხე-საათაბაგოში არსებული ოსმალობის ცალკეულ საკითხებს შეეხებიან. XVIII საუკუნისათვის სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა უკვე ძალიან შორს წასული მოვლენა იყო. ოსმალები აქ საფუძვლიანად იყვნენ გაბატონებული. აქ უკვე ოსმალური ადმინისტრაციული და სოციალურ-პოლიტიკური სისტემა იყო დამყარებული. რიგი თურქული დოკუმენტებისა ეხება მიწების მფლობელთა შორის დავის ან ხელახალი მფლობელისადმი გადაცემის საკითხებს, გადასახადების მოწესრიგების საქმეებს და სხვ. 1791 წლით დათარიღებული სიგელის მიხედვით, ჭაჭარაქის სანჯაყსა და ნაჰიეში, სოფ. კაკლიორში და სხვაგან მდებარე 6000 ახჩის თიმარი ებოძა ვინმე حى-ع(?)-ს იმ პირობით, რომ მან ლაშქარი გამოიყვანოს საქიროებისამებრ თავისი ალაი-ბეგის დროშის ქვეშ. თიმარის პირობით მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში თუ მას შვილები ჰყავდა, კანონით შეიძლებოდა მისი შვილებისადმი გადაცემა, თუ ისინი იკისრებდნენ იმ ვალდებულებას, რასაც მამა ასრულებდა ხელისუფლების წინაშე.

თუ თიმარის მფლობელს გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრე არ ღარჩებოდა, მისი თიმარის გადაცემა შეიძლებოდა გარდაცვლილის ძმის შვილისადმი. 1767 წელს სულთნის ფირმანი ვინმე სულეიმან თაპირს ებოძა იმის შესახებ, რომ ალთუნ-ყალას სანჯაყსა და ნაჰიეში, სოფ. აღიგენში მდებარე 17.000 ახჩიანი თიმარის მფლობელის მემკვიდრის გარდაცვალების გამო ხსენებული თიმარი ებოძოს გარდაცვალებულის ძმის შვილს — სულეიმან თაპირს.

სამსახურის დატოვების შემთხვევაში თიმარის მფლობელი კარგავდა მიწებზე ფლობის უფლებას. 1741 წელს სულთნის სპეციალური ფირმანი გამოიცა იმის შესახებ, რომ ალთუნ-ყალას სანჯაყსა და ნაჰიეში — სოფ. ფულატში მდებარე 10.000 ახჩიანი მამული — თიმარი ებოძოს ვინმე ეს'ადს, რადგანაც ამ თიმარის მფლობელმა ახალციხის ციხისათემა დერვიშმა სამსახური დატოვა. ზემოთ დასახელებული თიმარი, რომელიც ვინმე ეს'ადს ებოძა, ოციოდე წლის შემდეგ, ე. ი. მისი გარდაცვალების შემდეგ ებოძა ვინმე ალის, იმავე უფლებებით. მამულების სხვა პირზე გადაცემის გარდა, ხდება მისი განაწლებაც სულთნის ფირმანით და მამულების ფლობის უფლება უხანგრძლივდება იმავე პირს გარკვეული ვადებით. მაგალითად, 1755 წელს გაიცა სულთნის ფირმანი ახალციხის სანჯაყსა და მზვარეს ნაჰიეში მცხოვრებ ჰუსეინზე

იმის შესახებ, რომ ამ ნაპიეში მდებარე 6.000 ახჩიან თიმარზე განუ-  
ახლდეს ბერათი.

არსებობს მთელი რიგი ფირმანებისა, რომლებშიც ლაპარაკია  
სამხრეთ საქართველოში მამულების გაბოძების შესახებ გარკვეული  
სამსახურის სანაცვლოდ. ერთ-ერთ ფირმანში საგანგებოდ აღნიშნულია,  
თუ რა თანამდებობა მიიღო ამა თუ იმ პირმა და რამდენ შემოსავლია-  
ნი მამულები ებოძა მას. მაგალითად, 1763 წლის სულთნის ფირმანის  
მიხედვით<sup>105</sup>, მეკმედ ხაირის მიერ დატოვებული თანამდებობა — ალ-  
თუნ-ყალას სანჯაყ-ბეგობა და ადგილ-მამული ებოძა ვინმე მეკმედ  
საიდს. მამული შეიცავს ალთუნ-ყალას სანჯაყსა და ნაპიეში მდებარე  
თვით ალთუნ-ყალას რაბათს და სხვა სოფლებს სულ ორი იუქისა და  
900 ახჩას შემოსავლით. ამ ფირმანის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ  
ეს დოკუმენტი საუკეთესო წყაროა ქართულ ტერიტორიებზე ოსმა-  
ლური მიწისმფლობელობის ფორმების შესასწავლად. აშკარაა, რომ  
ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმებია გაბატონებული ქართულ  
ტერიტორიაზე და მას ოსმალთ ან გაოსმალებული მოხელეები დაპა-  
ტრონებიათ. არის აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც მიწის ყიდვა-  
გაყიდვის ფაქტებს გვიდასტურებენ. მაგალითად, 1722 წლის მამული  
სოფ. მონასტერში იყიდა სოლად-ოღლიმ. არსებობს 1728 წლის ხელ-  
წერილი იმის შესახებ, რომ სოფელი ახალ-დაბა, პატარა დარბაზი და  
სხვა გარდაკვეთილი ფასით გადაეცა თუმან-ოღლისა და მის ბიძაშვი-  
ლებს. დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ ოსმალთ მოხელეები თა-  
ვიანთი ნება-სურვილის მიხედვით აწარმოებენ ქართული მიწების გა-  
ნაწილებას, მას ყიდვა-გაყიდვის საგნადაც აქცევენ. სამხრეთ საქარ-  
თველოს დოკუმენტებში მიწების მფლობელებად ოსმალები ან გაოსმა-  
ლებული მოხელეები გვევლინებიან. ხოლო ქართლის შესახებ არსებუ-  
ლი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მიწის დროებით მფლობელებად ჯერ კი-  
დეც ქართველი თავადები არიან. მათ გარკვეული სამსახურის სანაცვ-  
ლოდ აქვთ მიღებული ეს მამულები, აგრეთვე მათ საკუთრებაში მყოფი  
მამულები. ახლა კი მათ მხოლოდ მფლობელის უფლება დაუტოვეს,  
ისიც გარკვეული პირობის სანაცვლოდ. ამ პირობის შეუსრულებლო-  
ბისთანავე ის კარგავდა ამ მამულებსაც. 1725 წლით დათარიღებული  
ფირმანით, (Tur d 35) სულთან აჰმედი (1703—1730) უბოძებს სომხი-  
თის ორ სოფელს მელიქაშენსა და ხაჯორჩიას, უფრო სწორად მათი

<sup>105</sup> ამ ფირმანის თურქული ტექსტო ქართული თარგმანითა და სათანადო მეცნი-  
ერული კომენტარებით გამოსაქვეყნებლად მოამზადა დოც. ც. აბელაძემ და გადასცა  
დასაბუქლად. იხ. ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, სულთნის ფირმანი კელაე ალთუნ-ყალას შესახებ.  
აქად. სურგი ქიქიასაღმი მიძღვნილი საიუბაულო კრებული „აღმოსავლურა ფილოლო-  
გია“, III, თბ., 1973.

შემოსავლის ნახევარს, მდივანბეგიშვილს — ერასტის ოსმალთა წინაშე ერთგული და თავდადებული სამსახურის სანაცვლოდ.

ჩვენს ხელთ არის ერთი თურქული დოკუმენტი, რომელიც თურქმა მეცნიერმა ი. უზუნჩარშილიმ გამოსცა<sup>106</sup>. ეს დოკუმენტი ეხება ახალციხის ვალს — იბრაჰიმ ფაშას. ამ დოკუმენტით სულთანმა იბრაჰიმ ფაშას ვეზირობა უბოძა. დოკუმენტში ლაპარაკია იმ დიდ წყალობაზე, რომელიც სულთანმა გამოიჩინა ახალციხის ვალის იბრაჰიმ ფაშასადმი, და იმ უფლება-მოვალეობებზე, რომელიც უნდა შეესრულებინა ახალ ვეზირის სახელმწიფოში.

თურქული დოკუმენტები. როგორც აღვნიშნეთ, მრავალ საინტერესო საკითხს ეხება და საუკეთესო წყაროებს წარმოადგენენ ოსმალეთ-საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად და დასაზუსტებლად. ჩვენ ზემოთ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის შესახებ მივეუთითეთ. მსგავსი დოკუმენტები საქართველოს არქივსაცავებში, განსაკუთრებით საქართველოს ცენტრალურ არქივში საკმაოდ მოგვეპოვება.

ჩვენს განკარგულებაშია საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტი, ოსმალთა სულთნის აბდულ-აზიზის (1861—1876) მიერ 1864 წლის 10 მაისს გაცემული ბერათი<sup>107</sup>, რომლის ადრესატია ვინმე მირი მეჰმედ შერიფი. დოკუმენტის შესავალში სულთანი იუწყება, რომ მისი სასულთნოს ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით საერთო წესით უნდა განახლდეს ყველა ის ჰუქმები, ბერათები და ფირმანები, რომლებიც წინა სულთნის დროს იქნა გაცემული. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჩილდირის ვილაიეთში შემავალ ზემო აჭარის სოფელ ხულოში გააშენეს ერთი ჯამე და მის შემოგარენში — ათი მედრესე. ამის გამო სულთანი ამ ბერათით, ამ ჯამესა და მედრესეების მსახურთა და მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭიროდ მიიჩნევს შესაბამისი თანამდებობების დაწესებას და ახლო-მახლო სოფლების — ლორჯომის, დიდაქარას, რუსხევისა და აღმეს შემოსავალი, რომელიც 1500 ახჩას შეადგენდა და ჩილდირის სახასო მამულებში იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით იყო აღრიცხული, გამოყოფილ იქნას სახასო ადგილებიდან და გამოცხადდეს ახლად აშენებულ ჯამესა და მედრესეების სავაყუფოდ. დოკუმენტიდან აშკარაა, რომ XIX ს-ის 60-იან წლებში ზემო აჭარაში იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით არსებული მიწები საბოლოოდ ვაკუფთა კატეგორიაში გადადის.

<sup>106</sup> I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilâtına. 1948. Ankara, გვ. 197—198.

<sup>107</sup> ამ საბუთის თურქული ტექსტი დაადგინა, ქართულად თარგმნა და შენიშვნები დაურთო აკად. სერგი ჩიქიამ. მას ვამოსაცემავ აწახლებს დოქ. ა. ავალიანი.

ზემო აჭარაში ისლამის რელიგიის საკრებულო ცენტრების მომრავლებასთან ერთად ხდება მიწის ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში გადასვლა, მიწისმფლობელობის იურთლუქისა და ოჯაქლიქის ფორმა იცვლება საეკუფო მფლობელობით. ბერათში ხაზგასმულია, რომ ამ სოფლების შემოსავალი მოხმარდეს ჯამესა და მედრესეების საკურობებისამებრ, ხოლო ამ ჯამესა და მედრესეების მმართველისა და ზედამხედველის თანამდებობანი, წესით, უნდა გადადიოდეს მათი მამრობითი სქესის შვილთა ხელში. ბერათის მიხედვით, სულთანმა ზემოთ დასახელებული ჯამესა და მედრესეების მმართველისა და ზედამხედველის თანამდებობათა მფლობელის, მირი მეჰმედ შერიფის ფირმანი ზისი მოთხოვნის საფუძველზე განაახლა. ეს დოკუმენტი განახლებისას შემოწმებულ იქნა და გაირკვა, რომ იგი 1839 წლის 29 აგვისტოს გაუციათ ზემოხსენებულ პირზე უფრო ძველი დროის ბერათის საფუძველზე. ამიტომ სულთანი ახლაც ანახლებს ამ საბუთს და მას ძალიან ტოვებს, ძველად გაცემული ბერათების საფუძველზე. დოკუმენტი ძალიან საინტერესო წყაროა XIX ს-ის 60-იანი წლების ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად, მას არაწაკლები მნიშვნელობა აქვს ამ პერიოდში ზემო აჭარაში მიმდინარე ეკონომიური პროცესების შესასწავლად.



მეტად საინტერესოა ჰაჯი რეჟეფ ფაშას მიერ სპარსელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ამსახველი თხზულება, სადაც საგანგებოდ არის განხილული თბილისის ამბები. თხზულების ავტორია ვინმე გურჯი ზადე, რომლის ბიოგრაფიიდან თითქმის არაფერი ვიცით. ამ წყაროს თურქული ტექსტის ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება; მისი ფოტოპირები და მიკროფილმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის განკარგულებაშია<sup>108</sup>. მას გამოსაცემად ამზადებს დოც. ცისანა აბულაძე. მის განკარგულებაშია ამ წყაროს მეორე ნუსხაც, რომელიც სტამბოლის სულეიმანიეს წიგნსაცავშია დატული. (Esat Ef. № 2435, v. 39)<sup>109</sup>.

<sup>108</sup> فتحنامه تفلیس اثر حامه کورجی زاده برای والی حلب رجب  
(თბილისის დაპყრობის წიგნი, ქმნილება გურჯი. اولمشدر.   
 (ზადეს კალმისა, ალუპოს ვლის რეჟეფ ფაშასთვის დაწერილი და შედგენილი).

<sup>109</sup> وقایع نفیس اندر تفلیس در عهد اصف ثانی حضرت الحاج رجب  
(მოხდენილი ამჴელი, იშვიათი თბილისის, რომელიც გარდახდა   
 (შაჰა حفظ الله تعالی   
 ზრტენ ეზირს, მის უდიდებულესობას ჰაჯი რეჟეფ ფაშას, იფარციდეს მას მაღალი ალაჰი).  
232



წყაროში აღწერილია ოსმალთაგან თბილისისა და საერთოდ ქართლის (გორის, ქსნის, ყარა-კალკანის ანუ არაგვის საერისთაოს, თრიალეთისა და სხვათა) დროებითი ოკუპაცია XVIII ს-ის მე-2 მეოთხედში. წყაროში მითითებულია იმის შესახებ, რომ ოსმალო ხელისუფალთ ფისკალური მიზნით აღუწერიათ ქართლი და შეუდგენიათ დავთარი. აქვე მოხსენებულია იმდროინდელი ქართველი და ოსმალო სახელმწიფო მოღვაწეები: ვახტანგ VI, იესე, ბაქარი, გივი ამილახვარი, იმამ ყული ხანი, რეჟეფ-ფაშა, სერასქერი აჰმედ ფაშა, არზრუმის ვალი იბრაჰიმი, რომელიც ოსმალთა ლაშქარს სარდლობდა და სხვ. წყაროში გადმოცემულია აგრეთვე განჯისა და ერევნის აღების შესახებაც. ეს თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს-ის მე-2 მეოთხედის ქართლის ისტორიის შესასწავლად, აგრეთვე ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლადაც.

სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში ინახება XVIII ს-ის მე-2 მეოთხედში შედგენილი თბილისის აღწერის ვრცელი დავთრები. მასში ვრცლადაა აღწერილი თბილისის ვილაიეთის შემადგენლობაში შემავალი თბილისისა და გორის ლიეების მოსახლეობის, მათი შემოსავლის, ნაპიებების საზღვრებისა და ქონების შესახებ (შიფრი: 900). იგი დათარიღებულია (პ. 1140 წ.) 1727—1728 წლით. აქვეა ამავე წლით დათარიღებული თბილისის ვილაიეთის მოსახლეობისა და მისი შემოსავლის აღწერის დავთარი (შიფრი: 897)<sup>110</sup>.

XVIII—XIX სს. საქართველოს შესახებ არსებული ოსმალური დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია მთელი რიგი მასალებისა, რომლებიც სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში ინახება და ჩვენთვის მათი შიფრებიც კი ცნობილია<sup>111</sup>.

XVIII ს-ის მე-2 მეოთხედის ამიერკავკასიისა და კერძოდ სომხეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის საინტერესოა წყაროა სოფელ ვადარშაპატის ოსმალური საგადასახადო რეესტრები, რომლებიც სომხურ ენაზე გამოსცა ა. ფაფაზიანმა<sup>112</sup>. გარდა ამისა, ამავე პერიოდის შესახებ არაერთი თურქული დოკუმენტი ინახება მატენადარანის არქივთსაცავში, რომლებიც ნათელ სურათს იძლევიან ოსმალეთის საგარეო პოლიტიკისა და ამიერკავკასიის მწარმოებელი საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებათა და საერთო მდგომარეობის

<sup>110</sup> Ahmet Üzkan (Melaşvili), Gürcüstan, Tarih, Edebiyat, Sanat, Folklor, İstanbul, 1968. გვ. 236. შტრ. İstanbul Prime Ministers Archives Dossiers, N 897). 418 and 900/331. Defter-i Mufassal-i Vilayet-i Tiflis.

<sup>111</sup> Ahmet Üzkan (Melaşvili), დასახ. ნაშრ., გვ. 237—239.

<sup>112</sup> А. П а п а з я н, Турецкие налоговые реестры села Вагаршапат 1725—1728 гг. «Вестник Матенадарана», 1960, № 5, стр. 431—464.

შესახებ. ამ წიგნსაცავში ინახება ცალკეული ნაწყვეტები თურქული დავთრებიდან და კანუნ-ნამეებიდან<sup>113</sup>.

ოსმალეთის სამხედრო ლენური სისტემის შესასწავლად საინტერესოა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი ფირმანი (Tur d 50), 1824 წლით დათარიღებული, რომლის მიხედვით, სულთან მაჰმუდ II (1808—1839) 20700 ახჩა შემოსავლის ზიამეთს უბოძებს სოფელ იფნეთსა და სხვა ადგილებში ვინმე ალის, ზიამეთის ადრინდელი მფლობელის ოსმანის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების გამო. აღსანიშნავია, რომ სულთნის მიერ ზიამეთად გაბოძებული სოფელი იფნეთი „უურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, 12 კომლიანი სოფელია და 17200 ახჩა შემოსავალს იძლევა.

თანამედროვე თურქმა ისტორიკოსმა ალთუნდალ შინასიმ გამოსცა შვიდი ქართული დოკუმენტის თურქული თარგმანი, რომელიც იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ (1773—1815) გაუგზავნა ოსმალეთის სულთანს მაჰმუდ II-ს და ახალციხის ფაშას<sup>114</sup>. თურქ მეცნიერს ამ დოკუმენტების თურქული თარგმანის ლათინიზებული ტრანსკრიპციით გამოცემა დასჭირდა იმის საილუსტრაციოდ, რომ ოსმალეთის ხელისუფლება საქართველოს მიმართ დაპყრობით ომებს არასდროს არ აწარმოებდა, პირიქით, ოსმალეთის ხელისუფლებას ყოველთვის მიმართავდნენ დახმარებისათვის საქართველოს სამეფო-სამთავროების მეათურები.

წერილის ავტორის მიერ გამოქვეყნებული შვიდივე დოკუმენტი ინახება სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივში. პირველი დოკუმენტი დათარიღებულია 1811 წლით (№ 44599), მეორე (№ 44615 გ 1), მესამე (№44615h 1), მეოთხე (№44515.1, T 9. C) დოკუმენტები — 1814 წლით. მეხუთე (№44604. T. 9 N), მეექვსე (№ 44604. T. 9. N), მეშვიდე (№ 44626. C) დოკუმენტები — 1820 წლით. ამ წერილების მიხედვით. სოლომონ II ითხოვდა ოსმალეთის ხელისუფლების ქვეშევრდომობას. სულთნის მფარველობაში შესვლას. იგი გამოთ-

<sup>113</sup> А. Д. Папаян, Персидские, арабские и турецкие официальные документы Матенадарана XIV—XIX веков и их значение для изучения социально-экономической жизни стран Ближнего Востока. XXV международный конгресс восток-ов. М., 1960, стр. 11—13.

<sup>114</sup> Şinasi Altundağ, Osmanlı İdaresi ve Cürçüler. Ankara Üniversitesi Dil ve Tarih-Coğrafya Fakültesi Dergisi, cilt X, sayı 1—2. 1952. გვ. 79—90. იგივე სტატია ავტორმა უფრო ადრე დოკუმენტების გამოქვეყნებლად წაიკითხა თურქეთის საისტორიო საზოგადოების IV კონგრესზე და ამავე კონგრესის მასალებში დაბეჭდა. იხ. Şinasi Altundağ. Osmanlı İdaresi ve Gürcüler. IV Türk Tarih Kongresi, Ankara, 10—14 Kasım, 1948. Ankara, 1952. გვ. 317—325.

ქვამდა მზადყოფნას ყოველგვარი შეთავაზებული დავალების შესასრულებლად, კისრულობდა ჭიზიასა და ფეშქაშების მირთმევის ვალდებულებას. იმერეთის მეფე არწმუნებდა სულთანს, რომ ოსმალთა მფარველობაში შესვლის შემთხვევაში მას ოთხი-ხუთი ათასი ლაშქარი ყოველთვის მზადყოფნაში ეყოლებოდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თურქი მეცნიერის ალთუნდალ შინასის მიერ პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივიდან გამოქვეყნებულ დოკუმენტებში მხოლოდ სოლომონ II-ისა და მისი მომხრე თავადების რეაქციული მისწრაფებებია გამოხატული. ჩვენთვის ცნობილია ოსმალეთის სულთნის მხოლოდ ერთი ფირმანის შინაარსი, რომელიც 1811 წელსაა გაცემული სოლომონ II-ისადმი<sup>115</sup>. ამ ფირმანიდან აშკარაა სულთნის მთავრობის დამოკიდებულება სოლომონ II-ისადმი და სოლომონ II-ის მიზანი — იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნება ოსმალეთის დახმარებით. სოლომონ II-ისადმი გაცემული ფირმანით, ოსმალეთის ხელისუფლება სოლომონ II-ს პირდებოდა დახმარებას და იმერეთის სამეფო ტახტზე აღდგენას. ფირმანიდან აშკარაა, რომ სულთნის მიერ მიღებული „წყალობა“ და დაპირებანი ძალიან ზოგადია. სულთანი სოლომონ II-ს უგზავნის საგანგებო ხალხებს და ხუთი ათას ყურღუმს, ამასთან „არიგებს“, რომ ხელი მიჰყოს მტერთაგან თავდაცვის საქმეს, ქვეშევრდომთა გულის მოგებას და ქვეყანაში წესრიგის დამყარებას.

\* \* \*

სტამბოლის პრემიერ-მინისტრის სამმართველოს არქივის გზამკვლევის მეშვეობით ცნობილია, რომ აქ საქართველოს შესახებ თურქულ და ქართულ ენაზე არსებულ უამრავ წყაროებს შორის ინახება ერთი თურქული დოკუმენტური წყარო, რომელიც ერეკლე მეორის მიერ რუსეთთან ერთად ყარსის სანახებზე თავდასხმის შესახებ მოგვითხრობს. (№ E 1594—4382—8299)<sup>116</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ არქივში ინახება ქართულ ენაზე დაწერილი 1813 წლით დათარიღებული წერილების დედანი. (შიფრი: 44615/№/I.44615/0/I)<sup>117</sup>. საფიქრებელია, რომ ამ წერილების ავტორი იმერეთის მეფე სოლომონ II იყო.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა

<sup>115</sup> ნ. შენგელია, ს. ჭიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. „მაცნე“, 1963, № 3, გვ. 186—195.

<sup>116</sup> Midhat Sertoğlu, Arşiv Kılavuzu, Ankara, 1955.

<sup>117</sup> Ahmet Özkan (Melaşvili), Gürcüstan, Tarih, Edebiyat, Sanat, Folklor. 1968. İstanbul, გვ. 239.

1831 წლის აღწერა, სადაც მოცემულია ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა და მოსახლეობის შემადგენლობა. ამ აღწერის მიხედვით, ისტორიული საქართველოს სამხრეთის პროვინციები ძირითადად თავმოყრილი იყო ჩილდირისა და ტრაპიზონის ვილაეტებში. ჩილდირის ვილაეთი შედგებოდა ლივანას (მეორე სახელი ართვინი), შაეშეთის, მაქანლის, ჭაქარაქის ((?) جرجر) და ჭებეჯიქის ((?) جيجون, (?)) جبجك (ლივებისაგან. ტრაპიზონის ვილაეტში შედიოდა აგრეთვე გონიოს ლივა. არზრუმის ვილაეტში შედიოდა თორთუმის, ისპირის, ფასინის, მამირვანის ლივები. დიარბექირის ვილაეტში შედიოდა — ფანბაქისა და ფერთეგრექის ლივები. ხოლო სივასის ვილაეტში შედიოდა ჩორუმისა და ჭანეთის ლივები<sup>118</sup>. როგორც ვხედავთ. ისტორიული საქართველოს სამხრეთის პროვინციები 1831 წლის ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სხვადასხვა ვილაეტების შემადგენლობაშია. მათ შორის ჩილდირის ვილაეთია ერთადერთი, სადაც მხოლოდ ქართული პროვინციებია თავმოყრილი და ლივებადაა დაყოფილი. დანარჩენი ტერიტორიები ლივების სახით შედის არზრუმის, ტრაპიზონის, დიარბექირისა და სივასის ვილაეტების შემადგენლობაში.

• •

ამრიგად, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური და ნარატიული წყაროები. მივუთითეთ მხოლოდ იმ წყაროებზე, რომლებიც დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია და ხელი მიგვიწვდება. აღვნიშნეთ ისეთ წყაროებზედაც, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ შემოვლითი გზით, ინახება უცხოეთის სხვადასხვა წიგნსაცავებსა და არქივსაცავებში, მაგრამ ჭერჯერობით ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში არ არის შემოსული. ეჭვი არ არის, რომ მომავალი კვლევა-ძიების შედეგად არაერთი საინტერესო წყარო გამოვლინდება და ხელმისაწვდომი გახდება ფართო სამეცნიერო წრეებისათვის, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ჩაღრმავებით შესწავლის საქმეს.

---

<sup>118</sup> Fazıla Akbal. 1831 Tarihinde Osmanlı İmparatorluğunda İdarî Taksimat ve Nüfus. «Belleten», Cilt XV, Sayı 60, 1951. Ankara, გვ. 619—628.

## (Общий обзор)

## Резюме

Среди источников истории Грузии позднефеодального периода значительное место занимают османские документальные и нарративные источники. В этих источниках содержится много важных сведений, относящихся к социально-экономическим и политическим взаимоотношениям Грузии и Османского государства, и это естественно. На протяжении XV—XIX вв. Грузия имела тесную связь со своим южным соседом — Османской империей. Государственным деятелям Османского государства, военным лицам, официальным историографам, путешественникам, географам и др. при исполнении служебных поручений приходилось составлять официальные документы о Грузии, регистрировать в официальных историях современные или прошлые события, касающиеся Грузии, основательно описывать покоренные грузинские провинции и т. д. Сведения о Грузии в этих источниках различного характера. Из них обработана и внесена в научный оборот только часть. О значительной части необработанных источников мы имеем сообщения только в виде описаний и каталогов, поскольку они хранятся в архивах и книгохранилищах Турции и Европы и для нас пока что недоступны.

Исследователям истории позднефеодальной Грузии наряду с грузинскими и другими источниками необходимо принять во внимание и османские нарративные и документальные источники, сопоставить их с данными других источников.

В настоящем труде представлены как раз османские нарративные и документальные источники, касающиеся истории Грузии, говорится об османской историографии, о жизни и деятельности османских историков. Особое место уделяется сведениям о Грузии в их сочинениях, их ценности и надежности; в некоторых случаях они сопоставлены с данными других источников и сделаны заключения. Но такая работа проведена в отношении не всех источников. В труде привлечены также османские документальные источники, хранящиеся в наших ар-

хивах, даны их характеристика и значение для истории Грузии. Указано, какие из них переведены на грузинский язык и др. Помимо опубликованного и хранящегося в архивах и книгохранилищах нашей страны материала, по мере возможности представлены те источники, которые имеются в зарубежных архивах, а нам знакомы лишь по каталогам и путеводителям.

Настоящий труд является первой попыткой собрания османских нарративных и документальных источников истории Грузии.

За последние годы было опубликовано довольно много османских документальных и нарративных источников истории Грузии; в этом направлении предусмотрена работа и в дальнейшем. Труд отражает настоящий уровень развития османского источниковедения.

Представленная работа состоит из вступления и пяти глав. В первой главе рассматриваются нарративные источники XV—XVI вв.

В Османском государстве традиция создания исторических хроник имела широкое распространение. К концу XVII века число неофициальных историков значительно возросло. Свои сочинения они обычно начинали с описания событий древнейших времен, затем детально излагали историю образования Османского государства с первых дней основания до события своих дней. Сведения, содержащиеся в сочинениях этих историков, довольно подробны и проливают свет на некоторые вопросы истории Османской империи XV—XIX вв. Также не менее интересны сведения этого периода, касающиеся Закавказья и, в частности, Грузии. Трудно назвать период в истории Османского государства, который не был бы описан в сочинениях официальных османских историографов. Эти сочинения долго оставались единственным источником как для европейских исследователей, так и для турецких ученых. Помимо официальных османских историков была целая плеяда неофициальных ученых, историков, географов и путешественников, создавших сочинения, касающиеся интересных вопросов истории Османского государства и сопредельных с ним стран. Таковыми являлись Ашик паша-заде, Нешри, Идрис Битлиси, Мустафа Али, Ибрахим Печеви, Кятиб Челеби, Дженаби, Кара Челеби-заде Абдул Азиз, Соллак-заде, Мехмед Хемдеми, Мюнеджим-баши, Хасан бей-заде Ахмед, Фундуклулу Мехмед, Шамадани-заде Сулейман и многие др. Сведения из сочинений османских историков не всегда рисуют реальную картину исторического развития Османского государства. Сравнительно мало места в их сочинениях уделено описанию подлинной истории отношения Османского государства к покоренным странам. По данным их сочинений трудно изучить сущность и социальные корни власти султана. Вполне естественно, что османские официальные

историографы являлись выразителями интересов господствующих классов и считали закономерным и справедливым проведенные ими те или иные мероприятия.

Официальному придворному историку поручалось изложение истории Османского государства со дня его создания и вместе с тем точная регистрация происходящих событий. В задачу этих официальных османских историографов входило описание истории страны, политических и экономических взаимоотношений между странами по документам, находящимся в их распоряжении, а также историков-предшественников. Естественно, что в трудах этих официальных историков определенное место было уделено вопросам взаимоотношения Ирана и Турции с Грузией. Сведения о Грузии некоторых османских историков и путешественников известны в грузинской историографии, переведены на грузинский язык. Но следует здесь же заметить, что большая их часть все еще остается неизвестной для нашей историографии.

Как мы уже отмечали, с первых же дней создания Османского государства вокруг османских государей вместе с служителями религии и культуры собирались летописцы-историки. Еще ко времени Орхана (1326—1360) относится деятельность Ашик паши (1272—1333) и его внука Ашик паши-заде (1400—?).

Одним из первых представителей османской историографии XIV века считается Тадж ед-Дин Ахмед Ибрахим ибн Хиэир (1329—1413), сочинение которого «Искандер-намэ» относится к начальному периоду османской исторической литературы. Две рукописи «Искандера-намэ» хранятся в мусульманском фонде Института рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР.

Ц. А. Абуладзе опубликован отрывок из этого источника с грузинским переводом, с соответствующими замечаниями и исследованиями, в котором описывается нашествие на Грузию Аргун-хана<sup>1</sup>.

Среди историографов XV века надо отметить Ибн-Арабшаха (1389—1450). Ему принадлежит целый ряд научных трудов по разным отраслям науки. Для нас представляют интерес описанные им на арабском языке сведения о нашествиях Тамерлана на Среднюю Азию и Закавказье. История Тамерлана Ибн-Арабшаха была переведена на турецкий язык Муртаза Назми-заде и издана в Стамбуле в 30-х годах XVIII века<sup>2</sup>. Ибн-Арабшах дает много важных сведений о нашествиях Тамерлана на Закавказские страны и, в частности, на Грузию.

Среди османских историков одним из первых летописцев являлся Идрис Битлисн, перс по происхождению, деятельность

<sup>1</sup> Ц. А. Абуладзе, Ахмедн о походе Аргун-хана в Грузию. Шота Руставели, историко-филологические разыскания. Тб., 1966, стр. 218—226.

<sup>2</sup> Назми-заде Эфенди, История Тимура-Гургана. Константинополь, 1729.

которого относится к периоду правления султана Баязета II (1481—1512).

Современником Идриса Битлис и первым турком летописцем был Мюдеррис Мевляна Мехмед Нешири. Его сочинение<sup>3</sup> является наилучшим источником истории Османской империи XIV—XVI вв. Нешири слегка касается истории Лазети и Трапезунда.

В тесные политические и экономические взаимоотношения с Грузией Османская империя вступила с XVI века и начиная именно с этого периода в сочинениях почти всех османских историков определенное место занимает закавказский вопрос и, в частности, грузинский.

Среди османских историков XVI века надо отметить Шемс ед-Дина Ахмеда бен Сулеймана (1468—1534), известного под именем Кемаль паши-заде или Ибн-Кемаль.

Рукопись VII реестра сочинения Ибн-Кемалья и ее латинизированую транскрипцию издал Шереф ед-Дин Туран<sup>4</sup>; автор подробно освещает завоевательные войны Османского государства, приводит сведения о походах турок на Грузию. Автор особо описывает пограничные территории Грузии и указывает, что, захватив в Грузии целый ряд крепостей, османы перешли к черкесам. Сочинение Ибн Кемалья — довольно важный источник как для истории Закавказских стран, и в частности Грузии, так и для Османского государства и смежных с ним стран.

В 1961 году в Стамбуле турецким ученым Атсином был опубликован турецкий текст одного исторического сочинения арабским и латинским шрифтом, автором которого считается Осман<sup>5</sup>. В изданном им источнике есть интересные сведения о Грузии, в нем говорится о пленении царя Картли Симона. По сведениям автора, царь Картли Симон был взят в плен в 1008 году (=1599—1600)<sup>6</sup>. В источнике говорится о походе Лалы Мустафы паши в Ширван и взятии им Тбилиси<sup>7</sup>.

Среди историков XVI века следует упомянуть известного Шейх уль-ислама и историка Мехмеда Саад ед-Дина Ходжа-Эфенди (1536—1599). В сочинениях<sup>8</sup> последнего нет сведений о

<sup>3</sup> Mehmed Neşri, Kitab-ı Cihan-Nüma Neşri Tarihi, I cilt, 1949, Ankara. II cilt, Ankara, 1957. Hazırlıyanlar. Fair Reşit Unat-Mehmed Altay Köymen.

